PRIME Time
N20 (218), ორშაბათი 20 მაისი 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge



ლაშა ბუღაძე:
„ერთ-ერთი მთავარეპისკოპოსი, ვერ გაიგებდი, პოლიტიკოსი იყო, ძველი ბიჭი, პოლიციელი, სამხედრო თუ მთავარეპისკოპოსი... აშანტაჟებდა სახელმწიფოს“

EXCLUSIVE

# „ვფიქრობ, რუსულ სპეცსამსახურებს გავლენა აქვს საქართველოს საპატრიარქოს სერიოზულ ფრთაზე“



EXCLUSIVE

## ნინო ბურჯანაძე საპრეზიდენტო კანდიდატად 26 მაისს დასახელდება

# ეკლესია მილიონიან მიტინგს აანონსებს



EXCLUSIVE

## რას ნიშნავს მეუფე იაკობისა და ლევან ვასაძის ტანდემი

ვალერი ხაბურძანია:
„ჩვენ, რუსული ორიენტაციის ფიგურები, ვასაძის კანდიდატურას მივესალმებით“

## ვინ მფარველობს ლესბოსელებს ქალთა კოლონიაში



„სააკაშვილის რეჟიმის დროს ლესბოსელები ციხეს აკონტროლებდნენ“

EXCLUSIVE



# რას მალავს გამოძიება ლაფანყურის საქმეში?

„ახალაია ლაფანყურში არ ყოფილა. ის გააქციეს, რომ მოეკლათ და მისთვის დაებრალებინათ ყველაფერი“

EXCLUSIVE

„ივანიშვილს თითქოს ჩეჩნები დაესხმებოდნენ თავს... სააკაშვილზე უნდა მოეწყოთ ვითომ თავდასხმა, რომ მერე ივანიშვილისთვის დაებრალებინათ“

## ქმარმა ცოლი ნაჯახით დაჩეხა და ცხედარი დაწვა



EXCLUSIVE

„მიცვალებულს აგური ჩაარტყა და გათიშა, შემდეგ ენა ამოაჭრა, ყურები დააჭრა და დაწვა“



ლევან პირველი:
## „ნებისმიერი ხელისუფლება წააგებს, თუ ის საპატრიარქოს დაუპირისპირდება“

EXCLUSIVE

„საპრეზიდენტო არჩევნებში ლევან ვასაძისა და გიორგი მარგველაშვილის დაპირისპირება გამორიცხული არ არის“



## რა კავშირშია ნაცვლიშვილისა და ხვედელიძის ტანდემი კირვალიძის სკანდალთან?

EXCLUSIVE

„დაკავებულებს სთხოვდნენ, მიეცათ ჩვენებები მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინო ბურჯანაძე საპრეზიდენტო კანდიდატად 26 მაისს დასახელდება

ხათუნა მგალობლიშვილი
ნანა შონია

**ნინო ბურჯანაძე ნანა კაკაბაძეს ფეხზე წამოუდგა. პოლიტპატიმრების ორი თვით გადადებული ყრილობა მაინც ჩატარდა, რომელსაც, რადიკალებთან ერთად, უმრავლესობის ორი წევრიც ესწრებოდა. კობა დავითაშვილი და გედევან ფოფხაძე აცხადებენ, რომ შეკრებას რიგითი მოქალაქეების სტატუსით დაესწრნენ. არც ერთს აზრად არ მოსვლია საკუთარი ლიდერების გაფრთხილება საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ. არ არის გამორიცხული, დავითაშვილმაც და ფოფხაძემაც პრემიერისგან პოლიტიკური საყვედური მიიღონ. ხალხის პარტიის ლიდერი ამას უკვე შეეჩვია და აცხადებს, რომ მსგავს საყვედურს არ მიიღებს. რაც შეეხება გედევან ფოფხაძეს, ის აცხადებს, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი, როგორც წესი, მსგავს შეკრებებს გულისყურით უნდა ისმენდეს და თუ ამის გამო უმრავლესობიდან გარიცხავენ, მაშინ ის საპრეზიდენტო არჩევნებში სრულიად სხვა კანდიდატს დაუჭერს მხარს.**





## კობა დავითაშვილი: „მე არ ვარ კოალიციის წევრი და სად დავდივარ, ამას მათ არ ვუთანხმებ“

## გედევან ფოფხაძე: „მე ვარ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი და მევალება, მხარი დავუჭირო გიორგი მარგველაშვილს... ქალბატონი ნინო არის ძლიერი პოლიტიკოსი“

## დიდი ხანია, არსებობს ყველანაირი საფუძველი, რომ ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები

**კობა დავითაშვილი, კოალიციის წევრი:**

– გავიგე, რომ ტარდებოდა შეკრება და მოვედი, როგორც მოქალაქე. მე დღეს წარმოვადგენ საკუთარ თავს, მაქვს ჩემი მოსაზრებები. მიმაჩნია, რომ ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს კანონი, რომელიც შეუძლებელს გახდის ავტორიტარული რეჟიმის არსებობას ქვეყანაში.

**– პოლიტპატიმრები ითხოვენ ვადამდელ არჩევნებს, მხარს უჭერთ?**

– დიდი ხანია, არსებობს ყველანაირი საფუძველი, რომ ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები.

**– ყრილობაზე თქვენი მისვლა ნიშნავს იმას, რომ უკმაყოფილო ხართ სამართლიანობის აღდგენის პროცესით?**

– სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს ნელი ტემპით. შეფერხებულია სასამართლო რეფორმები საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან.

**– შეიძლება, რომ პოლიტპატიმრებს თავიანთი საპრეზიდენტო კანდიდატი ჰყავდეთ?**

– ეს მათი უფლებაა. თუმცა პოლიტპატიმრებისგან მსგავსი იდეა არ მომისმენია. ვიცი, რომ ეს ადამიანები სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ.

**– ვასაძის გააქტიურებას როგორ შეაფასებთ?**

– რამდენჯერმე ითქვა, რომ ვასაძე პოლიტიკაში შემოდის, მაგრამ არც ერთხელ არ გამართლდა.

**– თქვენი კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატს როგორ დაახასიათებთ?**

– მე არ ვმონაწილეობ ამ დახასიათებაში, მე არც ამ გადაწყვეტილებაში მიმიღია მონაწილეობა.

**– უმრავლესობის ლიდერებმა იციან პოლიტპატიმრების ყრილობაზე რომ მოდიოდით?**

– მე არ ვარ კოალიციის წევრი და სად დავდივარ, ამას მათ არ ვუთანხმებ. მე ვარ მხოლოდ ფრაქციის წევრი.

**– შეიძლება საყვედური მიიღოთ ლიდერებისგან ყრილობაზე მოსვლის გამო?**

– ამ საყვედურს არ მივიღებ, ვინმემ რომც მომცეს ამის გამო საყვედური. არანაირი პრობლემა არ შემექმნება.

**– ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას არ აქვს მზაობა, რეჟიმი გასამართლდეს?**

– ეს უნდა ჰკითხოთ ხელისუფლებას, იმას, ვინც ამ გადაწყვეტილებას იღებს, სამართალდამცავ ორგანოებს. მე ერთი რიგითი პარლამენტის წევრი ვარ. მე კოალიციას არ წარმოვადგენ და ეს უნდა იცოდეთ.

**– ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით რას იტყვით? შესაძლოა, კრებამ საპრეზიდენტო პოსტზე მისი კანდიდატურა დაასახელოს?**

– არ ვიცი და არ მაინტერესებს ბურჯანაძე.

არც დავითაშვილს და არც გედევან ფოფხაძეს მოწვევა არ მიუღიათ. ორივე მათგანმა დასწრების გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო.



**გედევან ფოფხაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

– მიმაჩნია, რომ საზოგადოება, რომელიც დღეს აქ შეიკრიბა, არის უფლებამოსილი, გამოთქვას ის პრეტენზიები, რომელიც აქ გაჟღერდა. ეს ხალხი არის დაზარალებული სააკაშვილის ხელისუფლებისგან. მათ აქვთ უფლება, ზიანის ანაზღაურება მოითხოვონ და იმის უფლებაც, რომ წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დასვან. თავისთავად ჩემი აქ ყოფნა არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ მე მინდოდა ამ ხალხის პოზიცია მომესმინა.

**– თქვენი აქ ყოფნა რამდენად შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ ნაბიჯად?**

– მართალია, მე მაქვს დეპუტატის სტატუსი, მაგრამ ეს სტატუსი არ მიზღუდავს, მოვისმინო გარკვეული აზრი. თუნდაც განსხვავებული. ბევრი რაღაც, რაც აქ გაჟღერდა, ჩემთვის მისაღებია და მგონია, რომ ეს ხალხი და ჩვენ განსხვავებულ განწყობებზე არ ვართ.

**– ეს ხალხი ითხოვს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, თქვენ იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

– მე, ზოგადად, ვადამდელი არჩევნების მომხრე არასდროს ვყოფილვარ და არც ამ შემთხვევაში ვარ. ზოგადად მიმაჩნდა, რომ კონსტიტუციური ვადები დაცული უნდა იყოს.

**– შესაძლოა, პოლიტპატიმრებმა ნინო ბურჯანაძეს დაუჭირონ მხარი საპრეზიდენტო არჩევნებში, თქვენ თუ დაუჭერთ მას მხარს?**

– ჯერ ვერაფერს ვიტყვი. მოდით, ჯერ კანდიდატურები დაფიქსირდეს. მე ვარ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი და შესაბამისად, პოლიტიკური გუნდურობის პრინციპიდან გამომდინარე, მევალება, მხარი დავუჭირო გიორგი მარგველაშვილს, მის მიმართ მაქვს მე ჩემი სიმპათია, ვიყავი მის წარდგენაზე, მაგრამ არჩევნებამდე არის დიდი დრო.

**– ანუ არ არის გამორიცხული, თქვენ სხვას დაუჭიროთ მხარი?**

– ცხოვრებაში არასოდეს თქვა არასოდეს.

**– შანსები როგორი აქვს ნინო ბურჯანაძეს?**

– საერთოდ, ქალბატონი ნინო არის გამოცდილი და ძლიერი პოლიტიკოსი. რა სერიოზული ამბიციაც არ უნდა გამოხატოს მან, მისი ამბიციები არასდროს უსაფუძვლო არ არის.

**– კობა დავითაშვილმა თქვა, რომ ის დიდი ხანია, არ არის კოალიციაში, თქვენც ხომ არ ემიჯნებით კოალიციას?**

– არა, კობაც არის კოალიციაში. კოალიციაში ყოფნა-არყოფნა არის პოლიტიკური ნაწილი და არა მგონია, კობას აქ ყოფნა ნიშნავდეს იმას, რომ ის არ არის კოალიციის ნაწილი.

**– შეათანხმეთ უმრავლესობასთან?**

– არა, არ შემითანხმებია. და ყრილობაზე მოსვლის გამო თუ გამრიცხავენ უმრავლესობიდან, მაშინ სხვა კანდიდატურას დავუჭერ მხარს.

**– საუბარია იმაზეც, რომ ლევან ვასაძემ შესაძლოა, დააყენოს მისი კანდიდატურა, თქვენი პოზიცია როგორია ამასთან დაკავშირებით?**

– ძალიან საინტერესოა, ხომ ხედავთ, ძალიან საინტერესო კანდიდატები შეიძლება გამოჩნდნენ.

ორი პოლიტიკოსის გარდა, ძალიან ბევრი კითხვა, ყრილობაზე დასწრების გამო, შეიძლება გაჩნდეს სახალხო დამცველის მიმართაც. უჩა ნანუაშვილმა ყრილობაზე დასწრების მოწვევა პირადად ნანა კაკაბაძისგან მიიღო, თავისუფალი დრო აღმოაჩნდა და მივიდა კიდეც. სახალხო დამცველი აცხადებს, რომ მისი ყრილობაზე მისვლა არ არის პოლიტიკური ნაბიჯი.



**უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველი:**

– მოწვევა მივიღე ნანა კაკაბაძისგან და გადავწყვიტე, რომ მოვსულიყავი.

**– როგორ ფიქრობთ, ეს პოლიტიკურ ნაბიჯად არ ჩაგეთვლებათ?**

– რატომ ჩამეთვლება? პოლიტიკური შეკრება არ არის ეს, პოლიტპატიმრები არიან ადამიანები, რომელთა უფლებებიც იყო დარღვეული, ჩვენ ვმუშაობთ ძალიან ბევრი პოლიტპატიმრის საქმეზე. ჩვენ ვზრუნავთ იმაზე, რომ მათი დარღვეული უფლებები იქნას აღდგენილი. აქედან გამომდინარე, მე მივალ ნებისმიერი არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციის შეკრებაზე, თუ მექნება ამის დრო. მე ვარ ვალდებული, მსგავს შეკრებებს დავესწრო, მით უფრო, რომ ეს შეკრება არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის შეკრება.

**– შეიძლება, რომ თქვენს დასწრებას პოლიტპატიმრების ყრილობაზე განსხვავებული შეფასება მოჰყვეს თუნდაც უმრავლესობის მხრიდან?**

– არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის, მთავარია, მე ვარ მართალი ჩემს თავთან. მნიშვნელობა არ აქვს, სად შევხვდები უფლებადარღვეულ მოქალაქეებს – მათ ყრილობაზე თუ ჩემს ოფისში. მე მათ უნდა მოვუსმინო.

ყრილობაზე ყველაზე განსხვავებული პატივით სწორედ ბურჯანაძე მიიღეს. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის მოსვლამდე ადგილზე იყო მისი უფროსი შვილი, რომელმაც ოფიციალური კომენტარებისგან თავი შეიკავა, თუმცა განაცხადა, რომ ქალბატონებს სოლიდარობას უცხადებს. ქალბატონებში ანზორიკო ბურჯანაძემ, სავარაუდოდ, ნანა კაკაბაძე იგულისხმა. კაკაბაძესთან ერთად, ალბათ, საკუთარი დედაც.

ნინო ბურჯანაძე საპრეზიდენტო კანდიდატად, სავარაუდოდ, 26 მაისს დასახელდება. „სახალხო კრების“ წევრის გია ბურჯანაძის განცხადებით, საკითხზე მსჯელობა აქტიურად მიმდინარეობს.

**გია ბურჯანაძე, სახალხო კრების წევრი:**

– ნინო ბურჯანაძე საკუთარ თავს ვერ დაასახელებს საპრეზიდენტო კანდიდატად, ის უნდა დაასახელოს საკუთარმა პარტიამ და „სახალხო კრებამ“. ეს მოხდება, მაგრამ ზუსტად როდის, ვერ გეტყვით.

პოლიტპატიმრების ყრილობაზე დაარსდა მოძრაობა – „სამართლიანობა უნდა აღდგეს“. იქ მყოფი საზოგადო მოღვაწეები სწორედ ამ მოთხოვნით აპირებენ მომდევნო აქციების გამართვას და თუ მათი სურვილი არ შესრულდება, მაშინ ორგანიზატორები „მთელ საქართველოს გამოიყვანენ ქუჩაში“. პირობა რეზო ამაშუკელმა დადო.

მოთხოვნების გარდა, ერთ-ერთი მთავარი საკითხი მაინც საპრეზიდენტო არჩევნებია. უკვე საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატივით მიღებული ბურჯანაძის ირგვლივ ვინ გაერთიანდება, ეს ძალიან მალე გამოჩნდება. თუმცა, პარლამენტსგარეთ დარჩენილი ძალების ნაწილი, რომლებიც ასევე ესწრებოდნენ ყრილობას, სავარაუდოდ, სწორედ ლევან ვასაძის გააქტიურებას ელოდებიან.

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:**

– ჩვენ გვეყოლება ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი, მაგრამ ეს არ იქნება რომელიმე პარტიის ლიდერი. ვასაძის ირგვლივ გაერთიანება კარგი იქნებოდა, თუ ის ამას მოისურვებდა. თუ ლევან ვასაძე კანდიდატურას დააყენებს, ჩვენ მას მხარს დავუჭერთ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რადიკალებმა პოლიციას მ

მირიან ბოქოლიშვილი




**17 მაისს საზოგადოების რადიკალურად განწყობილმა ნაწილმა ქართულ პოლიციას მორიგი გამოცდა მოუწყო. დიახ, ქართულ პოლიციას, ანუ სახელმწიფოს და არა იმდენად ლჯბტ საზოგადოების 50-მდე წარმომადგენელს. როგორ ჩააბარეს სამართალდამცველებმა ეს გამოცდა? ამაზე შეფასებებს ოდნავ ქვემოთ გაგაცნობთ, თუმცა მანამდე შეგახსენებთ, რომ ეს არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა. ზუსტად ორი წლის წინ, 26 მაისს ნინო ბურჯანაძემ და მისმა მხარდამჭერებმა სახელმწიფო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმის ჩაშლა განიზრახეს, რა დროსაც პოლიციამ აქციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლა გადაწყვიტეს. მეორე დღეს სამხედრო აღლუმი შედგა, თუმცა ბურჯანაძის აქციის დარბევა მსხვერპლით დასრულდა. დღეს უკვე აღარავინ დაობს იმაზე, რომ მაშინ პოლიციამ გადამატებული ძალა გამოიყენა, ისევე, როგორც 2007 წლის 7 ნოემბერს. გასულ კვირას, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, პოლიცია აშკარად თავშეკავებულად მოქმედებდა, მას არ გამოუყენებია ძალა დემონსტრანტების წინააღმდეგ, თუმცა მოახერხა ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის მონაწილეთა გაყვანა რადიკალების შეკრების ადგილიდან, სადაც უმცირესობის წარმომადგენლებს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ. სამოქალაქო სექტორის ის ნაწილიც კი, რომელიც მოქმედი ხელისუფლების მიმართ საკმაოდ კრიტიკულადაა განწყობილი, ადასტურებს, რომ პოლიცია მაქსიმალურად იცავდა უმცირესობის უსაფრთხოებას აგრესიული მასისგან.**

„პოლიციის პასუხისმგებლობაზე საუბარი სრულიად ზედმეტია, რადგან ჩვენ ვნახეთ, როგორ გმირულად იცავდა ის მოქალაქეების უსაფრთხოებას. სწორედ პოლიციის დამსახურებაა, რომ ამ აქციამ ჩაიარა მსხვერპლის გარეშე“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას „პოლიტიკის ანალიზის ცენტრის“ მკვლევარი ოთარ კახიძე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსგან შემდგომ ნაბიჯებს ელის და მოძალადეების დაკავებას ითხოვს.

სამოქალაქო სექტორში არიან ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ პოლიციამ ვერ უზრუნველყო უმცირესობის გამოხტავის თავისუფლება. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ უმცირესობის უფლების უზრუნველსაყოფად სამართალდამცველებს ლეგიტიმური ძალა უნდა გამოეყენებინათ. ამ მოსაზრებას მმართველმა გუნდმა და თავად ბიძინა ივანიშვილმა უკვე 19 მაისს, პოლიციელის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე უპასუხა, სანამ მათ შეფასებებს გაგაცნობთ, მანამდე გეტყვით, თუ რა ხდებოდა 19 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

შსს-ში გამართულ საზეიმო ღონისძიებას პრემიერ-მინისტრის გარდა, დიპლომატიური კორპუსის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მოწვეულ სტუმრებს ღარიბაშვილმა შსს-ში რეფორმების შედეგად განხორციელებული სიახლეები გააცნო. წარმოდგენილი იქნა ახალი კანონი პოლიციის შესახებ, შსს-ს განვითარების სტრატეგია, საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, პოლიციელის ახალი ფორმა, სამხრე ვიდეო კამერა, ჟეტონი, საპატრულო ავტომობილი და მასზე დამონტაჟებული ვიდეორეგისტრატორი. გაიმართა ახალი ვებ-გვერდის და ქვეყნის მასშტაბით დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგისთვის დამონტაჟებული კამერების სამეთვალყურეო პროგრამის პრეზენტაცია. სტუმრების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა მობილურმა აპლიკაციამ, რომელიც IOS და Android-ის სისტემებზე მომუშავე სმარტფონებისთვისაა შექმნილი. მობილური აპლიკაციის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ: ადმინისტრაციული ჯარიმების ოპერატიულად გადახდა, საზღვრის კვეთისთვის საჭირო ანკეტის შევსება, მართვის მოწმობის თეორიული გამოცდის ვირტუალურად ჩაბარება და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეიდან უკვე პოლიციელები გამოიყენებენ სამხრე ვიდეო-კამერებს, რომელზეც რამდენიმე დღის წინ ცხარე დისკუსიაც კი გაიმართა. ოპონენტებმა ღარიბაშვილის უწყება ტოტალურ თვალთვალში დაადანაშაულეს, თუმცა საბოლოოდ გაირკვა, რომ ეს კამერები პოლიციის თანამშრომელს მხარზე უმაგრდება და მისი გამოყენების შესახებ მოქალაქეს წინასწარ აფრთხილებს. შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, რომ მუშაობის ეს მეთოდი წლების განმავლობაში აპრობირებულია აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.




„ეს ვიდეოკამერები გამოიყენება საპატრულო პოლიციის მუშაობის მონიტორინგისთვის, ადამიანის უფლებების დაცვის საიმედოობის ამაღლებისთვის, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისთვის, კონკრეტულ შემთხვევაში პატრულის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორის შეფასებისთვის. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ვიდეოკამერების გამოყენებისას, მოქალაქე დაუყოვნებლივ იქნება გაფრთხილებული პატრულ-ინსპექტორის მიერ. ვფიქრობთ, აღნიშნული სიახლე ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანს მოქალაქისა და პატრულის ურთიერთობას, ვინაიდან კამერების ჩანაწერების გამოყენება შესაძლებელი იქნება ორივე მხარისთვის საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად“, – აცხადებენ ღარიბაშვილის უწყებაში.




შსს-ში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე პოლიციელებს პროფესიული დღე პირველმა პრემიერ-მინისტრმა მიულოცათ და 17 მაისს სამართალდამცველების ქმედებები შეაფასა. ბიძინა ივანიშვილმა „აჟიტირებული უმრავლესობისგან“ უმცირესობის უსაფრთხოების დაცვისთვის, პოლიციელებს მადლობა გადაუხადა.

**ბიძინა ივანიშვილი, პრემიერ-მინისტრი:**

– ვულოცავ თითოეულ პოლიციელს, ვულოცავ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს. თქვენ პოლიციელებს ჩვენი ქვეყნის წინაშე უაღრესად რთული და საპატიო მისია გაკისრიათ. თქვენ მოიხსენიებით და თქვენ ასრულებთ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას. თქვენ იცავთ თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას და იცავთ და დგახართ მის სადარაჯოზე. თქვენ დგახართ თითოეული ჩვენთაგანის უსაფრთხოების სადარაჯოზე და ძალიან ხშირად ამ უსაფრთხოების დაცვას საკუთარი სიცოცხლის უსაფრთხოების ფასადაც ახერხებთ. ამის კარგი მაგალითი გახლავთ გუშინწინ თბილისში ცენტრალურ მოედანზე განვითარებული მოვლენები. თქვენ ღირსეულად მოახერხეთ, შექმენით გასასვლელი უმცირესობისთვის, რომ მათ საკუთარი უფლებების დაცვა მოეხერხებინათ. უმრავლესობასა და უმცირესობას შორის თქვენ ჩადექით და მაშინ, როდესაც ნახეთ, რომ სიტყვის თავისუფლების ნაცვლად პირველ ადგილზე გადავიდა ადამიანის უსაფრთხოების დაცვა და მაშინ, როდესაც, საუბედუროდ, არ მოხერხდა აჟიტირებული უმრავლესობის შეკავება, თქვენ თქვენი სიცოცხლის უსაფრთხოების ფასად თქვენს თავზე აიღეთ ყველა სიმძიმე და მოახერხეთ და გაარიდეთ უმცირესობა საფრთხეს და მე ვიცი, რომ 20-მდე პოლიციელი დაზარალდა, არის ფეხმოტეხილიც და უფრო სერიოზული დაზიანებებიც. ეს ყველაფერი თქვენ საკუთარ თავზე აიღეთ. გავაგრძელებდი და აღვნიშნავდი, რომ კარგად კოორდინირებული იყო ეს აქცია თქვენი ხელმძღვანელობის მიერ. მას კოორდინაციას ღირსეულად უწევდა და ძალიან სწორედ აკეთებდა ასრულებდა საკუთარ ფუნქციებს თქვენი მინისტრი. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის დავალება ძალიან საპასუხისმგებლოა. წესრიგის დამცველი, პირველ რიგში, თვითონ უნდა იყოს მოწესრიგებული და რაც უფრო მეტი ჩინი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ორიგი გამოცდა მოუწყვეს

## რა სიახლეებით შეხვდა შსს პოლიციელის დღეს და როგორ ფასდება მმართველ გუნდში 17 მაისს განვითარებული მოვლენები?





### დავით უსუფაშვილი: „არც ერთი ორგანიზაციის, თუ რელიგიური მრწამსის წარმომადგენელს არ აქვს იმუნიტეტი“

ელებიც დააჯილდოვა. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი პოლიციელების სახელზე სპეციალური მემორიალი აიგება.

პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების დასრულების შემდეგ ღარიბაშვილის უწყების მუშაობა მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა შეაფასეს, მათ შორის განცხადებები გააკეთდა 17 მაისს პოლიციის ქმედებებზე.

**დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:**

– საქართველოს სახელმწიფო უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე, კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში და არც ერთ ადამიანს, არავის, არც ერთი შეხედულების, ორგანიზაციის, თუ რელიგიური მრწამსის წარმომადგენელს არ აქვს იმუნიტეტი და საქართველოს კანონებით და კონსტიტუციით სხვისი ცემა, ქონების დაზიანება, საფრთხის შექმნა სხვისი ჯანმრთელობისთვის, ეს ყველაფერი არის დასჯადი ქმედებები და მე მგონია, რომ სამართალდამცველი ორგანოები ამის შესახებ თავად მოგვაწვდიან ინფორმაციას... 17 მაისს პოლიცია იყო ყველაზე უკეთ მობილიზებული და ყველაზე უკეთ შეასრულა თავისი მოვალეობა. მე ასე ვხედავ, ვინაიდან ამ ვითარებაში, როდესაც კრიტიკულ მომენტში პოლიცია დადგა არჩევანის წინაშე, ან უნდა მიემართა გაცილებით მძიმე ღონისძიებებისთვის და ამას შესაძლოა პროცესი ბოლომდე უმართავი გაეხადა, ან უნდა უზრუნველეყო დემონსტრანტთა უსაფრთხოება და საკუთარ თავზე მიეღო აგრესიული მასის დაწოლა. მათ არჩევანი გააკეთეს მეორე გზის სასარგებლოდ და ეს იყო აბსოლუტურად სწორი გამოსავალი. იმ კონკრეტულ მომენტში პოლიციელთა კორდონის გარღვევის დროს რომ გამოყენებულიყო ცრემლსადენი გაზი ან სხვა სპეცსაშუალება, ამას შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგები მოეტანა რუსთაველის გამზირზე.

**არჩილ კბილაშვილი, მთავარი პროკურორი:**

– ცალკეული ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიებები მიმდინარეობს. გამოძიების შედეგები საზოგადოებისთვის მალე გახდება ცნობილი. 17 მაისს პოლიციამ მაქსიმალურად შეასრულა ის დავალება, რაც მას ჰქონდა მიცემული. მან თითქმის შეუძლებელი შეძლო. უზრუნველყო მდგომარეობის განმუხტვა და თავიდან აიცილა ის მძიმე შედეგები, რაც დაპირისპირებას შეიძლება მოჰყოლოდა.

**თინა ხიდაშელი, საპარლამენტო უმრავლესობა:**

– 17 მაისს განვითარებული მოვლენები ჩემთვის იყო აღმაშფოთებელი და სრულიად მიუღებელი, შემაშინებელიც. ეს იყო ერთგვარად ჯანყი სახელმწიფოს წინააღმდეგ და არა იმდენად იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვის მიმართაც გამოხატავდნენ აგრესიას. რაც შეეხება პოლიციის ქმედებას, მე ვფიქრობ, ის იყო აბსოლუტურად ადეკვატური. ყველა იმ ადამიანისგან, ვინც აკრიტიკებს პოლიციის რეაქციას ვითხოვ ერთადერთ კითხვაზე პასუხს: რას გააკეთებდნენ თავად მათ ადგილას? მაქვს რა უზარმაზარი გამოცდილება აქციებში მონაწილეობისა, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, იქ რომ ვინმესთვის ხელი მოეკიდა პოლიციას, ან ძალა გამოეყენებინა, ან გაზი გაეშვათ, იქნებოდა გაცილებით მძიმე შედეგები, ვიდრე იყო. არ არსებობს პოლიცია, რომელიც ამ მასას მერე გააჩერებდა. ყოველგვარი კორელაციები 2007 წლის 7 ნოემბერთან არასერიოზულია, რადგან იმ აქციების არც ერთი ორგანიზატორი ძალადობისკენ არ მოუწოდებდა მხარდამჭერებს.

აქვს მას, მით მეტად მოწესრიგებული უნდა იყოს და ამის ვალდებულება უნდა გააჩნდეს. ასეთი მინისტრი გყავთ თქვენ – ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი! მე მინდა მას მადლობა გადავუხადო, რამეთუ ამ მოკლე დროში მან დაამტკიცა, რომ შეუძლია რთული სტრუქტურის ღირსეულად მართვა. და თქვენ გაქვთ ბედნიერება, რომ გყავთ ძალიან კარგი ხელმძღვანელი. ეს არის ძალიან წესიერი კაცი, ძალიან მოწესრიგებული და ძალიან საიმედო. თქვენ გყავთ ხელმძღვანელი, რომელიც არასდროს არ გიღალატებთ და არ მიგატოვებთ გასაჭირში. ამავდროულად ის კიგბოგქსინგშიც გახლდათ, სპორტსმენია და ხელჩართული ბრძოლა თუ დასჭირდებათ, იქაც არ დაიხევს უკან და იქაც მოგეშველებათ.

პრემიერის შემდეგ პოლიციელებს შინაგან საქმეთა მინისტრმა მიმართა. ღარიბაშვილი პირობას დებს, რომ ქართული პოლიცია ჰუმანურობის, სამართლიანობისა და კანონიერების დაცვით მთელი ქართული საზოგადოების სიყვარულსა და ნდობას დაიმსახურებს.

„მინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მთელ შემადგენლობას მივულოცო პოლიციის დღე. როგორც აქ დამსწრეებისთვის არის ცნობილი, შსს არის წამყვანი სამართალდამცველი უწყება. ჩვენი სტრუქტურა მოიცავს რამდენიმე სახის პოლიციას, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოში არსებული კანონიერების განუხრელ დაცვას, საზოგადოების უსაფრთხოების და წესრიგის დაცვას. დანაშაულის გახსნის და მისი აღკვეთის მიზნით ჩვენი უწყება თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან. დღეს ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, რომ შევქმნათ და განვავითაროთ საზოგადოებაზე ორიენტირებული და დეპოლიტიზებული პოლიცია, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგსა და უსაფრთხოებას ეთიკისა და მორალის დაცვით და არამც და არამც მოქალაქეთა რეპრესირების და ჩაგვრის ხარჯზე. პოლიციელი თითოეული მოქალაქის მეგობარია და არა მისი ოპონენტი. ეს ხედვა არის ჩვენი სამინისტროს გენერალური ღერძი. საზოგადოებას და პოლიციას შორის ღია, ანგარიშვალდებული ურთიერთობის ჩამოყალიბების გარანტიად გვესახება პოლიციელის ყოველდღიური საქმიანობის, ჰუმანურობის, ადამიანობისა და კანონიერების პრინციპებზე აგება. ამ გზით დავიმსახურებთ მთელი მოსახლეობის ნდობას და სიყვარულს, რის შედეგადაც ჩვენი პროფესიული დღესასწაული ჭეშმარიტ სახალხო ზეიმად იქცევა“, - აღნიშნა ღარიბაშვილმა, რომელმაც საზეიმო ღონისძიებაზე წარჩინებული პოლიცი-



### ბიძინა ივანიშვილი: „როდესაც არ მოხერხდა აჟიტირებული უმრავლესობის შეკავება, პოლიციამ საკუთარ თავზე აიღო ყველა სიმძიმე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „რელიგიური პოლიცია არ როგორც ეს ისლამურ

ქეთი ხატიაშვილი

**როგორ იცვლებოდა ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის დამოკიდებულება, სასულიერო პირები 90-იანი წლებიდან დღემდე, როგორ იცვლებოდა მათი რეიტინგი, გავლენები და პოლიტიკური გემოვნება. რა მთავარი პრობლემები არსებობს ეკლესიაში, როგორც ინსტიტუტში და რამდენად რჩებიან იქ „კაგებეს“ თანამშრომლები. ეკლესია, ქართული სახელმწიფო და რუსული სპეცსამსახურები...**

**ამ თემებზე „პრაიმტაიმს“ ესაუბრება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი ლაშა ბუღაძე:**

– დამოუკიდებლობის შემდეგ ეკლესია რელიგიურ სფეროს გასცდა და ეკლესია, როგორც ინსტიტუტი, ასე თუ ისე, გარკვეულწილად ხელისუფლების კონკურენტად იქცა. კონკურენციის ნიშნები უკვე გამოჩნდა 1990 წელსაც.

მე მახსოვს, 1991 წელს, როდესაც ეკლესიის უმაღლესი იერარქები, მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქი, პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ შექმნილი ეროვნული კონგრესის ყრილობაზეც მივიდნენ, ვინაიდან ცნობილი იყო ზვიად გამსახურდიას პოზიცია საპატრიარქოს მიმართ. აღწერილი. ფაქტობრივად, ჩვენ ამბროსი ხელაიას შემდეგ არ გვყოლია საეკლესიო იერარქი, რომელსაც არ ეთანამშრომლა უშიშროების სამინისტროსთან ან საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასთან. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, სჯობს, ამაზე ისტორიკოსებმა ისაუბრონ. 90-იანი წლების შემდეგ, უკვე მიზეზთა გამო, საპატრიარქომ და ეკლესიამ ძალიან დიდი გავლენა მოიპოვა. ბუნებრივია, ეკლესიის გავლენა არ გულისხმობს მხოლოდ ნეგატივს ან პოზიტივს. პოზიტიური გავლენა იყო ის, რომ 70-იანი წლების პირველი პერიოდის რადიკალური ათეიზმის შემდეგ, პასიური ათეიზმის დროს დიდად დაზარალდა ქრისტიანული ეკლესია. 80-იან წლებში, პირადად ჩემი გამოცდილებით რომ გითხრათ, როდესაც მშობლებს ეკლესიაში დავყავდი, 1977-78 წლებში მამაჩემი პატრიარქის სტიქაროსანიც კი იყო და მაშინ ძალიან ცოტა ადამიანი დადიოდა ეკლესიაში. მაგალითად, თუ ეკლესიაში 30 კაცი იდგა, ნახევარზე მეტი იქიდან მორწმუნეების სათვალთვალოდ იყო მოსული.

მამაჩემი და ჩემი ნათლია, სოსო წერეთელი, რომელიც თვითმფრინავის ცნობილ ინციდენტში მონაწილეობდა და 1983 წელს დაიღუპა, სტიქაროსნები იყვნენ და მათაც უთვალთვალებდნენ



„კაგებედან“ ეკლესიაში. სოსო წერეთელი, რომელიც ღიად მონაწილეობდა წირვის ჩატარებაში, აკადემიიდან გარიცხეს. ერთი სიტყვით, მაშინ, შიშისა თუ სხვა ფაქტორების გამო, ბევრი ხალხი არ დადიოდა ეკლესიაში.

მოგეხსენებათ, რომ საბჭოურ პერიოდსა და 90-იან წლებში ეკლესიასა და კერძოდ, პატრიარქს ისეთი დიდი ავტორიტეტი არ ჰქონდათ, როგორიც დღეს აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ პატრიარქის ავტორიტეტი საზოგადოებაში იწევს 90-იანი წლების შუა პერიოდში. ყველაზე ქრესტომათიული და ისტორიული კადრები, რომელიც ჩვენ გვახსოვს, 1989 წლის 9 აპრილს იყო, როდესაც პატრიარქი მოუწოდებს ხალხს, რომ დაიშალონ და გადავიდნენ ქაშუეთის ეკლესიაში სალოცავად, ხალხი მას არ მიჰყვება და არ უჯერებს. წარმოიდგინეთ, დღეს რომ იგივე რეალობა იყოს, ხალხი პატრიარქს დაუჯერებდა. მაშინ ხალხი პატრიარქს არ უჯერებდა. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მაშინდელი ლიდერი, თუ არ ვცდები, ირაკლი წერეთელი, პატრიარქის თანდასწრებით მამაო ჩვენოს კითხულობს და პატრიარქი იქვე დგას. ეს ისტორიული კადრებია და ძალიან ბევრ რაღაცაზე მიანიშნებს, თუნდაც მაშინდელ საზოგადოებრივ განწყობებზე. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. პრინციპში, ეკლესია დიდად დავალებული იყო ცენტრალური კომიტეტისგან, უშიშროების სამინისტროსგან. ძალიან ბევრი ეკლესიური პირი უშიშროების სამინისტროსთან თანამშრომლობდა.

**– უშიშროებაში „კაგებეს“ გულისხმობთ?**

– დიახ, „კაგებეს“ ვგულისხმობ. ამაზე უკვე ღიად იწერება როგორც მედიაში, ასევე გამოსულია წიგნებიც ამ თემაზე, როგორც თანამედროვე ქართველი, ისე უცხოელი ავტორების. სულ ახლახან წავიკითხე დონალდ რეიფილდის ნაშრომი „საქართველოს ისტორია იმპერიათა საზღვარზე“, სადაც ეს ისტორია – „კაგებესა“ და ეკლესიის თანამშრომლობა – დეტალურადაა

**„ეს არის პარადოქსი, რომ ჩვენ ზოგიერთ მღვდელს ვახსენებთ, რომ ქრისტიანები იყვნენ“**

შევარდნაძის დროს, კეკლუცობად და კარგ მოდად ჩაითვალა ჩინოვნიკებისა და ხელისუფალთა რელიგიურობა. ამან პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთში, მიიღოს ის სახე, რომ კომუნისტური იდეოლოგია, თავისი ფორმითა და ატრიბუტიკით, ჩანაცვლდა საეკლესიო ატრიბუტიკითა და რიტორიკით. ამან ჩვენთანაც ეს ფორმები მიიღო. ბუნებრივია, სახელმწიფო სხვაგვარადაც ეხმარებოდა ეკლესიას – ფულით, ბიუჯეტით და ასე შემდეგ. ამ ყველაფრის კულმინაცია სააკაშვილის დროს მოხდა, როდესაც 23 მილიონი ჩვენი გადამხდელების ფულიდან ეკლესიას დაბეგვრის გარეშე გადაეცა. მიუხედავად ამისა, ეკლესიას ყოველთვის ჰქონდა სურვილი, რომ მიეღო უფრო მეტი. ამ შემთხვევაში ეკლესიას არ ვგულისხმობ, როგორც რელიგიურ მოვლენას. ვგულისხმობ, როგორც ინსტიტუტს, როგორც ჯგუფს, რომელიც საეკლესიო და რელიგიური ფასეულობებით სპეკულირებს. 17 მაისს ეს აშკარად რადიკალურად გამოვლინდა.

**– რატომ იჩინა თავი რადიკალიზმმა ასეთი ფორმებით ახლა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ? გარკვეულწილად დაძაბულობები ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ყოველთვის იყო და ახლა როგორ ხსნით ასეთ ფართომასშტაბიან და აგრესიულ დაპირისპირებას?**

– კონსპირაციებისა და შეთქმულებების თეორიების არასდროს მჯეროდა. აქ არის კონფლიქტი ისევ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის იმ კუთხით, ვის ეკუთვნის ძალაუფლება და ვინ იქნება ტონის მიმცემი. 17 მაისი იყო გამოწვევა, რომელიც ჰომოფობიის თემას გასცდა. აქ საეკლესიო იერარქები და ერთ-ერთი მთავარეპისკოპოსი, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა და ვერ გაიგებდი, პოლიტიკოსი იყო, ძველი ბიჭი, პოლიციელი, სამხედრო თუ მთავარეპისკოპოსი, აშკარად ხაზს უსვამდა თავის ძალაუფლებას, იმუქრებოდა და ემუქრებოდა არა ხალხს, არამედ აშანტაჟებდა სახელმწიფოს. მართალია, ის კიცხავდა „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც ყოფილ ხელისუფლებას, მაგრამ რეალურად ეს იყო მინიშნება და შეხსენება ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის, რომ მათ ამიერიდან უფრო მეტად უნდა გაუწიონ ანგარიში. თუკი აქ სახელმწიფო დამარცხდა და არ მისცა რეაქცია იმას, რაც 17 მაისს მოხდა, სადაც აგრესიას იჩენდნენ არა მხოლოდ სამოქალაქო პირები, არამედ ფსევდოსასულიერო პირები, მე აქ პრინციპულად არ ვხმარობ სასულიერო პირებს, რადგან ნამდვილი სასულიერო პირები სხვანაირები არიან და მადლობა ღმერთს, ასეთები არსებობენ. თუმცა ისინი ეკლესიაში უმცირესობაში არიან და დუმან. ყველასთვის ცნობილია, რომ ეკლესიაში არის ნათელი და ბნელი ნაწილი, როგორც საზოგადოებაში, მაგრამ პოზიტიური ნაწილი, რომელიც ეკლესიაშია, არის მდუმარე და ხმამაღლა ვერ ლაპარაკობს, გამონაკლისის გარდა. დედაოები უფრო აქტიურები არიან სოციალური თუ ქრისტიანული იდეოლოგიის დაცვის კუთხით. ამ მხრივ, ფსევდოსასულიერო პირები აგრესიულ ახალგაზრდებს აქეზებდნენ, თვითონაც იჩენდნენ აგრესიას და რომ არა პოლიციელები, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. ეს ხალხი, ალბათ, ფიზიკურად გაუსწორდებოდა ერთი-ორ ადამიანს, რომელთაც ეს აქცია ვერ ჩაატარეს.

ერთი სიტყვით, თუკი სახელმწიფოს მხრიდან თანაბრად არ მოეთხოვათ პასუხი ფსევდოსასულიერო პირებსა და იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამტვრევდნენ ავტობუსებს, ფიზიკურად უსწორდებოდნენ ადამიანებს, მაშინ სახელმწიფო მომავალში უფრო სერიოზულ ბრძოლებს წააგებს და საერთოდ, სახელმწიფოებრიობას რეალურად დაემუქრება საფრთხე, რადგან რელიგიური პოლიცია არ უნდა მართავდეს ქვეყანას, როგორც ეს ისლამურ სახელმწიფო ირანშია. სახელმწიფოს ჰყავს ლეგიტიმური პოლიცია, რომელიც უნდა იცავდეს კანონს. ეს სახელმწიფო არ არის თეოკრატიული. ეს სახელმწიფო ეკუთვნის საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, აღმსარებლობისა თუ სხვა კომპონენტისა. როგორც ვიცი, ამ მხრივ, დაიწყო გამოძიება და ეს გამოძიება შერჩევითი არ უნდა იყოს.

ამ აგრესიული ფსევდოსასულიერო პირების ისტორიები ვიცით, ზოგი კრიმინალია, ზოგი რამდენჯერმეა ნაციხარი. ყველას აქვს უფლება, გარკვეული მეტამორფოზა განიცადოს, მაგრამ, როდესაც შენ იგივე აგრესიას სჩადიხარ, ეს ნიშნავს, რომ შენ იგივე კრიმინალად რჩები, უბრალოდ, გკიდია ჯვარი, რომელსაც არ იყენებ, როგორც ქრისტიანი. შეიძლება იბრძოდე და ყვიროდე ქრისტეს სახელით, მაგრამ არ იყო ქრისტიანი.

საერთოდ, ეკლესია და საკაცობრიო ეკლესია ქრისტეშობის შემდეგ ამ სამწუხარო მაგალითებსაც ხშირად გვ-





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „უნდა მართავდეს ქვეყანას, სახელმწიფო ირანშია“

## ლაშა ბუღაძე: „ამ აგრესიული ფსევდოსასულიერო პირების ისტორიები ვიცით, ზოგი კრიმინალია, ზოგი რამდენჯერმეა ნაციხარი“



აძლევს. სამწუხაროდ, ქრისტეს სახელით ბევრ დანაშაულს სჩადიოდნენ. ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვან პროცესში ვართ. ვფიქრობ, კარგია, რომ მშვიდობიანად დასრულდა 17 მაისი, მაგრამ ბევრმა ადამიანმა უნდა გამოიტანოს დასკვნა, რატომ მოხდა ეს, რატომ ჩაიგდო ხალხმა თავი ასეთ ტრანსში, რატომ იგონებენ არარსებულ მტერს, სად დაინახეს მამათმავლობის პროპაგანდა. ასეთ სულელები ვართ, რომ ვიფიქროთ, რომ ადამიანი ჩაცმულობით ახდენს რაღაცის პროპაგანდას. ან სასულიერო პირებში არ არიან, ან არ იყვნენ მამათმავლები? ეს რა გულუბრყვილობაა? რას ნიშნავს ეს, საერთოდ? აქ გეიაღლუმზე ლაპარაკიც ზედმეტია. ვინ გამოვა ამ აღლუმზე? ქართული ტრადიცია ამასაც გულისხმობს, რომ ვინც ყველაზე მეტად ყვირის ვაჟკაცობაზე, შეიძლება, სწორედ მას ჰქონდეს დასამალი, ამ მხრივ, რაღაც და ეს არავის საქმე არ არის.

საერთოდ, ქრისტიანულ ჰუმანიზმთან და იდეალებთან 17 მაისს არანაირი შეხება არ ჰქონდა. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ფსევდოსასულიერო პირებს სათანადო რელიგიური განათლება არ აქვთ. ისინი სპეკულირებენ რელიგიური თემებით. ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს ამ თემებს, მან იცის, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ფსევდოსასულიერო პირები არ ურჩევენ მორწმუნეებს, რომ სახარება, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხთავი წაიკითხონ, რადგან ინტერპრეტაციის საშუალება მიეცეთ. მრევლს მოუწოდებენ, „თქვენ მზად არ ხართ, რომ სახარება წაიკითხოთო“. ნაწილი გაუნათლებელი მრევლისა, რომელსაც ჰგონია, რომ წვერიანი კაცის სახით ღმერთი ელაპარაკება, უჯერებს მას. ბოდიშს ვიხდი პათეტიკისთვის, წესით, ამაზე მე არ უნდა ვლაპარაკობდე. ამაზე სასულიერო პირები უნდა საუბრობდნენ აქტიურად. თუმცა სწორედ სახარება გვასწავლის იმას, რომ ვიყოთ შემწყნარებლები. მარიამ მაგდალინელის ჩაქოლვას რომ აპირებს ბრბო, ქრისტე მოუწოდებს, „ვინც უცოდველია, სწორედ მან ესროლოს პირველმაო“, სწორედ ქრისტე შერბის და არბევს მოვაჭრეთა დახლებს და ყრის რელიგიით მასპეკულირებელ ხალხს ტაძრიდან. მოციქული იოანეს გამოცხადების აპოკალიფსისის ტექსტში მეორედ მოსვლისას ქრისტე პასუხს ეკლესიებს სთხოვს. სახარებაში პირდაპირ გაფრთხილებს ქრისტე, რომ გეტყვიან, აქ არის ქრისტე და სინამდვილეში არ არის იქ. შეიძლება შენ უფლის სახელით გელაპარაკებოდნენ, მაგრამ რეალურად ანტიქრისტეს საქმით გელაპარაკებიან. მე უბრალოდ ვციტირებ ამას. ეს ჩემი სათქმელი არ არის. ეს არის პარადოქსი, რომ ჩვენ ზოგიერთ მღვდელს ვახსენებთ, რომ ქრისტიანები იყვნენ.

> „ან სასულიერო პირებში არ არიან, ან არ იყვნენ მამათმავლები? ეს რა გულუბრყვილობაა? რას ნიშნავს ეს, საერთოდ? აქ გეიაღლუმზე ლაპარაკიც ზედმეტია“

ერთ-ერთ ეთერში მაგალითიც კი მოვიყვანე დოსტოევსკის გენიალური რომანიდან „ძმები კარამაზოვებიდან“, სადაც უმაღლეს ქრისტიანულ ეპისკოპოსს ციხეში ჰყავს დატყვევებული ქრისტე, უკრძალავს მას ხალხთან შეხვედრას და ემუქრება, რომ კოცონზე დაწვავს, ვინაიდან ეუბნება, „შენ უკვე საკმარისად თქვი შენი სათქმელი, ახლა ჩვენ უნდა ველაპარაკოთ ხალხს“. ამას წერს დოსტოევსკი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობის არსის კვლევას დაუთმო. საერთოდ, არ მახსენდება დოსტოევსკიზე ღრმა და საინტერესო ანალიტიკოსი ქრისტიანობისა, რომ არაფერი ვთქვათ მის რწმენაზე. როგორც ის ახასიათებს დიდი ინკვიზიტორის იგავით ამ რეალობას, სწორედ ამ რეალობაში ვცხოვრობთ. ახალგაზრდას, რომელსაც მოძღვარი აქეზებს, რომ რაღაც ჩაამტვრიოს და ვიღაც სცემოს, ჰგონია, რომ სწორ და საღვთო საქმეს აკეთებს. ჰგონია, რომ ჯვაროსნულ ომშია. თუმცა მან არ იცის, რომ მანიპულირების მსხვერპლი და ზომბია, რომელიც რეალურად თუკი რაიმეს ვნებს, ეს არის სწორედ ქრისტიანობის არსი. ის უპირისპირდება რელიგიის მთავარ ღირებულებებს. ერთი ასპექტია თეოლოგიური, რომელზეც ახლა არ მინდა ვილაპარაკო. მეორეა სახელმწიფოს დამოკიდებულება. ვიმეორებ, თუ სახელმწიფომ რეაქცია არ მისცა აგრესორებს, როგორც სამოქალაქო პირებს, ასევე ფსევდოსასულიერო პირებს, ეს მომავალში უფრო სახიფათო მასშტაბებს მიიღებს.

**– თქვენ თავში ახსენეთ ეკლესიის „კაგებესთან“ კავშირი და ურთიერთობა. რამდენად რჩება ეს პრობლემა დღემდე?**

– ალბათ, რჩება. უამრავი ადამიანი, რომელიც თავის დროზე საბჭოთადროინდელ უშიშროების სამინისტროსთან თანამშრომლობდა, შეიძლება თვითონაც იყვნენ უშიშროების სამინისტროს მიერ ხელდასხმულები. ბუნებრივია, უმრავლესობა დღესაც აგრძელებს მუშაობას. რუსეთის ყოფილმა პატრიარქმა პირდაპირ თქვა: მე ვიყავი უშიშროების საბჭოს „კაგებეშნიკიო“ და ასე შემდეგ. იგივე ხალხია, სად წავიდოდნენ?

ვფიქრობ, რუსულ სპეცსამსახურებს გავლენა აქვს საქართველოს საპატრიარქოს საკმაოდ სერიოზულ ფრთაზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეკლესიაში არის ხალხი, ვინც მართლაც პატიოსანია და მათთვის მთავარი ღირებულება ჭეშმარიტი ქრისტიანობა და ჰუმანიზმია. თუმცა ეს თავისთავად ძალიან სერიოზული პრობლემაა, ვინაიდან დღეს დიდი გავლენა აქვს ეკლესიას და თუკი ეს „კაგებეშნიკები“ მართლაც აგრძელებენ იქ ყოფნას და ეჭვი მაქვს, რომ აგრძელებენ. აქედან გამომდინარე, ეს უკვე ჩემი აზრია, რასაც მიდასტურებს საბჭოთა კავშირის ისტორია და უშიშროების სამსახურის თანამშრომლები, რომ ყოფილი „კაგებეშნიკები“ არ არსებობენ, ისინი კვლავაც გააგრძელებენ ქართული საზოგადოებით მანიპულირებას. ეს რიტორიკა კიდევ ერთხელ მაეჭვებს, რომ ევროპა და ამერიკა ცუდია, რუსეთი კარგია და გარყვნილება და სიბიძნურე მოდის ამერიკიდან, ეს სხვა არაფერზე მაფიქრებს, თუ არა ამ თანამშრომლობაზე სპეცსამსახურებთან. რას ნიშნავს, ევროპა და ამერიკა ცუდია? ცუდია კანონიერება და წესრიგი? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ღირსეული და ნორმალური ცხოვრება ცუდია?

**– ლაშა, ცდილობენ, ჰომოსექსუალიზმი დასავლეთთან გააიგივონ. ერთ-ერთი არასამთავრობოს წარმომადგენელი ამბობდა, რომ ეს გლობალიზაციის ქვეყნების მიერ დაფინანსებული გარყვნილებაა. ხომ არ ხდება დასავლური ღირებულებების დევალვაცია?**

– რას ნიშნავს ეს? გლობალიზაციის შედეგია ინტერნეტი, ტელევიზია, ტანსაცმელი, განათლება და ასე შემდეგ. თავისთავად, გლობალიზაციას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, მათ შორის ევროპაში, აზიასა და ამერიკაში, ეს კიდევ ცალკე საკითხია. ეს ხალხი, რომელიც ასე ლაპარაკობს, უმეტესად გაუნათლებელია. მათ უფლება აქვთ, გლობალიზაციის ფორმების მიმართ კრიტიკულები იყვნენ, მაგრამ ის, რომ დასავლეთი გარყვნილებისა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისტია... ევროპიდან მოდის ჰუმანიზმის იდეა და რაზე ვლაპარაკობთ, საერთოდ? ძველი საბერძნეთი, ელინისტური ხანა, რენესანსი, მეცხრამეტე საუკუნე თუ მეოცე საუკუნეა არაჰუმანური? თუ რომელ ეპოქაზე ვლაპარაკობთ? კაცობრიობას თუ რაიმეთი შეუძლია იამაყოს, ეს არის დასავლური და ევროპული ფასეულობები. ესთეტიკა გნებავთ, ლიტერატურა, მუსიკა თუ რელიგიური თეოლოგია, რომლის ნაწილი ჩვენც ვართ. იქ არის კარგი და საინტერესო, სადაც ევროპულ ფასეულობებთან არის კავშირი, თორემ ღორის ქელეხი, მოქრთამვა, გართობა ჭკუის გადასვლამდე, ქეიფი ღრეობამდე და მერე ერთმანეთის ცემა ეს ვიცით, რომ ქართული ტრადიციებია. ეს არ არის ნამდვილი ევროპული.

**– იქიდან გამომდინარე, რომ, თქვენი თქმით, მათ ძალების დემონსტრირება მოახდინეს, 17 მაისის აქცია რამდენად იყო ამავე დროს პრორუსული ძალების გავლენების დემონსტრირების მცდელობაც?**

– ის რიტორიკა, რაც ამის თანმდევია, რომ დასავლეთიდან მოდის გარყვნილება და შესაბამისად, რუსეთიდან მოდის სიწმინდე, მაეჭვებს, რომ ეს ყველაფერი არ ხდება მთლად რუსული სპეცსამსახურების ან ყოველ შემთხვევაში რაღაცნაირი გავლენების გარეშე. ეს ამაზე მაფიქრებს. ბუნებრივია, კონკრეტულად ვერაფერს დავადასტურებ. მე ვლაპარაკობ ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც იწერება. ჩვენ ამ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. საბჭოთა კავშირი კი არც ისე დიდი ხნის წინ იყო, ამიტომ ეს ყველაფერი, ამ მხრივ, დაეჭვების საფუძველსაც გვაძლევს.


## „საბას“ ელექტრონული წიგნები – თქვენს iPhone-სა და iPad-ში




ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“, რომელიც განთავსებულია ინტერნეტმისამართზე: saba.com.ge, თიბისი ბანკმა გასულ წელს შექმნა. ყველას, ვისაც აინტერესებს და უყვარს ლიტერატურა, „საბა“ სთავაზობს 600-ზე მეტი წიგნის ელექტრონულ ვერსიას – ლიტერატურული პრემია „საბას“ სხვადასხვა წლების ნომინანტ და ლაურეატ წიგნებს, ასევე კლასიკურ ლიტერატურას და თანამედროვე ქართულ თუ უცხოურ ბესტსელერებს, ელექტრონული სახით.

saba.com.ge-ზე ელექტრონული წიგნების წაკითხვა შესაძლებელია ჩვეულებრივი კომპიუტერით, ლეპტოპით, iPhone-ით, iPad-ით და iPod Touch-ით. ასევე, წიგნების გარკვეული ნაწილის წაკითხვა Kindle, Sony Reader, NOOK წამკითხველებითაც შეგიძლიათ.

„საბას“ ელექტრონული წიგნების სახლი საშუალებას გაძლევთ, იკითხოთ წიგნები ინტერნეტის გარეშე! ამისთვის საჭიროა, დარეგისტრირდეთ მკითხველად saba.com.ge-ზე, შექმნათ თქვენი ელექტრონული ბიბლიოთეკა, ჩამოტვირთოთ App Store-დან უფასო აპლიკაცია Saba Reader, პირველი შესვლისას გამოიყენოთ saba.com.ge-ზე თქვენი ელ.ფოსტა/პაროლი და ამიერიდან თქვენი ელექტრონული ბიბლიოთეკა მუდმივად თან გექნებათ თქვენს iPhone-სა და iPad-თან ერთად.

Saba Reader აპლიკაცია სინქრონიზებულია saba.com.ge-ზე არსებულ თქვენს პირად ბიბლიოთეკასთან – თქვენ ერთხელ იძენთ წიგნს და ის თქვენთვის ყველა iOS მოწყობილობაშია ხელმისაწვდომი.

Saba Reader საშუალებას გაძლევთ, თავად აირჩიოთ თქვენთვის მოსახერხებელი შრიფტის ზომა, ტექსტის ფონი, ტექსტში მონიშნოთ საინტერესო ციტატები და დაურთოთ კომენტარები... აპლიკაცია პერიოდულად განახლდება და სულ უფრო მეტ მოსახერხებელ ფუნქციას შეიძენს!

დარეგისტრირდით saba.com.ge-ზე, შექმენით თქვენი ელექტრონული ბიბლიოთეკა და იკითხეთ ყველგან! Ⓐ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ეკლესია ხელისუფლ



## რას ნიშნავს მეუფე იაკობისა და ლევან ვასაძის ტანდემი

ქეთი ხატიაშვილი

**ამ აქციისთვის მეუფე იაკობი დიდი ხნით ადრე ემზადებოდა. ეკლესიამ მრევლშიც იმუშავა და სახლებშიც დარიგდა უფასო ბიულეტენები, სადაც ქრისტიანებს საპროტესტო აქციაზე იწვევდნენ. მეუფე იაკობის განმარტებით, ეკლესიამ 100 ათასი ადამიანი გამოიყვანა რუსთაველზე და მილიონიანი მიტინგიც დააანონსა. ასე რომ, 17 მაისის აქცია სპონტანური მოვლენა კი არ იყო, არამედ კარგად ორგანიზებული აქცია.**

**მეუფე იაკობმა საკუთარი ძალის დემონსტრირება მოახდინა, როგორც ეკლესიის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. და ახლა ვინც ჭკვიანად არ იქნება, მილიონიან მიტინგს მიიღებს.**

**ამ კარგად ორგანიზებულ აქციაზე დებიუტიც შედგა. ქართულ პოლიტიკას შესაძლოა, ახალი სუბიექტი შეემატოს. პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიები მის გამოჩენას მოუთმენლად ელიან. კახა კუკავას განმარტებით, ის ორივე ხელით მიესალმება ლევან ვასაძის პოლიტიკაში გამოჩენას. კახა კუკავა: „ლევანის პოლიტიკაში გამოჩენას ორივე ხელით მივესალმები“.**

### გამოჩენა

ასეთი ორიგინალური დებიუტი ქართულ პოლიტიკაში არ მახსოვს, ვინმეს ჰქონოდეს. ლევან ვასაძე ღიად საზოგადოებაში სწორედ მეუფე იაკობის მიერ ორგანიზებულ აგრესიულ აქციაზე გამოჩნდა.

ვასაძის მიტინგზე გამოჩენამ ბადრი პატარკაციშვილი გამახსენა. თავის დროზე ისიც პირველად სწორედ მიტინგზე გამოჩნდა. მაშინ ბევრი მისი თანამებრძოლი მიხვდა, რომ ეს უბრალო გამოჩენა კი არა, პოლიტიკური ინტერესების დემონსტრირება იყო. პირად საუბრებში ამბობენ, რომ მაშინ ყველა მისი თანამებრძოლისთვის გასაგები გახდა ერთი მარტივი რამ – ბადრი პატარკაციშვილი საპრეზიდენტო მარათონში ჩაერთვება. ცოტა ხანში მან მართლაც წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა.

ლევან ვასაძის დებიუტიც პოლიტიკაში სწორედ მიტინგზე შედგა. ბადრიმ სააკაშვილის რეჟიმი გააპროტესტა, მაგრამ რა გააპროტესტა ლევან ვასაძემ? საქმე მხოლოდ ოციოდე სამართალდამცველს ეხება, რომელსაც სექსუალური უმცირესობების უფლებები უნდა დაეფიქსირებინა მდუმარე აქციაზე? ეს ოცი სამართალდამცავი გახდა მეუფე იაკობისა და ლევან ვასაძის მოტივაცია? რა თქმა უნდა, არა და თავად აქციის მასშტაბმა და ფორმამ დაადასტურა რომ რუსთაველზე სულ სხვა მოძრაობა დაიწყო.

### დაწყება

მოძრაობის დასახელება ჯერ უცნობია, მოთხოვნები ნაცნობი: სამართლიანობის აღდგენა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა. ეს უკანასკნელი ჯერ მხოლოდ მოლოდინია და არა მოთხოვნა. „ქართული ოცნების“ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ეს მოთხოვნები დღის წესრიგში დგას და არ სრულდება. ამის შესახებ მუდმივად კეთდება განცხადებები.

სამართლიანობის აღდგენაზე თავისი პოზიცია ლევან ვასაძემ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში საჯაროდაც დააფიქსირა:

– ეს ფაქტები სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ჩვენმა სახელმწიფომ არჩევნებით მოშორებული რეპრესიული რეჟიმი გაასამართლოს, როგორც ეს ხდებოდა ჰიტლერის, პინოჩეტის, ვიოლას, გალტიერის, ბინიონეს და სხვათა შემთხვევაში. მით უმეტეს, რომ ამ რეჟიმის წარმომადგენლები აგრძელებენ თავიანთ დანაშაულებრივ მოღვაწეობას საქართველოს პარლამენტში იმით, რომ ყოველდღიურად ამკვიდრებენ ცინიზმის, სიცრუისა და დემაგოგიის აქამდე არნახულ სტანდარტებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიაში.

ვადამდელ არჩევნებსაც ითხოვენ იმ მოტივით, რომ ეს პარლამენტი არ ასახავს რეალობას. ეს პოზიცია „პრაიმტაიმთან“ საუბარში „უცნობმაც“ დააფიქსირა. გიორგი გაჩეჩილაძე:

– თუ შეიძლება, ვინმე დღეს შეეწინააღმდეგოს ვადამდელ არჩევნებს და არ მოუნდეს ნამდვილი საზოგადოებრივი განწყობების დაფიქსირება, ეს მხოლოდ ის ადამიანები და იურიდიული სუბიექტები შეიძლება იყვნენ, ვინც ფიქრობენ, რომ 5-პროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავენ. ამიტომ ამ პროცესს ეწინააღმდეგებიან. ვინც ამას ხელს არ მოაწერს და ვისაც ეს არ ენდომება, გამოდის, რომ ის საზოგადოების მოთხოვნას უარყოფს... რადგან საზოგადოებაში აბსოლუტურად სხვა განწყობებია და პარლამენტში აბსოლუტურად სხვა ხალხი ზის...

არასაპარლამენტო ოპოზიცია ბიძინა ივანიშვილის წასვლასაც წინასწარმეტყველებს. **კახა კუკავამ** რამდენიმე ხნის წინ თქვა: ბიძინა ივანიშვილი ტრანზიტული ფიგურაა და ის მემკვიდრეს კი არ დატოვებს, იგივე ირაკლი ღარიბაშვილის სახით, არამედ წავა და მის ადგილს სხვა დაიკავებსო. ამ „სხვის“ ვინაობა კუკავას არ დაუკონკრეტებია.



**ივანიშვილი ტრანზიტული ფიგურაა და ის მემკვიდრეს კი არ დატოვებს, იგივე ირაკლი ღარიბაშვილის სახით, არამედ წავა და მის ადგილს სხვა დაიკავებს**

### ვერსიები

თვითმხილველების თქმით, რესტორან „ბაგრატიონში“ რამდენიმე პირისა და ლევან ვასაძის შეხვედრა რამდენჯერმე გაიმართა, სადაც სწორედ მის პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებაზე მსჯელობდნენ.

ერთ-ერთი პარლამენტსგარეთ დარჩენილი პოლიტიკოსის განმარტებით კი, ივანიშვილსა და ვასაძეს შორის არსებობს გარიგება: ივანიშვილი უნდა წავიდეს და პრემიერად ლევან ვასაძე დაინიშნოს.

სწორედ ამ ფაქტს უკავშირებენ ახლა ლევან ვასაძის გამოჩენას. პირად საუბრებში ამბობენ, რომ ის გიორგი მარგველაშვილს სამართლიანობის აღდგენასა და ნაციონალების მოშორებაში დაეხმარება. ანუ გააძლიერებს მარგველაშვილს საპრეზიდენტო მარათონზე.

სხვების შეფასებით, ლევან ვასაძე თავის კანდიდატურას წამოაყენებს და ბიძინა ივანიშვილს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, თუკი პრემიერი „ჭკვიანად“ არ მოიქცევა. მიტინგზე ლევან ვასაძის გამოჩენა შესაძლოა, გაფრთხილება ყოფილიყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „პრაიმტაიმის“ შეკითხვაზე პრემიერმა განაცხადა: ლევან ვასაძე სიმპათიური ადამიანია, არ ვიცი, დააყენებს თუ არა თავის კანდიდატურას, მაგრამ გიორგი მარგველაშვილს კონკურენტი არ ჰყავს.

რა იგულისხმება ჭკვიანში. ლევან ვასაძის პრორუსულ ორიენტაციაზე ბევრი საუბრობს. ბიძინა ივანიშვილის მსგავსად, ისიც ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობები უნდა აღდგეს და ჩვენი პრიორიტეტი რუსეთია. თუმცა, ერთი პრინციპული სხვაობა მაინც არის. საქართველოს პრემიერი ნატოში შესვლის სურვილს მაინც აფიქსირებს და არც ნაციონალებს „ანადგურებს“, რის მოლოდინიც რუსეთში არსებობს. დაახლოებით ისევე, როგორც უკრაინაში იანუკოვიჩი მოექცა თავის პროდასავლურ ოპოზიციას.

**ლევან ვასაძე რუსეთზე:**

– ერთმორწმუნე რუსები, კულტურულადაც და ზნეობრივადაც, ჩვენი მტრები კი არა, მოკავშირეები არიან და ორივე ერის ძალიან დიდი შეცდომა და ამ ერების მტრული ძალების დიდი „ჩალიჩის“ შედეგია ჩვენი ასეთ დაპირისპირებამდე მისვლა...

**ეკლესია მილიონიან მიტინგს აანონსებს**

**ლევან ვასაძეს პრორუსულ პოლიტიკოსად მოიხსენიებენ ისინი, ვინც ამ ორბიტაზე გავლენებისთვის იბრძვიან. ვალერი ხაბურძანიას შეფასებით:**

– ჩვენ, რუსული ორიენტაციის ფიგურები, ადამიანები, რომლებიც ამ ვექტორზე არიან განწყობილნი, ლევან ვასაძის კანდიდატურას მივესალმებით.

ასე რომ, 17 მაისის აქციაზე ბიძინა ივანიშვილს კიდევ ერთხელ შეახსენეს საკუთარი „ვალდებულება“ – სამართლიანობის აღდგენა, რაც სინამდვილეში ნაციონალების დაპატიმრება და განადგურებაა. ამ პოზიციას საქართველოში პრორუსული ორიენტაციის ყველა ძალა აფიქსირებს. ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ნაციონალების ადგილი პოლიტიკაში არ უნდა იყოს.

როგორც ჩანს, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, შესაძლოა, სწორედ ლევან ვასაძე შემოსულიყო პოლიტიკაში, მაგრამ შარშანდელი პოლიტიკური მარათონი სწორედ ბიძინამ „ჩაიგდო ხელში“. ივანიშვილმა მოვლენებს დაასწრო? შესაძლოა, ამიტომაც, მაშინ ექსპერტებმა ვერაფრით ახსნეს, რატომ ჩაება ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებში ერთი წლით ადრე, როცა შეეძლო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე განეცხადებინა საკუთარი პოლიტიკური გეგმების შესახებ და ხელისუფლება კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში ჩაეგდო. სხვათა შორის, მაშინაც ბევრს საუბრობდნენ ლევან ვასაძის პოლიტიკურ ამბიციებზე. მაგრამ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა.

### ივანიშვილი მძევალი?

ასე რომ, LGBT-ები იყო მხოლოდ საბაბი და დასაწყისი. მათი აქციები ადრეც იმართებოდა, მაგრამ ასეთი მასშტაბური სახე პროტესტს არ მიუღია, შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება გარკვეულწილად ახერხებდა ეკლესიასთან საერთო ენის გამონახვას. დათმობებზეც მიდიოდა და კომპრომისებზეც. ახლა შეიძლება ბევრი ვიდაოთ იმაზე, რამდენად სწორი იყო სახელმწიფოს პოზიცია, როცა ბიუჯეტიდან ეკლესიას საკმაოდ სოლიდურ სახსრებს უყოფდა, ან როგორც ლაშა ბუღაძე შენიშნავს, მაღალი რანგის სამღვდელო პირებს ჯიპებს ჩუქნიდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის წითელი ხაზები არამხოლოდ გავლებული, დაცულიც იყო. თუ სააკაშვილის ხელისუფლება რეალურად აფასებდა ეკლესიის როლსა და გავლენას, ეკლესიასაც უწევდა სახელმწიფოს ძლიერების აღიარება. რამდენჯერაც მათ წითელი ხაზები გადაკვეთეს, იმდენჯერ ძალების დემონსტრირებაც მოხდა როგორც ეკლესიის, ისე ხელისუფლების მხრიდან.

**17 მაისის აქციაზე კი რამდენიმე სამღვდელო პირის მხრიდან პოლიციის კორდონის გარღვევა სწორედ დაწესებული წითელი ხაზების წაშლას ნიშნავდა. „ჭკვიანად იყავით“ – ეს სიტყვები ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა, პირველ რიგში, სწორედ პრემიერის მისამართით გააკეთა:**

– გავიხსენოთ, რა ხდებოდა 26 მაისსა და 7 ნოემბერს. დღეს გამოდიან ვაჟბატონები და ჩვენზე ლაპარაკობენ. ცოტა ჭკვიანად იყვნენ და იმ ხალხში არ შევეშალოთ, ვინც პასუხს არ მოსთხოვს. მათი პარპაშის დრო უნდა დამთავრდეს. ვერანაირი უცხოეთი ვერ გვაიძულებს, მათ დავემონოთ. რას უშვრებოდნენ ერს?! ციხეებში აუპატიურებდნენ და ვისზე ამბობენ დღეს, რომ მოძალადეები ვართ?! ხალხს ბიზნესებს ართმევდნენ, კანონს ყოველდღე ცვლიდნენ. ცოტა ვაჟკაცურად დახვედრა თუ უნდათ, დავხვდებით, არავის ვემუქრებით, ერთხელაც იქნება, ერი არ აპატიებს. ჩვენ იმ რეჟიმში ვართ, რომ ითხოვონ პატიება, თავიანთ შეცდომებს მიხვდნენ. ძნელია პატიება, მაგრამ შევეცდებით, ვაპატიოთ...

თუ ხელისუფლება არაფერს გააკეთებს, მაშინ ის მძევლის როლში აღმოჩნდება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ების წინააღმდეგ?



**სწორედ ამ ფაქტს უკავშირებენ ახლა ლევან ვასაძის გამოჩენას. პირად საუბრებში ამბობენ, რომ ის გიორგი მარგველაშვილს სამართლიანობის აღდგენასა და ნაციონალების მოშორებაში დაეხმარება. ანუ გააძლიერებს მარგველაშვილს საპრეზიდენტო მარათონზე**

## რუსეთთან კომპრომისი

პოლიტიკოსები თანხმდებიან, რომ რეალურად ეკლესიამ, უბრალოდ, ივანიშვილი დააშანტაჟა. ანუ, თუ სამართლიანობას არ აღადგენს და ვადამდელ არჩევნებს არ დანიშნავს, მაშინ ეკლესია მილიონიან მიტინგს მოუწყობს. ეს კი უკვე საკმარისია იმისთვის, რომ ხელისუფლება შეიცვალოს.

შესაძლოა, რადიკალური განწყობები გაითვალისწინა ბიძინა ივანიშვილმა, როცა საპრეზიდენტო მარათონზე გიორგი მარგველიშვილი აიყვანა, NDI-ს კვლევას კი სრული იგნორირება გაუკეთა. ასე მოხვდა კოალიცია „ქართული ოცნების" ფავორიტი საარჩევნო მარათონზე პრორუსული ორიენტაციის მარგველაშვილი და არა პროდასავლელი ირაკლი ალასანია.

საპრეზიდენტო მარათონზე ბიძინა ივანიშვილმა გიორგი მარგველაშვილი აიყვანა.

– გიორგი მარგველაშვილს აქვს ყველა ის თვისება, რომელიც კარგ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს. ის არის იდეალური ვარიანტი. მე ბედნიერი ვარ, რომ ისეთ ადამიანს ვიცნობ, როგორიც გიორგია, – თქვა მაშინ პრემიერმა.

სანამ ეს იდეალური ვარიანტი გამოჩნდებოდა, facebook-ზე ლევან ვასაძემ სწორედ გიორგი მარგველაშვილის მხარდასაჭერი კამპანია ააგორა: ის ჩემი მეგობარია და სწორედ მას ვგულშემატკივრობო, მოგვიანებით სოციალურ ქსელებში მათი ერთობლივი ფოტოებიც გაჩნდა.

მისი დასახელებით ივანიშვილმა შესაძლოა, პრორუსულ ძალებს გაუწია ანგარიში. პროდასავლელ ირაკლი ალასანიაზე უარის თქმით, პრემიერი შესაძლოა, სწორედ რუსეთთან წავიდა კომპრომისზე.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო პრეზიდენტობის კანდიდატის ისტორია, ლევან ვასაძის ფრაზა, რომელიც მან „კვირის პალიტრასთან" ინტერვიუში თქვა: „დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ცხოვრება გაიფუჭა პოლიტიკაში წასვლით", – 17 თებერვლის აქციის შემდეგ სხვანაირად ჟღერს. განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ აქციის ერთ-ერთ მხარდამჭერად თავადაც მოგვევლინა.

## ციფრები პოლიტიკაში

მეუფე იაკობმა შემთხვევით არ თქვა, რომ რუსთაველზე 100 ათასი ადამიანი შეიკრიბა და არც ლევან ვასაძემ მოიყვანა 100 ათასი მოწამის მაგალითი შემთხვევით.

**ლევან ვასაძე:**

– ქალაქის მკვიდრნი, სადაც 100 000-მა მოწამემ თავი გაწირა სარწმუნოების დაცვისთვის და ამ წმინდა ქალაქში გარყვნილების აღლუმი არის პირდაპირი შეურაცხყოფა ჩვენი ეროვნების, ჩვენი ტრადიციებისა და ჩვენი გრძნობების. ერმა გამოხატა თავისი ნება, სამართალდამცველებმა რაც შეეძლოთ გააკეთეს წესრიგის დასაცავად. მადლობა ღმერთს, რომ მსხვერპლი არ ყოფილა და ყველამ დაინახა, რომ თბილისი არ არის ამსტერდამის წითელი შუქების კვარტალი.

**მეუფე იაკობი:**

– დღეს ვინც იყო გამოსული, შინაგანად ყველამ გადალახა ის, რასაც სიკვდილის შიში ჰქვია. დღეს ყველა იყო გმირი... ხალხი თავისით გამოვიდა. ასი ათასი ადამიანი იყო, საჭირო რომ იყოს, მეტიც გამოვიდოდა...

100 ათასი – ეს სწორედ ის „ჯადოსნური" ციფრია, რომელიც ქართულ პოლიტიკაში საკმარის რაოდენობად ითვლება იმისთვის, რომ პოლიტიკურ პროცესში მხოლოდ კი არ ჩაერიოს, არამედ შეცვალოს და მართოს კიდეც ის. ამ კონტექსტში ზოგი ლევან ვასაძის გაპრეზიდენტებას ვარაუდობს და ზოგიც ფიქრობს, რომ ის ახალ პოლიტიკურ ძალას ჩამოაყალიბებს და პროცესებში უკვე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩაერევა.

სინამდვილეში ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ამნისტიით ეგრეთწოდებული პოლიტპატიმრები გარეთ გამოუშვეს. შს მინისტრი და ნაციონალები წინააღმდეგები იყვნენ, დავით უსუფაშვილმა კი იმ დღეს, როცა „კანონიერი ქურდებისა" და პედოფილების გარეთ გამოშვებას ხელი მოაწერა, ისტორიული დღე უწოდა. ამ ისტორიულმა დღემ ჯერ საჯარო ბიბლიოთეკის წინ დარბევა მოაწყო და შემდეგ ის, რაც პარასკევს LGBT-ების წინააღმდეგ მოხდა. სხვათა შორის, ამ ისტორიულ დღეს ბევრი გამოვიდა ციხიდან, ვინც „რესპუბლიკური პარტიის" წინააღმდეგ ბინძურ კამპანიაშიც კი ჩაერო. შესაძლოა, პარლამენტის თავმჯდომარე, უბრალოდ, იძულებული გახდა, კაკაბაძე-ბესელიას ამნისტიაზე ხელი მოეწერა, მაგრამ შეფასებაში მაინც უნდა დაეცვა ზომიერება.

# „ჩვენ, რუსული ორიენტაციის ფიგურები, ლევან ვასაძის კანდიდატურას მივესალმებით"

## მთავარი მესიჯი

17 მაისი დასაწყისია. ვის დაუპირისპირდნენ ლევან ვასაძე და მეუფე იაკობი? ბიძინა ივანიშვილს? მხოლოდ იმიტომ რომ სამი მოთხოვნა – სამართლიანობის აღდგენა, ვადამდელი არჩევნები და პოლიტიკიდან წასვლის მზაობა – არ შეასრულა? თუ ეს მხოლოდ ნაციონალების წინააღმდეგ მიმართული აქცია იყო? თუ მათ ახალი პოლიტიკური მოძრაობის დაწყება აუწყეს საზოგადოებას ამ სამი მოთხოვნით? წამყვანი, რა თქმა უნდა, სამართლიანობის აღდგენაა და ეს მესიჯი ნანა კაკაბაძისა და პოლიტპატიმრების შეკრებაზე კიდევ ერთხელ გაიჟღერებს, რომელსაც „უცნობიც" დაესწრება.

როგორც ჩანს, 16 მაისი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ facebook-ის თავის კედელზე ამ პროცესს თემურ ბასილიაც კი გამოეხმაურა. შევარდნაძის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში წერს:

– ჩემი აზრით, 17 მაისი ახალი პოლიტიკური პროცესის დასაწყისია. გუშინდელმა მოვლენებმა აჩვენა, რომ სააკაშვილის რეჟიმის 9-წლიანი მმართველობის შედეგად საზოგადოებაში დაგროვებული უარყოფითი მუხტი არა თუ განელდა, არამედ კიდევ უფრო გამძაფრდა, რაშიც საკმაო წვლილი მიუძღვის ახალი მთავრობის უსუსურ და უხერხემლო პოლიტიკას... როგორც ჩანს, ახალ მთავრობას არა აქვს არც შინაგანი რესურსი და არც პოლიტიკური ნება, რომ სერიოზული კორექტივები შეიტანონ თავიანთ საქმიანობაში... მომდევნო თვეების განმავლობაში მოვლენებიც, ალბათ, ისე წარიმართება, რომ „ქართულ ოცნებას" გაუჭირდება საპრეზიდენტო არჩევნების მოგება... ნაციონალები დაბრუნდებიან? არა, ბატონებო, ისინი უკვე ჩარეცხილები არიან...

ბასილიას კომენტარით თუ ვიმსჯელებთ, ახალი მოძრაობა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს დაუპირისპირდება, ანუ როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. ეკლესია ამ მოძრაობაში ჩაერთვება? შექმნის პარტიას ლევან ვასაძე ეკლესიის მხარდაჭერით? მას დიდი გავლენები აქვს. ამბობენ, რომ ვასაძე და მეუფე იაკობი მეგობრებიც არიან, თუმცა, ეკლესიაში ერთგვაროვანი განწყობა არ არის.

## პოზიციები

მახათას მთის მთაწმინდელი მამების სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურმა დეკანოზმა იაკობ მახნიაშვილმა facebook-ზე დაწერა: „დღეს ვნახეთ ძალადობა, არანაირი სიყვარული, არანაირი თანაგრძნობა, მხოლოდ ძალადობა. უახლოეს წარსულში ბევრი მიტინგი და გამოსვლა გვახსოვს. მაგრამ ის ზიზღი, რაც დღეს ვნახე, ადამიანების თვალებში არასდროს მინახავს. დღეს ჩემთვის ცხადი გახდა, რა მასშტაბებს იძენს აგრესია, თუკი ის რელიგიურობით არის მოტივირებული. ამიტომაც იყო, რომ ყველაზე სასტიკი ომები, რაც კი კაცობრიობას უნახავს, სწორედ რელიგიური ომებია. ძალადობის დროს ყველა ადამიანს აქვს შიში, – ვაითუ, ღმერთმა მიწყინოს, ვაითუ, დავისაჯო, მაგრამ, როცა იცი, რომ მწვანე გაქვს ანთებული ეკლესიისგან, იერარქებისგან და ფიქრობ, რომ თვით ღმერთისგანაც კი, მაშინ, განსაკუთრებით სასტიკი ხდები".

**ჟურნალ „ლიბერალთან" საუბარში კი დეკანოზმა იაკობ მახნიაშვილმა შენიშნა:**

– ის ხალხი, ვინც დღეს ვიხილეთ, გაურკვეველ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მყოფი რელიგიური ფუნდამენტლიზმით მოწამლული ადამიანები იყვნენ. ქრისტიანობა კი მხოლოდ რელიგია არ არის, ის რელიგიაზე მეტია, რადგან ქრისტიანობა მჟღავნდება ადამიანის სიყვარულში, როგორიც არ უნდა იყოს ეს ადამიანი. ქრისტიანობის მიხედვით, ადამიანის გადარჩენა მხოლოდ სიყვარულით შეიძლება. როცა იესო ქრისტე განკაცდა, მაშინ რომის იმპერია მსოფლიო ბატონი იყო. ცოდვები – მრუშობა, მამათმავლობა, გარყვნილება მთელ რომის საზოგადოებაში იყო მოდებული. მაცხოვარმა კი არ მოიძულა ეს საზოგადოება, პირიქით, სწორედ იმ დროს განკაცდა. და სწორედ ეს ხალხი, ვინც ადრე გარყვნილი იყო, რამდენიმე წელიწადში ქრისტესთვის სწირავდა თავს. რა მოხდა? რა გარდატეხა მოხდა მათში? რამ შეცვალა ისინი? – მხოლოდ სიყვარულმა და თანადგომამ.

ამ დღეს შარშანაც მოხდა დაპირისპირება. მაგრამ მაშინ ეს ყველაფერი სასულიერო პირების ერთ ჯგუფს დაჰბრალდა, რომელიც ასე ფიქრობს და ჰგონია, რომ სიმართლეს იცავს. დღეს უკვე მთლიანად ეკლესიაა ჩაბმული.

ეკლესიას დიდი ავტორიტეტი აქვს, ეს ყველა გამოკითხვით დასტურდება. სასულიერო პირები დიდი პატივისცემით ვსარგებლობთ ხალხში, თუნდაც, ადამიანი მორწმუნე არ იყოს, თუნდაც, უმცირესობის წარმომადგენელი იყოს, მაინც პატივისცემას იჩენენ ჩვენ მიმართ. დღეს პირველად ვნახე, როგორი ცივი თვალებით შემომხედეს ადამიანებმა, იმის გამო, რომ სამღვდელო შესამოსელი მეცვა. გუშინ ქუჩაში მოვდიოდი და გავიგონე, ვიღაცამ თქვა: „ხვალ ესენი იმათ გადაუვლიანო", – ანუ სასულიერო პირები დღეს ძალადობის მოთავეებთან ვასოცირდებით.

ანუ, ერთი მხრივ, არსებობს მამა იაკობის პოზიცია და მეორე მხრივ, დეკანოზ იაკობის. ეკლესიაში არსებულ დაპირისპირებასა და პრობლემებზე დიდი ხანია საუბარი მიდის. ამ დღეებში facebook-ზე მამა ლევანის ქადაგება გავრცელდა, რომელიც 17 მაისის შემდეგ არ ჩაწერილა, მაგრამ ძალიან ზუსტად გამოხატავს ეკლესიაში შექმნილ სურათს.

**მამა ლევანი:**

– მე ყურადღებას გავამახვილებ დღევანდელ ქრისტიანებზე, რომლებსაც რაღაც წარმოდგენები აქვთ საკუთარ თავზე, საკუთარ მდგომარეობაზე, სულიერებაზე და „იცავენ" ქრისტიანობას სხვა ვიღაცებისგან. მინდა აღვნიშნო, რომ მართლმადიდებლობას დაცვა არ სჭირდება. საჭიროა მართლმადიდებლურად ცხოვრება. საჭიროა ჭეშმარიტების აღსარება. ჭეშმარიტება თავად იესო ქრისტეა და არა მისი დაცვა. თქვენ შეგიძლიათ, დაიცვათ ღმერთი? რა დიდი წარმოდგენაა საკუთარ თავზე?! თქვენ წარმოიდგინეთ, არიან ასეთი ადამიანები, ვინც საკუთარ თავს ქრისტიანებს უწოდებენ და იცავენ ქრისტიანობას. მაგალითად, ახლო წარსულში იყო ბასილ მკალავიშვილი. გახსოვთ, როგორ ურტყამდა ჯვრებს თავში იეღოვას მოწმეებს? ის იცავდა ქრისტიანობას. არიან დღეს ადამიანები, რომლებსაც რაღაც აზრი აქვთ აკვიატებული და ჰგონიათ, რომ ეს არის ქრისტიანობის დაცვა, მათ შორის ქრისტიანებისგან. ჰგონიათ, რომ მარტო ისინი არიან ერთგულნი ქრისტეს მცნებისა და წარმოიდგინეთ, რა იქნება. მათ, პირველ რიგში, არ გააჩნიათ სიყვარული, როცა ქრისტიანობაში მთავარი სიყვარულია, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ისინი არიან რჩეულები. აქ ლაპარაკია ეკლესიის შიგნით მდგომარეობაზე და არა ვიღაც სექტებზე. ისინი ყოფენ ეკლესიას ჩვენიანებად და სხვისიანებად, ერთ ქრისტეს ეკლესიის სხეულს ყოფენ ჩვენიანებად და სხვისიანებად. ეს უკვე უდიდესი უსიყვარულობის გამოვლინებაა. მაშინ სად არის ქრისტიანული ეკლესია თუ იქ სიყვარული არ არის? სად არის მცნება „იყვარებდეთ ურთიერთას"? უკვე აღარ არის. სამაგიეროდ ბოლო ფრაზა, რაზეც ლაპარაკია დღევანდელ სახარებაში, ზუსტად ესადაგება ამ ადამიანებს. თქვენ ყურად უნდა იღოთ ეს მდგომარეობა და არ აღმოჩნდეთ ამგვარი გარემოცვის გარშემო, რადგან ეს სიტყვები ეხებათ ამ ადამიანებს, ამგვარად მოაზროვნე ადამიანებს, რომლებშიც არანაირი ქრისტიანობის ნატამალი აღარ არის. სადაც სიყვარული არ არსებობს, იქ ქრისტე აღარ არსებობს. იქ წმინდა გიორგი მითოლოგიაა მხოლოდ. ეს ადამიანები მზად არიან, კბილებით, იარაღით, თოფით თუ ხელკეტებით დაიცვან მართლმადიდებლობა და თავ-პირი დაუმტვრიონ სხვას ამის გამო. რა სიგიჟეა ეს? იესო ქრისტე მოწაფეებს ეუბნება, ვინც თქვენ გდევნით და გტანჯავთ, მათ ჰგონიათ, ღმერთს მსხვერპლს სწირავენ და ღმერთისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებენო. ამ ადამიანებსაც ასე ჰგონიათ, რომ ისინი საღვთო საქმეს აკეთებენ. ამ დროს ისინი ანგრევენ ეკლესიას. იმიტომ ანგრევენ, რომ, ალბათ, დასანგრევია. ვისაც ჰგონია, რომ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან ეკლესიას, ეს ასეა და ასე იქნება მეორედ მოსვლამდე, მაგრამ იქ არსად არ წერია, რომ მაინცდამაინც საქართველოში ვერ მოერევაო. იქ ლაპარაკია, რომ დედამიწაზე ყოველთვის იქნება ჭეშმარიტი ეკლესია, მაგრამ საქართველოში იქნებაო, ეს არსად არ წერია. მით უმეტეს, იერარქიითა და მოწყობით. ეს ხალხია ის, ვინც ამ ყველაფერს აკეთებს უსიყვარულობით და ანგრევს ამ ეკლესიას. დანგრევა იცით, რა არის? ახალგაზრდა ადამიანებს, ამათ „რწმენას", ამათ „სიყვარულს" რომ შეხედავენ, აღარ მოუნდებათ მერე ქრისტიანობა. როცა დაცარიელდება ეკლესია, დანგრეულია უკვე ეკლესია მიწაზე, აბა, რა არის? როდესაც ტაძარში ერთი-ორი ადამიანის გარდა, აღარავინ მოვა. ეს იქნება ეკლესია დედამიწაზე მეორედ მოსვლამდე? მე კიდევ გეუბნებით, ეს ტენდენციები დაწყებულია. ამ ადამიანების გამოისობით, ვინც ეკლესიას შიგნიდან ანგრევენ თავიანთი „მოშურნეობით", უსიყვარულობითა და „ჭეშმარიტების დაცვით". ჭეშმარიტებას დაცვა არ სჭირდება. ჭეშმარიტებას შედგომა სჭირდება. დღეს ახალგაზრდებს ეკლესია უკვე აღარ სჭირდებათ, რადგან მათ თვალში ეკლესია აკრძალვების ბიუროდ არის გადაქცეული. მე კიდევ ვამბობ, ეკლესია არის სიყვარულის ორგანიზაცია და არაფერი ეკლესიაში აკრძალული არ არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## კახა კოჟორაძე: „მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს და შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს“



**my View**
ხათუნა მგალობლიშვილი

**არასამთავრობოები მთელ პასუხისმგებლობას შინაგან საქმეთა სამინისტროს აკისრებენ. მიუხედავად იმისა, რომ აქციის ორგანიზატორებიდან დაზარალებული არ არის, დაზარალდნენ მედიის წარმომადგენლები და პოლიციის წევრები. საია აცხადებს, რომ ამის თავიდან აცილება მეტი სამართალდამცველის მობილიზებით შეიძლებოდა.**

**კახა კოჟორაძის განმარტებით, პოლიცია ხშირ შემთხვევაში ირონიულად ექცეოდა LGBT მოქალაქეებს და არანაირად არ ცდილობდა, ისინი აგრესიისგან დაეცვა. „ახალგაზრდა იურისტები“ აცხადებენ, რომ არსებობს პოლიციის გულგრილობის ამსახველი ვიდეოფაქტებიც.**

**კახა კოჟორაძე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი:**

– 17 მაისის აქცია დაგეგმილი იყო ძალადობის წინააღმდეგ და შედეგად მიიღეს ძალადობა, რაც ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან ცუდია დემოკრატიული განვითარებისთვის. ეს ეწინააღმდეგება ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნების წესს. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ის, რომ აგრესიას ადგილი არ ჰქონოდა. პოლიციამ ვერ გაატარა სათანადო ზომები, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღით ადრე უკვე ცნობილი იყო, რაც იგეგმებოდა. ფაქტია, რომ ადამიანთა ჯგუფმა ვერ ჩაატარა შეკრება, რომლის შესახებაც განცხადება მათ რამდენიმე კვირით ადრე ჰქონდათ შეტანილი. აქციის ორგანიზატორებს არ მიეცათ საკუთარი კონსტიტუციური უფლებების რეალიზების საშუალება. პოლიციამ სათანადო ძალისხმევა არ გამოიჩინა იმისთვის, რომ აღეკვეთა კონტრდემონსტრანტების ქმედება, როდესაც მათ ჯებირები გაარღვიეს. არ ვიცი, ეს რის ბრალი იყო – არასაკმარისი სამართალდამცველების თუ კიდევ სხვა პრობლემის. თითოეულ სამართალდამცველს უნდა ჰქონოდა ნათელი მითითება, როგორ უნდა ემოქმედა. ჩვენ გვაქვს ფაქტები, როგორ ვერ ახერხებდნენ მოქმედებას პოლიციელები, როცა აგრესია ხორციელდებოდა. მიმაჩნია, რომ მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ამ შემთხვევაში სახელმწიფოს და შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს.

**– რა შემთხვევაში აქვს უფლება პოლიციას, გამოიყენოს ან წყლის ჭავლი, ან თუნდაც ცრემლსადენი იარაღი?**

– როდესაც მასობრივ უკანონობას აქვს ადგილი და სხვა მეთოდებით სიტუაციის განმუხტვა ვერ ხერხდება და არსებობს უკიდურესი აუცილებლობა, მაშინ სამართალდამცველებს აქვთ საშუალება, გამოიყენონ წყლის ჭავლი, ან ცრემლსადენი ტყვიები. მე არ ვამბობ, რომ 17 მაისს ეს უნდა გაკეთებინათ. მე ვამბობ, რომ შეიძლებოდა სხვა მეთოდებით მოქმედება.

**– რა მეთოდებით?**

– ერთ-ერთი მეთოდი იყო ის, რომ სათანადო რაოდენობა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სამართალდამცველების სახით. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ბევრი იყო, ხალხის სიმრავლის გამო კიდევ უფრო ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ. მით უფრო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამის საშუალება აქვს.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ სამართალდამცველების რაოდენობა მიზანშეწონილი არ იყო წარმოდგენილი?**

– არ ვიცი, მაგრამ ვიცი ის, რომ მათ ვერ გადადგეს ეფექტური ნაბიჯები ამ პრობლემების შესაფასებლად. ცნობილი იყო, რომ დაპირისპირება მოხდებოდა. განცხადებები რამდენიმე დღით ადრე კეთდებოდა. მარტივად შეიძლებოდა გათვლა და მიხვედრა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ასევე, მარტივად უნდა მიხვედრილიყვნენ, რომ საზოგადოების მხრიდანაც დიდი რაოდენობა იქნებოდა წარმოდგენილი. მინდა, ისიც ვთქვა, რომ პოლიციის ნაწილი აგრესიის შესაკავებლად არაფერს აკეთებდა. უფრო მეტიც, მათს გამონათქვამებსა და ქცევებში უფრო ირონია და აგრესია იგრძნობოდა ამ ადამიანების მიმართ...

**– თქვით, რომ საპატრიარქოს მოწოდებამ დიდი როლი ითამაშა...**

– საპატრიარქოს განცხადებას, ცხადია, ჰქონდა მნიშვნელობა. ეკლესიას აქვს მაღალი ავტორიტეტი და ეკლესიის სახელით გავრცელებული განცხადება ადამიანების დიდი ნაწილისთვის არის სამოქმედო პრინციპი. ამიტომ ცხადია, ეკლესიას შეიძლება ჰქონდეს მოსაზრება, რომ გარკვეული მოქმედება არასწორია, მაგრამ როცა მსგავსი განცხადება კეთდება, აქცენტი უნდა გაკეთდეს სიმშვიდის მოწოდებისკენ. ხაზგასმა უნდა ყოფილიყო სიძულვილის წინააღმდეგობაზე და არა გაუქმებაზე.

**– ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა სამართალდამცველებზე მოდის?**

– მთავარია, როგორ მოქმედებენ სამართალდამცველები მსგავს სიტუაციაში. კანონი სწორედ მათ აკისრებთ ვალდებულებას.

# „ნებისმიერი ხელისუფლება




## „საპრეზიდენტო არჩევნებში ლევან ვასაძისა და გიორგი მარგველაშვილის დაპირისპირება გამორიცხული არ არის“

# EXCLUSIVE

**my View**
ხათუნა მგალობლიშვილი

**უმცირესობის შეკრება რუსეთში კანონით არის აკრძალული. საქართველოშიც არიან მსგავსი აკრძალვების მომხრეები. მეტიც, ზოგიერთი ქართველი საქართველოს კონსტიტუციას ემიჯნება და აცხადებს, რომ ვინც LGBT მოქალაქეებს კონსტიტუციით მიანიჭებს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ისიც „მათნაირია“... მათნაირი, ანუ არაქართული მენტალიტეტის. ქართული მენტალიტეტი თურმე ბევრისთვის ძალადობა და ქვების დაშენაა... აგრესიის დამგმობი ადამიანები კი რატომღაც ავტომატურად ისევ „მათნაირთა“ დამცველებად ინათლებიან. არადა, არიან ადამიანები, რომლებიც 17 მაისს არც ერთ მხარეს არ იდგნენ. არც LGBT წევრებში და არც მათ მოწინააღმდეგეებში. საზოგადოების უმრავლესობამ სწორედ აგრესია დაგმო. სამწუხაროდ, ბევრი არ ფიქრობს ასე. უცხოეთში მცხოვრები პოლიტდევნილი – ლევან პირველი მოწინააღმდეგეთა რიგებშია. მისი განცხადებით, აუცილებლად მივიდოდა რუსთაველზე, საქართველოში რომ ყოფილიყო, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებდა აღნიშნულ სიტუაციას პოლიტიკური ნიშნით ან პოლიტიკური ქულების დასაწერად...**

**ლევან პირველი, პოლიტდევნილი:**

– რა თქმა უნდა, მე მათ მხარეს ვიყავი, ვინც ჰომოსექსუალისტების მოწინააღმდეგე მხარეს იდგნენ. მე მართლმადიდებელი ვარ და ბუნებრივია, ვემხრობი საპატრიარქოს განცხადებას. რასაც პატრიარქი იტყვის, ისე მოვიქცევი მთელი ჩემი ცხოვრება.

**– შედეგი საკმაოდ მძიმე იყო...**

– როგორც არ უნდა დასრულებულიყო აქცია, მთავარი მაინც ერთი რამ იყო: ყველა მართლმადიდებელი, ვინც გულით ქრისტიანი და ქართველია, მოუსმენს მხოლოდ პატრიარქსა და სინოდს. სხვა ალტერნატივა არც იყო. პირველ რიგში, მე ვარ იქ, სადაც არის ქართული ნაცია და მართლმადიდებლობა. ვინც იყო ჰომოსექსუალისტების წინააღმდეგ, მათ გვერდზე ვარ მეც.

**– თქვენ ამბობთ, რომ მათი დარბევა უნდა მომხდარიყო?**

– კი, უნდა დაერბიათ. მაგრამ უნდა ვთქვათ, ვინ უნდა დაერბიათ?

**– „ელჯიბითი“ მოქალაქეები...**

– არ მინდა ეს ტერმინები, დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი.

**– უმცირესობა...**

– უმცირესობა არ ჰქვიათ მათ. მასე მეც უმცირესობაში ვარ, პოლიტდევნილი ვარ. არ მიშვებენ საქართველოში, მაგრამ რომელ უმცირესობაზე საუბრობთ?

**– ჰომოსექსუალისტებზე...**

– ჰომოსექსუალისტები არიან საქართველოში?

**– მთელ მსოფლიოში არიან...**

– მთელ მსოფლიოში არიან, მაგრამ საქართველოში არ იყვნენ. მე როცა ვიყავი საქართველოში, მაშინ არ იყვნენ და ახლა გაამრავლეს? ეს წინა რეჟიმის დანაშაულია, არ უნდა იყვნენ.

**– აქციაზე გამოჩნდა ლევან ვასაძე, მან დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და მხარი დაუჭირა საპა-**

## „კი, უნდა დაერბიათ“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ნააგებს, თუ ის საპატრიარქოს დაუპირისპირდება“



# ლევან პირველი: „საქართველოს დღევანდელ კონსტიტუციას პატივს არ ვცემ“

**ტრიარქოს მოთხოვნას. შეიძლება, მისი გამოჩენა პოლიტიკაში მოსვლად მივიჩნიოთ?**

– ძნელია, მხოლოდ ამ ფაქტით პოლიტიკაში შემოსვლაზე საუბარი, მაგრამ, თუ მივიდა და საკუთარი პოზიცია დააფიქსირა, ამას მხოლოდ მივესალმები.

**– შესაძლებელია, რომ მან საკუთარი თავი საპრეზიდენტო კანდიდატად დააყენოს?**

– არ ვიცი, მე მკითხაობას ვერ დავიწყებ. არ ვიცნობ მაგ პიროვნებას, არც მისი პოტენციალი ვიცი კარგად.

**– ცნობილია, რომ ლევან ვასაძე გიორგი მარგველაშვილის მეგობარია, რამდენად მოსალოდნელია, მეგობრები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს საპრეზიდენტო არჩევნებში?**

– ჩემთვის ცნობილი არ არის ვასაძისა და მარგველაშვილის მეგობრობის შესახებ. საქართველო ისეთი ადგილია, შესაძლებელია, მათი დაპირისპირებაც მოხდეს. მთავარია, რომ ეს დაპირისპირება არ იყოს ქართული გაგებისა და წესების საწინააღმდეგო. დანარჩენი ყველაფერი მოსალოდნელია.

**– ფიქრობთ, რომ შესაძლოა, ლევან ვასაძეს ეკლესიამ დაუჭიროს მხარი, თუ ის საპრეზიდენტო კანდიდატი გახდება?**

– არ ვიცი, ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. შიდა, დახურული თამაშების გაშიფვრა ძნელია. თუმცა მოულოდნელი საქართველოში არაფერია. თუ ვასაძე დააყენებს კანდიდატად საკუთარ თავს, იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც დღეს არის საქართველოში, ვფიქრობ, „ოცნების“ კანდიდატი გაიმარჯვებს. ვფიქრობ, სიტუაცია 2015 წლის გაზაფხულზე შეიცვლება.

**– თუნდაც ოპონენტი ლევან ვასაძე იყოს?**

– დღევანდელ დღეს აუცილებლად გაიმარჯვებს „ოცნება“. მე არ ვამბობ, რომ იგივე სიტუაცია იქნება 2015 წელს.

**– რა მოხდება 2015 წელს?**

– გარკვეული პერიოდი არჩევნები აღარ გაიმართება, ამ დროის განმავლობაში ვითარება შეიცვლება, რომელსაც დიდი გავლენა ექნება ქვეყანაზე. ამ დროისთვის ქვეყნის როგორც საგარეო, ასევე საშინაო ვითარება რადიკალურად შეიცვლება. ახლა ამაზე საუბარს არ დავიწყებ, მაგრამ ერთს ვიტყვი: ოპოზიციურ იდეოლოგიაში ნაციონალებს ნამდვილად არ ვგულისხმობ, ანუ მათ აღარანაირი შანსი არ აქვთ.

**– ვითარების შეცვლაში რას გულისხმობთ, ახალი ძალა გამოჩნდება?**

– რა თქმა უნდა. აბსოლუტურად ახალი ძალა იქნება, ამას მე კი არა, თავად ბიძინა ივანიშვილიც არ გამორიცხავს, რადგან ის ძალები, რომლებიც დღეს პარლამენტში არიან წარმოდგენილი, არ ასახავენ ქართულ იდეოლოგიას. მართალი ქართული იდეოლოგია 17 მაისს ქუჩაში გამოჩნდა და პარლამენტი ძალიან შორს არის ამისგან.

**– თუმცა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ვერ ხედავს მესამე ძალას და არ გამორიცხა, რომ კოალიციას გამოეყოს რომელიმე პარტია და სწორედ ისინი გახდნენ მთავარი ოპოზიციური საპარლამენტო ძალები...**

– ხელოვნურად რომ შექმნას ივანიშვილმა ოპოზიცია, არ გამოვა. ეს მასზე არ არის დამოკიდებული, ხელოვნურად

> **„როგორც არ უნდა დასრულებულიყო აქცია, მთავარი მაინც ერთი რამ იყო: ყველა მართლმადიდებელი, ვინც გულით ქრისტიანი და ქართველია, მოუსმენს მხოლოდ პატრიარქსა და სინოდს“**

ვერაფერს გააკეთებს. ჩვენ გვახსოვს ასეთი ძალები, იგივე ქრისტიან-დემოკრატები... ასეთი ძალები ვერ იმუშავებენ. ამიტომ ივანიშვილმა რაც არ უნდა მოინდომოს, არაფერი გამოუვა, ნამდვილი ოპოზიციური ძალები თავად დაიბადებიან. კოალიცია არ არის აწყობილი, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“ იყო მაფიოზურად შეკრებილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალით ვერაფერს შექმნიან. ბუნებრივად მოხდება მესამე ძალის ჩამოყალიბება. შესაძლოა, ნაციონალებსაც გამოეყონ გარკვეული ძალები, ან შესაძლოა გარედან გაჩნდნენ ეს ძალები.

**– ქვეყნის გარედან?**

– არა, პარლამენტსგარეთ ვგულისხმობ.

**– პარლამენტსგარეთ ვის გულისხმობთ, ისედაც ცოტა პარტიაა დარჩენილი.**

– პარტიებს მნიშვნელობა არ აქვს, პარტიები ისე იცვლებიან და ისე ქრებიან, რომ მათ დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებათ. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ჰუმანური ურთიერთობები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური ურთიერთობა.

**– შეიძლება სწორედ ამ მესამე ძალის ლიდერი გახდეს ლევან ვასაძე?**

– ღმერთმა ქნას, იყოს მესამე ძალის ლიდერი ვასაძე. თუმცა ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია იმ ხალხის ჯგრო გახდეს ვილაცისთვის პოლიტიკური კარიერის საწყისი. ამის წინააღმდეგი ვარ. ვინც ამ მოვლენებს პოლიტიკურად გამოიყენებს, უკვე დიდ შეცდომას დაუშვებს. ვისაც უნდა ასეთ დაპირისპირებაზე ააგოს საკუთარი პოლიტიკური კარიერა, ის ჩემთვის ისევ იმ ადამიანების მსგავსია, ვინც 17 მაისს რუსთაველიდან გაყარეს.

**– ანუ ვასაძე აქციაზე არ უნდა მისულიყო?**

– მე პირადად საქართველოში რომ ვყოფილიყავი, რუსთაველზე ვიქნებოდი 17 მაისს. მაგრამ მე ნამდვილად არ გამოვიყენებდი ამ სიტუაციას პოლიტიკური კარიერისთვის.

**– ვასაძემ გამოიყენა ეს დღე პოლიტიკურად?**

– არ ვიცი, ამ კითხვას ვერ ვუპასუხებ.

**– როგორ ფიქრობთ, შეიძლება ამ საკითხის გამო დაპირისპირება გაღრმავდეს საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის? ივანიშვილმა განაცხადა, რომ ამ ადამიანებს აქვთ კონსტიტუციური უფლება, გამოხატონ საკუთარი თანასწორუფლებიანობა...**

– არ აქვთ ამ ადამიანებს ამის უფლება.

> **„რა თქმა უნდა, მე მათ მხარეს ვიყავი, ვინც ჰომოსექსუალისტების მოწინააღმდეგე მხარეს იდგნენ“**

**– კონსტიტუციით მათ აქვთ შეკრებისა და აზრის გამოხატვის უფლება.**

– არ აქვთ ამის უფლება! საქართველოს კონსტიტუციას კერავენ და ჭრიან, როგორც უნდათ. მე გეუბნებით, რომ არ არის ასე. კონსტიტუციური უფლება საქართველოსთვის არის ქართული მენტალიტეტი. დღეს კონსტიტუციას სააკაშვილი წერს და მისი გუნდის წევრები. საქართველოს დღევანდელ კონსტიტუციას პატივს არ ვცემ. ჩემთვის კონსტიტუცია არის ქართული მენტალიტეტი, რომელიც დაუწერელია და ყველამ ვიცით, რაზეა საუბარი. ამ მენტალიტეტში არ წერია, რომ პედერასტებს აქვთ უფლება ქუჩაში გამოსვლის. ვინც შეკრების უფლებას ჩაუწერს ამ ადამიანებს კონსტიტუციაში, ის თვითონ არის პედერასტი.

**– მხოლოდ რუსეთში იკრძალება უმცირესობის შეკრება კანონით...**

– მე თვითონ დავუდგები ყველას გვერდით, ვინც ამის წინააღმდეგი ნავა. სულ ერთი კაციც რომ იყოს, ნებისმიერი ხერხით დავიცავ და დავუჭერ მხარს. მათ არ უნდა ჰქონდეთ შეკრებისა და ქუჩაში გამოსვლის უფლება.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ კონსტიტუციით უნდა აეკრძალოთ შეკრების უფლება?**

– არც აქვთ მათ ამის უფლება. ეს ბუნების წინააღმდეგ არის, ვისაც ღმერთი სწამს, მას არ აქვს უფლება, ამის მომხრე იყოს. არის კაცი და არის ქალი, არის ოჯახი და არიან შვილები. ამის შემდეგ არის სამშობლო და შემდეგ არის კიდევ უფრო დიდი სივრცე – მსოფლიო. არ აქვთ უფლება. ეს არის 99%-ის პოზიცია.

**– შესაძლოა, ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის დაპირისპირება მოხდეს?**

– წააგებს ხელისუფლება, ამაში დარწმუნებული ვარ. ყველანაირი გაგებით ნებისმიერი ხელისუფლება წააგებს, თუ ის საპატრიარქოს დაუპირისპირდება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მამა გიორგი: „არანაირად არ შეიძლება გამართლდეს ის ფორმა, რა ფორმითაც მოხდა მათი დარბევა“

ხათუნა მგალობლიშვილი

**საზოგადოების დიდი ნაწილისთვის შოკი იყო კადრების ყურება, სადაც განრისხებული მამაო იგინება, სისხლისღვრით იმუქრება და მოუსავლეთში აგზავნის ადამიანებს, იმიტომ რომ ისინი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისანი არიან, საეკლესიო ენაზე რომ ვთქვათ, დიდ ცოდვაში ჩავარდნილები... აქამდე ვიცოდით, რომ ცოდვაში ჩავარდნილს შველა სჭირდება და არა ქვა თავში, ან წყევლა... ეს მას ვერ შემოაბრუნებს. სწორედ ამიტომაც სასულიერო პირების ნაწილმა დაგმო ის, რაც მოხდა 17 მაისს. ფაქტია, რომ უარის თქმის ფორმა იყო მხეცური. 17 მაისის ერთადერთი ბედნიერება არის ის, რომ არც ერთი LGBT მოქალაქე არ დაზარალებულა და ყველა ცოცხალი გადარჩა. თუმცა ყველაზე დიდ გაოცებას პოლიციის კორიდორის გარღვევის მომენტი იწვევს. წინა რიგებში მამაოები იდგნენ. იმ იმედით და მოსაზრებით, რომ ისინი აგრესიული მოსახლეობის შეჩერებას შეძლებდნენ. საუბედუროდ, ასე არ მოხდა. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევებში სწორედ მათი სიტყვიერი რეაქციები იწვევდა ახალგაზრდებში სურვილს, ქვა აეღოთ და უმიზნოდ, ნებისმიერი ადამიანისთვის ესროლათ...**

მამა გიორგი ამბობს, რომ რუსთაველზე გასვლა არც უფიქრია, რადგან იცოდა, მოვლენები როგორც განვითარდებოდა. არც საკუთარი მრევლისთვის მოუწოდებია იქ მისვლა და მით უფრო შეკრების აკრძალვა, თუმცა თვლის, რომ ხელისუფლებას „იდენტობისთვის“ აქციის ჩატარება გაცილებით მოკრძალებულ ადგილას უნდა შეეთავაზებინა.

**მამა გიორგი (ჩაჩავა), წმინდა პანტელეიმონის სახელობის ვერის ეკლესიის მოძღვარი:**

– ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ახსნა-განმარტებითი სამუშაო უფრო აქტიურად ჩავატაროთ მოსახლეობაში. ჩვენ ვალდებულები ვართ, ავხსნათ, რა არის ცუდი და რა არის კარგი. ახსნა უნდა იყოს ორნაირი. მე უნდა ველაპარაკო როგორც მორწმუნე ხალხს, ასევე ნაკლებად მორწმუნეს და უნდა შევეცადო, ორივე მხარეს მათთვის გასაგები ენით ავუხსნა. გასაგებია, რომ ბიბლიაში წერია, რომ ჰომოსექსუალიზმი არის საშინელი ცოდვა, მაგრამ რატომ ითვლება ასეთ მძიმე ცოდვად? ჩვენ რომ ამას ზნეობრივი სარჩული მოვაცილოთ, დარჩება პრაგმატიზმი. მივყვეთ ლოგიკას. ვინც ამბობს, რომ ჰომოსექსუალისტობა არის კარგი, მათვე ვკითხოთ: ვთქვათ და მთელი მსოფლიო გახდა ჰომოსექსუალისტი, რა მოხდება? გადაშენების გზაზე დავდგებით, ხომ ასეა? ბუნებაში ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ მინუსი და პლუსი ქმნის ერთ მთლიანობას. ასე მრავლდება ცხოველიც, ფრინველიც, დენიც კი ასე მიიღება. ორი პლუსი ნათელს ვერ მოგვცემს. მე პირადად მიმაჩნია, რომ, თუ ადამიანს სურვილი უჩნდება, იყოს ჰომოსექსუალისტი, ეს არის მისი გონების დეფექტი. ზოგიერთი ცდილობს, ეს აზრი უარყოს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ნორმალურ მდგომარეობაში ასეთი სურვილი არ გაჩნდება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები უნდა დავსაჯოთ, ვდიოთ და ვურტყათ, არავითარ შემთხვევაში. არ ვფიქრობ, რომ საქართველოში ისინი იდევნებიან. არ მსმენია, რომ უმცირესობის წევრი სამსახურიდან გაეგდოთ, ან მაღაზიაში მომსახურებაზე უარი ეთქვათ. ანუ მათი უფლებები საქართველოში მეტ-ნაკლებად დაცულია. თუმცა ვთვლი, რომ შეკრება მათი მხრიდან პროვოკაცია იყო...

**– თუმცა ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა...**

– მაშინ მითხარით, როდესმე საქართველოში ჰეტეროსექსუალისტების შეკრება ჩატარებულა? არ ჩატარებულა. როგორც უმრავლესობა არის ვალდებული, პატივი სცეს უმცირესობას, ისე არის პირიქითაც. უმცირესობამ უნდა გაითვალისწინოს უმრავლესობის აზრი. არანაირად არ შეიძლება, გამართლდეს ის ფორმა, რა ფორმითაც მოხდა მათი დარბევა. ეს ძალიან არასწორი ფორმა იყო. სამწუხაროდ, ბევრი დაზიანდა და მთლიანობაში დაირღვა ფორმა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი საინტერესო კანონია. თუ შენ გადმოხვალ მანქანიდან და შიგნით ჩატოვებ გასაღებს, პოლიციას უფლება აქვს, დაგაჯარიმოს და იცით, რატომ? იმიტომ რომ შენ ამით ქურდებს პროვოცირებას უწევ, რომ შენი მანქანა მოიპარონ. თუ იცოდნენ, რა შედეგებიც მოჰყვებოდა უმცირესობის შეკრებას, ხომ შეეძლოთ, განრიდებოდნენ?

**– იგივე უცხოეთში როგორ იქნებოდა აღქმული მომხდარი?**

– ნუ, ჰომოსექსუალისტი ბიზნესმენების გარდა, სხვას არავის შევაშინებდით. ისე კი, ჩვენ მსოფლიო უკვე ისე დავაშინეთ ბოლო 21 წლის განმავლობაში, რომ სწორედ ამის გამო იმყოფება საქართველო ასეთ მძიმე მდგომარეობაში. კიდევ ერთხელ ვიტყვი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუნდაც უმცირესობა უნდა ვდევნოთ. პირიქით, ამ ადამიანებს უნდა ვესაუბროთ. უნდა ავუხსნათ მათ, რა არის კარგი, უნდა გავაგებინოთ როგორმე. რა თქმა უნდა, ეს ცემა-ტყეპა არ არის სწორი. ნებისმიერ ფაქტს აქვს ორმხრივი შეფასება: შინაარსისა და ფორმის მიხედვით. ეს ახსნა ბევრად დახვეწილი ფორმით უნდა მომხდარიყო.

**– მამაოების საქციელმა საზოგადოების დიდ ნაწილში დაბნეულობა გამოიწვია...**

– ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან დიდ ცოდვასთან, შესაბამისად, ადამიანებიც ძალიან განსხვავებულები არიან ფსიქოლოგიური რეაქციებით, ემოციურობით... მე მაგალითად, შემიძლია ჩემი ემოციების გაკონტროლება, ზოგს ეს არ შეუძლია. თუ მრუშობა ცოდვაა ჰომოსექსუალიზმი კვადრატშია აყვანილი. აქედან გამომდინარე, მამაოების რეაქციებიც სხვადასხვანაირი იყო...

**– მეუფე იაკობის გამოსვლას როგორ შეაფასებთ და რამდენად შესაძლებელია, რომ ამან დაპირისპირება გამოიწვიოს ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის?**

– არა მგონია, ამან დაპირისპირება გამოიწვიოს, მაგრამ საერთოდ ჩვენ უნდა გადავიდეთ უფრო ახსნა-განმარტების სხვა დონეებზე. უფრო მეტი კონტაქტი უნდა გვქონდეს მოსახლეობასთან. მართალი გითხრათ, არ მომისმენია გამოსვლები და პრაქტიკულად არც საინფორმაციოებისთვის მიყურებია. მე მხოლოდ რამდენიმე არხს ვუყურებ: „დისქავერსა“ და „ცხოველთა სამყაროს“. მთელ ამ ინტრიგებსა და სიბინძურეში არ მინდა ჩარევა. მართალი გითხრათ, ძალიან დავიღალე. მე სულიერად გავექეცი ამ საზოგადოებას, რადგან დღევანდელი ქართული საზოგადოება ერთმანეთთან დაპირისპირების მთავარ იარაღად გადაიქცა. ინტრიგებში ვართ ჩაძირული... ამ ჩხუბით იმდენად ვართ ერთმანეთის განადგურებით დაკავებულები, რომ ცოცხალ და მთავარ საქმეს ველარ ვხვდებით, რა არის. ვიცი, ეს ყველაფერი რისთვისაც გაკეთდა. ამ ადამიანებმა რატომ დაგეგმეს ეს აქცია, ყველასთვის გასაგებია...

**– რა იყო მიზანი?**

– მათ უნდათ საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასვლა. დღეს მსოფლიოს დაანახვეს, როგორ მოწამეობრივ დევნაში იმყოფებიან თავიანთ სამშობლოში. ისინი, ალბათ, მალე მიმართავენ საელჩოებს და მოითხოვენ თავშესაფარს.

**– მით უფრო, თუ მამაოებმა იცოდნენ, რომ ეს პროვოკაცია იყო, რატომ მოხდა ისე, რომ სწორედ მამაოებმა გაარღვიეს პირველად პოლიციის კორიდორი?**

– მე არ წამოვეგე პირადად, მაგრამ მე ეკლესიაში ძალიან პატარა დონე ვარ. მე ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. იცით, როგორ არის? თუ ჰომოსექსუალისტებს ჰქონდათ უფლება შეკრების, მაშინ დანარჩენ ადამიანებსაც აქვთ უფლება, გამოხატონ საკუთარი პოზიცია. ორი ერთნაირი ადამიანი არ არსებობს დედამიწაზე. ჩვენ ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ ვიმოქმედოთ გააზრებულად, დაფიქრებულად. ეს გამოგვიყვანს დაძაბული სიტუაციიდან. ყველა ომი, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ ბოლო 22 წლის განმავლობაში, წავაგეთ. იცით, რატომ? იმიტომ რომ ყოველთვის გაუაზრებლად ვიწყებდით. როცა აისბერგს ებრძვი, უნდა იცოდე, რომ, რაც წყლის ზემოთ არის, სამი იმდენი ქვემოთაა, რომელსაც ვერ ხედავ.



„ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან დიდ ცოდვასთან, შესაბამისად, ადამიანებიც ძალიან განსხვავებულები არიან ფსიქოლოგიური რეაქციებით, ემოციურობით... მე მაგალითად, შემიძლია ჩემი ემოციების გაკონტროლება, ზოგს ეს არ შეუძლია“

„მთელ ამ ინტრიგებსა და სიბინძურეში არ მინდა ჩარევა. მართალი გითხრათ, ძალიან დავიღალე. მე სულიერად გავექეცი ამ საზოგადოებას, რადგან დღევანდელი ქართული საზოგადოება ერთმანეთთან დაპირისპირების მთავარ იარაღად გადაიქცა. ინტრიგებში ვართ ჩაძირული“...

EXCLUSIVE

„თუ იცოდნენ, რა შედეგებიც მოჰყვებოდა უმცირესობის შეკრებას, ხომ შეეძლოთ, განრიდებოდნენ?“

ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ახსნა-განმარტებითი სამუშაო უფრო აქტიურად ჩავატაროთ მოსახლეობაში



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნათია მეგრელიშვილი: „მირჩევნია, ვიყო მიშისტი და ჰომოსექსუალისტი და არ დავუჭირო მხარი არანაირ აგრესიას“



ნათია მეგრელიშვილი

„თქვენი შემხედვარე რუსები კიდევ გადმოსწევენ საზღვარს 200 მეტრით. იფიქრებენ, რომ ქართველ ვაჟკაცებს ეს ჩვენი ღობე არ აღელვებთ და აღელვებთ ჰომოსექსუალისტებისა და ლესბოსელების ამბები“



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**დაგმო აგრესია, არ ნიშნავს, იყო ჰომოსექსუალისტი ან მისი პროპაგანდისტი. ვინც 17 მაისის აქციაზე მამაოების გინებას, ქვების სროლას შეეწინააღმდეგებოდი, სექსუალურ უმცირესობად განათლავდნენ... პუბლიცისტ ნათია მეგრელიშვილის განცხადებით, ქართველ ვაჟკაცებს, ზოგადად, არაადეკვატური რეაქციები აქვთ. მაგალითად, ჭკუიდან გადადიან, როდესაც ქუჩაში რამდენიმე, მათივე სიტყვებით, „ავადმყოფი“ ფლეშმობის გამართვას ცდილობს. სამაგიეროდ ურეაქციოდ ხვდებიან რუსების მიერ საზღვრის კიდეც 20 მეტრით გადმოწევას.**

**ნათია მეგრელიშვილი, პუბლიცისტი:**

– ყველას აქვს თავისი პრინციპი, მაგრამ ცალსახად მინდა აღვნიშნო, ჩემი წესიდან გამომდინარე, არასოდეს გამიკეთებია და არც ახლა ვაპირებ პატრიარქის განცხადების კომენტირებას. საპატრიარქო თუ ერევა, ვფიქრობ, უნდა ჩაერიოს, ალბათ, სხვა როლით. პირიქით, ეს ადამიანები დაცალოს აგრესიისგან, მეტი პოზიტივით დატვირთოს. შეიძლება კიდეც გამოუვიდეთ ასეთი სვლა. ადამიანს, რაც არ უნდა ცუდი იყოს თავისი ბუნებით, აქვს მოთხოვნილება, რომ მოეფერონ. ძალიან აკლია ადამიანს სითბო და სიყვარული. ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანი ძალიან მოკლებულია ასეთ გრძნობებს. ოჯახში, საზოგადოებაშიც, სამსახურშიც. სიმშვიდისკენ, სიყვარულისკენ უნდა წაიყვანო ეს ყველაფერი. ისიც წამოვა შენკენ და იმ სიყვარულს გამოჰყვება. იგივე ეფექტი აქვს, როდესაც აგრესიით მიგყავს, აგრესიას მიჰყვება. ერთმა ქალმა გააკეთა კომენტარი, რომ ეს ხალხი გავგზავნოთ ავღანეთში და იქ ჩავახოცინოთო. რატომ უნდა გაგზავნო ავღანეთში?! ჩვენ ჩვენს მისიას ვასრულებთ და არა მარტო ახლა. წარსულში, გიორგი ბრწყინვალის პერიოდში, ასევე ერეკლე მეფის დროს იბრძოდნენ იქ. ამ ქალბატონმა გაგზავნა ავღანეთში და თან გზავნილით, რომ იქ უნდა ჩავახოცინოთ თურმე ეს ახალგაზრდები. მითხარით, სად დევს აქ სიყვარული?!

**– ეკლესიაც აღნიშნავს და მამაოებიც ამბობდნენ, ჩვენ ეს ახალგაზრდები გვიყვარს და იმიტომ „ვზრუნავთ“ მათზეო...**

– რომ უყვართ, იმიტომ მოიქცნენ ასე? ხშირად მომისმენია, რომ მშობლები სიყვარულით სცემენ შვილს, რომ ზრუნავენ მასზე ამ ცემით. ამას ყოველთვის ვაპროტესტებდი, ასე ავადდებიან ბავშვები. 13-14 წლის ბიჭის ცემა არ შეიძლება, ეს ისეთი ასაკია ბიჭისთვის, რომ შეიძლება ფსიქოტრავმა მიიღოს, და შეიძლება თავი მოიკლას. მშობელი მეუბნება, მე მიყვარს ჩემი შვილი და მინდა ის სწორად გავზარდოო. ეს არის შვილის სიყვარული, რომ მას თავს გაუტეხ სკამით? და ის შვილი შენ მეორედ გამოგისწორდება?

**– როდესაც LGBT-ებს ვესაუბრე, მათ მითხრეს, წინა წელს პოლიციას არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ დავეცავითო... ფიქრობთ, რომ პოლიციამ მაქსიმუმი გააკეთა?**

– შარშანდელი ინფორმაცია არ მაქვს, რადგან შარშან ასეთი აჟიოტაჟი არ იყო. შარშან ვიღაც სადღაც გამოვიდა და მორჩა. ეს არ არის ჩემი პრობლემა და შესაბამისად, არ დავინტერესებულვარ. რაც შეეხება ჰომოსექსუალისტებს, მე მათ არ გამოვარჩევდი და მე ჩემი შვილებიც ასე გავზარდე. მათ ვუთხარი, რომ ადამიანი ეროვნებით, ორიენტაციით არ გაერჩიათ. ჩემი საქმე არ არის, ვის ვისთან სძინავს ღამე. მე ძალიან ბევრ ადამიანს ვიცნობ ჰეტეროსექსუალისტს, რომლებიც ძალიან ცუდი ადამიანები არიან. მაგალითად, ყაჩაღები. მავნებლობასა და ძალადობას არ ვუჭერ მხარს, მაგრამ მოძალადე ჰეტეროსექსუალისტებიც თავზე საყრელი გვყავს ქართველებს. დარწმუნებული ვარ, პოლიციას დიდი სურვილი ჰქონდა, მაქსიმალურად მშვიდად ჩაევლო ყველაფერს. კადრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოლიციელების დიდი რაოდენობა არ იყო. იმ შესაძლებლობებში და იმ ბრძანების ფარგლებში, რაც მათ ჰქონდათ, დარწმუნებული ვარ, მოიქცნენ ისე, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ... ისინიც ხომ ადამიანები არიან, ისინი დაქოქილი რკინის კაცუნები ხომ არ არიან. მათ ემოციები აქვთ და ცხადია, რომ პროფესიული ვალიც, მაგრამ ადამიანები არიან. ეჭვი არ მეპარება, რომ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, პოლიციამ იმუშავა.

„ეჭვი არ მეპარება, რომ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, პოლიციამ იმუშავა“

**– ვინც აგრესია დაგმო, ის ავტომატურად გამოიყვანეს ჰომოსექსუალიზმის მხარდამჭერად. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება გაიგივება?**

– საქართველოში ასეთი რაღაც ხდება ყოველთვის, რომ შენ თუ გაქვს განსხვავებული აზრი, ხარ მიშისტი და თუ გმობ აგრესიას, ხარ ჰომოსექსუალისტი. მირჩევნია, ვიყო მიშისტი და ჰომოსექსუალისტი, და არ დავუჭირო მხარი არანაირ აგრესიას. დღეს თბილისში ერთი დიდი შეცდომა იყო ჩადენილი... დღეს ჩვენთან არ იყო გეიაღლუმი და ეს არასწორად დაფიქსირდა. მაგრამ, როდესაც უცხოეთში ხდება ასეთი ტიპის შეკრებები, იმ შეკრებებზე მიდიან გამოჩენილი ადამიანები სოლიდარობის ნიშნად. ადამიანები, რომლებსაც საზოგადოების მხრიდან დიდი ნდობა და პატივისცემა აქვთ. ეს ხდება იმიტომ, რომ არ მოხდეს შეკრების დარბევა. ჩვენც გვყავს „სელებრითი“ ჰომოსექსუალისტები და ისინი ფარდის უკან არიან შემძვრალები. გამოვიდნენ და მხარი დაუჭირონ...

**– როგორ ფიქრობთ, ეს რამეს შეცვლიდა?**

– არა მგონია. იქ ისეთი ამბავი იყო, იქ ისეთი „სიყვარულით“ იყვნენ მისულები მეორე მხარის წარმომადგენლები, რომ არ მგონია, რამე შეცვლილიყო.

**– თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს ამბავი cnn-ზე გავიდა, როგორ ფიქრობთ, მათთვის როგორი ქვეყანა ვიყავით? როგორ წარმოვჩნდით?**

– ალბათ, საერთაშორისო საზოგადოებისთვის, „ჯუმბუკუ კუმბუჯუსთან“ ვიყავით გათანაბრებულები. ყოველ შემთხვევაში ის ერი არ ვიყავით, რომელიც ევროკავშირში შესვლას აპირებს, ის არა, რომელიც დემოკრატიას იცავს, და ამას ხელი შეუწყო პარლამენტის ზოგიერთმა წევრმა. წააქეზეს საზოგადოების ისედაც აგრესიულად განწყობილი ნაწილი, მხარი დაუჭირეს მათ აგრესიას. იმიტომ რომ ისინი ამბობდნენ ასე: კი ბატონო, მათ კონსტიტუციით აქვთ შეკრების უფლება, კი ბატონო, კონსტიტუციით არ ეკრძალებათ, მაგრამ ეს მიუღებელია ჩვენთვის, ეს მიუღებელია მოსახლეობისთვის... ეს არ უთქვამს მარტო უსუფაშვილს. მან ილაპარაკა ზუსტად ისე, როგორც უნდა ელაპარაკა პარლამენტის თავმჯდომარეს. ბოლოს და ბოლოს, ამ ადამიანმა იცის კანონები. უმრავლესობის ზოგიერთმა წევრმა არ იცის კანონები და პარლამენტარის ჩარჩოებიდან გამოდის და ხდება „ჩოხა ქართველი“. ჩემთვის სულერთია, ვინ იქნება დამრბევი, არასოდეს დავდგები დამრბევის მხარეს. იმავე დღეს, ანუ 17 მაისს გამოცხადებული იყო ქართველი ვაჟკაცების დღე. მინდა მივმართო ქართველ ვაჟკაცებს: მეგობრებო, რამდენიმე ხნის წინ რუსებმა 200 მეტრით გადმოსწიეს საზღვარი. მართლმადიდებელმა, ერთმორწმუნე ერმა, ჩვენმა მეზობლებმა... არ იქნებოდა ურიგო, რომ ქართველ ვაჟკაცებს ამაზე მოეხდინათ რეაგირება. იქ, საზღვარზე გაქცევას არავინ ეუბნებათ, რადგან იმ ტერიტორიაზე მისვლა ძალიან სახიფათოა. ფილარმონიასთან გაგემართათ ეს აქცია. მანქანების პიპინით აღგენიშნათ, რომ საზღვარია გადმოწეული, თუ ვაჟკაცობაზეა საუბარი, მაგრამ თუ ვაჟკაცობად მიგაჩნიათ ის, რომ ავტობუსები დალეწეთ და გოგოებს თავში სკამები ურტყით, გეტყვით, რომ ეს არ არის ვაჟკაცობა. თქვენი შემხედვარე რუსები კიდევ გადმოსწევენ საზღვარს 200 მეტრით. იფიქრებენ, რომ ქართველ ვაჟკაცებს ეს ჩვენი ღობე არ აღელვებთ და აღელვებთ ჰომოსექსუალისტებისა და ლესბოსელების ამბები. როდესაც უკვე თბილისში ტანკები შემოვლენ, მერე დავინახავთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჰომოსექსუალისტების დარბეული აქცია...

„შენ თუ გაქვს განსხვავებული აზრი, ხარ მიშისტი და თუ გმობ აგრესიას, ხარ ჰომოსექსუალისტი“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „გარკვეული პოლიტიკური ძალები დაინტერესებულები იყვნენ და ჩარეულებიც იმაში, რომ დაპირისპირება მომხდარიყო“

# დავით საგანელიძე: „ვისურვებდი ლევან ვასაძეს პოლიტიკაში, რადგან პოლიტიკას წესიერი ადამიანები ნამდვილად სჭირდება“



## „საინტერესოა, რა რაოდენობის თანხები შემოდის LGBT-ის დასაფინანსებლად და რატომ გააქტიურდნენ მაინცდამაინც ახლა?“

# EXCLUSIVE



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**პარლამენტის თავმჯდომარეს საზოგადოების წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს, გააკონტროლოს საკუთარი უმრავლესობა. უმრავლესობის ზოგიერთი წევრი კი აგრესიული განცხადებების გამო გააკრიტიკეს. უმრავლესობა აცხადებს, რომ აგრესია არავის გასჩენია, ეს უბრალოდ მათი პოზიციების დაფიქსირება იყო.**

**დავით საგანელიძე უმცირესობების წინააღმდეგია. მიიჩნევს, რომ LGBT ადამიანებს აქვთ პირადი ცხოვრების უფლება, ოღონდ არა საჯაროდ...**

**დავით საგანელიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:**

– არ მესმის, რას გულისხმობენ აგრესიულ განცხადებებში, რადგან ჩვენ არ გაგვიკეთებია აგრესიული განცხადებები. შეიძლება იყო ცოტა მკაცრი განცხადებები და მგონი, მკაცრ და აგრესიულ განცხადებებს შორის დიდი სხვაობაა. თუ ჩემს განცხადებებში ეძებენ აგრესიას, გავიმეორებ, რომ მე ვარ ყველანაირი ძალადობის წინააღმდეგი და ვთვლი, რომ, თუ ვინმემ ძალადობა გამოამჟღავნა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისი აზრისა და სურვილის გამოხატვის უფლება, არავინ არ უნდა შეუზღუდოს ადამიანებს ეს უფლება, მაგრამ, მეორე მხრივ, საკუთარი თავისა და ზნეობის პროპაგანდირება არ უნდა მოახდინონ, არ უნდა მოგვახვიონ თავს ეს ყველაფერი. ამაზე იყო საუბარი სწორედ ჩვენი მხრიდან. მე ჩემი აზრი დავაფიქსირე და ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ვინმეს ძალით ვახვევ თავს ჩემს მოსაზრებებს. თუმცა ვითხოვ, რომ ნურც სხვა მომახვევს თავს თავის მოსაზრებებს, მით უფრო იმას, რაც ჩემთვის მიუღებელია. ნუ მაიძულებენ, უმცირესობის პროპაგანდით ვიყო აღფრთოვანებული. საზოგადოების დიდმა ნაწილმა გამოხატა თავისი მოსაზრება და ეს ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია. უბრალოდ, ძალადობაში არ უნდა გადაზრდილიყო.

**– როგორ შეაფასებთ პოლიციის მუშაობას?**

– პოლიციამ, ჩემი აზრით, თავისი საქმე ძალიან კარგად შეასრულა. მოახდინა ორი დაპირისპირებული მხარის დაშორიშორება. როცა სიტუაცია დაიძაბა, პოლიციამ შეძლო და მშვიდობიანად გაიყვანა ისინი ტერიტორიიდან. მათგან არავინ დაზიანებულა, თავად მოქალაქეები და პოლიციელები არიან დაზარალებულები. პოლიციამ გააკეთა მაქსიმუმი. არ მესმის, რატომ არიან უკმაყოფილოები, მაინცდამაინც წყლის ჭავლით უნდა დაეშალათ ასი ათასობით მოქალაქე, თუ ცრემლსადენი გაზი გამოეყენებინათ? მე პირადად, როგორც დავაზუსტე, ადგილი ჰქონდა პროვოკაციას.

**– ვისი მხრიდან?**

– აქციის ორგანიზატორების მხრიდან. მათ 12 საათზე ჰქონდათ დაგეგმილი აქცია, მაგრამ მაშინ, როცა ტერიტორია თავისუფალი იყო, არ დაიწყეს. როგორც ჩანს, რაღაცას ელოდებოდნენ. მათთვის სპეციალურად კორიდორიც კი გააკეთა პოლიციამ, რომ მშვიდობიანად შეკრებილიყვნენ. მოგვიანებით კი, როცა მოსახლეობამ პოლიციის სამი კორდონი გაარღვია, რამდენიმე მათი წევრი განსაკუთრებით აქტიურობდა. ყვიროდნენ, გეები ვართო და ხალხს აღიზიანებდნენ. სწორედ იქ მოხდა დაპირისპირება. აქციის ორგანიზატორებიდან რომ გვყავდნენ დაზიანებულები, ტრავმირებულები და დასახიჩრებულები, ვიტყოდი, რომ პოლიციამ ვერ შეასრულა საკუთარი მოვალეობა, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. რუსთაველზე, ალბათ, 50 ათასი მოქალაქე იყო. მათი კონტროლი საკმაოდ ძნელი იყო, ყველა დამეთანხმება. პოლიციამ არ გაიმეორა 7 ნოემბრის აქცია და არ დაშალა მოსახლეობა ძალადობით.

**– თუმცა ფაქტია, რომ „იდენტობის“ წევრებს არ მიეცათ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება...**

– გასაგებია, რომ არ მიეცათ. გამოვიდა 20 კაცი და უნდოდათ რაღაცის ჩატარება, მათ წინააღმდეგ კი გამოვიდა 50 ათასი კაცი. რა უნდა გაეკეთებინა ასეთ შემთხვევაში პოლიციას? რას ითხოვდნენ, საერთოდ, არ ვიცი, ვინ ზღუდავთ ან ვინ უშლით რამეს?

**– ისინი არ ითხოვდნენ არაფერს...**

– მით უმეტეს, ჰქონდათ განსაზღვრული დრო და დაეწყოთ მაშინ, როცა რუსთაველი თავისუფალი იყო... მათ კი აქცია მაშინ დაიწყეს, როცა ხალხმა დაიწყო შეკრება. ელოდებოდნენ, რომ ვიღაც შეურაცხყოფას მიაყენებდათ და სწორედაც ეს უნდოდათ.

**– თქვენ ამბობთ, რომ მათი მიზანი არეულობა იყო?**

– თავისთავად ცხადია, რომ მათი მიზანი ეს იყო. სამწუხაროდ, მათ თავიანთი დავალება პირნათლად შეასრულეს, ვისგანაც იყო პროვოცირებული.

**– ვისგან იყო პროვოცირებული?**

– არ ვიცი, ვისგანაც ფინანსდებიან, იმათგან. შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაარკვიონ, ვისგან ფინანსდებიან, დაინტერესდნენ ამით, უმჯობესი იქნება. საინტერესოა, რა რაოდენობის თანხები შემოდის მათ დასაფინანსებლად და რატომ გააქტიურდნენ მაინცდამაინც ახლა? მათ უნდათ, რომ რაც შეიძლება მეტად არიონ სიტუაცია და ერთმანეთს დააპირისპირონ საზოგადოება. ეს კი, პირველ რიგში, აწყობს „ნაცმოძრაობას“.

**– თქვენ განაცხადეთ, რომ ყველა მოძალადე უნდა დაისაჯოს. ბევრი კადრი გავრცელდა 17 მაისს, სადაც სასულიერო პირები აგრესიულად იქცეოდნენ...**

– ვისი დანაშაულიც დამტკიცდება, ყველა უნდა დაისაჯოს. მე აგრესია არ მინახავს სამღვდელოების მხრიდან. შეიძლება იყო აგრესია, მაგრამ სასულიერო პირების იქ ყოფნამ ეგზალტირებული საზოგადოების დაკავება შეძლო. საეკლესიო პირებს ძალიან ძლიერი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე, დიდია მათ მიმართ ნდობა და შესაბამისად, მათი მოთხოვნა, რომ საზოგადოება დამშვიდებულიყო, შესრულდა. ეკლესია, როგორც ყოველთვის, სიმშვიდისკენ და სიწყნარისკენ მოუწოდებს საზოგადოებას და სწორედ ამის გამო კიდევ მშვიდობიანად დასრულდა, ვიდრე შეიძლებოდა დასრულებულიყო. მიმაჩნია, რომ სწორედ სასულიერო პირებმა შეაჩერეს საზოგადოების დიდი ნაწილი.

**– მეუფე იაკობის განცხადება თუ მოისმინეთ?**

– მეუფე იაკობის განცხადებაში გავიგე ის, რომ ეკლესია არ მისცემს არავის იმის უფლებას, იქადაგონ ის, რაც არის ცოდვა. მე ასე გავიგე და სწორიც არის. ცოდვის კეთება არ უნდა უქადაგო არავის. თუ ვინმეს რამე უნდა, თავისთვის აკეთოს, თავის სახლში აკეთოს და ამის გამო არავინ სახლში არ შეუვარდება. ოღონდ აქეთ ნუ დაგვიწყებენ ქადაგებას.

**– ლევან ვასაძეც იმყოფებოდა აქციაზე. როგორ ფიქრობთ, იყო ეს მინიშნება იმისა, რომ ის პოლიტიკაში აპირებს მოსვლას?**

– ლევანი არის ღირსეული მამულიშვილი, ქვეყნის შვილი, საქართველოსა და ქართველი ხალხის მოსიყვარულე ადამიანი. მას თავისი ეროვნება, თავისი ქვეყნისა და ოჯახის ღირსება ძალიან მაღალ დონეზე აქვს დაყენებული. ძალიან მიხარია, რომ ზუსტად ასეთს ვხედავ მას. რა შუაშია პოლიტიკა აქ? აქციაზე 50 ათასი ადამიანი იყო მისული და ყველა პოლიტიკის გამო მივიდა? პოლიტიკა საერთოდ არაფერ შუაშია. ერთადერთი, ვფიქრობ, გარკვეული პოლიტიკური ძალები დაინტერესებულები იყვნენ და ჩარეულებიც იმაში, რომ დაპირისპირება მომხდარიყო.

**– შეიძლება, რომ ურთიერთობა დაიძაბოს საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის?**

– ვერ ვხედავ ვერანაირ სხვაობას და ვერანაირ დაპირისპირებას. მე ვუსმინე პატრიარქსაც. არანაირი სხვაობა არ ყოფილა პოზიციებს შორის. უბრალოდ, საზოგადოებამ თავისი პოზიცია დააფიქსირა, თანაც აბსოლუტურად სამართლიანად, თუმცა ფორმა იყო ძალიან მიუღებელი.

**– როგორ ფიქრობთ, შეიძლება ვასაძემ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს?**

– ნამდვილად არ მინდა, ამაზე განცხადება გავაკეთო. ვიცი, რომ ლევან ვასაძე არ ფიქრობს პოლიტიკაში მოსვლას, მე ლევან ვასაძის სიტყვის მჯერა. ის ყოველთვის იმას აკეთებს, რასაც ამბობს. თუმცა მე პირადად ვისურვებდი ლევან ვასაძისნაირ ადამიანს პოლიტიკაში.

**– თუმცა არც ბიძინა ივანიშვილი აპირებდა პოლიტიკაში მოსვლას და როგორც თავად აცხადებს, იძულებული გახდა, ეს გაეკეთებინა...**

– დიახ, იძულებული გახდა. შესაძლოა, ასეც მოხდეს, მე ლევან ვასაძეს დიდ პატივს ვცემ, ის ძალიან კარგი ადამიანია, ინტელექტუალია და ძალიან გამიხარდება, თუ ასეთი ადამიანი პოლიტიკაში შემოვა. თუმცა სხვა საფუძველი იმის ფიქრისა, რომ ის პოლიტიკაში მოვა, არ არსებობს. ჩემდა სამწუხაროდ, ის ამბობს, რომ არ აპირებს პოლიტიკაში მოსვლას. ვისურვებდი მას პოლიტიკაში, რადგან პოლიტიკას წესიერი ადამიანები ნამდვილად სჭირდება.

**– და მაინც, თუ ვასაძე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გადაწყვეტს, როგორ ფიქრობთ, რამდენად ექნება გამარჯვების შანსი?**

– ერთი რამ მინდა ვთქვა, არავის არ შევეხები, თუმცა აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ და ეჭვი არ მეპარება, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. კოალიციას დღეს ძალიან დიდი რეიტინგი აქვს, დიდია მისი გავლენა საზოგადოებაზე და ძალიან ძლიერია კანდიდატი. შეიძლება ითქვას, რომ იდეალური ვარიანტია შერჩეული. ის არის აბსოლუტურად უალტერნატივო.

**– შესაძლებელია, პარლამენტმა იმსჯელოს კანონზე, რომელიც აუკრძალავს უმცირესობას შეკრების უფლებას?**

– არა მგონია, ამაზე მსჯელობა არ არის. მე ზოგადად ნებისმიერი აკრძალვის წინააღმდეგი ვარ.

> **„ვიცი, რომ ლევან ვასაძე არ ფიქრობს პოლიტიკაში მოსვლას, მე ლევან ვასაძის სიტყვის მჯერა. ის ყოველთვის იმას აკეთებს, რასაც ამბობს“**

> **„არავის არ შევეხები, თუმცა აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ და ეჭვი არ მეპარება, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# ნინო ბურჯანაძეს მეორე ტურის იმედი აქვს...

ქეთი ხატიაშვილი

**ძნელი სათქმელია, რა უნდათ ნინო ბურჯანაძესა და სალომე ზურაბიშვილს ქართული პოლიტიკისგან. მათი გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღონ საპრეზიდენტო მარათონში, შურისძიებას უფრო ჰგავს, ვიდრე პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. ადრე მიხეილ სააკაშვილი ჰყავდათ მიზანში ამოღებული, ახლა ამ „სიმძიმეს“ თავის თავზე ბიძინა ივანიშვილი იგრძნობს. პრემიერმა არც ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა მიიღო და არც სალომე ზურაბიშვილის. ერთიც და მეორეც დიდხანს ელოდა. ზურაბიშვილს ორჯერ მაინც ჰქონდა აუდიენცია, ბურჯანაძე შეტყობინებას ამაოდ ელოდა.**

პრემიერის რჩეული გიორგი მარგველაშვილია. საინტერესოა, რომ NDI-ს კვლევებში განათლების მინისტრს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მეათე ადგილი უჭირავს. პირველი ირაკლი ალასანიაა. თავის დროზე ამ ინფორმაციას ბიძინა ივანიშვილმა ძალიან საინტერესო უწოდა და ტრადიციულად აღნიშნა, რომ NDI-ს არ ენდობა. ტრადიციულია მისი დამოკიდებულება ფსონების მიმართ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ივანიშვილი არარეიტინგული და, ხშირ შემთხვევაში, უცნობი კანდიდატურების წამოყენებით საკუთარი ძალის დომინანტობას უსვამს ხაზს საზოგადოებრივ აზრზე. ის იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ თავად უფრო ძლიერია, ვიდრე საზოგადოებრივი აზრი, პიარსაშუალებები და პოლიტტექნოლოგიები. მიაჩნია, რომ ყველაფერზე მაღლა დგას.

ასე რომ, მარათონზე პირველად გიორგი მარგველაშვილი გავიდა. ესეც, სხვათა შორის, გარკვეული სიახლეა. როგორც წესი, ძირითადი მოთამაშეები ფსონების ჩამოსვლას არ ჩქარობენ. რაც ადრე დაასახელებ კანდიდატს, მით უფრო დიდი შანსი ეძლევა მოწინააღმდეგეს, მის წინააღმდეგ კომპრომატები იპოვოს, შეაგროვოს და გამოიყენოს.

შურისმაძიებელი ქალები ურეიტინგო კანდიდატის წინააღმდეგ. სხვა ფიგურები საარჩევნო მარათონზე არ სახელდებიან. „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ ისინი პრაიმერის ჩატარებას ელოდებიან და შესაბამისად, კომენტარებს ამ თემაზე არ აკეთებენ.

**„ახალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს არანაირი გუნდის წარმომადგენელი. ერთადერთი გუნდი ვიცი მე – ეს არის საქართველო“**

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ალექსანდრე ლომოური ქალების მარათონზე გამოჩენას უკვე გამოეხმაურა, მისი შეფასებით: თუ ქ-ნი ნინო ბურჯანაძისა და სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში დასახელდება, მაშინ ეს არჩევნები იქნება ინტელექტუალი დიპლომატების „ომი“ საპრეზიდენტო „პოლიგონზე“.

საარჩევნო მარათონზე ყველას პოლიტიკური ინტერესები არ ექნება. ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეები გამარჯვებისთვის იბრძოლებენ, იქნებიან ისინიც, ვინც შეეცდება, მარათონი ბიზნესპროექტად გამოიყენოს. ანუ შექმნას პროდუქტი და სარფიანად გაყიდოს. ასეთ პროექტებში ისეთი კანდიდატები გადიან, რომლებიც მარათონის კულმინაციის დროს საკუთარ კანდიდატურას სხვის სასარგებლოდ ხსნიან ხოლმე.

გიორგი მარგველაშვილის დასახელებამ ყველას ცდუნება გაუღვიძა. მათი აზრით, ბიზნესის გაკეთების შანსები გაიზარდა, იქიდან გამომდინარე, რომ მარგველაშვილს შეიძლება გაუჭირდეს. ასეთი აზრი კი სწორედ დასახელებულმა ფიგურამ შექმნა – ურეიტინგოა და სუსტი. შესაბამისად, კონკურენციაც შესაძლებელია, ასეთია დასკვნა.

ნინო ბურჯანაძეს ჯერ საკუთარი კანდიდატურა არ წამოუყენებია, თუმცა, მისი გარემოცვა უკვე მეორე ტურს წინასწარმეტყველებს. ბურჯანაძეს პოლიტიკური ინტერესები უფრო აქვს, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე. ვინ იქნება ბიზნესპროექტი, ამაზე ჯერ საუბარი ნაადრევია.

გიორგი მარგველაშვილს ბიძინა ივანიშვილი უალტერნატივო ფიგურად მიიჩნევს. მისი განმარტებით:

– ჩვენ ერთიანი პოზიცია გვქონდა და ერთიანად ყველამ მხარი გიორგი მარგველაშვილს დაუჭირა. ჩემი აზრით, მას ყველა თვისება აქვს, იყოს კარგი პრეზიდენტი. ჩემი აზრით, ეს არის საუკეთესო და იდეალური ვარიანტიც კი.

იდეალური ვარიანტი, რა თქმა უნდა, ირაკლი ალასანია იქნებოდა. ეს ესმის ყველას, ვინც პოლიტიკოსია. ბიძინა ივანიშვილი აღიარებს, რომ მას პოლიტიკური ინტერესები არ გააჩნია. ფიქრობს, რომ შვიდი მილიარდი აძლევს იმის ფუფუნებას, რომ საკუთარი ინტერესები გაითვალისწინოს და პოლიტიკოს ალასანიას მეგობარი მარგველაშვილი არჩიოს.

ალასანიას გამოჩენას საპარლამენტო მარათონზე რეალისტები აღარ ელიან, რომანტიკოსებს იმედი კიდევ აქვთ. სხვათა შორის, მას ახლა ისევე ურჩევენ გადადგომასა და ოპოზიციაში წასვლას, როგორც თავის დროზე ნინო ბურჯანაძეს ურჩევდნენ. 2007 წლის ნოემბერში, მაშინ როცა ბადრი პატარკაციშვილმა სერიოზული საპროტესტო ტალღა ააგორა, ბურჯანაძეს ოპოზიციაში გადასვლა შესთავაზეს. თუმცა, სააკაშვილთან დარჩა. ბევრი მიიჩნევს, რომ მაშინ ნინომ საკუთარი რეალური შანსები ხელიდან გაუშვა. შესაბამისად, ზოგიერთი, ალბათ, ფიქრობს, რომ ახლა ასეთივე შანსებს ხელიდან ალასანია უშვებს. ამიტომ მაინც იმედოვნებენ, რომ თავდაცვის მინისტრი გადადგება, ოპოზიციაში გადაინაცვლებს და მარათონზე გავა, პარლამენტსგარეთ დარჩენილ საკმაოდ ჭრელ ელექტორატს გააერთიანებს, მარგველაშვილს დაამარცხებს, მერე ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს და საქართველო გაბრწყინდება... მოკლედ, ამ რომანტიკოსებს რომ თავი დავანებოთ და რეალობაში დავბრუნდეთ, ქალებს შორის ბრძოლა უკვე დაიწყო.

**„ზურაბიშვილი ჩვენი ერის მეორე ტრაგედიაა, ჯერჯერობით კრიტიკისგან თავს შევიკავებ... როცა ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა გამძაფრდა, ზურაბიშვილმა ქუდი დაიხურა და გაეროში წავიდა“**

ისე, სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური გაკვეთილიც გასათვალისწინებელია. საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი რომ ჩამოართვეს, ის ყველაზე რეიტინგული ფიგურა გახლდათ და პირველად სწორედ მან შეკრიბა სააკაშვილის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი მიტინგი. თუმცა, ისეთ გარემოცვაში მოხვდა, რომ მისი რეიტინგიდან თითქმის არაფერი დარჩა.

სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას ამჯერად არასაპარლამენტო პარტიების ის ნაწილი განიხილავს, ვინც ნინო ბურჯანაძის გვერდით დგომას არ აპირებს. მარგველაშვილს საზრუნავი არა აქვს, მას ფინანსებიც ექნება, სახელისუფლებო რესურსებიც და მთავარი პოლიტიკური ჯოკერი – ბიძინა. ქალებს კი გვარიანად მოუწევთ გარჯა საიმისოდ, რომ ფინანსებიც სერიოზული მოიზიდონ და პოლიტიკური ფიგურებიც დააინტერესონ საკუთარი პერსონით.

ბრძოლა ჯერ ქალებს შორის დაიწყო. „სახალხო კრების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ელიზბარ ჯაველიძემ სალომე ზურაბიშვილს ერის ტრაგედია უწოდა:

– სალომე ზურაბიშვილი ჩვენი ერის მეორე ტრაგედიაა, ჯერჯერობით კრიტიკისგან თავს შევიკავებ... როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა გამძაფრდა, სალომე ზურაბიშვილმა ქუდი დაიხურა და გაეროში წავიდა, თავის საქმეს მიხედა, თავი გაარიდა დაძაბულ ვითარებას...

საინტერესოა, რომ ბურჯანაძის გარემოცვა რესპუბლიკელებს აბრალებს ბიძინას მხრიდან ნინოს დაბლოკვას.

მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილის კანდიდატურაზე მთლიანად ივანიშვილმა აიღო პასუხისმგებლობა და განაცხადა, რომ ეს მისი ინიციატივა იყო და კოალიციამ გაიზიარა, შეთქმულების თეორიის მთავარი გმირები მაინც რესპუბლიკელები აღმოჩნდნენ.

ივანიშვილმა საპრეზიდენტო მარათონზე არც ერთი ის ქალი არ დაიყენა, რომელიც ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მესამე ძალად გამოაცხადა. საუბარია ბურჯანაძე-ზურაბიშვილსა და ჟურნალისტ ინაშვილის უკან მდგარ პოლიტიკური ძალაზე. თუმცა, როცა საკუთარი კოალიციის კანდიდატურა წარადგინა, გაკვირვებულმა იკითხა: სხვა პოლიტიკური გუნდის წევრი რაში გვჭირდებოდაო? დაახლოებით ასე ჟღერდა პრემიერის ფრაზა. სალომე ზურაბიშვილი გუნდშიც არ მიიღო.

ლოგიკურია. სალომე ზურაბიშვილი ვადამდელ არჩევნებს ემხრობა და ამ თავისი რადიკალური განცხადებით (რაც, სხვათა შორის, მის დიპლომატიურ იმიჯზეც ცუდად აისახება) მესამე პოლიტიკურ ცენტრში განლაგებულ პოლიტიკურ პარტიებს უახლოვდება. ვადამდელ არჩევნებზე არასოდეს არაფერი უთქვამს ბიძინა ივანიშვილს, მინიშნებითაც კი. შესაძლოა, ესეც რესპუბლიკელებს დაბრალდეთ (ბოლოს და ბოლოს, ერთი ბრალდება იქით, ერთი ბრალდება აქეთ), მაგრამ რეალურად პრემიერი ვადამდელი არჩევნებისთვის განწყობილი არ არის.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მარათონი – 2013

# ვისთვის პოლიტიკა, ვისთვის ბიზნესი და ვისთვის სანახაობა



**„მას ყველა თვისება აქვს, იყოს კარგი პრეზიდენტი. ჩემი აზრით, ეს არის საუკეთესო და იდეალური ვარიანტიც კი“**

## სალომე

ზურაბ ჟვანიამ აღმოაჩინა, მიხეილ სააკაშვილმა ქართულ პოლიტიკაში შემოიყვანა, ნინო ბურჯანაძემ გადააყენა და ქართულმა ოპოზიციამ მის პოლიტიკურ კარიერას ბოლო მოუღო. ოპოზიციაში არჩევანის გაკეთებაც უჭირდა. როცა ალასანიასა და ბურჯანაძის გზები გაიყო, თქვა: ალასანიასთან ვდგავარ და მხარს ბურჯანაძეს ვუჭერო. ნინო ბურჯანაძესთან ერთად აწყობდა სირცხვილის დერეფნებს, კარვების დადგმის მომხრე იყო და „ძიალოგის“ (მისი ტერმინია) მოწინააღმდეგეც გახლდათ. ანუ ის რადიკალიზმში ნინო ბურჯანაძეს ჰგავს. შესაბამისად, მათი პოლიტიკური განცხადებებიც დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ორივე ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, სამართლიანობის აღდგენას, ანუ წინა ხელისუფლების დაჭერას, და საკუთარი თავი წარმოუდგენიათ ყველაზე ღირსეულ კანდიდატებად.

პოლიტიკურ სიმბოლოებს, როგორც ჩანს, ყურადღებას აქცევს. ამიტომაც, როცა საკუთარი თავი თავადვე აკურთხა საპრეზიდენტო კანდიდატად, თავისი წინაპრის, ნიკო ნიკოლაძის ძეგლთან იდგა. ამით მას სურდა, ხაზი გაესვა საკუთარი ეროვნულობისთვის. „ვფიქრობ, დამოუკიდებელ კანდიდატურაზე“, – თქვა მან.

მანამდე ორჯერ შეხვდა ივანიშვილს. თავად პრემიერის განმარტებით:

– ის არ არის ჩვენი გუნდის წევრი, შესაბამისად, სხვა გუნდის წევრზე ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას. ის თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში. მას აქვს უფლება, როგორც მას სურს, ისე განიხილოს საკუთარი თუ სხვისი კანდიდატურა.

ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ მისი პლუსი მისივე ნეიტრალიტეტშია:

– ახალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს არანაირი გუნდის წარმომადგენელი. ერთადერთი გუნდი ვიცი მე – ეს არის საქართველო. მე ვისურვებდი, რომ მომავალი პრეზიდენტი იყოს სრულიად საქართველოს პრეზიდენტი...

როგორც ჩანს, მას მომხრეები კოალიციაშიც ჰყავდა. მაგალითად, იგივე ეკა ბესელია.

– როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატად ქალის დასახელების შესახებ ვსაუბრობდი, სალომე ზურაბიშვილს ვგულისხმობდი. სალომე ზურაბიშვილს დიდ პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ საუკეთესო დიპლომატი და პოლიტიკოსია.

რატომ არის ეკა ბესელიასთვის ვადამდელი არჩევნები მისაღები ან ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა (რასაც ზურაბიშვილი აყენებს), საუკეთესო დიპლომატია, ძნელი სათქმელია. ეგ იგივეა, რომ საუკეთესო იურისტი უწოდო პირს, რომელიც 21-ე საუკუნეში ყველა დანაშაულზე სიკვდილით დასჯას მოითხოვს.



**ვინ გამოჩნდება კიდევ საარჩევნო მარათონზე და რა სიურპრიზები გველის, ჯერ ძნელი სათქმელია**

ეს შეიძლება გემოვნების საკითხია. ბესელიას გემოვნებაში კი ზოგჯერ კრიმინალებიც პოლიტპატიმრები ხდებიან. თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა.

ძნელი სათქმელია, რამდენად ცდილობდა ზურაბიშვილის ლობირებას კოალიციაში ბესელია. თუმცა, პრემიერი სალომეს ორჯერ შეხვდა. პირველი შეხვედრის შემდეგ კულისებში ითქვა: სალომე ფავორიტიაო. მაგრამ ეს მოლოდინები გადაჭარბებული აღმოჩნდა.

რომელი პოლიტიკური ძალები დაუჭერენ მხარს სალომე ზურაბიშვილს, ჯერ უცნობია. არასაპარლამენტო პარტიებში ახლა დიდი კონკურენციაა, ვინ დადგება ბრძოლისა და სიცოცხლისუნარიანი ფიგურების გვერდით. ერთ-ერთ ასეთად ზურაბიშვილი განიხილება. ვადამდელი არჩევნები პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიებისთვისაც აქტუალურია.

ჯერ არავინ აქცევს ყურადღებას კონსტიტუციას, რის მიხედვითაც სალომე შესაძლოა საპრეზიდენტო მარათონზე ვერც გავიდეს.

ინფორმაციისთვის: საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც „საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში“.

საქართველოს კონსტიტუცია ასევე ამბობს, რომ პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეცაა.

სალომე ზურაბიშვილს ორმაგი მოქალაქეობა აქვს – საფრანგეთისა და საქართველოს. ამასთანავე, მან საქართველო 2010 წლის ნოემბერში დატოვა. ოპოზიციაში ხუთწლიანი ყოფნის შემდეგ „საქართველოს გზის“ ლიდერმა ქართული პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განაცხადა. მუშაობა დაიწყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ირანის საკითხებზე შექმნილი ჯგუფის ხელმძღვანელად. როგორც ითქვა, რუსეთის კვოტით.

## ნინო

მასზე თქვეს, რომ უბრალოდ გაუმართლა. იმიტომ კი არა, რომ ღმერთმა იღბალი მისცა, არამედ იმიტომ რომ ბურჯანაძის ოჯახში ვაჟი არ დაიბადა, თუმცა, ესეც ერთგვარი იღბალია. ბურჯანაძეს რომ ძმა ჰყოლოდა, ძნელი სათქმელია, ვინ იქნებოდა ის დღეს. მაგრამ ოჯახმა სწორედ ერთადერთ ქალიშვილში ჩადო ყველა ინტერესი, მათ შორის პოლიტიკურიც. შესაძლოა, სწორედ ამ „ზეწოლის“ გამო ვერ შედგა ის პოლიტიკოსად, ოჯახის ინტერესებს უფრო იცავდა პოლიტიკაში, ვიდრე პოლიტიკურ ღირებულებებს; პოლიტიკაში ქალის ხასიათს უფრო ამჟღავნებდა, ვიდრე პოლიტიკოსის... მოკლედ, მასზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას.

პოლიტიკაში საკუთარმა მამამ დაალობირა შევარდნაძესთან, პოლიტიკური კრიზისის დროს ჟვანიამ მისგან ფიგურა შექმნა. რაც მარტო დარჩა, მისი რეიტინგი სერიოზულად დაზარალდა.

შეცდომები ჰქონდა, მაგრამ მაინც ერთადერთია – ასეთი პოზიცია აქვს „სახალხო კრებას“. არასაპარლამენტო პარტიები მიიჩნევენ, რომ ის ახლა რეალურ ალტერნატიულ ძალას შექმნის. ნინო ბურჯანაძე დემოკრატიული ფასეულობებიდან, რომელსაც ის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე წარმოადგენდა, რადიკალურ მეთოდებზე გადავიდა. პარლამენტის სავარძლიდან ის ქუჩის კარავში აღმოჩნდა. მისი ინიციატივით რამდენიმე პროვოკაციაც კი დაიგეგმა, მათ შორის 26 მაისი.

არ არის გამორიცხული, პოლიტიკაში პროვოკაციების სერია გაგრძელდეს, მათ შორის, საარჩევნო მარათონზე და ეს ნინო ბურჯანაძის ფიგურასთან იყოს დაკავშირებული. პროვოკაციები და პოლიტიკური კრიზისების ხელოვნურად შექმნა სწორედ მისი პოლიტიკური ხელწერაა. ბურჯანაძე არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერ მოვა, კრიზისის შემთხვევაში კი შანსი შეიძლება გაუჩნდეს.

## სხვები

ვინ გამოჩნდება კიდევ საარჩევნო მარათონზე და რა სიურპრიზები გველის, ჯერ ძნელი სათქმელია. კულისებში გარკვეულ ფიგურებზე ინფორმაციები ვრცელდება, თუმცა ღიად ჯერ კომენტარებიც კი არ კეთდება. სავარაუდოდ, პარლამენტსგარეთ ნინო ბურჯანაძე უალტერნატივოდ არ დარჩება. მისი უშუალო კონკურენტი მარგველაშვილი კი არა, სალომე ზურაბიშვილი, შალვა ნათელაშვილი, ირაკლი ოქრუაშვილია, რომელზეც ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ აპირებს კანდიდატურის წამოყენებას. ასე რომ, ინტერესი, პოლიტიკური რეიტინგი გააფორმონ, დიდია, ასევე დიდია იმის ცდუნებაც ზოგიერთებისგან, რომ მარათონში დიდი ფული მოჭრან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რას მალავს გამოძიება

## „ივანიშვილს თითქოს ჩეჩნები დაესხმებოდნენ თავს, რადგან ის რუსეთის კაცი იყო. მეორე ვერსიით, სააკაშვილზე უნდა მოეწყოთ ვითომ თავდასხმა, რომ მერე ივანიშვილისთვის დაებრალებინათ“





# EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

**ლაფანყურის საქმის ძიება ჯერ არ დასრულებულა. სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების წევრები სიმართლის დადგენას ითხოვენ. დუისში, მერაბ მარგოშვილის ოჯახში ჩვენ ოთხი გარდაცვლილის მშობელს შევხვდით და ვესაუბრეთ. ბუნებრივია, მკითხველსაც დაწვრილებით ვუამბობთ იმის შესახებ, რაც მათგან შევიტყვეთ. თუმცა, აქვე შეგახსენებთ, რომ შეხვედრა ექსპერტიზის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე შედგა.**

**გურამ ბალაკაშვილი, ბაჰაუდინ ბალაკაშვილის მამა:**

– ჩეჩნეთში მეორე ომის შემდეგ საქართველოში ვცხოვრობდით. ჩემი შვილი ავსტრიაში დაახლოებით 5 წლის წინათ წავიდა. მოიყვანა ცოლი, ჰყავდა 3 შვილი. ჩვენ მერე გავემგზავრეთ.

**– იქ რას საქმიანობდა?**

– თავიდან პატარა ტრაქტორზე იჯდა, რომლითაც თოვლს ხვეტავდა. მერე, რაკი ენა არ იცოდა, სამსახურის შოვნა გაუჭირდა.

**– საქართველოში როდის წამოვიდა და რა მიზნით?**

– ივლისში წამოვიდა. გვითხრა, რომ მარხვას აქ, ნათესავებთან შეინახავდა. თავის დასა და დისშვილებსაც დაუკავშირდა. ისინიც წავიდნენ საქართველოში. ყველა ერთად იყო. ჩვენ გვიკავშირდებოდა. ერთხელაც გვითხრა, სამ დღეში ჩამოვალო, მაგრამ იმ სამ დღეში ლაფანყურში აღმოჩნდა.

**– ეჭვი გაგიჩნდათ რამეზე? ვთქვათ, რუსეთში აპირებდა გადასვლას?**

– არაფრის ეჭვი არ გვქონდა. მორწმუნე ბიჭი იყო. 7 წლიდან ლოცულობდა. გულში რას ფიქრობდა, არ ვიცი, მაგრამ ჩვენთვის არაფერი გაუმხელია. 29 აგვისტოს ცოლმა გამაღვიძა, „მეცხრე არხი“ გადმოსცემდა ლაფანყურის ამბებს. მითხრა, ნახე, რა ხდებაო. საქართველოდან დაგვირეკეს და გვითხრეს, ამბობენ, რომ ორი ბაჰაუდინია გარდაცვლილიო. სანამ ჩემი შვილის სურათი არ ვნახე, არ დავიჯერე, რომ შეიძლებოდა ერთ-ერთი ის ყოფილიყო. მერე, სანამ ჩემი ორი ბიჭი



გურამ ბალაკაშვილი

> **„ბაზაზე რომ ამზადებდნენ, ნამდვილად ვიცი. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი“**

არ წავიდა საქართველოში, დასამარხად არ გადმოგვცეს ცხედარი.

**– ავსტრიაში მას ვინ დაუკავშირდა, რომ საქართველოში ჩამოსულიყო?**

– არავინ მინახავს მასთან მისული. აეროპორტშიც გავყევით. თუ თვითმფრინავში ელოდა ვინმე, არ ვიცი. ახლა ათას ამბავს ყვებიან ლაფანყურში მომხდარ ამბებზე. ზუსტად არაფერი ვიცი. ახლა რომ ჩამოვედი, ხელისუფლებიდან რამდენიმე კაცი დამხვდა აეროპორტში. ორ დღეში კონტრდაზვერვაში დამიბარეს და დამკითხეს.

**– ექსპერტის ჩართვას რატომ ითხოვთ? ამ გამოძიებას არ ენდობით?**

– მინდა, რომ ყველაფერში დავრწმუნდეთ, რომ მკვდარი კიდევ არ გაგვიხდეს ამოსათხრელი.

**ასლოდინ ალდამოვი, ბაჰაუდინ ქავთარაშვილის მამა (ბაჰაუდინი დედის გვარზე იყო. – მ.ნ.):**

– მე რუსეთის მოქალაქე ვარ. ჩეჩნეთში დავდივარ სამუშაოდ. პერიოდულად ჩამოვდივარ საქართველოში. ბაჰაუდინი აქ დედასთან და მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. 26 წლის იყო. ჩვეულებრივად ცხოვრობდა: ლოცულობდა, ცოტას ხულიგნობდა, მისი ასაკის შესაფერისად. განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა. შარშან 18 აგვისტოს ჩამოვედი. ერთ ღამეს ადრე დავწექი დასაძინებლად. დილით ცოლმა მითხრა, ბიჭი ბაჰაუდინ ბალაკაშვილის გასაცილებლად წავიდა და არ დაბრუნებულაო. ვრეკავდით და არ გვპასუხობდა. მესამე დღეს აქაური ჯამაათის წარმომადგენლები მოვიდნენ, რაღაც ამბავია ლაფანყურში, შენი შვილი გარდაიცვალაო. მათ ინფორმაცია უკვე ჰქონდათ. საიდან ჰქონდათ, ეს კიდევ სხვა თემაა. ისინი წინა ხელისუფლების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ. მე მთხოვეს, საფლავის გათხრის უფლებას მოგვცემო? უარი ვუთხარი, ჯერ არავინ იცის, ჩემი შვილი მკვდარია, თუ არა-მეთქი. თან არ მინდოდა ოჯახში ქალებს გაეგოთ. მერე ტელევიზორში ვნახე და ვიცანი. სახეზე გადაფარებული ჰქონდა, მაგრამ მაინც ვიცანი. მერე რომ მოვითხოვე ცხედარი, უკვე აღარ იძლეოდნენ. ვაჭრობა დაიწყეს.

**– რა ვაჭრობა?**

– ჯერ არჩევნები მორჩესო. მერე აქაური ჯამაათის ხალხმა ორთაჭალაში წაგვიყვანეს. იქ გია ლორთქიფანიძე და სანდრო ამირიძე შეგვხვდნენ. კიდევ იყო მესამე, გვითხრეს, იუსტიციის სა-



ასლოდინ ალდამოვი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლაფანყურის საქმეში?

მინისტროდან არისო. იქ დაგვარიგეს, ჟურნალისტებმა არ უნდა გაიგონ, ჩუმად უნდა დამარხოთო. მაშინ სააკაშვილმაც ისეთი განცხადება გააკეთა, რომ შოკი მივიღეთ. ვინ იფიქრებდა, რომ ასე მოიტყუებოდა? ბაჰაუდინ ბაღაკაშვილი არ გამოგვატანეს, მძევლად დაიტოვეს. ალბათ, აინტერესებდათ, რამდენად შევასრულებდით პირობას. ღამის ოთხი საათი იქნებოდა, დუისში რომ ჩამოვასვენეთ მიცვალებულები. ვაჰაბისტებსა და პოლიციელებს გადაკეტილი ჰქონდათ ყველაფერი. ამ ყველაფრის შემდეგ შევიტყვე, რომ თურმე გადარჩენილებიც ყოფილან.

**– ვისგან შეიტყვეთ?**

– ჩვენი სამხარეოს კონტრდაზვერვის უფროსს, სანდრო ამირიძეს შევხვდი. ინფორმაცია უკვე მქონდა, რომ იქ, ხეობაში, ჩეჩნებიც ყოფილან. ამის შესახებ დავუსვი კითხვა. შეშინდა და მითხრა, გადარჩენილებიც ხომ არიან? იმათ ჰკითხე და გეტყვიან, თუ რამეში დამნაშავე ვარო. ის ხალხი საქართველოს ხელისუფლებას თურქეთის გავლით სირიაში გადაუშვია. მე მათ არ შევხვედრივარ და არ მისაუბრია.

**– სადმე ალაპარაკდნენ?**

– ბოლომდე სიმართლეს არავინ ამბობს. როგორც ჩანს, იმ მთავრობასთან პირი ჰქონდათ შეკრული.

**– ჩეჩნები არიან?**

– ერთი ქისტია, ფეხში დაჭრილა. სად წავლენ? ყველაფერი უნდა თქვან, ან საკუთარ თავზე უნდა აიღონ.

**– რა იცით, რისთვის გაკეთდა ეს ყველაფერი?**

– ახლა ახალაიაზე რომ იწმენდენ ხელს, ახალაია ლაფანყურში საერთოდ არ ყოფილა. არჩევნების შემდეგ ის სპეციალურად გააქციეს, რომ მოეკლათ და მისთვის დაებრალებინათ ყველაფერი.

**– აბა, ვისი ბრძანებით გაიხსნა ცეცხლი?**

– მერაბიშვილის. გია ლორთქიფანიძე მერე ყვებოდა, მუხლებზე დაჩოქილი ვიხვეწებოდი, სპეცოპერაცია არ დაიწყოთ-თქო.

**– თქვენი შვილისთვის შეგიმჩნევიათ, რომ სადმე დადიოდა? ხომ ამბობენ, რომ სამხედრო ბაზებზე ამზადებდნენო?**

– ის ერთი კვირა, რაც ერთად ვიყავით, არაფერი შემინიშნავს. შესაძლოა, მანამდე დადიოდა და ქალები ვერ ამჩნევდნენ. თუმცა, ბაზაზე რომ ამზადებდნენ, ნამდვილად ვიცი. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი.

**– სად?**

– კომპიუტერში... გამომძიებელმა მაჩვენა.

**– ამ საქმეს კონტრდაზვერვა იძიებს. გჯერათ ობიექტური გამოძიების?**

– სხვა მიზეზს ვერ ვხედავ... თუ ამათაც იგივე დაიწყეს, რასაც სააკაშვილი აკეთებდა, უკვე სხვანაირად იქნება საქმე.



მალქან ისრაპილოვა

**მალქან ისრაპილოვა, სალამ ზაურბეკოვის დედა:**

– უკვე დიდი ხანია, ვენაში ვცხოვრობთ. სალამი 7 წლიდან თავისუფალ ჭიდაობაზე დადიოდა. 72 მედალი ჰქონდა აღებული. 22 მარტსაც სპორტული ჩანთით გავიდა სახლიდან. მალე შეჯიბრი ექნებოდა და 2 კილო უნდა დაეკლო. მას მერე აღარ მინახავს. რომ არ დაბრუნდა, ძებნა დავიწყეთ. პოლიციის რწმუნებულსაც შევატყობინეთ, მაგრამ ძებნა არ აღძრა. 18 წლის ზემოთ ბიჭი შეიძლება ნებისმიერ ადგილას იყოსო.

**– სალამი რამდენის იყო?**

– ოცის... მოგვიანებით ჩეჩნური არხებით შევიტყვეთ, რომ ბიჭები საქართველოში მიდიოდნენ, რომ მერე იქიდან ჩეჩნეთში გადასულიყვნენ და ჯიჰადი აღესრულებინათ. მე და ჩემი მეუღლე მაშინვე თბილისში გამოვემგზავრეთ. სხვათა შორის, იგივე თვითმფრინავით მოდიოდა მუჰამედ იბრაგიმოვი, მეტსახელად აბუჰამზა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ახმედ ჩატაევიც ავსტრიიდან გაფრინდა. როგორც ჩანს, მათგან შეიტყო ჩემმა შვილმა იმის შესახებ, რომ საქართველოდან შეიძლებოდა ჩეჩნეთში შეღწევა. ჯერ დუისში ჩავედით. მიგვასწავლეს სახლი, სადაც ის სხვა სამ ბიჭთან ერთად ცხოვრობდა. ერთ დილით დავუდარაჯდით, რადგან გვითხრეს, დილაობით სალოცავად მიდიან და მაშინ შეგიძლიათ, ნახოთო. სამი გამოვიდა. ჩემი შვილი კი – არა. როგორც ჩანს, ვიღაცამ შეატყობინა. ეს, ალბათ, აბუჰამზა იქნებოდა. მერე გაირკვა, რომ ის თბილისში წაიყვანეს. ვის არ მივმართეთ და ვის არ ვთხოვეთ დახმარება. პოლიციიდანაც მოვიდნენ, ჩატაევსაც ვესაუბრეთ სკაიპით. დაგვპირდნენ, დეპორტაციას გავუკეთებთ და გამოვუშვებთო. ამ იმედით დავბრუნდი ავსტრიაში. 29 აგვისტოს საქართველოდან იმ ხალხმა დამირეკა, ვინც სალამის ძებნაში მეხმარებოდა და გვითხრეს, რაც მოხდა. ჩამოვედით, რომ ცხედარი მიგველო. უარს გვეუბნებოდნენ. იძულებული გავხდი, ავსტრიის პოლიციისთვის მიმემართა. მათაც გააფრთხილეს აქაური შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომ თუ ცხედარს არ გვაჩვენებდნენ, თავად ჩაერთვებოდნენ საქმეში. შემდეგ კეთილი ინებეს და მაჩვენეს.

**– სად?**

– უპატრონოთა სამარხზე. ორი თანამშრომელი გამოგვაყოლეს. სამოქალაქოებში იყვნენ ჩაცმულნი. გვიკრძალავდნენ ფოტოს გადაღებას და გვემუქრებოდნენ, რომ დეპორტაციას გაგვიკეთებდნენ. თავიდან გაგვაფრთხილეს, რომ ცხედარი საქართველოდან უნდა წაგველო. მერე ისევ გადაიფიქრეს. ერთი სიტყვით, სადღაც აეროპორტისკენ გვატარეს დიდხანს. იმ მინდორში, სადაც თურმე ეს ტრანშეები ჰქონიათ, რაღაც ბუჩქთან მივიდნენ. ამოიღეს და დაიწყეს გათხრა. მიცვალებულები თეთრ ზეწრებში იყვნენ გახვეულნი. სახეზე ბინტი ჰქონდათ გადახვეული. გვითხრეს, შეიხი გვყავდა მოყვანილი და მუსლიმანური წესით დავმარხეთო. ფეხებზე ნომრები ჰქონდათ მიმაგრებული. პირველი მიცვალებული რომ ამოიყვანეს, მიმტკიცებდნენ, შენი შვილიაო. იმას 20-სანტიმეტრიანი წითური წვერი ჰქონდა. ვიუარე, ეს არ იქნება ჩემი შვილი-მეთქი. ისინი კი დაჟინებით ამბობდნენ, მიწა და ნესტი წვერს ზრდისო. ბოლოს ვიცანი, ეს ჯაბრაილ ხაშიევი იყო, იმ სამი ბიჭიდან ერთ-ერთი, რომელიც ჩემს შვილთან ერთად ცხოვრობდა. მეორე იყო დუკვაჰ დოშუევი, რომელიც ლონდონიდან ჩამოუყვანიათ. მხოლოდ მესამეში ამოვიცანი სალამი, მაგრამ დარწმუნებული არც მაშინ ვყოფილვარ, რადგან სახე მიბრტყელებული ჰქონდა და თვალები – ამოვარდნილი. ჩემს შვილს ფეხი 44 ზომა ჰქონდა და შუა თითი განსაკუთრებით გრძელი. ამის შემოწმებაც ვერ მოვახერხე, რადგან ფეხები დაკრუნჩხული ჰქონდა. მერე, ვიფიქრე, ხელზე შრამი აქვს და იმას ვნახავ-მეთქი. ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან დასიებული იყო. ასე რომ, ერთადერთი, რითაც შეიძლებოდა მეთქვა, რომ ის ჩემი შვილი იყო, თმის ფერი გახლდათ და პატარა წვერი. მერე ისევ დახურეს სამარხი, ჩაარჭვეს ბუჩქი და გვითხრეს, არჩევნების შემდეგ მოგვაკითხეთო... ოქტომბერში ჩამოვედი და ისევ მოვითხოვე ჩემი შვილი. ღამის სამ საათზე გადმოგვცეს და დავასაფლავეთ 30 ოქტომბერს.

**– ბოლოს და ბოლოს, როდის შეიტყვეთ, რა მოხდა?**

– დაზუსტებით არც ახლა ვიცი ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 4 თვის წინ ავსტრიაში აბუჰამზა ჩამოვიდა და რაღაცები მიამბო. მაგრამ აქვე ვიცი, რომ მისი ნაამბობი არ არის მართალი. მანამდე დუისშიც ვნახე ერთი გადარჩენილი. მეტსახელად ზუბაირს ეძახდნენ. ეს სექტემბერში მოხდა. ეს ბიჭი პოლონეთიდან იყო ჩამოსული. იმუქრებოდა, გაგვყიდეს და სანამ შურს არ ვიძიებთ, არ მოვისვენებთო. ვიღაც სანდროს ახსენებდა და ზელიმხანს. არ გვიეჭვია, რომ სროლას აგვიტეხდნენ, თავისი მანქანებით შეგვიყვანეს ხეობაშიო. მიამბო, როგორ წავიდნენ ძალოვნებთან მოლაპარაკებაზე ჩატაევი, აბუჰამზა და მანსური. მერე სროლის ხმა მოესმათ, მაგრამ ყურებს არ დაუჯერეს... როდესაც სროლა ატყდა, ზოგი ჩაის სვამდა, ზოგს ეძინა და ზოგიც მორიგეობდაო. მაინტერესებდა, როგორ გადარჩნენ დანარჩენები. მითხრა, ჩვენ მაღალზე ვიყავით და მოვახერხეთ გამოსვლაო. მაგრამ არ მჯერა. ისინი ნაკაწრის გარეშე გადარჩნენ.

**– თქვენ რის ეჭვი გაქვთ?**

– როდესაც ბრძანება გასცეს, იარაღი დაყარეთ, კორიდორს გაგიკეთებთ და იქ გაგიყვანთ, საიდანაც მოხვედითო, ცოცხლად ისინი გადარჩნენ, ვინც ეს გააკეთა. ვინც არ დაუჯერა, ისინი მოკლეს. ახლა ველოდები სამართლიან გამოძიებას. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავიგო, რისთვის მომიკვდა შვილი?



მერაბ მარგოშვილი

**მერაბ მარგოშვილი, ასლან მარგოშვილის მამა:**

– უკვე ბევრისგან შევიტყვე, რომ ამ ხალხს სხვადასხვა ბაზაზე ავარჯიშებდნენ. მალქანმა რომ გიამბოთ აბუჰამზაზე, იმანაც თქვა 5-6 ბაზაზე დავყავდით, მთელი დატვირთვით გვავარჯიშებდნენ, მარშნახტომებს გვაკეთებინებდნენ 24-კილოგრამიანი ტვირთითო.

**– თითქოს 2 კვირა უნდა ჰქონოდათ მომზადება...**

– მარტიდან აგვისტომდე გაუჭიმეს დრო. ხან რას იმიზეზებდნენ, ხან – რას. არჩევნებამდე ორი თვით ადრე ეს ბიჭები ვიღაცას გაუფრთხილებია, ამათ სხვა საქმეში უნდათ თქვენი გამოყენება და ფრთხილად იყავითო.

**– ივანიშვილზე თავდასხმას გულისხმობთ?**

– ეს ერთი ვერსია იყო: ივანიშვილს თითქოს ჩეჩნები დაესხმებოდნენ თავს, რადგან ის რუსეთის კაცი იყო. მეორე ვერსიით, სააკაშვილზე უნდა მოეწყოთ ვითომ თავდასხმა, რომ მერე ივანიშვილისთვის დაებრალებინათ. მესამე ვერსიაც ჰქონდათ – ცხინვალის ახლოს ქართული სოფლების დაწიოკება და მერე ეს რუსებს დაჰბრალდებოდათ. ბიჭებს უთქვამთ, თქვენს შინაურ საქმეებში ჩვენ არ ჩავერევითო. როცა მიხვდნენ, რომ ვერ დაიყოლიებდნენ, სანდრო ამირიძემ და კიდევ სხვებმა, საკუთარი „პიკაპებით“ გადაიყვანეს. მერე მოხდა ის, რაც მოხდა... ვინც გადარჩა, მათ ჩეჩნები სთხოვენ პასუხს. ამ თვეში თურქეთში შარიათი იქნება და იქ მოუწევთ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. ამბობენ, ალყიდან თავად გამოვედითო. 4000-კაციან ალყას იმ პატარა ხეობაში თვითონ როგორ დააღწიეს თავი? გამოდის, რომ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ.

**– ვიცი, რომ იმ ე.წ. მძევლებს შეხვდით...**

– სამი ბიჭის სურათი ვაჩვენეთ – ჩემი შვილის, ბაღაკაშვილისა და ქავთარაშვილის. ვერ იცნეს.

**– ეს რას ნიშნავს?**

– არ არის გამორიცხული, რომ ეს ბიჭები სხვაგან დახოცეს და მერე მიიტანეს იქ, როგორც ჩოხელი და წიკლაური.

**– ხელისუფლებიდან ვინმესთან თუ გქონდათ შეხვედრა?**

– გია ლორთქიფანიძე მოვიდა სოფელში, მშობლებთან უნდოდა შეხვედრა. არავინ გასულა. მერე ვიღაც თავისი ნაცნობები შეუკრებია და დაუწყია მტკიცება, – სააკაშვილის ბრძანებას ვასრულებდი, სპეცოპერაციის დრო მაქსიმალურად გადავწიე, რაც შემეძლოო.

**– ბოლოს და ბოლოს, ვინ დაგეგმა ეს სპეცოპერაცია?**

– რუსულმა და ქართულმა სპეცსამსახურებმა ერთად დაგეგმეს. აქედან რუსებს შეატყობინეს, რომ ჩვენს ბიჭებს 15 ბოევიკი უნდა შეხვედროდა დაღესტნის საზღვართან. რუსებმა ისინი გაანეიტრალეს, ქართულმა სპეცსამსახურებმა კი აქ ჩაატარეს სპეცოპერაცია. თქვენ წარმოიდგინეთ, დაღუპულები არიან ქართველები, ქისტები, ჩეჩნები და ინგუშები. ოთხი ეროვნების ადამიანები. გჯერათ, რომ ეს ლორთქიფანიძემ დაგეგმა?

**– როგორ ფიქრობთ, გამოძიება სიმართლეს იტყვის?**

– მე ვთანამშრომლობ გამოძიებასთან. დიდი იმედი მქონდა, სანამ გამოჩნდებოდნენ დიდი ჩინის ადამიანები...

**– ვის გულისხმობთ?**

– ამას ჯერ არ ვიტყვი... დაიწყეს რაღაცების დამალვა.

**– რას გულისხმობთ?**

– რა უნდა ვიგულისხმო, როცა ჩვენს ექსპერტს არ უშვებენ ექსპერტიზაზე?

**ვნახოთ, რა დასკვნას დადებს ექსპერტიზა. პასუხი, სავარაუდოდ, ორ კვირაში იქნება.**

**„გია ლორთქიფანიძე მერე ყვებოდა, მუხლებზე დაჩოქილი ვიხვეწებოდი, სპეცოპერაცია არ დაიწყოთ-თქო“**

**ახალაია ლაფანყურში არ ყოფილა. ის გააქციეს, რომ მოეკლათ და მისთვის დაებრალებინათ ყველაფერი**

**„მიხეილ სააკაშვილმაც ისეთი განცხადება გააკეთა, რომ შოკი მივიღეთ. ვინ იფიქრებდა, რომ ასე მოიტყუებოდა?“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობ

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**ოზურგეთის რაიონის დაბა ანასეულის მოსახლეობამ ჯერ კიდევ არ იცის იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მათ ემუქრებათ – ამ განცხადებას „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში, ანასეულის კვლევითი ლაბორატორიის ყოფილი თანამშრომელი, პროფესორი დავით ბარათაშვილი აკეთებს. ბარათაშვილი, რომელიც წლების წინ რადიაციული ნარჩენების პრობლემაზე მუშაობდა, ამბობს, რომ ადგილობრივების ჯანმრთელობა საფრთხეშია, რადგან რადიაციული ფონი, იმ ტერიტორიაზე, სადაც მათი საქონელი ბალახობს, დასაშვებს რამდენჯერმე აღემატება. ბარათაშვილის განცხადებით, შარშან, გარემოს დაცვის სამინისტრო სერიოზულად იყო დაინტერესებული ამ პრობლემით, თუმცა მას შემდეგ, რაც ანასეულში ამერიკელი სპეციალისტები ჩამოვიდნენ და ფონი გაზომეს, არაფერი გაკეთებულა.**

ანასეულში, ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან მიმდინარეობდა კვლევა რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებით.

კვლევისას, ძირითადად, ნახშირბადისა და ფოსფორის რადიაქტიური იზოტოპები გამოიყენებოდა, ამიტომ, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ლაბორატორიისთვის ცალკე შენობა აშენდა, რომელიც მოსახლეობიდან დაახლოებით 1 კილომეტრში განთავსდა.

ცდების მიზანი იყო, შეესწავლათ მცენარესა და ნიადაგში მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებები შესაძლო ატომური ან ბირთვული დარტყმის შემთხვევაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ცდები შეჩერდა და პროექტი შეწყდა. პროფესორი დავით ბარათაშვილი, რომელიც ანასეულის კვლევით ლაბორატორიაში მუშაობდა, „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ეს ტერიტორია დღესაც საფრთხეს წარმოადგენს, რადგან იქ პირუტყვი შედის და რადიაციული ბალახით იკვებება, რაც შემდეგ ადამიანებს უქმნის საფრთხეს, რძის პროდუქტების და ხორცის საკვებად გამოყენების შემთხვევაში.



**ასეთი მომატება რადიაციული ფონისა, არის პრობლემატური, რადგან მოსახლეობისთვის საფრთხეს წარმოადგენს, იმდენად, რამდენადაც გამომწვევია მთელი რიგი დაავადებებისა, მათ შორის, პირველ რიგში, ჩიყვის, კიბოს და ლეიკემიის**

## რა ინფორმაციას ინახავს მეცნიერ შუვალოვის გრიფით საიდუმლო ნაშრომი



**დავით ბარათაშვილი:** „ადგილი, სადაც რადიოაქტიური კვლევის ლაბორატორია იყო, დღესდღეობით სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მოსახლეობისთვის. ეს ტერიტორია რადიაციულად დაბინძურებულია, იქ რადიაციის ისეთი დოზაა, რომ დიდი ხნით გაჩერება ამ ტერიტორიაზე არ შეიძლება. მოსახლეობამ არ იცის ამის შესახებ. იქ ბალახობს საქონელი, იმ ბალახში არის რადიაცია და ბუნებრივია, გადადის საკვებ პროდუქტებში, რომელსაც საქონლისგან ვიღებთ. არის ჩაის პლანტაციებიც, თუმცა უფრო მოშორებით. იქ, სადაც ეს ლაბორატორია იყო, დაახლოებით 50 მეტრის რადიუსში ძალიან მაღალი რადიაციაა. ეს ტერიტორია აბსოლუტურად დაუცველია, ადრე შემოღობილი იყო, მაგრამ ღობე მოიპარეს და ახლა საქონელი იქ ჩვეულებრივად გადადის. გადაწყვეტილება დეზაქტივაციის შესახებ მიღებულია. შარშან აქ ამერიკელები იყვნენ ჩამოსული, აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს თანამშრომლები და მიიღეს გადაწყვეტილება დეზაქტივაციის შესახებ. უნდა გამოყოფილიყო ამისთვის ფული, მაგრამ, არ ვიცი შემდეგ რა მოხდა, ფაქტია, რომ არაფერი გაკეთებულა. ჯერჯერობით იქ არანაირი სამუშაოები არ ჩატარებულა.

თუ არ მოხდება სრული დეზაქტივაცია, მოსახლეობის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება, იქნება სხივური და ონკოლოგიური დაავადებები. თქვენ რომ გენახათ იქ სპეციალური ხელსაწყოები რამხელა რადიაციას აფიქსირებს, იქიდან მაშინვე გაიქცეოდით და ვინც ამ საქმეში ჩახედული არ არის, მივა იქ და წამოწვება ბუნებაში, შედეგზე კი, ბუნებრივია, არ იფიქრებს, იმიტომ რომ მან ამის შესახებ არ იცის.

დღეს ეს ტერიტორია არის აგრარული უნივერსიტეტის და პასუხისმგებლობაც მას აკისრია, რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთან ერთად, რადგან სახელმწიფოც ჩართულია ამ საქმეში. ამაზე პასუხისმგებლობა აკისრია გარემოს დაცვის სამინისტროს. ისინი საქმის კურსში არიან იმ ვითარების შესახებ, რაც ანასეულის ლაბორატორიის ტერიტორიაზეა შექმნილი. გარემოს დაცვის სამინისტრო შარშან იყო ჩამოსული ამერიკელებთან ერთად და ყველაფერი გაზომეს. აიდაჰოს შტატის უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ და გაგიჟდნენ, როცა ნახეს რადიაციის რამხელა მაჩვენებელი იყო ადგილზე. მაშინ მითხრეს, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება ამ ტერიტორიის დეზაქტივაციის, ანუ უნდა მომხდარიყო დამარხვა, მაგრამ ეს დღემდე არ განხორციელებულა.

აგრარული უნივერსიტეტის რექტორი ლაშა გოცირიძე აცხადებს, რომ ეს ტერიტორია დღეს მართლაც მათ ეკუთვნით, თუმცა ის, რომ იქ არსებული რადიაციული ფონი მოსახლეობას საფრთხეს უქმნის, ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. გოცირიძე ფიქრობს, რომ ახლა ამ თემის წამოწევა აგრარული უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართული შავი პიარია, რომლის უკანაც ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები დგანან.

**ლაშა გოცირიძე:** „რადიაქტიური კვლევის ლაბორატორია იქ არ ყოფილა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რადიაციული დაბინძურება იმ ტერიტორიაზე არ არის. შესაძლოა, ისევე როგორც საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, გარკვეულ უბნებზე იყოს რადიაციული ფონი ოდნავ უფრო მაღალი, ვიდრე სტანდარტია. თუმცა რამდენადაც მე ვარ ინფორმირებული, იქ არც ერთ ადგილას რადიაციული ფონი არ არის მაქსიმალურ ზღვარს ზევით.

**– თუმცა ადგილობრივი სპეციალისტები აცხადებენ, რომ ვითარება რთულია და მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საშიში, თქვენ თუ ჩაატარეთ ამ ტერიტორიაზე რაიმე კვლევა?**

– მე არ ვიცი რატომ აკეთებენ ასეთ განცხადებებს. რა მიზნის მიღწევა უნდათ, არ ვიცი. თუ აქ რადიაციული დაბინძურება როდესმე იყო, ამის თაობაზე ინფორმაცია დღეს კი არა, წლების წინ უნდა გაეჟღერებინათ, თუ ამ ადამიანებს მართლა კარგი საქმის კეთება უნდათ. მე ეჭვი მაქვს, რომ ისინი რაღაცის გამო არიან განაწყენებული, სავარაუდოდ, სამსახურის დაკარგვის გამო და ყველანაირად ცდილობენ შავი პიარით უარყოფითი ინფორმაციის გავრცელებას ინსტიტუტის შესახებ. უკანასკნელი წლების განმავლობაში ინსტიტუტში ტარდება მხოლოდ და მხოლოდ მცენარეთა დაცვის ტიპის კვლევები, რომელსაც არანაირი შეხება არ აქვს რადიაქტიურ ნივთიერებებთან და, აქედან გამომდინარე, დაბიძნურების არანაირი კერა არც შეიძლება ბუნებაში არსებობდეს. ეს არის შავი პიარის ნაწილი. ის, რომ ტერიტორია შემოღობილი არ არის, ეს არავისთვის გასაკვირი არ არის, რადგან იქ შემოღობვის აუცილებლობა არც იდგა არასოდეს. ამის აუცილებლობა რომ ყოფილიყო, ეს წლების წინ გაკეთდებოდა. ეს დღეს არის საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში შემავალი ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტი“.

გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების თავმჯდომარე „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ თუ ანასეულში ჯერ კიდევ არ მომხდარა ნარჩენების ნეიტრალიზაცია, ის მოსახლეობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

**ნინო ჩხობაძე:** „მე ზუსტად არ მახსოვს რა ფონია ადგილზე, მაგრამ ნებისმიერ სიტუაციაში ის მოითხოვს ნეიტრალიზებას. როგორც კი მოხდება ნეიტრალიზება, რისი საშუალებაც დღეს არის, იმიტომ რომ არსებობს მეთოდოლოგია, ტექნიკური საშუალებები, იმ წუთასვე ეს პრობლემა მოიხსნება. მაგრამ ახლა, როცა ასეთი მაღალი რადიაციული ფონია, ნამდვილად არ არის სასურველი ადამიანებისთვის იქ ცხოვრება.

როგორც მე ვიცი გარემოს დაცვის სამინისტრომ დაიწყო იქ მუშაობა და ლიცენზიაც გაცემული იყო პროექტზე, რომელიც სწორედ ამ ნარჩენების ნეიტრალიზაციას ითვალისწინებს. თუ ეს არ განხორციელდა, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია და სერიოზულ პრობლემას ქმნის.

პრობლემა არის ისიც, რომ იქ საქონელი ბალახობს. ზოგადად, ნებისმიერი ასეთი მომატება რადიაციული ფონისა, არის პრობლემატური, რადგან მოსახლეობისთვის საფრთხეს წარმოადგენს, იმდენად, რამდენადაც გამომწვევია მთელი რიგი დაავადებებისა, მათ შორის, პირველ რიგში, ჩიყვის, კიბოს და ლეიკემიის.

შპს „რადიაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლერი მესხი ამბობს, რომ ყოფილი ლაბორატორიის ტერიტორიაზე რადიაციული ფონი ბუნებრივს მხოლოდ ორჯერ აღემატება, რაც საფრთხეს არ წარმოადგენს. მესხის განცხადებით, ის თავად იყო ინიციატორი იმისა, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოში ამერიკელები ჩამოსულიყვნენ და სპეციალური სწავლება ჩაეტარებინათ, რომ შემდეგ ადგილობრივ პერსონალს მოეხდინა ნარჩენების ნეიტრალიზაცია.

**ლერი მესხი:** „ახლა სიტუაცია ნორმალურია, სახიფათო მასზე აღარ ითქმის. ამჟამად, ის ნიადაგი, რომელზეც კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა, აღებულია, იქ იყო დარჩენილი რამდენიმე წყარო და ისიც ამოღებულია.

შარშან ამერიკელებთან ერთად ჩავატარეთ იქ წვრთნები და სამუშაოები. წვრთნა ჩატარდა პერსონალისთვის, ასწავლიდნენ აპარატურასთან მუშაობას, რომ მოეძებნათ ეს ადგილები.

დასვრილი ნიადაგი იყო უშუალოდ იმ ბუნკერის გარშემო, სადაც თავმოყრილი იყო ეს რადიაციული კონტეინერები. ის, საქონლის საძოვარი არ არის.

**– დაცულია ეს ტერიტორია, რომ იქ საქონელი არ მოხვდება?**

– დაცული არ არის ამჟამად. იქ ადრე იყო ღობე, რომელიც მოიპარეს. მაგრამ ამჟამად იქ რადიაციული ფონი, რომელიც ალაგ-ალაგ იყო მომატებული, უკვე აღარ არსებობს.

**– ბოლოს როდის გაზომეთ ადგილზე რადიაციული ფონი?**

**„იმ ტერიტორიაზე არ შეიძლება მოხვდეს პირუტყვი. საერთოდ, ასეთ ადგილებში ხდება პერიმეტრის მონიშვნა და იქ არავითარ შემთხვევაში არ უშვებენ პირუტყვს“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ას რადიაციული ბალახით გამოკვებილი პირუტყვი




## ანასეულის რადიაქტიური ლაბორატორიის ნარჩენებზე ადგილობრივთა პირუტყვი დადის

**„ეს ტერიტორია რადიაციულად დაბინძურებულია, იქ რადიაციის ისეთი დოზაა, რომ დიდი ხნით გაჩერება ამ ტერიტორიაზე არ შეიძლება. მოსახლეობამ არ იცის ამის შესახებ. იქ ბალახობს საქონელი, იმ ბალახში არის რადიაცია და ბუნებრივია, გადადის საკვებ პროდუქტებში, რომელსაც საქონლისგან ვიღებთ“**

– დაახლოებით ერთი თვის წინ.

**– ნორმის ფარგლებში იყო?**

– იცით როგორ არის? როცა რადიაციული ფონი, ბუნებრივზე ორჯერ მაღალია და 50 ერთეულამდე ადის, იქ ჩარევა ზედმეტია, იმიტომ რომ მას ნულამდე ვერ დაიყვან, რადგან დაბინძურება ალაგ-ალაგ რჩება.

**– რამდენჯერ მაღალია იმ ტერიტორიაზე რადიაციული ფონი?**

– ალაგ-ალაგ რადიაციული ფონი ბუნებრივს შეიძლება ორჯერ აღემატებოდეს.

**– ეს არ ქმნის არანაირ პრობლემას?**

– არანაირი საშიშროება არც მოსახლეობისთვის და არც პირუტყვისთვის არ არის. მე თვითონ ვმუშაობდი გარემოს დაცვის სამინისტროში და ჩემი ინიციატივით მოხდა ამერიკელების მოწვევა. მოხდა პროგრამის დაფინანსება, ჩამოვიდნენ ამერიკელები და ჩაატარეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი წვრთნები, იმ პერსონალისთვის, ვინც მონაწილეობას მიიღებდა ამ ტერიტორიის გასუფთავებაში. იქ იყო ბუნკერი, რომელიც განგრეულია და რაც იყო დარჩენილი, ისიც ამოღებულია. იქ რამდენიმე დასახლებაა და გაჰქონდათ იქიდან აგური, ზოგს კონტეინერები, ტყვიებისთვის სჭირდებოდათ, ამიტომ რა არის იქიდან წაღებული, რა რაოდენობის, ეს უკვე აღარ ვიცი“.

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროში გავარკვიეთ, სწორედ ლერი მესხის ორგანიზაციამ გააფორმა ამერიკის ენერგეტიკის დეპარტამენტთან ხელშეკრულება პროექტის დასაწყებად, რომელიც ჯერჯერობით დასრულებული არ არის. გარემოს დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლია ჭელიძე „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ ანასეულის კვლევითი ლაბორატორიის პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია, რადგან პროექტი, რომელიც ამერიკელებმა დაიწყეს, გრძელვადიანია და მისთვის ამ ეტაპზე უცნობია რა პროცესშია ის. ლია ჭელიძე დეპარტამენტში სულ ახლახან მივიდა, ამიტომ ჯერ კიდევ დოკუმენტაციის მიღების და ინფორმაციის შესწავლის პროცესშია. ჭელიძე აცხადებს, რომ ანასეულის პრობლემით სამინისტრო აუცილებლად დაინტერესდება და იქ შესაბამის ღონისძიებებს გაატარებს, რაც უკვე დაწყებული პროექტის მონიტორინგს გულისხმობს.

**ლია ჭელიძე:** „ანასეულის საკითხი უკვე წლებია დღის წესრიგში დგას და ეს არის გრძელვადიანი პრობლემა. ჩვენთვის ცნობილია, რომ იქ იყო ლაბორატორია. საქართველოში მიმდინარეობს ამერიკის ენერგეტიკის დეპარტამენტის პროექტი, ეს არის გლობალური საფრთხის ინიციატივის პროგრამა, რომელიც მუშაობდა უპატრონო და მაღალი აქტივობის კონსოლიდაციაზე და მათ უსაფრთხო მოგროვებაზე და განთავსებაზე. ერთ-ერთი ადგილი, რომლითაც ისინი დაინტერესდნენ, იყო ანასეულის ლაბორატორია. ამ პროგრამის ფარგლებში დაიდო კონტრაქტი კომპანიასთან, ეს არის რადიაციული უსაფრთხოების და თანამედროვე ტექნოლოგიების ცენტრი, რომლის ხელმძღვანელიც ლერი მესხია. სწორედ მათ აქვთ ხელშეკრულება დადებული ამერიკის ენერგეტიკის დეპარტამენტთან. შემდგომ მოხდა ტერიტორიის შესწავლა, გამოვლინდა, რომ ეს ტერიტორია დაბინძურებულია C 14-ით, მოინიშნა დაბიძნურების კერები, დანარჩენი მათი აქტივობა ჩვენთვის არ არის ცნობილი. ჩვენ ახლა ვართ გადმოსვლის პროცესში, მე ახლახან დავინიშნე და სამწუხაროდ, არ ვიცნობ დეტალებს. აუცილებლად გავეცნობი და ჩვენი სამსახური ჩაატარებს მონიტორინგს. ეს არის მიმდინარე პროექტი და ჩვენ აუცილებლად მოვახდენთ მათ მიერ ჩატარებული სამუშაოების მონიტორინგს, რაც ასევე რადიაციული უსაფრთხოების შეფასებას გულისხმობს. რა თქმა უნდა, ჩატარდება ინსპექცია. ჩვენ ამ დეტალებში გავერკვევით მაშინვე, როცა დავიწყებთ მუშაობას.

**– როგორც ცნობილია, ეს ტერიტორია აგრარულ უნივერსიტეტს ეკუთვნის...**

– არ ვიცი, ჯერჯერობით დეტალებში გარკვეული არ ვარ.

**– უნდა იყოს თუ არა შემოღობილი ლაბორატორიის ტერიტორია, მით უმეტეს თუ იქ ქართულ-ამერიკული პროექტი ხორციელდება და ჯერ დასრულებული არ არის?**

– იმ ტერიტორიაზე არ შეიძლება მოხვდეს პირუტყვი. საერთოდ ასეთ ადგილებში ხდება პერიმეტრის მონიშვნა და იქ არავითარ შემთხვევაში არ უშვებენ პირუტყვს. როგორც ჩემთვის ცნობილია, იმ ბუნკერის კონსერვაცია მოხდა, თუმცა დეტალური ინფორმაცია არ არის ჩემთვის ცნობილი, ამისთვის ჩვენ აუცილებლად ჩავალთ ადგილზე და გავეცნობით სიტუაციას“.

სანამ გარემოს დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი ვითარებაში გაერკვევა, მასალის ძიებისას ჩვენ ამ თემის ერთ საინტერესო დეტალს წავაწყდით. როგორც ირკვევა, ათეული წლების წინ, ანასეულის ლაბორატორიაში ცდებზე მეცნიერ-მუშაკი იური შუვალოვი მუშაობდა. ცდების მიზანი შესაძლო ატომური ან ბირთვული დარტყმის შემთხვევაში მცენარესა და ნიადაგში მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებების შესწავლა იყო. შუვალოვი ანასეულში სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა, რომელიც გრიფით - საიდუმლო მომზადდა. იური შუვალოვი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. გარდაცვლილია ასევე მისი მეუღლეც, რომელიც ყველაფრის საქმის კურსში იყო და მეცნიერს ცდების ჩატარებისას ეხმარებოდა.

ასევე არსებობს ინფორმაცია, რომ რადიაციული ნარჩენები, რომელიც ანასეულში სპეციალურ კონტეინერში ინახებოდა, მოგვიანებით, მცხეთის რადიაციულ სამარხში გადაიტანეს, თუმცა ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტაცია არ მოიპოვება. ამიტომაც ადგილობრივ სპეციალისტებს ეჭვი აქვთ, რომ ნარჩენები ანასეულის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ რჩება, რასაც, მათი თქმით, რადიაციის მაღალი მაჩვენებელი ადასტურებს.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა სქემას უშიფრავენ „პ

მარიამ ნადირაძე

**სოფლის მეურნეობის სამინისტროზე პროკურატურის შეტევა ბევრმა ივანიშვილის ხელისუფლების ობიექტურ მართლმსაჯულებას მიაწერა, ზოგსაც ამ ზღაპრების არ სჯერა და ბიზნესის ხელახალი გადანაწილების ფარგლებში დაუწყო ვერსიებს ძებნა. ამ ვერსიის მომხრეები უკვე ახალი „ბიზნესგამანაწილებლებისკენ“ იშვერენ ხელს, რომელთა შორის კვლავ და კვლავ მთავარი პროკურორის მოადგილის ლაშა ნაცვლიშვილისა და შინაგან საქმეთა მინისტრის უკვე ყოფილი მოადგილის, გელა ხვედელიძის ინტერესებს ხედავენ. რა კავშირშია ეს ტანდემი ტრაქტორების შესყიდვასთან? – ამ ვერსიის მხარდამჭერები გამოძიების ინტერესებზე მიუთითებენ, რომელიც ცალსახად „ჯითი გრუპის“ ინტერესების გატარებასა და დაცვას ცდილობს. ამ საქმის გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროში სწორედ ხვედელიძის დაქვემდებარებაში გახლდათ, გენერალურ პროკურატურაში კი – ლაშა ნაცვლიშვილის.**

ალბათ, სჯობს, ქრონოლოგიას მივყვეთ და, რაღა თქმა უნდა, ჩვენს დღევანდელ რესპონდენტს, კომპანია „ზეტორის“ დაპატიმრებული ქართველი წარმომადგენლის, გია ქაიხოსროშვილის ადვოკატს, კახა ხვისტანს მოვუსმინოთ.

ქრონოლოგია კი ასეთია:

ივანიშვილმა სოფლის მეურნეობის დაპირებული პროექტის ამუშავება, ბუნებრივია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიანდო. ამ მიზნით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დაევალა, შეემუშავებინა მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი. ეს ძირითადად ითვალისწინებდა მიწათმესაკუთრეთა აღწერას კარდაკარის პრინციპით. აღწერის შედეგების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ბარათების, ვაუჩერების დამზადებასა და მათ შესაბამის განაწილებას. საბოლოოდ გადაწყდა 380 მძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა, რომლისთვისაც გამოყოფილი იყო 180 მილიონი ლარი. შეიქმნა კომისია. უნდა დადგენილიყო, რა რაოდენობის, რა სიძლიერის ტრაქტორები იყო საჭირო, შესაბამისი სიმძლავრეებით. კომისიამ გასცა რეკომენდაციები. შემდეგ ჯერი შესყიდვების კომისიაზე მიდგა, რომელიც ყველა მწარმოებელ ქარხანას პირდაპირი წესით დაუკავშირდა, რათა წარმომადგენლობათა ჩარევით და მათი საკომისიოს გათვალისწინებით, ტექნიკის შესყიდვის საფასური, ბუნებრივია, გაიზრდებოდა. შესაბამისად, ქარხნებმაც წარმოადგინეს საკუთარი წინადადებები. სხვადასხვა პარამეტრებს შორის იყო მოთხოვნილი 115 ცხენის ძალის მქონე ტრაქტორები. ასეთი 160 ცალი ესაჭიროებოდა პროექტს. ჩეხურმა კომპანია „ზეტორმა“ წარმოადგინა წინადადება, რომ 117 ცხენის ძალის მქონე ტრაქტორს შპს „მექანიზატორს“ 36 900 ევროდ მიჰყიდდა. უფრო ძვირი იყო გერმანული „კლასის“ ტექნიკა, მაგრამ რაკი პროექტს ასეთ ლოტში 160 ერთეული სჭირდებოდა და „ზეტორს“ მხოლოდ 50-ის მიწოდება შეეძლო, „კლასისგანაც“ მოუხდათ შესყიდვა. ამ ყველაფერზე პრეტენზიები გამოთქვა „ნიუ ჰოლანდმა“, რომელსაც საქართველოში „ჯითი გრუპი“ წარმოადგენს. მათ კომისიისთვის შეთავაზებული ჰქონდა თურქული წარმოების 110 ცხენის ძალის ტრაქტორი 27 850 ევროდ, რაც კომისიამ თავიდანვე გამორიცხა, რადგან დადგენილ პარამეტრებს არ აკმაყოფილებდა. იგივე კომპანიას 115 ცხენის ძალის მქონე იტალიური წარმოების ტრაქტორების შესყიდვაზე კი ფასის გამო ეთქვა უარი – 36900 ევრო. ეს ფასი გერმანულ „კლასთან“ შედარებითაც კი მაღალი იყო.

სანამ გამოძიებამდე მივალთ, დავინტერესდეთ თავად „ჯითი გრუპით“:

გახსოვთ, ალბათ, ყვითელ მიკროავტობუსებთან დაკავშირებული სკანდალი და ისიც, რომ მის მძღოლებს ტრანსპორტის რემონტს „ჯითი მოტორსში“ აიძულებდნენ. ყვითელი სამარშრუტოების უკან კი უგულავასა და უკვე ცნობილი ძმების, შარანგიების ინტერესები ყველასთვის ისედაც კარგად არის ცნობილი. „ჯითი მოტორსი“ მსხვილი ბიზნესჯგუფის „ჯითი გრუპის“ შვილობილი კომპანიაა. „ფორდის“, „ლენდროვერის“, „სუზუკის“ ოფიციალური წარმომადგენლის სტატუსის გარდა, „ჯითი გრუპი“ სურსათისა და სამშენებლო მასალების იმპორტითაც არის დაკავებული. „ჯითი გრუპს“ თბილისისა და ბათუმის მერიის, თავდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების არაერთი მსხვილი ტენდერი აქვს მოგებული. სოფლის მეურნეობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მისი შეთავაზება ჩავარდა.

**თუ იმ მოსაზრებას გავიზიარებთ, რაც უკვე დიდი ხანია, გაჩნდა იმის შესახებ, რომ ნაციონალურ ხელისუფლებას მყარი დასაყრდენი დარჩა პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაშინ ქვემოთ შემოთავაზებული სქემა გამზადებულ ლოგიკას დაექვემდებარება. ამ მოსაზრებას თუ ავუქცევთ გვერდს, ლოგიკა მაინც სახეზეა. ამ ე.წ. ლოგიკის შესახებ კი „პრაიმტაიმს“ დაკავებული გია ქაიხოსროშვილის ადვოკატი, კახა ხვისტანი უამბობს:**

**– გამოძიებას პრეტენზია აქვს კომისიასთან, რომ მან დაალობირა ჩეხური კომპანია და ზუსტად ის პარამეტრები მოითხოვა, რა პარამეტრებითაც უშვებდა ის ტექნიკას...**

– ეს სიცრუეა, რადგან „ზეტორის“ საიტზე თქვენ ნახავთ, რომ მას სხვადასხვა სიმძლავრის ტექნიკის წარმოება შეუძლია.

**– 110 ცხენის ძალისაც, რასაც „ჯითი გრუპი“ სთავაზობდა სააგენტოს გაცილებით იაფად?**

– რა თქმა უნდა. მაგრამ კომისიამ სწორედ ის განსაზღვრა ჩვენი რელიეფის და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, რომ უფრო მაღალი სიმძლავრის ტექნიკა იყო საჭირო. „ზეტორის“ წარმოების ამავე სიმძლავრის ტრაქტორი ბევრად იაფია თურქული წარმოების „ნიუ ჰოლანდზე“, თუკი მოთხოვნილი იქნებოდა დაბალი სიმძლავრე .

**– მაგრამ „ჯითი გრუპს“ აქვს პრეტენზია, რომ ის თურქული ტრაქტორებიც იგივე წარმატებით შეასრულებდნენ იგივე ფუნქციას და ამაში თითო ტრაქტორზე 9 ათასი ევროს დაზოგვა მოხერხდებოდა.**

– ეს სიცრუეა და ამის თვალსაჩინოებისთვის დავესესხები ჩემს კოლეგას, ლაშა სამუშიას და ვკითხავ პროკურატურას: როდესაც „ნივასაც“ შეუძლია ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება, რატომ დადის მთელი პროკურატურა „ტოიოტას“ ჯიპებით. იყიდონ „ნივები“ და ამით ბიუჯეტიდან ძალიან დიდი თანხა დაიზოგება. ამას გარდა, „ზეტორის“ ტრაქტორები წარმოდგენილთაგან ერთადერთია, რომელსაც შეუძლია რეგულარის კლასის დიზელის საწვავზე მინიმუმ 30%-იანი ეკონომიური მუშაობა, რაც მთლიანობაში საწვავის დანახარჯის 50%-მდე ეკონომიის საშუალებას იძლევა. ცხადია, ეს, თავის მხრივ, საწვავზეც დაზოგავდა თანხებს.

**– მაშინ რა ხდება?**

– საქმე ის არის, რომ „ჯითი გრუპი“ კარგავდა მონოპოლიას. გასული წლების სტატისტიკით ის არის ერთ-ერთი ძირითადი იმპორტიორი. ამას ის ცხადად მიხვდა და კონკურენტის ჩამოშორება მოუნდა. მოდით, დავსვათ კითხვა: რატომ არ გამოთქვა მან პრეტენზია გერმანული „კლასის“ მისამართით? მათი ტრაქტორები ხომ გაცილებით მეტი ოდენობით და გაცილებით ძვირად შეიძინა „მექანიზატორმა“ (ეს არის 100 პროცენტით სახელმწიფო წილის შპს. – მ.ნ.)?

**– საინტერესო კითხვაა... გაქვთ პასუხი?**

– გერმანული „კლასი“ მანამდეც იყო ბაზარზე შემოსული და მასთან „ჯითი გრუპს“, სავარაუდოდ, გარკვეული ჰქონდა ურთიერთობა. არავინ იფიქროს, რომ ჩვენ „კლასის“ მიმართ რამე პრეტენზიები გვაქვს. უბრალოდ, ეს ყველაფერი ცხადად აჩვენებს იმას, რომ ვიღაცას ჩეხური კომპანიის შემოშვება არ უნდოდა და ამას ამ ეტაპზე მიაღწია. კიდევ 800 ერთეული ტექნიკაა შემოსა-

**„მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში „ჯითი გრუპი“ თითქმის ყველა ტენდერს იგებდა, რაშიც მონაწილეობდა“**



კახა ხვისტანი

**„რატომ დადის მთელი პროკურატურა „ტოიოტას“ ჯიპებით. იყიდონ „ნივები“, ბიუჯეტიდან ძალიან დიდი თანხა დაიზოგება“**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რაიმტაიმს“ ადვოკატები

## რა კავშირშია ლაშა ნაცვლიშვილისა და გელა ხვედელიძის ტანდემი კირვალიძის სკანდალთან?

# EXCLUSIVE

## „დაკავებულებს სთხოვდნენ, მიეცათ ჩვენებები მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ“



ლაშა ნაცვლიშვილი



გელა ხვედელიძე

ტანი და ამჯერად „ზეტორი“ სწორედ ამ ინტერესის წყალობით თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. როდესაც მის პროდუქციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე და ითვლება ერთ-ერთ ყველაზე საიმედოდ.

**– ბოლოს და ბოლოს, გამოძიებას ხომ უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე – მართლა შეასრულებდა თუ არა თურქული და ჩეხური ტრაქტორი ერთნაირად თავის ფუნქციას?**

– სწორედ ამ პასუხის მისაღებად დაინიშნა ექსპერტიზა და მოიწვიეს სპეციალისტები – ომარ ბედია და შაფაქიძე...

**– ბედია კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის, დათო ბედიას მამაა?**

– ის, პირველ რიგში, აკადემიკოსია და მერეა დავით ბედიას მამა და სოსო ალავიძის ბიძა.

**– მისი მოწვევა რამდენად მიზანშეწონილი იყო გამოძიების მხრიდან? დიდი ალბათობით, ის გამოძიების ვერსიას გაამყარებდა?..**

– მაგრამ საქმე სხვანაირად წავიდა. ამ სპეციალისტებს ტრაქტორები საველე პირობებში კი არ გამოაცდევინეს, არამედ, მხოლოდ ტექნიკური მახასიათებლები მისცეს. ამიტომ გამოიყენეს ე.წ. „გარიაჩკინის“ მეთოდი. ეს კი შემდეგში მდგომარეობს: მარტივად რომ აგიხსნათ, სპეციალისტებს მიეწოდათ გამოსაცდელი ტრაქტორების ტექნიკური მახასიათებლები და განესაზღვრათ, რომელი ტრაქტორი უკეთ შეასრულებდა დაკისრებულ ფუნქციას. დაბუქსავდებოდა თუ არა და ა.შ... გამოძიებამ სპეციალისტებს მიაწოდა არასწორი და არაობიექტური ტექნიკური მახასიათებლები, რითაც თავიდანვე წინასწარ იყო განსაზღვრული არაობიექტური პასუხი, რომ ვითომდა ნაკლები სიმძიმის „ზეტორის“ ტრაქტორი დაბუქსავდებოდა, არადა სიმძიმეცა და სიმძლავრეც „ზეტორის“ ტრაქტორს გაცილებით მეტი აქვს. თუ რატომ გაკეთდა ეს და რა მიზანს ემსახურებოდა, ადვილი მისახვედრია.

**– ე.ი. გამოძიებამ გააყალბა?**

– რა თქმა უნდა. ეს გამოკვლევა, ხოლო შემდგომში ამ კვლევაზე შედგენილი საექსპერტო დასკვნა ამ ხალხის დაჭერის საფუძველი გახდა.

**– მაგრამ საქმეში საკითხი ეხება „ზეტორის“ ლობირებას მაღალჩინოსნების მიერ. ეს სად იკვეთება? სოსო ალავიძეს ამ საქმესთან რა კავშირი აქვს?**

– საქმეში მისი ბრალეულობა არანაირად არ იკვეთება. ბატონი ომარი, ბედია, შეგეცოდებოდათ, ისეთი ზეწოლის ქვეშ ჰყავდა გამოძიებას. საქმეში დევს ამის დამადასტურებელი ფარული სატელეფონო მოსმენები.

**– საბოლოოდ, მაინც ბედიასა და შაფაქიძის ხელმოწერილმა დასკვნამ განსაზღვრა ამ ადამიანების ბედი. მათი დასკვნით, ორივე ტრაქტორს თითქმის ერთნაირად შეეძლო ერთი და იგივე სამუშაოს შესრულება...**

– ეს გამოძიების სურვილი იყო, მაგრამ მათ კატეგორიული დასკვნა მაინც არ გაუციათ და იქვე გასცეს რეკომენდაცია, რომ საჭიროა ტრაქტორების საველე პირობებში გამოცდა...

**– გამოძიებამ ეს რეკომენდაცია დააკმაყოფილა?**

– რა თქმა უნდა, არა... უფრო მეტიც, რაკი გამოძიება ჩემს კლიენტს ექსპერტიზაზე ზეწოლაში ადანაშაულებს, ის სწორედ ამ რეკომენდაციას მიიჩნევს ამ ზეწოლის შედეგად.

**– რეალურად კი ამ დასკვნის საფუძველზე გამოძიებამ სახეზე მიიღო გაფლანგვა, ასეა?**

– დიახ.

**– ჩვენი საუბარი უფრო მეტად ამძაფრებს ეჭვს, რომ გამოძიება „ჯითი გრუპს“ ლობირებს. რა უცნაურია, ამ ჯგუფის უკან ხომ უგულავა და შარანგიები მოიაზრებიან?**

– ამ კავშირზე ვერაფერს გეტყვით. ერთი რამ კი შემიძლია დაგიდასტუროთ, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში „ჯითი გრუპი“ თითქმის ყველა ტენდერს იგებდა, რაშიც მონაწილეობდა.

**– თქვენს კლიენტს მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაშიც სდებენ ბრალს...**

– ეს საერთოდ კურიოზული შემთხვევაა. გამოძიებამ „ზეტორის“ ოფიციალურ ვებგვერდზე ვერ წაიკითხა წარმოებული ტექნიკის მონაცემები და დაასკვნა, რომ მას 100-ცხენისძალიანი ტრაქტორის წარმოება შეეძლო მხოლოდ. შესაბამისად, გია ქაიხოსროშვილთან პრეტენზია გამოთქვა „მექანიზატორის“ ხელმძღვანელობამ. ბატონი გია დაუკავშირდა ჩეხეთში თავის ხელმძღვანელობას და მათ საკუთარ საიტზე ერთ განზომილებაში დადეს მონაცემები, იმისთვის, რომ ქართულ მხარეს შეძლებოდა წაკითხვა. ეს მას მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში ჩაუთვალეს. რა საჭირო იყო საიტის ინფორმაციის შეცვლა, როდესაც ტრაქტორები უკვე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში იყო მიწოდებული და მისი ცხენის ძალის დადგენა მარტივი კვლევით იქნებოდა შესაძლებელი. ამდენად, საამისო არც სურვილი, არც მოტივი და არც შესაძლებლობა გია ქაიხოსროშვილს არ ჰქონია.

**– თქვენი საუბრიდან ირკვევა, რომ გამოძიებისა და „ჯითის“ ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა?**

– ერთი რამ დაზუსტებით შემიძლია გითხრათ: ეს ფაქტი სასამართლოზეც გაჟღერდა, რომ დაკავებულებს სთხოვდნენ, მიეცათ ჩვენებები მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ, რომ ისინი „ზეტორს“ ლობირებდნენ. ზეწოლის ფაქტზე ცალკე დაიწყო გამოძიება და იმედია, ობიექტურად წარიმართება. სხვათა შორის, დღეს გია ქაიხოსროშვილთან ციხეში ვიყავით შესულები. გვერდით ოთახში კი გამომძიებელს ჰყავდა გამოყვანილი „მექანიზატორის“ დირექტორის მოადგილე, თეთვაძე. თავად მოვისმინე, როგორ სთავაზობდნენ, მიეცა მას ანალოგიური ჩვენება. თეთვაძე უარზე იყო – ვერ ვიტყვი, რაც არ ყოფილაო. ამ ფაქტს საეჭვოდ დაემთხვა, რომ სწორედ დღეს „მექანიზატორიდან“ ამოიღეს მთელი ბუღალტრული დოკუმენტაცია. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გამოძიება ცდილობს, იქნებ ვინმე გატეხოს, რომ დაჰყვეს მათთან უკანონო თანამშრომლობას.

**– ვის წინააღმდეგ სთხოვდნენ ჩვენების მიცემას?**

– კონკრეტული სახელი და გვარები ვერ გავარკვიე. ამას გარდა, გამოძიების დაწყების საბაბი, ანუ ანტიკორუფციული სამსახურის მეორე სამმართველოს უფროსის, ბესიკ ველთაურის პატაკი ზუსტად იდენტურია „ჯითი გრუპის“ წარმომადგენლების პრეტენზიებისა სატენდერო კომისიის მიმართ. არის კიდევ ერთი დეტალი: გამომძიებელი წერს, რომ ჩვენთვის ოპერატიული გზით ცნობილი გახდა, რომ ტენდერში მონაწილეობდნენ „ჯითი ჯგუფი“, „თეგეტა ბასი“, „მსოფლიო ტექნიკა“... და იმავე დღეს ამ დასახელებული კომპანიებიდან პირველივე დაბარებულივით იკითხება „ჯითი ჯგუფის“ წარმომადგენელი, თანაც ადვოკატის გარეშე.

**– ეს რაზე მიგანიშნებთ?**

– ძალიან დიდი ალბათობით გამოძიება ამ კომპანიის ინტერესების გამტარებელია და უაპელაციოდ იზიარებს მის ყველა პრეტენზიას. თავადაც იცით, რას მიანიშნებს ეს ყველაფერი.


## შეავსეთ მობილურის ბალანსი თიბისი ბანკის ინტერნეტ ან მობაილ ბანკით სრულიად უფასოდ და ჩაერთეთ საგაზაფხულო აქციაში

ინტერნეტ და მობაილ ბანკი

internet banking

mobile banking

შეავსეთ მობილურის ბალანსი მარტივად და სწრაფად, საკომისიოს გარეშე

0%

თიბისი ბანკი
TBC BANK

227 27 27 | * 27 27
www.tbconline.ge

**თიბისი ბანკში ინტერნეტ და მობაილ ბანკის საგაზაფხულო აქცია გრძელდება. მათთვის, ვინც 31 მაისის ჩათვლით დარეგისტრირდება თიბისი ბანკის ინტერნეტ და მობაილ ბანკზე და შეასრულებს ნებისმიერი 2 ტიპის ტრანზაქციას, მიიღებს 30 წუთ სასაუბრო დროს. აქციაში ჩართული ყოველი მე-100 მომხმარებელი დასაჩუქრდება iPod Shuffle-ით, ხოლო ყოველი მე-1000 iPad Mini-თ.**

**აქციაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა დარეგისტრირდეთ ინტერნეტ ან მობაილ ბანკზე, ხოლო თუ უკვე ხართ რეგისტრირებული და არ სარგებლობთ ამ სერვისით, საჭიროა განაახლოთ პაროლი და განახორციელოთ ნებისმიერი ტიპის 2 ტრანზაქცია აქციის დასრულებამდე.**

**არ დაგავიწყდეთ, თქვენს მობილურ ტელეფონზე თანხის ჩარიცხვა თიბისი ბანკის ინტერნეტ და მობაილ ბანკით სრულიად უფასოა, გარდა ამისა გაქვთ შანსი, გაიმარტივოთ ცხოვრება, მიიღოთ საბანკო მომსახურება თქვენთვის სასურველ დროსა და ადგილზე, ჩაერთოთ აქციაში და მოიგოთ სასიამოვნო პრიზები.**

Ⓐ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI




- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.



## დარეკეთ 114-ზე!

- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

**კატეგორიულად აკრძალულია!**

- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);



- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.



**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვალერი ხაბურძანია ლევან ვასაძის კანდიდატურას მხარს დაუჭერს

**my View**
**თამარ გორთამაშვილი**

უშიშროების ექსშეფი და ქართულ პოლიტიკურ ორბიტაზე, მისივე თქმით, რუსული ორიენტაციით მოვლენილი ვალერი ხაბურძანია დროებით ტაიმ-აუტს იღებს. ხაბურძანია, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში არა ერთ სატელევიზიო შოუსა თუ საგაზეთო ინტერვიუში მისთვის უჩვეულო აქტივობით გამოჩნდა, გელა ხვედელიძესთან დაკავშირებული სკადალის შემდეგ, რუსეთში ბრუნდება. ხაბურძანია ადასტურებს რომ ხვედელიძე თავის დროზე მისი დაწინაურებული კადრია, თუმცა მის დაკავებას და შსს–ში განვითარებულ მოვლენებს საკუთარ პერსონას არ უკავშირებს. ფაქტია რომ ხაბურძანია, ისევე როგორც შს ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძის თბილისში ჩამოსვლა, გელა ხვედელიძის დაკავებას დაემთხვა, ითქვა ისიც, რომ მმართველმა ძალამ ამ ნაბიჯით რუსულ ორბიტაზე გადაბარგებულ ყოფილ ძალოვანებს ოცნების კარი მიუხურა. თავად ვალერი ხაბურძანია ამბობს, რომ საქართველოში, უახლოეს მომავალში, მხოლოდ პირად საკითხებზე ჩამოვა, პოლიტიკურ აქტივობას კი უკვე თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე აპირებს. სწორედ მაშინ ჩამოაყალიბებს საკუთარ პრორუსულ პარტიას, სადაც ყველა იმ ძალას ეპატიჟება, რომლებიც მის ორბიტაზე იქნებიან. სანამ ხაბურძანია თბილისში დაბრუნდება და თავის კონკრეტულ პოლიტიკურ გეგმებს გაგვაცნობს, „პრაიმტაიმს“ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, დასახელებული კანდიდატურების შანსებსა და სექსუალური უმცირესობების მხრიდან პროპაგანდის აკრძალვაზე ესაუბრება.

**ვალერი ხაბურძანია:** „მე წინააღმდეგი ვარ ამ ხალხზე ფიზიკური ზემოქმედებისა, ამ ხალხის ინდივიდუალური დევნის, მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ ერთობლივი გამოსვლების, რომელიც ერთ რამეს ისახავს მიზნად, მოახდინოს მათი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. როდესაც ამ ადამიანებს ისინი თავისუფლების ლოზუნგებით ესაუბრებიან, გამოდიან და დროშას აფრიალებენ. მე მინდა მათ შევახსენო, რომ არსებობს კიდევ ასეთი ცუდი რამ, რასაც ინცესტი ჰქვია. ინცესტის შემთხვევაში ისინი ვერ გაამართლებენ სიყვარულის თავისუფლებას. ამიტომაც მე წინააღმდეგი ვარ და ისინი არ უნდა აკეთებდნენ ამის პოპულარიზაციას. მე წინააღმდეგი ვარ ამ ჯგუფის ყოველგვარი პოპულარიზაციის. პროპაგანდა უნდა აიკრძალოს. მაგალითად, პეტერბურგში ეს აკრძალულია. მაგალითად, იქ ფიქრობენ, რომ ფედერალური კანონი მიიღონ ამის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ და კარგი იქნებოდა, რომ საქართველოშიც ასე მოხდეს. რომელი ნორმალური ადამიანი არ დამეთანხმება ამაში, გარდა იმ ჯგუფებისა, რომლებიც ფინანსდებიან უცხოეთიდან.

**– თუმცა ეს ყველაფერი ჩვენ გვიჭრის გზას ევროპისკენ...**

– თუ მოგვიჭრის, ძალიან კარგი იქნება, მე თუ მკითხავთ. თუ მარტო ეს უშლის ხელს ევროპისკენ ინტეგრირებას, ძალიან კარგი იქნება. თუ ევროპას უნდა, რომ ჩვენ მიგვიღოს როგორც ქვეყანა, რომელიც არ ვცნობთ ისეთ ღირებულებებს, რომლებსაც ისინი აღიარებენ და რომელშიც კარგი არაფერია, ამასთან რელიგიურად დაგმობადია, ასეთ გაერთიანებაში, ევროპაში შესვლაც არ უნდა გვინდოდეს.

საერთოდ, რა ამოძრავებთ ამ ლგბტ ორგანიზაციებს – აქ მატერიალური ფაქტორი ერთ-ერთი მთავარი ნიუანსია. საერთოდ, ასეთი ტიპის ხალხი შემოქმედებითად ძალიან ნიჭიერები არიან და ფულს კარგად შოულობენ. ამ კატეგორიას ყოველთვის ჰქონდა ფული. ესენი ადვილად შოულობენ ფულს, ისინი ადვილად ავლენენ თავიანთ ნიჭიერებას შემოქმედებაში, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები. მე მათი არსებობის წინააღმდეგი არა ვარ. ეს არის მათი ინტიმური სამყარო და რატომ ახდენენ ამის აფიშირებას? პირველ რიგში მეშინია ჩემი შვილების მომავლის. ეს არის მავნე ზეგავლენა, რომ ჩემს შვილებზე ამით შეიძლება გავლენა იქონიოს. არ არის საჭირო ასეთი აქციის მოწყობა, რომ ასეთი ორგანიზაცია არსებობს. ჩვენ ბევრი რამ ვიცით, მაგრამ მიტინგებს ვატარებთ?!

**– რაც შეეხება საპრეზიდენტო მარათონს, როგორ აფასებთ უკვე დასახელებული კანდიდატების შანსებს, მათ შორის მარგველაშვილის?**

– აქ, ზოგადად, საუბარია „ქართული ოცნების“ კანდიდატზე. „ქართული ოცნების“ კანდიდატს, რა თქმა უნდა, შანსები აქვს, ვინც არ უნდა იყოს ის. ზოგადად, „ქართული ოცნება“, რომ მოვაშოროთ, ცალკე მარგველაშვილს შანსი არ აქვს. მაგრამ მარგველაშვილს პლუს „ქართული ოცნება“ მაშინ მას შანსები აქვს.

**– საუბარია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი შეიძლება იყოს ლევან ვასაძე. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად გაუწევს ეს კონკურენციას მარგველაშვილს, რომლის უკანაც „ქართული ოცნება“ დგას. რამდენად არის სერიოზული კონკურენტი ვასაძე?**

– თუ ასეთი შანსი არსებობს, ვასაძის კანდიდატურას მივესალმები. მაგრამ არ ვიცი მას როგორ აქვს საქმე მოქალაქეობასთან დაკავშირებით. თუ ვასაძე დააყენებს თავის კანდიდატურას და ჩვენი პარტიაც იქნება ამ დროისთვის ჩამოყალიბებული, ჩვენ აუცილებლად დავუჭერთ მხარს ვასაძეს. თუ მას ფორმალური წინააღმდეგობები არ აქვს, ჩვენ, რუსული ორიენტაციის ფიგურები, ადამიანები რომლებიც ამ ვექტორზე არიან განწყობილები, მის კანდიდატურას მივესალმებით. მაგრამ ვფიქრობ, რომ მაინც „ქართული ოცნების“ კანდიდატი გავა, რადგან ის ვერ მოასწრებს თავისი თავის გახსნა. ის, ამ თვალსაზრისით, ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა.

**– საუბარია ასევე ნინო ბურჯანაძეზე, რომელიც ასევე სერიოზულად ემზადება მეორე ტურისთვის, რადგან დარწმუნებულია, რომ მეორე ტური იქნება. ნინო ბურჯანაძეს რა შანსები აქვს?**

– ნინო ბურჯანაძეს მეორე ტურის შანსები არა აქვს. თუ მას სხვა გათვლები აქვს, მე ამ გათვლების საფუძველს ვერ ვხედავ.

**– რაც შეგეხებათ თქვენ და თქვენს პარტიას, როდის აპირებთ მის დაფუძნებას?**

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პარტია და აქტიურად დავიწყოთ მუშაობა. ჩვენთან ხომ პარტიები პრინციპში საარჩევნო გაერთიანებებისთვის არიან და არჩევნებისთვის ხდება მათი კონსოლიდაცია. დანარჩენი პარტიის ბირთვი წარმოადგენს სამ-ოთხ კაცს და ამათ მიჰყავთ არჩევნებიდან არჩევნებამდე სიტუაცია. ამიტომაც, ჩვენ მაინც არჩევნებზე ვაკეთებთ ორიენტაციას და განსაკუთრებით ვფიქრობთ თვითმმართველობის არჩევნებზე. ამიტომაც სამი-ოთხი თვე გვეყოფა იმისთვის, რომ პარტიული ჯგუფი ჩამოყალიბდეს და წარმატებას მივაღწიოთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

**– პოლიტიკურ პარტნიორებზე თუ ხართ ჩამოყალიბებული?**

– მე ყველას, ვისაც რუსული მიმართულება აქვს, ვთავაზობ პოლიტიკურ პარტნიორობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით პოლიტიკური პრანჭვის გარდა ვერაფერს ვხედავ ამ ჯგუფებში. ზოგიერთებმა ორიენტაციაც კი შეიცვალეს ამ პერიოდში, მაგალითად, „თავისუფალი საქართველო“ უკვე პროევროპული პარტია გახდა.

**– რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროში განვითარებულ მოვლენებს, კონკრეტულად კი გელა ხვედელიძის დაკავების ფაქტს, რას ფიქრობთ, რა პროცესები მიდის ამ უწყებაში?**

– შიდა დაპირისპირება არსებობს ყველა უწყებაში, ყველა მთავრობაში, სამინისტროებს შორის. მინისტრზეა დამოკიდებული თუ როგორ მოახერხებს ამის ნეიტრალიზებას. მე ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით ღარიბაშვილი ამ სიტუაციას უძლვება. რაც შეეხება გელა ხვედელიძის ინციდენტს, დასანანია, რომ მას ასეთი რაღაც დაემართა.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ ის მარტო მოქმედებდა თუ მის გვერდით იყვნენ ის ადამიანები, რომლებზეც არის საუბარი, იგივე ნაცვლიშვილი, ხუხაშვილი და ა.შ.**

– არა მგონია, მე როგორც ვიცი, საქმე არის პროკურატურაში და მათ უნდა გამოიძიონ. მე ვფიქრობ, რომ ის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მარტო მოქმედებდა.

**– ხვედელიძე თქვენს კადრად მოიაზრებოდა...**

– გელა, ჩემი დაწინაურებულია და ჩემი პერიოდის კადრია.

**– თქვენ მეგობრობდით მასთან?**

– ნორმალური, კარგი ურთიერთობა გვქონდა.

**– ბოლო პერიოდში თუ გქონდათ ურთიერთობა?**

– მას შემდეგ, რაც ხვედელიძე მოხვდა „ქართულ ოცნებაში“ მე მასთან არავითარი ურთიერთობა არ მქონია.

**– თქვენს ბოლოდროინდელ გააქტიურებას უკავშირებენ იმ პროცესს, რომელიც ხვედელიძესთან დაკავშირებით შსს-ში შეიქმნა...**

– რაღაც ლოგიკა დევს ამაში, იმიტომ, რომ რაღაც ფაქტები, შეიძლება ერთმანეთთან იყოს კავშირი, მაგრამ ეს სრული აბსურდია. ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც გელა ხვედელიძეს იღებდა, ძალიან კარგად იცოდა, რომ ის გუბაზ სანიკიძის მეგობარი იყო, ძალიან კარგად იცოდა, რომ ჩემთან მუშაობდა და ხვედელიძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში. ამიტომ გელა ხვედელიძე დაისაჯა კონკრეტული გადაცდომის გამო. ამიტომაც აქ არაფერი, არაფერთან არ უნდა დაკავშირდეს, ეს არის სრული აბსურდი, მით უმეტეს ჩემთან ამ თემის დაკავშირება არ შეიძლება. კიდევ ვიტყვი, გელა ხვედელიძე რაც „ქართულ ოცნებაში“ მოხვდა, ჩემთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა და მე პიროვნულად განაწყენებულიც კი ვიყავი მასზე. იმიტომ რომ მე ვფიქრობ, რომ ადამიანები როდესაც სხვადასხვა პარტიულ გაერთიანებებში ხვდებიან, მეგობრებს და ადამიანურ ურთიერთობებს არ უნდა კარგავდნენ.

**– რაც შეეხება ნაცვლიშვილს და ხუხაშვილს, რა ბრალდებებიც ისმის მათი მისამართით, იგივე ბიზნესის კონტროლთან და ტერორთან დაკავშირებით, რამდენად შესაძლებელია, რომ ამას საფუძველი ჰქონდეს? თქვენ თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას?**

– მე ვარ ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელიც ინფორმაციას ვიღებ, როგორც მომხმარებელი, როგორც ელისო კილაძისგან, ასევე საპირისპირო მხარისგან. მე მაქვს ჩემი დასკვნები და ანალიზები.

**– თქვენი დასკვნით რა მოხდა?**

– არ გავახმაურებ და ჩემთვის დავიტოვებ ამ შემთხვევაში, თუ შეიძლება.

**– მითხარით...**

– მე ვფიქრობ, რომ გარკვეული ბრძოლა მიმდინარეობს გარკვეულ პიროვნებებს შორის და ხდება ცალკეული თემების გაზვიადება ბიზნესის სრულ კონტროლთან დაკავშირებით. თუმცა არც უმაგისობაა, ვფიქრობ, რომ რაღაც ჩარევები მართლაც ხდება, მაგრამ მეორე მხარე აზვიადებს და მიმდინარეობს ჩვეულებრივი ბრძოლა. ასეთი რამ ყოველთვის არსებობს, რაც შეეხება ამ კონკრეტულ ფიგურებს, ისინი თავს იცავენ. თუ შეცდომებს უშვებენ, მერე შეეწირებიან კიდეც ამ ყველაფერს. ჩვეულებრივი პროცესები მიმდინარეობს, განსაკუთრებული აქ არაფარია, ასე ვფიქრობ.

**– ვინმეს ინტერესს ხედავთ?**

– ინტერესი არის ის, რომ ნაცვლიშვილი ძლიერი ფიგურაა პროკურატურაში და ვილაცებს გაუჩნდათ ინტერესი, რომ ის იქიდან მოიშორონ. გია ხუხაშვილი ძლიერი ფიგურაა „ქართული ოცნების“ გაერთიანებაში, ვილაცებს უნდათ, რომ ის მოიშორონ. ეს ყველაფერი პოლიტიკური ცხოვრების თანმდევია. ამაზე მე ჩემი აზრი მაქვს და უფლება მომეცით ჩემი აზრი ჩემთვის დავიტოვო. მე ვფიქრობ, რომ მოხდა თანხვედრა, როგორც „ოცნებაში“ არსებული ჯგუფების, რომლებიც ამ ხალხის წინააღმდეგ მოქმედებს, ასევე გარეთ არსებული ჯგუფების, რომელიც ამ ხალხის წინააღმდეგ მოქმედებენ. უბრალოდ, მოხდა მათი ინტერესების თანხვედრა და შეიძლება ორივე მხარისგან იყოს ეს შეტევა.

**– შიგნით ჯგუფებში ვის გულისხმობთ, იქნებ დამიკონკრეტოთ?**

– მე არ ვიცი, რადგან შიდა სამზარეულო დეტალურად არ ვიცი.



**„თუ ფორმალური წინააღმდეგობები არ აქვს, ჩვენ, რუსული ორიენტაციის ფიგურები, ადამიანები, რომლებიც ამ ვექტორზე არიან განწყობილები, ლევან ვასაძის კანდიდატურას მივესალმებით“**

**„ნაცვლიშვილი ძლიერი ფიგურაა პროკურატურაში და ვილაცებს გაუჩნდათ ინტერესი, რომ ის იქიდან მოიშორონ. გია ხუხაშვილი ძლიერი ფიგურაა „ქართული ოცნების“ გაერთიანებაში, ვილაცებს უნდათ, რომ ის მოიშორონ“**

**EXCLUSIVE**

**„შიდა დაპირისპირება არსებობს ყველა უწყებაში, ყველა მთავრობაში, სამინისტროებს შორის. მინისტრზეა დამოკიდებული თუ როგორ მოახერხებს ამის ნეიტრალიზებას. მე ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით ღარიბაშვილი ამ სიტუაციას უძლვება“**

**„ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც გელა ხვედელიძეს იღებდა, ძალიან კარგად იცოდა, რომ ის გუბაზ სანიკიძის მეგობარი იყო, ძალიან კარგად იცოდა, რომ ჩემთან მუშაობდა და ხვედელიძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ამნისტირებულ პატიმრებზე განსაკუთრებული კონტროლი წესდება



# ათობით განთავისუფლებული კვლავ ციხეში შეაბრუნეს

მირიან ბოქოლიშვილი

**საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ პარლამენტში უპრეცედენტო ამნისტიის პროექტის განხილვა დიდი ვნებათაღელვების ფონზე მიმდინარეობდა... იყო ცხარე დისკუსიები, დაპირისპირებები, პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტო, უმრავლესობის მიერ გადალახული ეს წინაღობა, შს მინისტრის შენიშვნები, განცხადებები კრიმინალის მოსალოდნელ მატებაზე და გაგებით მოკიდებაზე... საბოლოოდ ყველაფერი დასრულდა ისე, როგორც ეს უმრავლესობას ჰქონდა ჩაფიქრებული, შესაბამისად, „ქართული ოცნების" საპარლამენტო წარმომადგენლობამ აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, მასშტაბური ამნისტიის მანკიერ შედეგებზეც. პრეზიდენტმა ვეტოს უფლების გამოყენება იმით ახსნა, რომ საკანონმდებლო ორგანო ქუჩაში პედოფილების გამოშვებას აპირებდა. სააკაშვილის ეს განცხადება მაშინ უმრავლესობის ქილიკის საფუძველი გახდა, თუმცა ქილიკის ხასიათზე უკვე არც ერთი მათგანი არ ჩანდა, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ გურჯაანის რაიონში 10**



**წლის ბიჭი ამნისტიით განთავისუფლებულმა მამაკაცმა გააუპატიურა. ალბათ, მნიშვნელობა არ აქვს, პედოფილიის ეს შემთხვევა ამნისტიას უკავშირდება თუ არა, თუმცა, როგორც ჩანს, სააკაშვილი არ ცდებოდა, როდესაც ამ დანაშაულზე აპელირებდა წინასწარ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ პედოფილიაში მხილებული პირი კვლავ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიაბრუნა. საქმეს გურჯაანის რაიონული პროკურატურა იძიებს. პროკურორი ლევან ღვედაშვილი ეჭვმიტანილი მამაკაცის ნასამართლობას ადასტურებს და განმარტავს, რომ დაზარალებული არასრულწლოვანის მშობლებმა სამართალდამცველებს მომხდარი ფაქტიდან 1 კვირის შემდეგ აცნობეს, ამდენად, მოზარდს ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს.**

„დაზარალებული არასრულწლოვანის მშობლებმა დაახლოებით 1 კვირის დაგვიანებით მოგვმართეს და ახლა ექსპერტიზებია დანიშნული. მოწმეები დაიკითხნენ, შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ტარდება... მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას ჯერ მხოლოდ დაზარალებული ბიჭის ჩვენება ადასტურებს, რომელშიც ის ყვება, რომ მამაკაცმა მასთან გაუკულმართებული სქესობრივი კავშირი დაამყარა", – განაცხადა ლევან ღვედაშვილმა.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 138-ე მუხლითაა აღძრული, რაც გაუკულმართებული ფორმით სქესობრივი კავშირის დამყარებას გულისხმობს და 9-დან 12 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ამნისტიის შედეგად განთავისუფლებული პირები კვლავ ციხეში შეაბრუნეს. იგივე ბედი გაიზიარა მამაკაცმა, რომელმაც დიდუბის გამგეობასთან საპატრულო პოლიციას ცეცხლი გაუხსნა. 50 წლის ასაკის მამაკაცი დაახლოებით სამი საათი იჯდა დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობასთან. როგორც გამგეობის თანამშრომლები აცხადებენ, მათ არ გამოუძახებიათ პატრული, თუმცა ეს ფაქტი საეჭვოდ მოეჩვენათ. მათი თქმით, პატრული შემთხვევით მივიდა გამგეობის შენობასთან და მოახლოების შემდეგ მამაკაცმა გახსნა ცეცხლი.

ციხიდან განთავისუფლებიდან რამდენიმე დღეშივე განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა ქალბატონმა, რომელიც პოლიციამ ყაჩაღობის ბრალდებით დააკავა. თბილისში, ვაზისუბნის ერთ-ერთ მიკრორაიონში ყაჩაღობა ცოტა ხნის წინ მოხდა. როგორც დაზარალებულის მეზობლები იხსენებენ, ახალგაზრდა ქალს ბინის კარი მოტყუებით ქალმა გააღებინა, რომელმაც უთხრა, რომ ახალი მეზობელი იყო და მრიცხველთან დაკავშირებით პრობლემა ჰქონდა. კარის გაღების შემდეგ ბინაში, ქალთან ერთად, ორი მამაკაცი შევიდა, სახლში მყოფი პირი „სკოჩით" გაკოჭეს და ბინა გაქურდეს. არსებული ინფორმაციით, ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი ქალბატონიც ამნისტიით გახლდათ განთავისუფლებული.

იმის შესახებ, რომ ამნისტიით განთავისუფლებული პირები შსს-ს განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ იქნებოდნენ, ირაკლი ღარიბაშვილმა ჯერ კიდევ პროექტის დამტკიცებამდე „პრაიმტაიმთან" ისაუბრა. მაშინ მინისტრი ამბობდა, რომ ყველა ის პირი, ვინც ამ ჰუმანურ შანსს ვერ გამოიყენებდა, იმაზე მკაცრად დაისჯებოდა, ვიდრე მანამდე.



„ციხიდან გამოსული ყველა პატიმარი და არამხოლოდ ისინი, ყველა საეჭვო პირი იქნება კონტროლქვეშ, ღიად ვაცხადებთ ამას. ჩვენ მოვახდენთ პრევენციას და ეს, პირველ რიგში, მათ დაეხმარება. ჩვენ ვიქნებით ფრთხილად და ყურადღებით. თუ რაიმე მცდელობა იქნება მათი მხრიდან, ისინი უფრო მკაცრად დაისჯებიან, ვიდრე მანამდე. აქვე მინდა ერთი რამე დავამატო. ზოგადად, მიმაჩნია, რომ, როდესაც მთავრობა იჩენს კეთილ ნებას და ადამიანი ამ სახის ჰუმანური ჟესტით გამოდის საზოგადოების წინაშე, იწყალებს ათასობით ადამიანს. ჩემი აზრით, ამ პატიმრებს, როგორც მინიმუმ, უნდა გაუჩნდეთ მადლიერების განცდა. მათ ეძლევათ შანსი რესოციალიზაციისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის. ასე რომ, ეს არის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მათთვის და მათი ოჯახებისთვის. ვინც ამ შესაძლებლობას ბოროტად გამოიყენებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მათ დააზარალებს", – აცხადებდა ირაკლი ღარიბაშვილი.



როგორც ჩანს, ეს შანსი ვერ გამოიყენეს იმ პირებმაც, რომლებიც ქურდულ სამყაროსთან კავშირის ბრალდებით გასულ კვირას, კრიმინალური პოლიციის მიერ ჩატარებული მასშტაბური სპეცოპერაციის შედეგად აიყვანეს. საქართველოს რამდენიმე ქალაქში 15 მაისს, გამთენიისას ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად რამდენიმე პირი დააკავეს. ერთ-ერთი დაკავებულის ადვოკატის, ზურაბ როსტიაშვილის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამნისტიის შედეგად განთავისუფლდა. როგორც მისთვის გახდა ცნობილი, საქმეში არსებობს დაკავებულის სატელეფონო და სკაიპის მეშვეობით საუბრები ერთ-ერთ „კანონიერ ქურდთან", რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს:

„ე.ი. მასობრივად უსმენენ ყველას უკანონოდ, ვინც ამნისტიით გამოვიდა", – აცხადებს ადვოკატი.

ამნისტიით განთავისუფლებულმა რამდენმა პირმა ჩაიდინა ახალი დანაშაული და რამდენი შეაბრუნეს ციხეში? ამის შესახებ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. არსებობს ფაქტები, მათ შორის პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებულ პირებზე, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ჯერ 8 თებერვალს ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებს და შემდეგ 17 მაისს თბილისის ცენტრში გაჩაღებულ ცემა-ტყეპას.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნათელაშვილი კონკურენტების შანსებს აფასებს



**my View**
მირიან ბოქოლიშვილი

**„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. წინასაარჩევნო სლოგანი იგივეა – მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ. როგორ აფასებს კონკურენტების შანსებს? რა ბიზნეს გადანაწილება მიმდინარეობს ქვეყანაში და რატომ ფიქრობს, რომ ჰომოფობიის წინააღმდეგ წარმოებული კამპანია ხელისუფლების მიერაა ორგანიზებული? „პრაიმტაიმი“ ამ თემებზე შალვა ნათელაშვილს ესაუბრა.**

## „ნაციონალურ მოძრაობას“ სასიკვდილო ხროტინი აქვს და როდის ამოუვა სული, კაცმა არ იცის“

EXCLUSIVE

**– ბატონო შალვა, პირველ რიგში, მინდა შეაფასოთ თქვენი კონკურენტები საპრეზიდენტო არჩევნებში... ვის რა შანსებს უწინასწარმეტყველებთ? დავიწყოთ მარგველაშვილით...**

– გიორგი მარგველაშვილი ჩემი კონკურენტი არ არის, ჩემი კონკურენტია სააკაშვილი და ივანიშვილი, რომლებმაც კოჰაბიტაციური პროცესის შედეგად შვეს კომპრომისული ვარიანტი მარგველაშვილის სახით. ის უნდა იჯდეს სატელიტ-მარიონეტულ თოჯინად და ასრულოს მათი დავალებები. მისი მთავარი ფუნქცია იქნება უზრუნველყოს კოჰაბიტაციის გაგრძელება ხალხის საზიანოდ. ამრიგად, მე მთავარ კონკურენტად ვტოვებ რეჟიმის ლიდერებს. მე მარგველაშვილს პირადად არ ვიცნობ. იძულებით გადავხედე მის ბიოგრაფიას და, ჩემდა გასაოცრად აღმოვაჩინე, რომ ის ყოფილა აქტიური სოროსელი. დამთავრებული აქვს სოროსის უნივერსიტეტი, რომელიც ზურაბ ადეიშვილმა დაამთავრა. 400 მილიონი აქვს გამოყოფილი სოროსს ამ უნივერსიტეტისთვის, როგორც კი შემცირდება ეს თანხა, კვლავ ამატებს 400 მილიონს. იქ ამზადებენ გლობალისტებს, რომლებმაც მთელ მსოფლიოში უნდა იმუშაონ საზღვრების, ეროვნულობის, ენებისა და სარწმუნოების წაშლაზე. გარდა ამისა, ის გახლდათ ჟვანიას უახლოესი ძმაკაცი. გარდაცვლილზე ცუდს არ ამბობენ, მაგრამ... აღარ მინდა გავაგრძელო. აღმოვაჩინე, რომ მარგველაშვილი რევკომის წევრიც ყოფილა, „ვარდების რევოლუციის“ ორგანიზების კუთხით, შემდეგ გახლდათ ბურჯანაძისტი, ანუ მისთვის პარტიიდან პარტიაში ხტომა უცხო არ არის. საბოლოოდ აღმოჩნდა იქ, სადაც დიდი ფული დაიგულა. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ მარგველაშვილს აქვს კერძო სასწავლებელი, სადაც სტუდენტებს ცხრაპირ ტყავს აძრობს. ასეთი პიროვნება ჩემთვის სრულიად მიუღებელია.

**– რაც შეეხება „ნაციონალების“ კანდიდატს... საუბარია დავით ბაქრაძეზე, ასევე ვანო მერაბიშვილზე...**

– „ნაციონალურ მოძრაობას“ სასიკვდილო ხროტინი აქვს და როდის ამოუვა სული, კაცმა არ იცის. მე მათ კანდიდატურებს სერიოზულად არ განვიხილავ. მათ თავიანთი შიდა პრობლემები აქვთ, ცდილობენ ამ ე.წ. კოჰაბიტაციით გადაირჩინონ თავი და არ მოაკლდეთ დასავლეთის მხარდაჭერა.

**– ნინო ბურჯანაძეც განიხილება ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატად. რა აზრის ხართ მასზე?**

– მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსი მოდის გუშინდელი დღიდან. არ შეიძლება პოლიტიკოსი გუშინ იყოს ავი და დღეს გახდეს კეთილი, გუშინ იყოს უზნეო და დღეს გახდეს ზნეობრიობის ნიმუში. პოლიტიკოსი არის წარსული, დღევანდელობა და მომავალი ერთად. ამიტომ, ვინც ჩემი ქვეყანა დაღუპა, მოაწყო „ვარდების რევოლუცია“, დამითხოვა 2003 წელს პარლამენტიდან, გადატრიალების დროს ცხენზე იყო ამხედრებული, ერთ-ერთი გახლდათ სწორედ ნინო ბურჯანაძე. ამიტომ მე მას ამ პასუხისმგებლობას ვერასდროს ჩამოვრეცხავ. იგივე მის მიერ ორგანიზებულ 26 მაისს, ჩემი აქტივისტები დაიხოცნენ, ბურჯანაძეს არც კი გახსენებია, აღდგომას მაინც გასულიყო მათ საფლავზე. ისევ ჩემი დასამარხი გახდა ის ხალხი. გარდა ამისა, მისი კავშირები რუსეთის ძალიან რეაქციულ წრეებთან, ლოგიკურად, ბევრ კითხვას ბადებს. ხომ არ დაგვავიწყდა, რომ მამამისი 20 წლის განმავლობაში ბალღინჯოიან პურს გვაჭმევდა, შეიძლება ბალღინჯო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია, მაგრამ საბედნიეროდ, ქართველი ხალხი ბალღინჯოს არ ჭამდა, თუმცა ბურჯანაძეების დამსახურებით ესეც ვჭამეთ. წარსულზე ყველამ უნდა აგოს პასუხი, მე ვიქნები ეს თუ სხვა. როცა სხვას აზარალებ, პასუხი უნდა მოგეთხოვოს, ოპოზიციაში გადასვლა და წლების შემდეგ იმის აღმოჩენა, რომ თურმე ეს რა ცუდი რეჟიმი ყოფილა, ინდულგენცია ნამდვილად ვერ იქნება.

**„26 მაისს ჩემი აქტივისტები დაიხოცნენ, ბურჯანაძეს არც კი გახსენებია, აღდგომას მაინც გასულიყო მათ საფლავზე“**



**„ჩემდა გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ მარგველაშვილი აქტიური სოროსელია“**

**„ხელისუფლება თვითონ ახდენს ამ აქციების ორგანიზებას, რათა დაპირისპირება მოახდინოს“**

**– სალომე ზურაბიშვილიც სახელდება, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, თუმცა მანამდე ის „ოცნების“ ერთ-ერთ კანდიდატურად განიხილებოდა. როგორ ფიქრობთ, რატომ არ მოხდა მასზე არჩევანის გაკეთება „ქართულ ოცნებაში“?**

– ჩემი ინფორმაციით სალომე ზურაბიშვილი „გადააგდეს“. შეჰპირდნენ, რომ მის კანდიდატურას დააყენებდნენ, მაგრამ მწარედ მოატყუეს. მოტყუება და გადაგდება ივანიშვილის ძველისძველი ხელობაა, სწორედ ამ ხელობით დააგროვა მან ის მილიარდები, რითაც დღეს ჩვენ ერს მოევლინა ბუდად და დალაი ლამად. მე სალომე ზურაბიშვილს ძალიან დიდ პატივს ვცემ. მას რომ ვუყურებ, მგონია, რომ ძველ საქართველოს ვუყურებ. მეწყინა, რომ მოატყუეს.

**– თქვენი ყოფილი თანაგუნდელი, ნესტან კირთაძეც გამოთქვამს პრეტენზიას პრეზიდენტობაზე...**

– მაგაზე ვერაფერს გეტყვით. ნესტანი თავისუფალი ფორვარდია. ღმერთმა ქნას, გახდეს პრეზიდენტი, ისევ ჩემი ყოფილი თანაპარტიელი მირჩევნია ამ პოსტზე.

**– საკმაოდ პოპულარული იყო თქვენი სლოგანი საპარლამენტო არჩევნებზე – მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ. იგივე სლოგანით წარდგებით საპრეზიდენტო არჩევნებზე?**

– დიახ, ჩვენი სლოგანი იგივეა. უკანონოდ გამდიდრებულებს ვართმევთ და უკანონოდ გაღარიბებულებს ვაძლევთ. კანონიერად გამდიდრებულებთან არანაირი პრეტენზია არ გვაქვს. ჩვენ ვსაუბრობთ, ბეჟუაშვილებზე, ჩხარტიშვილებზე, ხაზარაძეებზე, პაპაშვილებზე, კეზერაშვილებზე და ა.შ.

**– ახალ ხელისუფლებას ბიზნესის გადანაწილებასა და ნეპოტიზმში ხშირად ადანაშაულებთ... რა გაძლევთ ამ ბრალდებების საფუძველს?**

– ეს არის ფაქტები. ივანიშვილმა საქართველოში საკუთარი ბიზნესის განვითარება „კარფურის“ გახსნით დაიწყო. ეს არის ფრანგ მილიარდერ არნოსთან პარტნიორობით. „კარფურში“, პრაქტიკულად, მოთავსდა ვაჭრობის ყველა დარგი და წვრილ-წვრილმა მარკეტებმა ვერ გაუძლეს კონკურენციას, დაიხურნენ და ხალხი დარჩა უმუშევარი. ეს არის მონოპოლია, სხვა კი არაფერი. ისევე, როგორც ბენზინის ბიზნესი სააკაშვილის ჯგუფიდან გადაიბარეს ივანიშვილის გარემოცვის წევრებმა, აგერ, მანანა კობახიძის ქმარი „ლუკოილში“ ზის, მაგათთან არის, „რომპეტროლი“ და გოგია ლიპარტელიანიც. მსოფლიოში ნავთობი იაფდება და ივანიშვილის კლანი ფეხს არ უცვლის დადგენილ ფასს. ახლა ახალი აფთიაქი შემოჰყავს, „დოქტორ სტოლეტოვი“ ჰქონდა მოსკოვში, ის გაყიდა და სხვა სახელით შემოჰყავს საკუთარი ფარმაცევტული კომპანია. გარდა ამისა, დავით საგანელიძის ძმისშვილს დიდძალი თანხა გადაურიცხეს სადაზღვევო კომპანია „არქიმედეში“, ირინა იმერლიშვილის მეუღლეს, 33 მილიონი, შეიძლება ითქვას, უკვე ჯიბეში ედო, რომ არ ემხილებინათ და ეს ფაქტი რომ არ გახმაურებულიყო. ანუ იცვლებიან მხოლოდ სახელები და გვარები, სისტემა იგივე რჩება. ეს ასეც იქნებოდა, რადგან თვითონ ივანიშვილმა მოიყვანა სააკაშვილის ხროვა ხელისუფლებაში, ის უფინანსებდა ხელფასებსაც და ყველა ხარჯს. ბოლოს, რომ დაინახეს სააკაშვილს ვადა გასდიოდა, იფიქრეს, არიქა, ნათელაშვილი არ გავიდეს პრეზიდენტადო, გამოხტა ჭორვილის ტყიდან და თავი ბუდად გამოაცხადა. ეს არის და ეს.

**– ბოლოს მინდა გკითხოთ, ჰომოფობიის საწინააღმდეგო კამპანიის შესახებ. თქვენ როგორ აფასებთ ამ აქციებს?**

– ხელისუფლება თვითონ ახდენს ამ აქციების ორგანიზებას, რათა დაპირისპირება მოახდინოს საზოგადოების წარმომადგენლებს შორის და ამით ისარგებლოს თავად, იმ გაგებით, რომ გადაიტანოს ხალხის ყურადღება რეალური პრობლემებისგან. თითქოს ყველა საკითხი გადავწყვიტეთ და მარტო ისღა დაგვრჩა გადასაწყვეტი, როდის დაქორწინდება მამაკაცი მამაკაცზე. ეს არის ორგანიზებული აქციები ივანიშვილის ხელისუფლების მიერ. კისერი უტეხიათ, მაგრამ ჩვენ „პარადს“ ნუ გვიწყობენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალური კადრების გამეორებას არ გამორიცხავენ



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. საქართველოში ეს უფლება კონსტიტუციის მეოცე მუხლით არის განსაზღვრული, რომელიც როგორც აუდიო, ასევე ნებისმიერი ვიდეოჩანაწერის გამოქვეყნებასა და, ზოგადად, ჩაწერას კრძალავს. თუ, რა თქმა უნდა, ეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ არის ნებადართული.**

იგივე წესები მოქმედებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მაგრამ არც კანონს და არც მორალურ მხარეს ხელი არ შეუშლია მონიკა ლევინსკისთვის, სასამართლოში დეტალურად მოეყოლა ბილ კლინტონთან სექსუალური ურთიერთობების შესახებ. შტატების პრეზიდენტის სასიყვარულო ისტორია თეთრი სახლის პრაქტიკანტთან სრულიად ამერიკის განსახილველი თემა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყო. ამერიკაში პირველად 1999 წელს დაფიქსირდა ფაქტი, როცა მოქმედი პრეზიდენტი სასამართლო დაკითხვაზე დაიბარეს. ბილ კლინტონის დაკითხვის ოთხსაათიანი ჩანაწერი კი მოგვიანებით პირდაპირ ეთერში გაუშვეს. ბილს ჰილარის ღალატისთვის არ ასამართლებდნენ. ბრალდება სრულიად სხვა იყო: მოსამართლეს უნდა

# კახა კუკავა: „მაქვს ინფორმაცია, რომ ასლები აქვთ „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალებსაც“... უფრო მეტი რისკია, რომ „ოცნება“ გაავრცელებს კომპრომატებს“

EXCLUSIVE





გაერკვია, კლინტონი აიძულებდა თუ არა ლევინსკის, ეცრუა გამოძიებასთან მათი ურთიერთობის დამალვის მიზნით. ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში კლინტონი პრეზიდენტის თანამდებობას დატოვებდა და შესაბამისად, ის გახდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი, რომელმაც თანამდებობა ვადაზე ადრე, თანაც პირადი ცხოვრების გამო დატოვა. თუმცა სენატმა პრეზიდენტი გაამართლა და კლინტონმა შეძლო თანამდებობის შენარჩუნება. როგორც ამბობენ, კლინტონის გადარჩენაში დიდი წვლილი სწორედ ჰილარი კლინტონს მიუძღვის. ამ ისტორიის ყველაზე პიკანტური დეტალი ლევინსკის კაბა იყო, რომელიც პრაქტიკანტს პრეზიდენტთან სექსუალური ურთიერთობის დროს ეცვა და რომელიც სასამართლოზე მთავარ მტკიცებულებად გადაიქცა. გამოძიებისთვის ეს საკმარისი იყო, თუმცა საზოგადოებას უფრო მეტი აინტერესებდა და სწორედ ამიტომ ლევინსკიმ სიამოვნებით ისაუბრა ბევრ გამომცემლობასთან, რა ტიპის ურთიერთობა ჰქონდა კლინტონთან. ეს მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი დეტალები იყო და საბედნიეროდ, არც ვიდეო და არც ფოტომტკიცებულება არ წარმოუდგენია არც ერთ მხარეს. სკანდალიდან 14 წლის შემდეგ ლევინსკი ნანობს პრეზიდენტზე შურისძიებას და აღიარებს, რომ სურს, მედიამ ეს ფაქტი დაივიწყოს...

სხვათა შორის, თავის დროზე ლევინსკი რუსეთის აგენტადაც კი მონათლეს და გარკვეული წრეები ირწმუნებოდნენ, რომ ეს პრიმაკოვის მიერ გაწერილი გეგმა იყო. ლევინსკისგან განსხვავებით, ბრიტანეთის ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ედვინა კარმა შეგნებულად მისცა ინტერვიუ Time-ს პრემიერ-მინისტრის, ჯონ მეიჯორის წინააღმდეგ. როგორც გაირკვა, პრემიერს ქალბატონ მინისტრთან რომანი ჰქონდა, რომელსაც საგულდაგულოდ მალავდა. ეჭვი რომ არავის შეეტანა, პრემიერი გამუდმებით აკრიტიკებდა ჯანდაცვის მინისტრს. ედვინა კარს კი კრიტიკა აღიზიანებდა და ბოლოს შური სწორედ სკანდალური ინტერვიუთი იძია. საზოგადოებისთვის მათი ურთიერთობის საკმაოდ ინტიმური დეტალებიც კი გახდა ცნობილი, რითაც მეიჯორის რეპუტაცია ძალიან შეილახა...

მსგავსი სკანდალების სიაში უკვე საქართველოც შევიდა. გასულ კვირაში გიორგი ფარესაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ არასამთავრობოები ინიციატივით გამოვიდნენ – უნდა გამკაცრდეს კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მსგავსი ვიდეოების გავრცელებას. იდეას იუსტიციის სამინისტრომაც და პარლამენტმაც მხარი დაუჭირა. ოთხმა არასამთავრობომ კანონპროექტზე მუშაობა უკვე დაიწყო. ევროპულ

**ბიძინა ივანიშვილი: „არ გვაქვს რეცეპტი, როგორ უნდა ავკრძალოთ მსგავსი ვიდეოების გავრცელება“**

სტანდარტებთან შესაბამისი ცვლილებების მომზადებას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კოორდინატორობით მიმდინარეობს. მათი მოსაზრებით ცვლილებები ორ კანონში შევა: „ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონებში. არ არის გამორიცხული, აღნიშნულ საკითხზე პირველად ადამიანის უფლებათა კომიტეტში შეიკრიბონ. თუმცა კომიტეტის ხელმძღვანელი, ეკა ბესელია აცხადებს, რომ ჯერჯერობით არც კანონპროექტი არსებობს და არც შეხვედრაა დაგეგმილი...

კანონის გამკაცრების ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გამოვიდა, თუმცა მაშინ იდეას უმრავლესობიდან იგნორირება გაუკეთეს.

**მიხეილ სააკაშვილი, პრეზიდენტი:**

– პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება კონსტიტუციითაა დაცული და მისი დარღვევა ყოვლად დაუშვებელია. პირადი პრობლემებით შანტაჟი და სპეკულირება 90-იანი წლების დასაწყისის ყაჩაღურ, რუსულ, ოლიგარქიულ, კაპიტალისტურ მეთოდებს უფრო ჰგავს და არა 21-ე საუკუნის დემოკრატიული, ევროპული მთავრობის მოქმედებას. ეს საქციელი უკვე ახალი მთავრობის მოქმედების ტენდენციად იქცა. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ პარლამენტის უმრავლესობას, უფრო მეტი გულისხმიერებით მოეკიდოს ჩემ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ.

პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერის განცხადებით, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა საკუთარ უწყებაში აღმოაჩინა, არ განადგურდა, რადგან სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმეებზე ისინი მტკიცებულების სახით უნდა ყოფილიყო წარდგენილი. უკვე დღეს ივანიშვილიც და უსუფაშვილიც აცხადებენ, რომ სჯობია, გამოძიება დაზარალდეს, ვიდრე თითოეული ადამიანის პირად ცხოვრებას საფრთხე შეექმნას.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– რამდენად არსებობს ასლები ამ ვიდეოების, ალბათ, მე პასუხი არ მაქვს, გამოძიება მიმდინარეობს. არ გვაქვს რეცეპტი, როგორ უნდა ავკრძალოთ მსგავსი ვიდეოების გავრცელება. მთავარი იყო რეაქცია – როგორ დაისაჯა გამავრცელებელი... მთელი ფონდია ამ ჩანაწერების, ღარიბაშვილმა განადგურებაზე პირველ ეტაპზე თავი შეიკავა, რადგან ისინი შეიძლება გამოძიებას გამოადგეს. გამოძიება მიმდინარეობს და ვინც ჩანაწერი გააკეთა, ისინი პასუხს აგებენ კანონის წინაშე. ის, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ამ მასალების დაცვა, უკვე არის საფუძველი იმისა, რომ შეიძლება გამოძიება დაზარალდეს, მაგრამ უნდა განადგურდეს ისინი, რომ საზოგადოებაში კითხვები აღარ დარჩეს.

განადგურების შესახებ გადაწყვეტილება პრაქტიკულად მიღებულია, თუმცა არსებობს საფრთხე, რომ აღნიშნული ვიდეოების ასლები ცალკეულ ძალებთან ინახება და ისინი საჭიროების შემთხვევაში გავრცელდება. საშიშროებას პოლიტიკოსები „ოცნების“ მხრიდან უფრო ხედავენ, ვიდრე ნაციონალებისგან. „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის მტკიცებით, პრემიერის სიტყვები პრევენცია იყო და შეიძლება დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ახალი ხელისუფლება სწორედ შანტაჟის გზით აპირებს პოლიტიკური ცხოვრების მართვას.

**კახა კუკავა, თავისუფალი საქართველოს ლიდერი:**

– ივანიშვილის განცხადებები იმის შესახებ, რომ მისი მთავრობა ვერ აკონტროლებს და არ გამორიცხავენ ფარული ჩანაწერების მონაცემების გავრცელებას, იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება კიდევ აპირებს მსგავსი ვიდეოების გავრცელებას. ხელისუფლება ზოგადად და სამართალდამცავი ორგანოები იმიტომ არსებობენ, რომ აიღონ პასუხისმგებლობები. არგუმენტი, რომ ვიღაცამ შესაძლოა, ასლი გადაიღო და ვერ გააკონტროლებენ, ვინ გაავრცელებს, არასერიოზულია. აკრძალვის უამრავი სხვადასხვა მეთოდი არსებობს. თუ არ იციან ამის კეთება, მაშინ გვკითხონ მათ, ვინც ვიცით. მთელმა მსოფლიომ იცის და არსებობს უამრავი ტექნოლოგიაც. სწორედ პრემიერის განცხადების საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ პრემიერი აპირებს შანტაჟის მეთოდების გამოყენებას უახლოეს მომავალში. მისი განცხადება კი იყო მხოლოდ და მხოლოდ პრევენცია შემდგომი ქმედებების. ისინი ამბობენ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაიღო ეს კადრებიო. თუ მართლაც „ნაციონალური მოძრაობის“ გადაღებულია, დაასახელონ კონკრეტული სახელები და გვარები და ამ ადამიანებმა პასუხის აგონ კანონის წინაშე.

**– თვლით თუ არა, რომ კანონით უნდა მოხდეს პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფა?**

– რა თქმა უნდა, კანონითაც უნდა მოხდეს და ტექნოლოგიურადაც. არსებობს ახალი ტერმინი – სუფთა ინტერნეტი. რამდენიმე დიდმა ქვეყანამ ამერიკას წაუყენა პრეტენზია, რომ ინტერნეტი, როგორც გლობალური პროექტი, უნდა დაექვემდებაროს გლობალურ კონტროლს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ალტერნატიული პროექტის შექმნა. ის, რომ ვერ გამორიცხავ დანაშაულს, არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაულს არ უნდა ებრძოლო. მაგალითად, ქურდობას ვერასოდეს ვერ გამორიცხავს ვერც ერთი მთავრობა. სანამ დედამიწაზე არსებობს ადამიანი, მანამ იქნება ქურდობა. მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა აიკრძალოს ქურდობა? არსებობს უამრავი საშუალება და დღეს ტექნოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ ატვირთული ვიდეოს ადრესატი დაადგინო, ამას მე ხომ არ ვასწავლი შინაგან საქმეთა სამინისტროს? ჰაკერები და სპეცსამსახურები ერთდროულად ვითარდებიან, ხან ჰაკერები გაუსწრებენ სპეცსამსახურების დონეს, შემდეგ სპეცსამსახურები ისწავლიან და დაეწევიან და ასე შემდეგ. ეს მუდმივი ბრძოლაა. თუ ჩვენი მთავრობა არის მთხლე, დაყრის ფარხმალს და იტყვის, რომ ჩვენ ვერ დავეწევით ჰაკერებს, მაშინ მსგავსი ვიდეო კიდევ უარმავ ადამიანზე გამოქვეყნდება.

**– თქვენ გაქვთ ეჭვი, რომ, კადრები რომც განადგურდეს, მათი ასლები მხარეებს შენახული აქვთ?**

– ეჭვი კი არა, ინფორმაცია მაქვს, რომ ასლები აქვთ „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალებსაც. ეს ორი ძალა გეგმავს გამოქვეყნებას. თუმცა უფრო მეტი რისკია, რომ „ოცნება“ გაავრცელებს კომპრომატებს, რადგან ნაციონალები თუ გაავრცელებენ, ხელისუფლება მარტივად გამოიძიებს და დაამტკიცებს კიდეც მათ ბრალეულობას. „ოცნების“ წევრები კი დღეს შეგნებულად აბრალებენ ნაციონალებს ბევრ რამეს, რომ ხვალ ან ზეგ, როცა სხვა კადრები გავრცელდება, თქვან, აი, ხომ ვამბობდით, ისევ ნაციონალებმა გაავრცელესო...





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ივანიშვილი მესამე ძალას ვერ ხედავს...

ხათუნა მგალობლიშვილი

**ყოფილ ქუჩის ოპოზიციას დიდი ხანია, მფლობელი შეეცვალა. ხელისუფლებაშიც მოვიდნენ, მაგრამ მთავარი მიზანი მათთვის დღესაც იგივეა, რაც სამი თუ ოთხი წლის წინათ იყო – გაშლა. კოალიციის გაშლას ამჯერად თავად პრემიერი გეგმავს. ივანიშვილმა მორიგი საიდუმლო გაამჟღავნა და განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში კოალიციას ნაწილი გამოეყოფა და ყოფილ ერთობას ოპონირებას გაუწევს. ვინ გახდება გამიჯნული პარტია? ამაზე უკვე ბევრი ითქვა და პრინციპში, კითხვის ნიშნებიც აღარ არსებობს. მაგრამ მთავარი პრობლემა ის არის, რომ ივანიშვილთან მყოფ პარტიებს არანაირი სურვილი არ აქვთ, გაემიჯნონ კომფორტს და ეჭვქვეშ დააყენონ საკუთარი არსებობა.**

თუმცა, თუ ამას მათი ხელმძღვანელი გადაწყვეტს, სხვა გზა არც ექნებათ. ესეც ძალიან კარგად იციან, ამიტომ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მათივე ინტერესში შედის სხვა ოპოზიციური ძალების გაძლიერება, რომლის ნიშან-წყალსაც ივანიშვილი ჯერჯერობით, საუბედუროდ, ვერ ხედავს.

შეთავაზება მესამე ძალად ჩამოყალიბებისა ნინო ბურჯანაძემ, სალომე ზურაბიშვილმა და კიდევ ერთმა ძალამ დაახლოებით ორიოდე თვის წინ მიიღო. მას შემდეგ არც ბურჯანაძე გააქტიურებულა და მით უფრო სალომე ზურაბიშვილი. „დემოკრატიული მოძრაობა“ დიდხნიანი ტაიმაუტის შემდეგ განცხადების გაკეთებას რამდენიმე დღეში გეგმავს. უკვე ცნობილია, რომ ბურჯანაძე საკუთარ თავს წარგვიდგენს პრეზიდენტობის კანდიდატად. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, ვიცით, რომ ის მარგველაშვილის კი არა, საკუთარი სახელისა და გვარის გაგონებაში იყო იმდენად დარწმუნებული, რომ ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა იხუმრა კიდეც, სალომე ყოველ დილით გაოცებული იღვიძებს, ნუთუ ჯერ კიდევ არ ვარ პრეზიდენტიო... შესაბამისად, ის არც მესამე ძალად, არც გარე ოპოზიციად და მით უფრო არც ბურჯანაძის პარტნიორად არ აპირებს ჩამოყალიბებას. სავარაუდოდ, ისიც პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი გახდება.

ამ ქალბატონების ავტომატურმა გამორიცხვამ ივანიშვილს ცარიელი ადგილი დაანახვა. რამაც, თავის მხრივ, დანარჩენი ოპოზიციური პარტიების კრიტიკა ბუნებრივად დაიმსახურა.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– დიდი ხანია, თადარიგი გვაქვს დაჭერილი. კოალიციაში არსებობს რამდენიმე პარტია. თუ გარეთა ძალა არ იქნება, ბუნებრივი პროცესი განვითარდება, გაიშლებიან პარტიები და თვითონ მოახერხებენ ოპონირებას ერთმანეთში. სხვა გარე ძალას, მესამეს, საუბედუროდ, გაძლიერებულს ვერ ვხედავ, თუმცა, ამის დიდი სურვილი მაქვს.

პარლამენტსმიღმა დარჩენილ პარტიებს შორის აქტიური მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. ჯონდი ბაღათურია ადასტურებს, რომ კახა კუკავასთან ერთად მალე გამოჩნდება ასპარეზზე. მისივე რწმუნებით, კონსულტაციები მიმდინარეობს მესამე პარტიასთან, რომლის ვინაობასაც ჯერჯერობით მალავენ. ამ ერთობას პრეტენზია აქვს, არამარტო ნაციონალების მხარდამჭერების, თავად „ოცნებით“ იმედგაცრუებული ადამიანების ნდობაც კი მოიპოვონ...



**ჯონდი ბაღათურია:** „ოცნების“ მხარდამჭერებსაც კი ჩვენკენ გადმოვიყვანთ“

**ფიქრია ჩიხრაძე:** „ბიძინა ივანიშვილი ქვეყანასაც ისე უდგება, როგორც ბიზნესკორპორაციას“

**გიორგი თარგამაძე: „ამ აზროვნების სტილს კი, სხვა არაფერი შეგვიძლია ვუწოდოთ, თუ არა ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი“**

**ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასის“ ლიდერი:**

– კახა კუკავას გარდა, კიდევ ერთ პარტიასთან გვაქვს კონსულტაციები და ვფიქრობ, ეს სამი პარტია საკმარისია იმისთვის, რომ მიიღოს ნდობა „ოცნების“ მიმართ კრიტიკულად განწყობილი მხარდამჭერების 80%-ის. მეტიც, ჩვენ გვაქვს პერსპექტივა, რომ დღეს არსებული „ოცნების“ მხარდამჭერებიც კი ჩვენკენ გადმოვიყვანოთ. ამიტომ ამ სამი პარტიის გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებას ქვეყნის განვითარების მესამე გზა უნდა შევთავაზოთ. მე მივიღებ მონაწილეობას ქვეყნის მესამე ძალის ჩამოყალიბებაში. პრემიერ-მინისტრი ბევრ რამეს ვერ ხედავს და ვერ ამჩნევს, ეს ძალიან ცუდია. ვფიქრობ, პრემიერი იზოლაციაში ჰყავთ გარკვეულ ძალებს. ძალიან ცუდი სიმპტომია საზოგადოებისთვის. მთელი პოლიტიკური სპექტრი უნდა შეეჩვიოს, რომ ოცნებები და რეალობა ერთმანეთისგან ხშირად განსხვავდება. ერთია, ჩვენ რა გვინდა, მაგრამ მეორეა ფაქტობრივი გარემოება. ოპოზიციის ოპონენტად აღიარება ფაქტია, მათ მოუწევთ, აღიარონ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც წარმოადგენენ ხელისუფლების რეალურ ოპონენტ ძალებს. ეს ძალები ოცნების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის 80%-ის ნდობას იმსახურებენ. როცა „ოცნება“ მხარდაჭერას კარგავს, ამით „ნაციონალური მოძრაობა“ არაფერს იგებს. ეს არის ობიექტური რეალობა. მე ნამდვილად არ ვლაპარაკობ ნიშნის მოგებით, უბრალოდ, ქვეყანაში არის წარუმატებელი სოციალური მდგომარეობა, მძიმე საგარეო ვითარება, რომელსაც გამოსწორება სჭირდება. პრობლემაზე რომ მუშაობა დაიწყო, მინიმუმ მისი არსებობა უნდა იცოდე.

**– თქვენ ამბობთ, რომ პრემიერი რეალურად ვერ ხედავს ოპონენტი ძალების შესაძლებლობებს?**

– დიახ, ის რეალობას სწორად ვერ აფასებს. ვერ ხედავს ასპარეზს.

**– რა არის ამის მიზეზი?**

– ის, რომ მისი გარემოცვა გატენილია მლიქვნელებითა და მატყუარებით. მლიქვნელი და მოღალატე ერთმანეთისგან არ განსხვავდება. რაც შეეხება მის განცხადებას, ეს ასევე აჩვენებს იმას, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის მზად დემოკრატიული მოქმედებისთვის.

პრემიერის განცხადებას შეცდომად აფასებენ და მიაჩნიათ, რომ ივანიშვილს სურს ისეთივე სათამაშო თოჯინების შექმნა, როგორიც თავის დროზე სააკაშვილს ჰყავდა პარლამენტში სატელიტი ოპოზიციის სახით. თუმცა პრემიერს ურჩევენ, ხმამაღლა არ გამოთქვას საკუთარი სურვილები, რადგან ისინი საკმაოდ არადემოკრატიულად გამოიყურებიან.

**ფიქრია ჩიხრაძე, ახალი მემარჯვენეების ლიდერი:**

– შეიძლება ბიძინა ივანიშვილს დიდი სურვილი აქვს იმისა, რომ სხვა ოპოზიცია არ გაახაროს და ჰყავდეს ისეთი ოპოზიცია, რომელიც მათ შეთანხმებულ ოპონირებას გაუწევს. მისთვის მთავარია, რომ იყოს ნებისმიერ ოპონირებაზე მაღლა. ეს იმდენად არაპოპულარული, არადემოკრატიული, არაპოლიტიკური მოსაზრებაა, რომ, თუ ვინმე ურჩევს მას, მსგავსი განცხადებები არ გააკეთოს, კარგი იქნება. მით უფრო, რომ მის განცხადებებს თვალყურს სრულიად საერთაშორისო საზოგადოება ადევნებს. მას, როგორც ჩანს, წინასწარ აქვს განსაზღვრული, ვინ იქნება ოპოზიცია.

**– ფიქრობთ, რომ ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს, კოალიციაში არსებული პარტიები გამოიყენოს ოპოზიციად?**

– მადლობა ღმერთს, რომ მსგავსი განზრახვების სისრულეში მოყვანა არ არის მხოლოდ იმ ხალხზე დამოკიდებული, ვისაც ასეთი სურვილები აქვთ. არც მმართველ კოალიციაზე და არც პარლამენტზე არ იქნება დამოკიდებული, ვის აირჩევს საზოგადოება შემდეგ პარლამენტში. პრობლემა არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი, ამას თავად ამბობს და შესაბამისად, ქვეყანასაც ისე უდგება, როგორც ბიზნესკორპორაციას. მას, ბუნებრივია, ვერ წარმოუდგენია, რომ ამ ბიზნესკორპორაციაში ხდებოდეს რაღაც მისი საწინააღმდეგო. მისთვის ნებისმიერი კრიტიკა მიუღებელია. ეს კარგად ჩანს.

**– ამ ფონზე არ ფიქრობთ, რომ გარკვეული ოპოზიციური ძალები უნდა გაერთიანდეთ?**

– ნამდვილად არ არის არანაირი კონსულტაცია. ჩვენ ვმუშაობთ საარჩევნო კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებზე და საკონსტიტუციო ცვლილებებზე, თუმცა გაერთიანებაზე არავისთან არ გვაქვს კონსულტაციები.

ძალიან დიდი ხანია, ქრისტიან-დემოკრატები პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად არ გამოჩენილან. მათი ლიდერის, გიორგი თარგამაძის განცხადებით, შეფასებებისგან აქამდე თავს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იკავებდნენ, რომ ახალ ძალას ხელისუფლებაში მოღვაწეობის საშუალება მისცეს. თუმცა, ბუნებრივია, მთავრობის ყოველ ნაბიჯზე საკუთარი მოსაზრება და დასკვნაც აქვთ. გიორგი თარგამაძის განცხადებით, ივანიშვილის სურვილი, რომ ოპოზიციაც კოალიციაშივე იპოვოს, ძალიან წააგავს იგივე სტილს, რომლითაც წინა ხელისუფლება მოქმედებდა.

**გიორგი თარგამაძე, ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი:**

– ჩვენ აქამდე ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებების შეფასებაზე თავს ვიკავებდით, ვფრთხილობდით. რაკი, როგორც პოლიტიკოსი, სულ ახლახან გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ძალიან რთული იყო მისი პოლიტიკური შეფასება. დღეს უკვე შეგვიძლია, თამამი შეფასებები გავაკეთოთ, რადგან საკმაო დროა გასული. თუმცა ის განცხადებები, რომლებიც პრემიერისგან გვესმის, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანების მხრიდან. ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ქვეყნის სათავეშია და ყველა პოლიტიკურ პროცესზე ზეგავლენის მოსახდენად ძირითად ბერკეტს ფლობს – ეს არის ფინანსური რესურსები, არასამთავრობო საზოგადოებაზე შენარჩუნებული გავლენა თუ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი – და აკეთებს განცხადებას, რომ მას თადარიგი უკვე დაჭერილი აქვს ოპოზიციური ფლანგის შესაქმნელად, ეს მეტყველებს მისი აზროვნების სტილზე. ამ აზროვნების სტილს კი, სხვა არაფერი შეგვიძლია ვუწოდოთ, თუ არა ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი, რომელიც, პრინციპში, არაფრით განსხვავდება მიხეილ სააკაშვილის სტილისგან. ჩემთვის ეს სრულიად მიუღებელია, ისევე როგორც, ალბათ, თავად ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერების ნაწილისთვის. რა თქმა უნდა, დემოკრატი ლიდერი არ უნდა აკეთებდეს განცხადებას, რომ ხელისუფლებაც ჩვენ ვიქნებით და ოპოზიციაცო, ეს ძალიან შორს დგას დემოკრატიისგან და ძალიან შორს დგას თანამედროვე დაბალანსებული პოლიტიკური სისტემისგან. ამიტომ შეუძლებელია, ასეთი ქცევის მიმართ პროტესტის გრძნობა არ გაუჩნდეს დემოკრატიულად მოაზროვნე ნებისმიერ ადამიანს.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საზარელი მკვლელობა ზესტაფონში

## ქმარმა ცოლი ნაჯახით დაჩეხა და ცხედარი დაწვა




### აღდგომის დღესასწაულზე მომხდარ მკვლელობას ოჯახი რელიგიურ ორგანიზაციას უკავშირებს და მსხვერპლშეწირვაზე საუბრობს



**my View**



მირიან ბოქოლიშვილი

ამ ამბავმა ბევრს შესაძლოა, რომელიმე მძაფრსიუჟეტიანი დრამა გაახსენოს, თუმცა ეს არც ჰოლივუდია და არც კინო. საზარელი მკვლელობა ზესტაფონის რაიონში რამდენიმე დღის წინ მოხდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივები მომხდარმა შოკში ჩააგდო. 50 წლის მამაკაცმა საკუთარი მეუღლე ჯერ აწამა, შემდეგ ნაჯახის და დანის გამოყენებით დაჩეხა, საკუთარი სახლის ეზოში ცხედარს ცეცხლი წაუკიდა და დაწვა.

მეუღლის, 50 წლის მარინა ბოჭორიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ამირან ბოჭორიშვილი სამართალდამცველებმა მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 11-108 მუხლით წაუყენეს, რაც ოჯახური ძალადობის ნიადაგზე განზრახ მკვლელობას გულისხმობს და 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, თუმცა გარდაცვლილის ახლობლები მკვლელის სამუდამო პატიმრობას ითხოვენ.

რა გახდა საზარელი მკვლელობის მოტივი? ამ საკითხზე სოფელ კვალითში რამდენიმე ვერსია ვრცელდება, მათ შორის განიხილება ეჭვიანობაც, თუმცა ოჯახს ყველაზე სარწმუნოდ რელიგიური მოტივი მიაჩნია. გარდაცვლილის შვილი, მინდია ბოჭორიშვილი „პრაიმტაიმს“ უყვება, რომ მამამისი, წლებია, „გაურკვეველი რელიგიური ორგანიზაციის“ წევრია და ბოლო ორი წელი უცნაურ რიტუალებს ატარებდა. ბრალდებულის ბიძაშვილი ტარიელ ლაფერაძე კი ყვება, რომ ე.წ. მსხვერპლშეწირვა ამირან ბოჭორიშვილმა შეგნებულად აღდგომის დღესასწაულს დაამთხვია.



ამირან ბოჭორიშვილი

**ტარიელ ლაფერიძე, გარდაცვლილის მაზლი:**

– ამირანი ჩემი ბიძაშვილია, მომიკლა უპატიოსნესი რძალი. ეგ იყო რაღაც სექტის წევრი, ზუსტად არ ვიცი რომელი სექტაა. მაგას იქ ჰქონდა შეწირული, რომ ეს უნდა გაეკეთებინა და გააკეთა კიდეც. ეს იყო რელიგიური რიტუალი და მეტი არაფერი.

**– მისი განზრახვის შესახებ ახლობლებისთვის ცნობილი არ იყო?**

– სულ ახსენებდა ეშმაკებს და ათას მაიმუნობებს, მაგრამ ამას როგორ წარმოვიდგენდით?! ზუსტად აღდგომა დღეს დაამთხვია ეს რიტუალი. იმ დროს ოჯახში არავინ ვიყავით, მარტო დაიგულა მეუღლე და სასტიკი მეთოდებით მოკლა. ან უნდა მოეკლა ცოლი, ან ოჯახის სხვა წევრი, ასეთი დასკვნა გამოგვაქვს.

**– მის ფსიქიკურ მდგომარეობაში ეჭვი არასდროს შეგიტანიათ?**

– რა ვიცი, ჩვეულებრივი, ჩამოყალიბებული ადამიანი იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რაღაც ეშმაკებზე და უბედურობებზე საუბრობდა. რელიგიურმა ფანატიზმმა გააკეთებინა ეს ყველაფერი. ცოლს უებნებოდა – მე ღმერთის შვილი ვარ, ეშმაკებს მოვათრევ, მარინე შენ უნდა მოგკლაო და ა.შ. მაგრამ სერიოზულად არასდროს აღვიქვამდით ამ ყველაფერს.

**– ანუ მანამდეც მოკვლით ემუქრებოდა?**

– ერთადერთხელ იყო მუქარის ტონი, ბიცოლაჩემის ორმოცი იყო და მაგ დროს დაემუქრა, თუმცა მალევე დავაშოშმინეთ. მერე საერთოდ აღარ იღებდა ხმას, ხეზე ხატავდა, ნიჭიერი კაცია ისე, მაგრამ, როგორ გადაუტრიალა ტვინი იმ სექტამ, ვერ გეტყვით.

**– ეჭვიანობის ვერსიას გამორიცხავთ?**

– არა, ეს გამორიცხულია. თუ ეჭვიანობის ნიადაგზე კლავ, თვალები და ენა აღარ უნდა ამოაჭრა და აღარ უნდა დაწვა მიცვალებული. ეს უკვე სხვა რამეზე მეტყველებს. ეს არის რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაული. მე არც კი ვიცოდი, რომ იქ დაეთრეოდა. მე სახლში ვიყავი, სასაფლაოდან ახალი მოსული, დამირეკეს სასწრაფოდ ჩამოდი, ამირანმა მარინე მოკლაო. ჩავედი და დამხვდა ეს უბედურება. პატრული მაშინვე გამოცხადდა, გააანალიზეს ყველაფერი და აიყვანეს. რომ დაინახეს მისმა ბიჭებმა, ერთ-ერთმა მოსაკლავად გაიწია, ამ დროს ამირანმა უთხრა – თქვენ ვეღარ მნახავთო. მივმართავ სამართალდამცველებს, ეს პიროვნება ჩემი ბიძაშვილია, მაგრამ სასიცოცხლო ნამდვილად არ არის, დახვრეტა არ არსებობს, ამიტომ ვითხოვთ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ. მიცვალებულს აგური ჩაარტყა და გათიშა, შემდეგ ენა ამოაჭრა, ყურები დააჭრა და დაწვა. ამ ყველაფერს თვითონ ყვება, თორემ ცხედარი ისე იყო დამწვარი ჩვენ რას ვნახავდით.



მარინა ბოჭორიშვილი

გარდაცვლილ მარინე ბოჭორიშვილს ორი – 24 და 29 წლის, ვაჟი დარჩა. ისინი მამის უმკაცრესად დასჯას ითხოვენ. მინდია ბოჭორიშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ უცნაურ რელიგიურ რიტუალებს მამამისი, სოფლის მახლობლად, ტყეში ატარებდა, რის გამოც არაერთხელ მოუხდათ კონფლიქტი.

**მინდია ბოჭორიშვილი, გარდაცვლილის ვაჟი:**

– იყო თითქოს ეჭვიანობის ვერსიაც, მაგრამ მე უფრო მგონია, ეს თავის სარწმუნოებიდან გამომდინარე ჩაიდინა.

**– კონკრეტულად რომელი რელიგიური ორგანიზაციის წევრია მამათქვენი?**

– 1994 წლიდან არის რაღაც სექტაში გაწევრიანებული, კონკრეტულად რა სექტაა არ ვიცი. თავიდან 50-იანელებთან იყო, მაგრამ მერე გამოეყო და სხვა რელიგიაზე გადავიდა. სოფლის მახლობლად იქვე დადიოდა, ცეცხლს ანთებდა ხოლმე, რამდენჯერმე ამაზე კამათიც მოგვიხდა. ქუთაისში მომხდარა ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა, ის მკვლელიც რაღაც სექტის წევრი იყოო.

**– მანამდე თუ ყოფილა დედათქვენს და მამათქვენს შორის სერიოზული კონფლიქტი?**

– ისეთი არაფერი. ბოლო ორი წელია, ცოტა აგრესიული გახდა. მანამდე თან ყვებოდა ოჯახს. ერთი წლის წინ უთქვამს, რომ უნდა მოგკლაო, მაგრამ სერიოზულად არ აღვიქვით. ქალაქში ვიყავი მე წასული, რომ დამირეკეს – დედაშენი ცუდადაა და სასწრაფოდ ამოდიო. რომ მივედი, ეს უბედურება დამხვდა. ჯერ უწამებია, ქვა ჩაარტყა თავში, მერე თვალები და ყურები მოაჭრა, მარჯვენა ხელიც მოუჭრია და დაწვა.

როგორც უკვე გითხარით, პოლიციამ ეჭვმიტანილი იმავე დღეს, მკვლელობიდან რამდენიმე საათში დააკავა, 8 მაისს კი ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ამირან ბოჭორიშვილს წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი, ზურაბ გამეზარდაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ მეუღლის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ბოჭორიშვილი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამეზარდაშვილს ჩვენ ამ კონკრეტული საქმის გარდა, საზოგადოებაში გავრცელებულ ინფორმაციაზეც ვკითხეთ, რომლის თანახმად, ბოლო პერიოდში მძიმე დანაშაულის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

**ზურაბ გამეზარდაშვილი, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი:**

– ბოჭორიშვილის საქმესთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ შსს-მ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავა. 1963 წელს დაბადებული ამირან ბოჭორიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად აიყვანეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2013 წლის 6 მაისს, ქალაქ ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითში საცხოვრებელ სახლში ცივი იარაღისა და ბლაგვი საგნის გამოყენებით მეუღლე, 1963 წელს დაბადებული მარინა ბოჭორიშვილი მოკლა, რის შემდეგაც გვამი სახლის უკანა ეზოში დაწვა. სამართალდამცველებმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

**– ბატონო ზურაბ, ზოგადად გახშირდა თუ დაიკლო დანაშაულის რაოდენობამ თქვენს რეგიონში და როგორია გახსნის მაჩვენებელი, თუ შეგიძლიათ, რომ გვითხრათ?**

– კი ბატონო. ჩვენ ხშირად გვდებენ ბრალს იმაში, რომ სტატისტიკით ვიწონებთ თავს, მაგრამ თუ არა სტატისკიკა, როგორ შევადარებთ წინა წლების მონაცემებს მიმდინარე წლის მონაცემებთან და როგორ დავინახავთ განსხვავებას მათ ცვლილებაში. ბოლო რამდენიმე თვის მონაცემებით იმერეთის რეგიონი არის პირველ ადგილზე დანაშაულის განხსნის თვალსაზრისით. გვაქვს დანაშაულის ძალიან დიდი კლება, დაახლოებით 600 ერთეულით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2012 წელს მოხდა 1 132 დანაშაული. აქედან გახსნილია 309. გახსნის პროცენტია – 27, 3%. ხოლო მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში – 835 დანაშაულიდან გახსნილია 583. დანაშაულის გახსნის მაჩვენებელია – 69,82%. დამეთანხმებით, რომ დიდი განსხვავებაა 27% და 69% შორის.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით მშვიდად, სანამ ყველა მოქალაქე თანაბრად არ იქნება დაცული.

**გარდაცვლილის შვილი „პრაიმტაიმს“ უყვება, რომ მამამისი, წლებია, „გაურკვეველი რელიგიური ორგანიზაციის“ წევრია და ბოლო ორი წელი უცნაურ რიტუალებს ატარებდა. ბრალდებულის ბიძაშვილი კი ყვება, რომ ე.წ. მსხვერპლშეწირვა ამირან ბოჭორიშვილმა შეგნებულად აღდგომის დღესასწაულს დაამთხვია**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ვადასტურებ, რომ ეს საბუთი საპატრიარქოში არ არის“





EXCLUSIVE

„ის არის თვითმარქვია, რომელიც ყველამ უნდა ამხილოს“

## ადამიანი, რომელიც „პრაიმტაიმს“ ბერ-მონაზონ ლუკად გაეცნო, საპატრიარქოს ინფორმაციით, სასულიერო პირი არ გახლავთ

**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**„პრაიმტაიმის“ 214-ე ნომერში გამოქვეყნდა სკანდალური ინტერვიუ მამა ლუკასთან, იგივე ლევან კოკორაშვილთან. პიროვნება, რომელიც რედაქციაში თავად დაგვიკავშირდა, ბერ-მონაზვნად გაგვეცნო და გვითხრა, რომ მოქალაქე ნესტან როგავას ცრუ ჩვენების საფუძველზე დაიჭირეს და თაღლითობისთვის ასამართლებდნენ, თუმცა სასამართლომ ის უდანაშაულოდ ცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა. სასულიერო ფორმაში ჩაცმული პიროვნება ციხის სკანდალურ დეტალებსაც ყვებოდა, მათ შორის პატიმრების გაუპატიურებაზე, თავად ნესტან როგავას კი მასთან ინტიმური კავშირის დამყარების მცდელობაში ადანაშაულებდა და თაღლითად მოიხსენიებდა. ჩვენ იმთავითვე შევეცადეთ ნესტან როგავასთან ინფორმაციის გადამოწმებას, თუმცა, როგორც თავად კოკორაშვილმა გვითხრა, ის საქართველოში არ იმყოფებოდა. ნესტან როგავა „პრაიმტაიმის“ სტატიას თავად გამოეხმაურა. ის ჩვენთან საუბრისას ყვება, რომ მამა ლუკა სინამდვილეში სასულიერო პირი არ გახლავთ და ბერ-მონაზვნის წოდებას თაღლითური საქმიანობისთვის იყენებს. ამის შემდეგ ჩვენ ინფორმაცია საპატრიარქოში და რამდენიმე სასულიერო პირთანაც გადავამოწმეთ. აღმოჩნდა, რომ ლევან კოკორაშვილი მართლაც არ ირიცხება ბერ-მონაზონთა დასში და მას ოფიციალურად სასულიერო წოდება არ გააჩნია. ნესტან როგავა ლევან კოკორაშვილის წინააღმდეგ ამჟამად სააპელაციო სასამართლოში იბრძვის და მას ფულის გამოძალვაში, თაღლითობასა და არასრულწლოვნებზე ძალადობაში ადანაშაულებს.**

**ნესტან როგავა:**

– თქვენს გაზეთში წავიკითხე ის ცილისწამებები, რომელსაც ეს ადამიანი აფრქვევს ჩემი მისამართით. საბერძნეთში ვიმყოფებოდი და ინტერნეტისა და ტელეფონის მეშვეობით გავიცანი ლევან კოკორაშვილი, ე.წ. მამა ლუკა, რომელიც იყო ჩემი ძმის მოძღვარი. ეს პიროვნება ჩემს ოჯახში ნამყოფი იყო, ჩემი დეიდაშვილის წესის აგებაზეც ჰყავდათ წაყვანილი. აქედან გამომდინარე, დავუახლოვდი და შემოვიდა ჩემთან ნდობაში. ეჭვიც არ შემიტანია მის ქმედებებში, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ანაფორაში ჩაცმული ადამიანი ასეთ უმსგავსობებს იკადრებდა. ჩემი შვილები ფერიის ბავშვთა სახლში იზრდებიან. მთხოვა, ბავშვებზე ავიღებ მზრუნველობას, შენ რისი საშუალებაც გექნება, გამოგზავნე და აქ ბავშვებს მე მივაკითხავ და როცა საშუალება იქნება, ჩემთანაც წავიყვან ხოლმეო. მანვე დამაკავშირა „ნატახტარის“ დირექტორს, ლაშა ნოდიას, რომელზეც მითხრა, რომ ჩემი სულიერი შვილია და რომ ჩამოხვალ, მასთან კარგ სამსახურში მოგაწყობო. ფულს ვაგზავნიდი სისტემატურად, ვუგზავნიდი პირადად მას, რითაც ბინა უნდა დაეგირავებინა და ავტომობილი შეეძინა. რომ ჩამოხვალ, ამ ყველაფერს დაგახვედრებო. მე ბედნიერი ვიქნები, რომ ჩემს სულიერ შვილს ასეთი მადლი გავუკეთე და მივეხმარეო. სინამდვილეში აღმოჩნდა ისე, რომ ჩემი გამოგზავნილი ფულები მიითვისა, არც სახლი დაუგირავებია და არც მანქანა უყიდია. ჩამომიყვანა აქ, დამატოვებინა სამსახური და აბსოლუტურად ჰაერში დამტოვა. ხატმწერს ძვირფასი ხატი დააწერინა, საჩუქრად უნდოდა წაეღო, მე გამოვუგზავნე 100 ევრო, მაგრამ იმისთვის არ მიუცია. ის კაცი მირეკავდა და კატეგორიულად ითხოვდა თავის ფულს. როდესაც ვუთხარი, მამაო, რატომ არ მიეცით ის ფული-მეთქი, მიპასუხა: მე ასე ვაწერ გოიმებსო.

**– ქალბატონო ნესტან, თუკი ფულს გძალავდათ, რაღატომ გთხოვდათ ჩამოსვლას? ლოგიკურად მას თქვენი იქ ყოფნა უფრო აწყობდა...**

– ეს ჩემთვისაც ამოუხსნელია. მითხრა, ყველაფერი მზად არის, ბინიდან დაწყებული, მანქანით დასრულებული. რატომ უნდა იტანჯო ტყუილადო. ამ პერიოდში ჩემ მიერ გამოგზავნილი თანხა 8 ათას ევროს აღწევს. გარდა ამისა, დავუფინანსე დედამისის ოპერაცია, სისტემატურად ვუგზავნიდი საჭმლის ფულს, თავად ავარიაში მოყვა და სამკურნალოდ გამოვუგზავნე ფული. რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ჩამოვედი, მიმიყვანა სხვის სახლში და მითხრა, – აი, ეს არის შენი ბინაო. მანახვა მანქანაც. მეგონა, რომ მართლა ჩემთვის იყო ეს ყველაფერი და ვფიქრობდი, მადლობა რით გადამეხადა ამ ადამიანისთვის. შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე, ახლობლებმა მითხრეს, საბუთები გამოართვი და გადაიფორმე შენი მანქანაც და ბინის საკითხიც მოაგვარეო. მართლაც ვთხოვე, მამაო, მოდი საბუთების საკითხი მოვაგვაროთ-მეთქი. მანამდე ბავშვებმა მითხრეს, მამა ლუკამ რომ წაგვიყვანა ბავშვთა სახლიდან, ძალიან ცუდად გვექცეოდაო. კარადაში მკეტავდა და მცემდაო, 10 წლის თომა მეუბნება ამას. დავფიქრდი, ვიფიქრე, ბავშვი ხომ არ იგონებს რამეს-მეთქი, შემდეგ დედა სიდონიას გამოუგდია ფერიიდან, ბავშვები აღარ გაატანა.

**– საბუთები რომ მოსთხოვეთ, რა გიპასუხათ?**

– მანქანა რომ გადაგიფორმო, ახლა თანხა არ მაქვს, 500 დოლარი სჭირდებაო. შემომთავაზა, ოქრო დამელომბარდებინა და მერე მე გამოვიტანო. ვენდე, მივეცი ოქრო, რაც კი გამაჩნდა, დაალომბარდა თავისი სახელით. ამის შემდეგ ვთხოვე, – მამა ლუკა, მჭირდება საბუთი, რომ ეს ბინა ჩემს სახელზე არის დაგირავებული და მანქანის საბუთებიც მინდა-მეთქი. ამაზე გაღიზიანდა, მესროლა ჩანთა, ჯოჯოხეთის ცეცხლში დაგწვავო და რა ვიცი, კიდევ რა არ მეძახა. გამომაგდო გარეთ. წავედი პირდაპირ პოლიციაში და შევიტანე განცხადება. ამის შემდეგ დავეჭვდით უკვე, რამდენად იყო ის სასულიერო პირი. აღმოჩნდა, რომ ის არის თვითმარქვია ბერ-მონაზონი. თქვენ ხომ ჟურნალისტი ხართ, მოსთხოვეთ საბუთი, თუ გააჩნია. მერე მემუქრებოდა, თუ ბევრს ილაპარაკებ, შენს თავს დავაჭერინებ და ქალთა კოლონიაში ტუალეტებს გახეხვინებო. მან მე კი არა, საპატრიარქოც შეურაცხყო, მიისაკუთრა ანაფორა, რომელსაც იყენებს თაღლითობისთვის და ფულის გამოძალვისთვის. ეს კაცი ხვალ ან ზეგ კიდევ სხვას გააბამს მახეში, ამიტომ დროზე უნდა შეაჩერონ. ვიყავით საპატრიარქოში, მამა მიქაელ ბოტკოველმა გვითხრა, რომ ეს პიროვნება არ ირიცხება ბერ-მონაზონთა დასში და არანაირი სასულიერო წოდება არ გააჩნია. ის არის თვითმარქვია, რომელიც ყველამ უნდა ამხილოს.

**– თუმცა პირი, რომელსაც თქვენ თაღლითსა და თვითმარქვიას უწოდებთ, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა...**

– დიახ, სწორედ ამიტომ ჩვენ უკვე გავასაჩივრეთ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მეორე ინსტანციაში. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ადამიანს საბოლოოდ თავის ადგილს მიუჩენენ. სასამართლო პროცესზე მოსამართლემ პირდაპირ წამიყენა ულტიმატუმი: 180-ე მუხლს ამნისტია ეხება, თუ თქვენ თანახმა იქნებით ამნისტიაზე, შეგეძლებათ, შემდეგ დავა სამოქალაქო წესით გააგრძელოთო, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ესეც ვერ მოახერხოთო. მე ამნისტიით მის განთავისუფლებას არ დავთანხმდი, ამიტომ მოსამართლემ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება და ეს თვითმარქვია დარბაზიდან გაუშვა. მე ბოლომდე ვიბრძოლებ ამ ადამიანის დასასჯელად, რადგან არის სერიოზული საფრთხე, რომ მის მახეში კიდევ არაერთი ადამიანი გაებას. მე, ჩემი მხრივ, მოვითხოვ ზარალის ანაზღაურებას. გარდა ამისა, მან თავისი ცილისწამებებით მომაყენა მორალური ზიანი, გამანადგურა და ოჯახი დამინგრია. ეს არის ჩვეულებრივი თაღლითი, რომელმაც მე გამანადგურა და პრაქტიკულად მომკლა. ადამიანი ამბობს, ლოგინში მიხტებოდაო, ღმერთისაც არ ეშინია? ამ შეურაცხყოფისთვის მას პასუხი აუცილებლად მოეთხოვება, ამის პირობას ვდებ. ან თუნდაც მართალი რომ იყოს, როგორ წარმოგიდგენიათ, ბერ-მონაზონი ამაზე ასე ილაპარაკებდა? მეტსაც გეტყვით, განათლების სამინისტროსა და შესაბამის ორგანოებს მივმართავ, რათა გაირკვეს, როგორ ძალადობდა ჩემს შვილებზე. ეს ადამიანი ვინმემ თუ არ შეაჩერა, კიდევ ბევრს შეიყვანს შეცდომაში. სასულიერო პირები გაგიჟებულნი არიან, როგორ გამოუშვეს ციხიდანო. თქვენი გაზეთის საშუალებით მოვუწოდებ ყველას, ვისაც კი მასთან გაქვთ შეხება, ან მომავალში შეიძლება გქონდეთ – მოსთხოვეთ სასულიერო პირის საბუთი.

ნესტან როგავასთან საუბრის შემდეგ ლევან კოკორაშვილს კიდევ ერთხელ დავუკავშირდით. ის კვლავ ამტკიცებს, რომ ნამდვილად სასულიერო პირია, თუმცა ადასტურებს, რომ საპატრიარქოში ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არსებობს. ამ ფაქტს კი მეუფე კალისტრატესთან დაპირისპირებით ხსნის.

„მე ბერ-მონაზვნად არ ვასაღებ თავს. წლებია, ბერ-მონაზონი ვარ, ამ სტატუსს ამოფარებული ვერ ივლის ადამიანი“

**ლევან კოკორაშვილი:**

– მისი ბრალდებები სიმართლეს საერთოდ არ შეესაბამება. მე 4 წელიწადი ვაკითხავდი მის შვილებს, არც ერთხელ არც ბავშვთა სახლის დირექტორს, არც დედა სიდონიას, არც აღმზრდელებს ჩემთვის არ უთქვამთ, ბავშვებს ცუდად ექცეოდი, ან რაიმე დაზიანებები ჰქონდათო. ნესტან როგავას მამიდა, ნარგიზ ტყეშელაშვილი რატომ მატანდა ბავშვებს, თუ ვცემდი? კიდევ ერთხელ მივმართავ არჩილ კბილაშვილსა და თეა წულუკიანს, გამოითხოვონ ნესტან როგავას საბუთი, ყველა დარწმუნდება, რომ ეს ქალი არის ფსიქიკურად დაავადებული. მასზე ასევე სენაკის რაიონში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, მას ბრალად ედებოდა სოფელ უშაფათში ავადმყოფი ქალის მკვლელობა. ეს გამოიკვლიონ, ამის დოკუმენტები არსებობს არქივში.

**– თქვენ მე გამეცანით, როგორც ბერ-მონაზონი ლუკა... ნესტან როგავასთან საუბრის შემდეგ კი ჩვენ ინფორმაცია საპატრიარქოშიც და სხვა სასულიერო პირებთანაც გადავამოწმეთ, თუმცა თქვენი სასულიერო წოდება არ დასტურდება...**

– მე ბერ-მონაზვნად არ ვასაღებ თავს. წლებია, მე ბერ-მონაზონი ვარ, ამ სტატუსს ამოფარებული ვერ ივლის ადამიანი.

**– რით ადასტურებთ ამას?**

– მე მოგიყვანთ ჩემს ადვოკატს, რომელიც მოიტანს ბერ-მონაზვნობის დამადასტურებელ მოწმობას. მე ახლა დაგაკავშირებთ თერჯოლის რაიონის მღვდელს, რომელიც იგივეს დაადასტურებს.

**– გასაგებია, მაგრამ თერჯოლის რაიონის მღვდლის დასტური არაა, ალბათ, საკმარისი... საპატრიარქოს მონაცემებით თქვენ ბერ-მონაზონთა დასში არ ირიცხებით...**

– დიახ, ვადასტურებ, რომ ეს საბუთი საპატრიარქოში არ არის, რადგან არ გასცემს მეუფე კალისტრატე, რომელიც დამიპირისპირდა უშიშროებასთან თანამშრომლობის გამო. ის კატეგორიულად არ წერს ბერად აღკვეცის საბუთს, თუმცა მე ბერ-მონაზონი ვარ და ნებისმიერს შეუძლია იდაოს.

„როგორ წარმოვიდგენდი, რომ ანაფორაში ჩაცმული ადამიანი ასეთ უმსგავსობებს იკადრებდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ აკონტროლებს პარკირების ადგილებს ქუთაისში





**დეა მანაგაძე**
**„ახალი გაზეთი“**

## ქუთაისში პარკირების ადგილების 90%-ს მერიის მიერ გაცემული იჯარის ვადა გასული წლის ზაფხულში გაუვიდა

ქუთაისში არსებული ავტომობილების სადგომები არალეგალურად ფუნქციონირებს. პარკირების ადგილების 90%-ს მერიის მიერ გაცემული იჯარის ვადა გასული წლის ზაფხულში გაუვიდა. მათი უმრავლესობის უკან კი ყოფილი თუ მოქმედი ჩინოვნიკების ინტერესები იკვეთება.

2007 წელს ქუთაისის მერიამ, კონკურსის წესით, პარკირების 31 ადგილი (10 ლოტად) 5-წლიანი იჯარით სარგებლობაში გადასცა ინდმეწარმეებსა და კერძო ფირმებს.

იმ დროისთვის ამ ადგილების უდიდესი ნაწილი იჯარით ორმა კომპანიამ – შპს „პარკინგ ჰოლდინგმა“ და შპს „ერთობა 1“-მა აიღო. ეს უკანასკნელი ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ყოფილი უფროსის, ირაკლი ბერაძის ოჯახის ინტერესებში შედის. ირაკლი ბერაძე კი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის ახლო ნათესავია. თანამდებობაზეც ნათესავური კავშირებით მოხვდა.

ბერაძის დედა კომპანია „ერთობა 1“-ის 33%-იანი წილის მფლობელია. ქუთაისში შპს „ერთობა 1“-ს პარკირების 14 ადგილი ეკუთვნის.

ავტომანქანის სადგომების ყველაზე დიდ რაოდენობას (23 ადგილი) შპს „პარკინგ ჰოლდინგი“ ფლობს. გავრცელებული ინფორმაციით, ამ კომპანიის საქმიანობას ქუთაისის საკრებულოს დეპუტატის, კახაბერ ნემსიწვერიძისა და იმერეთის ყოფილი ვიცე-გუბერნატორის, გოჩა თევდორაძის სახელები უკავშირდება.

კომპანიის უფლებამოსილი პირი გოდერძი ქასრაშვილია, რომელიც ამავე დროს შპს „იმერტრანსის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი 52%-იანი წილის მფლობელია. გოდერძი ქასრაშვილს წარსულში ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის უფროსის თანამდებობა ეჭირა.

შპს „იმერტრანსი“ გასულ წლებში ქუთაისი-თბილისის მიმართულებით მიკროსამარშრუტო ხაზებს ფლობდა. გოდერძი ქასრაშვილი აცხადებს, რომ ეს ხაზები „იმერტრანსს“ შპს „იბერიის ვარსკვლავის“ მესვეურებმა ჩამოართვეს (რასაც კომპანიაში უარყოფენ). „იბერიის ვარსკვლავის“ 24,5%-იანი წილი 2008 წელს 73 ლარად გოჩა თევდორაძის დის მეუღლემ, ხვიჩა ღონღაძემ შეიძინა.

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, შპს „პარკინგ ჰოლდინგი“ 2007 წელს დარეგისტრირდა და 100%-ით ლიანა დოლონაძის საკუთრებაა, რომელიც ასევე შპს „ავტოტრანსკორპორაციის“ ერთ-ერთი თანამფლობელიცაა (30%-იანი წილი).

შპს „ავტოტრანსკორპორაცია“ საქალაქო ტრანსპორტში #48, #50 და #100 მიკროსამარშრუტო ხაზების მფლობელია. საკრებულოს დეპუტატი კახაბერ ნემსიწვერიძე, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობიდან“ ახლად ჩამოყალიბებულ ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსში“ გადაინაცვლა, აცხადებს, რომ #100 სამარშრუტო ხაზი მის ძმას ეკუთვნის.

ბიზნესსაქმიანობებში ერთმანეთთან კავშირს სამივე მხარე – გოდერძი ქასრაშვილი, გოჩა თევდორაძე და კახაბერ ნემსიწვერიძეც უარყოფს.

„არავითარი კავშირი არ მაქვს მაგათთან. თევდორაძე ბოლოს ათი წლის წინათ ვნახე“, – აცხადებს გოდერძი ქასრაშვილი.

გოჩა თევდორაძე ქუთაისში პარკირების ლობირებაში წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს ადანაშაულებს.

„წინა ხელისუფლების ინტერესი იყო, კომფორტულად გრძნობდნენ თავს, მათ მიერ ხელდასხმულ პირებს ჰქონდათ ტენდერები მოგებული და თანხებს ისინი კრებდნენ“, – აცხადებს იმერეთის ყოფილი ვიცე-გუბერნატორი გოჩა თევდორაძე, რომელიც 2011 წლამდე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ორგანიზაციის გენერალური მდივანი იყო, ასევე, გახლდათ წინა მოწვევების პარლამენტის წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“. ამჟამად კი „პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს.

2013 წლის მარტში დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ გოჩა თევდორაძე დაკითხა. დაკითხვის შემდეგ ბოლო დრომდე თევდორაძე აცხადებდა, რომ მასთან კითხვები ქუთაისში გასხვისებულ ქონებებთან დაკავშირებით ჰქონდათ.

თუმცა, ამჟამად თევდორაძე „ახალ გაზეთთან“ საუბარში აცხადებს, რომ პროკურატურის ერთ-ერთი შეკითხვა ქუთაისში პარკირების საკითხსაც შეეხებოდა. როგორც ჩანს, პროკურატურის მიერ თევდორაძის დაკითხვა ერთჯერადი პროცესი იყო, რადგან ყოფილი ვიცე-გუბერნატორი ამ უწყებას მეტად აღარ შეუწუხებია.

„პროკურატურამ იმიტომ კი არ დამიბარა, რომ „ნაციონალური მოძრაობიდან“ გავედი, ერთ-ერთი საკითხი იყო, რატომ არ გამოდის პარკირების საკითხი ტენდერზე?“ – აცხადებს გოჩა თევდორაძე.

ქუთაისის მერიის მიერ შპს „პარკინგ ჰოლდინგისა“ და შპს „ერთობა 1“-თან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა გასული წლის 14 აგვისტოს ამოიწურა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, პარკირების ადგილების ახალ მოიჯარეებზე გადაცემა აღარ მომხდარა.

„2007 წელს ჩატარდა კონკურსი, რის საფუძველზეც იჯარით გაიცა ქალაქის ძირითადი ტერიტორიები. დარჩენილი იყო ცალკეული ადგილები და ამის გამო შეფერხდა იჯარით პარკირების გაცემა“, – აცხადებს ქუთაისის მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსი ვალერი თევდორაძე.

თუმცა, როგორც ირკვევა, ქუთაისის მერიის მიერ ოფიციალურად დაშვებული პარკირების ადგილების გარდა, ქალაქში არაოფიციალური ავტომანქანების სადგომებიც მრავლად ფუნქციონირებს.

## პარკირების პოლიტიკური კონტროლი და არალეგალური სადგომები

ერთ-ერთი ასეთი არალეგარული სადგომი ქუთაისის ცენტრში, ყოფილ კინოთეატრ „საქართველოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ამორტიზებული ფანტანების ადგილზეა. სადგომის თანამშრომელი აცხადებს, რომ პარკირების ადგილი ვინმე კახას ეკუთვნის, თუმცა, მან სხვა ინფორმაციის გამჟღავნება არ ისურვა.

ასევე, არარაგისტრირებული ავტოსადგომია მოწყობილი რუსთაველის ქუჩაზე „ვითიბი ბანკის“ წინ, გარდა ამისა, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე „უნივერმაღის“ დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე და ამავე ქუჩის დასაწყისში რესტორან „თუთარჩელას“ წინ.

გაურკვეველია, ვის ეკუთვნის აღნიშნული ადგილები, ისევე, როგორც ამ ავტოსადგომებიდან შემოსული თანხები.

მერიის ქონების მართვის სამსახურში განმარტავენ, რომ არაკანონიერი სადგომების შესახებ მოკვლევა სისტემატურად ხორციელდება. სამსახურის უფროსის ვალერი თევდორაძის ინფორმაციით, ამჟამად, საფინანსო პოლიციის საგამოძიებო სამსახურში, მორიგ ასეთ ფაქტზე ძიება მიმდინარეობს. თევდორაძე გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე კონკრეტული დეტალების დასახელებისგან თავს იკავებს.

მერიის ქონების მართვის სამსახურში ასევე განმარტავენ, რომ პარკირების ადგილების ერთიანი ელექტრონული სიების შედგენაზე მუშაობა მიმდინარეობს და ახალ კომპანიებთან ხელშეკრულების გაფორმება ზაფხულის თვეებში მოხდება.

მანამდე კი, ავტომობილების სადგომებს არალეგალურად ფუნქციონირება კიდევ რამდენიმე თვით გაუხანგრძლივდება.



არალეგალური სადგომი წერეთლის ქუჩა



არალეგალური სადგომი ფალიაშვილის ქუჩა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ შეჩერდა „შიტრიტ ჯგუფის“ მიერ დაწყებული ყველა პროექტი


დეა მანაგაძე
„ახალი გაზეთი“




# ქუთაისში მშენებლობის ნებართვა არარსებულ მისამართზე გაიცა

## არქიტექტურის სამსახურის უფროსი ვასილ მებურიშვილი აცხადებს, რომ არარსებულ მისამართზე ნებართვის გაცემის პასუხისმგებლობა პროექტის გამცემ ორგანოებს და საჯარო რეესტრს ეკისრება

**ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვა არარსებულ მისამართზე გაიცა.**

2012 წლის 26 ნოემბერს არქიტექტურის სამსახურმა ქუთაისში, რუსთაველის №136-ში შენობის დემონტაჟის ნებართვა შპს „შიტრიტ ჯგუფი საქართველოში“ მისცა.

აღნიშნული ჯგუფი ქუთაისში მოქმედი სასტუმრო Empire Hotel-ის მფლობელია, რომელიც ცისფერყანწელთა ქუჩაზე, ბავშვთა №1 პოლიკლინიკის ყოფილ შენობაში მდებარეობს. სასტუმრო Empire Hotel-ის მშენებლობაში კომპანიამ 600 000 აშშ დოლარის ინვესტიცია ჩადო. მშენებლობა ცხრა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

2012 წლის 28 მაისს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით, სასტუმროების ქსელის Empire Hotel მფლობელი შიმონ შიტრიტი, 2012 წლის ბოლომდე ქუთაისში კიდევ ერთი სასტუმროსა და რამდენიმე სავაჭრო ობიექტის დასრულებას გეგმავდა.

არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ ნებართვაში მითითებულ მისამართზე (რუსთაველის №136) აღნიშნული ჯგუფი, სავარაუდოდ, პრეზიდენტის ვებ-გვერდზე მოხსენიებული ობიექტებიდან რომელიმეს აშენებას აპირებდა.

„ახალი გაზეთის“ მიერ არაერთმა მცდელობამ, მიგვეკვლია ამ ადგილისათვის, უშედეგოდ ჩაიარა. რუსთაველის ქუჩის ლუწი ნომრები №124-ით მთავრდება, სადაც ამჟამად „მრეწველთა სახლი“ ფუნქციონირებს, რუსთაველის №141-ში კი სუპერმარკეტი „პოპული“ მდებარეობს.

წლების წინ ქუთაისში რუსთაველის ქუჩის №136 მისამართი ნამდვილად არსებობდა, რომელმაც შემდეგ ცვლილება განიცადა და ზ. გამსახურდიას ქუჩა №10 გახდა. აღნიშნულ მისამართზე, ამჟამად, კერძო ოჯახი ცხოვრობს.

სასტუმრო Empire Hotel-ში აცხადებენ, რომ „შიტრიტ ჯგუფის“ ახალი ობიექტების მშენებლობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ და არც ამ კონკრეტულ მისამართზე სმენიათ რაიმე.

როგორც გაირკვა, ამ უკანასკნელის შესახებ არა მხოლოდ სასტუმროში, არამედ არც თავად არქიტექტურის სამსახურში იციან. სამსახურის უფროსმა ვასილ მებურიშვილმა „შიტრიტ ჯგუფზე“ გაცემულ ნებართვაში მოხსენიებული მისამართი, კლინიკა „ბომონდის“ მიმდებარე ტერიტორიად მიგვითითა.

თუმცა, საჯარო რეესტრის მონაცემებით, კლინიკა „ბომონდი“ ზვიად გამსახურდიას I შესახვევის №15-ში მდებარეობს.

არქიტექტურის სამსახურის უფროსი ვასილ მებურიშვილი აცხადებს, რომ არარსებულ მისამართზე ნებართვის გაცემის პასუხისმგებლობა პროექტის გამცემ ორგანოებს და საჯარო რეესტრს ეკისრება.

„ეს პასუხისმგებლობა დამკვეთიდან დაწყებული, დაპროექტების სპეციალისტებზე და ადმინისტრაციულ ორგანოებზე გადანაწილდა. დამკვეთი დაპროექტებისთვის აუცილებელ დოკუმენტაციას ნორმატიული აქტების მომზადების საფუძველზე ახდენს. პირველ რიგში, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, რომლის გარეშეც არ შეიძლება დაპროექტება“, - აღნიშნავს ვასილ მებურიშვილი.

როგორც გაირკვა, შპს „შიტრიტ ჯგუფი“ ქუთაისში არაერთი კომერციული ფართის მფლობელია. მის საკუთრებაში შედის გრიშაშვილის ქუჩაზე 129,44 კვ.მ ფართის შენობა, ასევე ვარლამიშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე ყოფილი სახანძროსა და კულტურის სახლის შენობები, სადაც სასტუმროების მშენებლობა იგეგმებოდა.

ამჟამად, შპს „შიტრიტ ჯგუფის“ მიერ დაწყებული ყველა პროექტი ქუთაისში გაჩერებულია.

ამერიკელი ბიზნესმენი (წარმოშობით მაროკოელი) შიმონ შიტრიტი ქუთაისის საპატიო მოქალაქეა. იგი უძრავ ქონებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფლობს. ბიზნესმენის ქართველი პარტნიორი ნატალია კვანტალიანია, რომელიც ფაქტობრივად, „შიტრიტ ჯგუფის“ ქონების მფლობელად მოიაზრება.

2012 წლის 16 ივლისს მერიის არქიტექტურის სამსახურმა ნებართვა გასცა თამარ მეფის №37-ში, სავაჭრო-საოფისე შენობის მოსაწყობადაც. ამჟამად, ამ მისამართზე მიკრო-საფინანსო ორგანიზაცია „ფინკაა“ განთავსებული.

სავაჭრო-საოფისე შენობის მშენებლობა 52 000 ლარადაა შეფასებული. მისი ერთ-ერთი მესაკუთრე გოჩა კუპრაშვილი აცხადებს, რომ მერიის სამსახურებმა მათ მიმართ გადაჭარბებული სიმკაცრე გამოიჩინეს.

„ისეთ დღეში ჩაგვაგდეს, რომ ლამის ფიზიკურ შეურაცხყოფამდე მივიდა საქმე. არ ვიცი, საერთოდ მკაცრები არიან თუ მხოლოდ ჩვენს მიმართ გამოიჩინეს სიმკაცრე. დღეში რამდენიმეჯერ გვამოწმებდნენ. დაჟინებით ითხოვდნენ, რომ არანაირი შეღავათი არ გაეკეთებინათ და ხელი შეეშალათ, რომ ნებართვაში მითითებულ ვადებში ვერ ჩავტეულიყავით, თუმცა ჩვენ ყველანაირი ღონე ვიხმარეთ და მშენებლობა მაინც დავასრულეთ მითითებულ ვადებში. იქ ისეთი ადგილი არაა, რომ სამშენებლო სამუშაოები გაგვეშალა, ფართის სიმცირის გამო, უხერხული პრობლემები გვექმნებოდა და ზოგჯერ სამუშაოები ღამის საათებში მიმდინარეობდა“, - ამბობს გოჩა კუპრაშვილი, რომელიც ამავე დროს, ნიკეას ქუჩაზე მდებარე „ქუთაისის პანელების ქარხნის დირექტორია“, რომლის მფლობელი ყოფილი დასაქმების მინისტრი პაატა ტრაპაიძეა.

კუპრაშვილთან ერთად აღნიშნული ობიექტი, ასევე გრიგოლ მანდარიას და შპს „ვესტელელექტრონიქსის“ საკუთრებაა. გრიგოლ მანდარიას „საქართველოს ბანკის“ ქუთაისის სერვის-ცენტრის მმართველი იყო. ეს უკანასკნელი თამარ მეფის ქუჩაზე კიდევ ერთი მიწის ფართობის მესაკუთრეა. საუბარია იმ ადგილზე, სადაც საბჭოთა პერიოდში მილიციის შენობა მდებარეობდა, რომელიც 2009 წელს ხანძრის შედეგად განადგურდა. მანდარიამ ეს ტერიტორია შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსგან“ 255 000 ლარად შეიძინა.

მერიის არქიტექტურის სამსახურში მშენებლობის ნებართვის მიღება უფასოა. ნებართვის მიღების მსურველი მხოლოდ მშენებლობის მოსაკრებელს იხდის, რომელიც ობიექტის კვადრატული მეტრობის მიხედვით განისაზღვრება. ერთ კვადრატულ მეტრზე შესაბამისად ერთი ლარის გადახდაა დაწესებული. მოსაკრებლის ეს წესი ქუთაისის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებით რეგულირდება.

მშენებლობის ნებართვა ამა თუ იმ პირებზე განსაზღვრულ ვადებში გაიცემა, რომლის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ პირს ზედამხედველობის სამსახური საჯარიმო სანქციებს უწესებს. საჯარიმო სანქციები, კონკრეტული დარღვევების გათვალისწინებით, ჯარიმა 1 000-დან 3 000 ლარამდე მერყეობს“.

„დადგენილი ვადის ამოწურვამდე, ფიზიკურ პირს შეუძლია მერიას ისევ მიმართოს ვადის გაგრძელებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვადის ამოწურვის შემდეგ იქნა განაცხადი შეტანილი, პიროვნებამ თავიდან უნდა გადაიხადოს მოსაკრებელი“,- აცხადებს არქიტექტურის სამსახურის უფროსი ვასილ მებურიშვილი.

2013 წლამდე სამშენებლო ობიექტების ინსპექტირებას მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური ახდენდა. სამი თვის წინ ეს უწყება ცალ-ცალკე სამსახურებად ჩამოყალიბდა და ინსპექტირების





უფლება მერიის სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურს გადაეცა.

მერიის სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის ხელმღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა სულაძის ინფორმაციით, მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე აღნიშნულმა სამსახურმა 2 ფიზიკური და 4 იურიდიული პირის მიმართ საჯარიმო სანქციები გამოიყენა. 3 000 ლარით ქუთაისში მოქმედი ერთ-ერთი რესტორანი დაჯარიმდა.

ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის განმავლობაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, პროექტების შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვა 317-ჯერ გასცა. მიმდინარე წლის აპრილის თვის ჩათვლით კი, სულ 150 ნებართვაა გაცემული.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სასაჩუქრე ბარათი ავერსისგან

"ავერსი" კიდევ ერთ შესანიშნავ სიურპრიზს გთავაზობთ _ აფთიაქებში უკვე შეგიძლიათ შეიძინოთ ახალი პროდუქტი _ სასაჩუქრე ბარათი, რომლითაც შეიქმნით სასიამოვნო განწყობას, შეარჩევთ თქვენთვის სასურველ კოსმეტიკას, მოვლის საშუალებებს, ან ნებისმიერი დასახელების პროდუქციას, რომელიც "ავერსის" სააფთიაქო ქსელში გახლავთ წარმოდგენილი. ბარათი ასევე შეგიძლიათ გადასცეთ ადამიანს, ვისი ჯანმრთელობა და სილამაზეც თქვენთვის ძვირფასია.

20-ლარიანი, 50-ლარიანი და 100-ლარიანი სასაჩუქრე ბარათების შეძენა
და შესაბამისი ღირებულების პროდუქციის მიღება "ავერსის"
ნებისმიერ აფთიაქშია შესაძლებელი. ახალი პროდუქტის მოქმედების ვადა 3 წლით განისაზღვრება.

ბარათი მართლაც შესანიშნავი საჩუქარია _ ქალბატონები მოვლის საშუალებებს, ასევე, სამკურნალო კოსმეტიკას, უმეტესწილად, ხომ სწორედ აფთიაქებში იძენენ. ეს განპირობებულია, პირველ რიგში, იმით, რომ "ავერსის" სააფთიაქო ქსელი საზოგადოების ნდობით სარგებლობს _ აქ წარმოდგენილი პროდუქცია ყოველთვის მაღალი ხარისხითა და საუკეთესო სამკურნალო ეფექტით გამოირჩევა, ამასთანავე, "ავერსში" ფასები ყოველთვის დაბალანსებულია _ "ავერსს" გახსნის დღიდან პარტნიორი ფირმებისგან პირდაპირი გზით _ შუამავალი კომპანიების გარეშე შემოაქვს პროდუქცია, რაც თავისთავად მაღალი ხარისხის და დაბალი ფასების გარანტი გახლავთ.

თითოეული თქვენგანის ჯანმრთელობა და სილამაზე კომპანია "ავერსის" საზრუნავი გახლავთ, სწორედ ამიტომ, "ავერსი" ერთგულ მომხმარებელს სიურპრიზებით ხშირად ანებივრებს _ ფასდაკლებები, აქციები, ბონუსები, წამახალისებელი გათამაშებები _ ყოველივე ეს "ავერსის" სააფთიაქო ქსელის მომხმარებლისთვის უცხო არ არის. პოპულარობით სარგებლობს "ავერსის" დაგროვებითი მტრედი ბარათიც, რომლის საშუალებით დაგროვილი თანხის შესაბამისი ღირებულების პროდუქტი სასაჩუქრე კატალოგიდან შეგიძლიათ შეარჩიოთ. ახლა კი, მომხმარებელს სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის საშუალებაც ეძლევა _ აჩუქეთ თქვენთვის ძვირფას ადამიანს "ავერსის" სასაჩუქრე ბარათი და საშუალება მიეცით თავად აირჩიოს სასურველი საჩუქარი _ არჩევანი და პროდუქციის ასორტიმენტი კი "ავერსში" მართლაც მრავალფეროვანია.

"ავერსის" სასაჩუქრე ბარათის შეძენის მსურველებს შეგახსენებთ, რომ ბარათი ცალ მხარეს პერფორირებულია. გაცემისას მას მოეხევა პერფორირებული ნაწილი, რომელზეც ნუმერაციაა დატანილი, და აფთიაქში დარჩება.

ამასთანავე, ბარათი აუცილებლად უნდა იყოს დამოწმებული ბეჭდით, რადგან სასაჩუქრე პროდუქცია გაიცემა მხოლოდ დამოწმებული ბარათის წარდგენისას.

გაითვალისწინეთ, რომ "ავერსის" სასაჩუქრე ბარათით პროდუქციის გატანა ერთბაშად უნდა მოხდეს და თუ საჩუქრის მიღებისას ბარათის მფლობელი ნაკლები ღირებულების პროდუქციას აირჩევს, ფასთა სხვაობა არ დაუბრუნდება.




"ავერსი" მუდამ ზრუნავს თქვენს სილამაზესა და საუკეთესო განწყობაზე. WWW.AVERSI.GE
"ავერსი" გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს! ☎ 2-967 227


# „ერგოლაინური" გაზაფხულის კიდევ ერთი სიახლე მანიკიური და პედიკიური გერმანული მეთოდით






**გერმანული ფირმა „ერგოლაინის" წარმომადგენლობა საქართველოში და სოლარიუმი „ერგოლაინი" მომხმარებელს, გარუჯვის მომსახურებასთან ერთად, მანიკიურისა და პედიკიურის თანამედროვე გერმანულ მეთოდს სთავაზობს.**

**სერვისს აფართოებს და ამიერიდან მომხმარებლებს „სოლარი სტუდიოს" მომსახურებასთან ერთად მანიკიურისა და პედიკიურის თანამედროვე, გერმანულ მეთოდს სთავაზობს.**

**ვაკეში, აბაშიძის 22-ში, მომხმარებელი ევროპული სტანდარტის მომსახურებას ხელმისაწვდომ ფასებში მიიღებს.**

### მანიკიური გერმანული მეთოდით

მანიკიურის კეთილმოწყობილ კაბინეტში მომხმარებლის კომფორტისთვის ყველა პირობაა შექმნილი. პროფესიონალები თქვენი ფრჩხილების სილამაზესთან ერთად მის ჯანმრთელობაზეც იზრუნებენ. აქ, მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების ყველა ნორმა დაცულია. სტერილიზაცია ხდება კვარცის სტერილიზატორით, სადაც ტემპერატურა 250 გრადუსამდე ადის, ხოლო დეზინფექტორად გამოყენებულია ცნობილი ამერიკული ფირმა sterigvard-ის დეზინფექტორი.





რაც შეეხება ლაქებს, აქ, მსოფლიოში ცნობილი მწარმოებლების O.P.I. და ORLY-ს ფირმის ლაქებს შემოგთავაზებენ.

საუკეთესო სტანდარტის „ერგოლაინური" მომსახურეობის მიღება ხელმისაწვდომ ფასად, 15 ლარად არის შესაძლებელი.



### პედიკიურის კაბინეტი და თქვენთვის შექმნილი კომფორტული გარემო

პედიკურის კაბინეტში სპეციალურად თქვენთვის შექმნილია კომპფორტული გარემო. სავარძელში ჩაბრძანდებით და გერმანული მეთოდით გაიკეთებთ ელექტრონული ქლიბით პედიკიურს, რომელიც სულ რაღაც 40 ლარი დაგიჯდებათ.



თქვენივე კომპფორტისთვის ადგილზე მეორე სახის მომსახურებასაც შემოგთავაზებენ, ეს არის პედიკიურის „კლასიკური მეთოდი", რომლის ღირებულებაც 30 ლარია. ამ ფასებში შედის სასიამოვნო, პროფესიული და ფეხის ტერფის მასაჟი.

**გაილამაზეთ ცხოვრება, და იყავით მუდამ ფორმაში Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოსთან ერთად.**

Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

www.times.ge

მედია ჰოლდინგი „ჯორჯიან თაიმსი“ წარმოგიდგენთ ეროვნულ ჯილდოს ბიზნესის სფეროში

# საქართველოს 2012 წლის საუკეთესო ბიზნესმენი და კომპანია



ყოველწლიური გარდამავალი ეროვნული ჯილდო

## XIV ბიზნეს - რეიტინგი

THE GEORGIAN TIMES MEDIA HOLDING

GORBI

SOCAR
ოქროს სპონსორი

FlyGeorgia
გენერალური სპონსორი

შ.პ.ს გაზ-ენერჯი
ვერცხლის სპონსორი

### პარტნიორები

| ფინანსთა სამინისტრო | საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლობა საქართველოში | საქართველოს ბიზნეს ასოციაცია | ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლობა საქართველოში | საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა |
|---|---|---|---|---|

ICC GEORGIA International Chamber of Commerce The world business organization

BAG საქართველოს ბიზნეს ასოციაცია BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

AMCHAM AMERICAN CHAMBER OF COMMERCE IN GEORGIA

### გამარჯვებული 25 კომპანია

თიბისი ბანკი; ქართული ლუდის კომპანია; სოკარ ჯეორჯია ჯორჯია; გაზ-ენერჯი; ფლაი ჯორჯია; სმარტ რითეილი; ვისოლ ჯგუფი; სარაჯიშვილი; საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი; კომპანია ნატახტარი; ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი; ჯეოსელი; ვი თი ბი ბანკი საქართველო

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა; გურიელი; ქართული შაქარი; გუდვილი; ქიმერიონი; რუსთავის აზოტი; პი-ეს-პი ჯგუფი; ბანკი კონსტანტა; ქართულ ამერიკული ფოლადი; ვაგონმშენებელი კომპანია; კომპანია ავერსი; საქართველოს ბანკი; ფერო მარგანეცი

### მედია პარტნიორები

მაესტრო; 106.9 FM FORTUNA; თბილისელები; The Georgian Times; BUSINESS WEEK caucasion; LEADER Today; PRIME Time; Commersant.ge

www.geotimes.ge

**გაზეთი „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ წლევანელი, რიგით მე-14 ბიზნესრეიტინგში მონაწილე 25 ნომინანტი კომპანიის ჩამონათვალს. „თიბისი ბანკი“, „ზედაზენი“, „ავერსი“, „სმარტი“, „ვისოლი“, „საქართველოს ინდ/ჯგუფი“, „ნატახტარი“, „რუსთავის მეტ/ქარხანა“, „გურიელი“, „ქართული შაქარი“, „რუსთავის აზოტი“, „საქართველოს ბანკი“, „პსპ“, „გუდვილი“, „ენისელი სარაჯიშვილი“, „ვაგონმშენი“, „ფლაი ჯორჯია“, „გაზენერჯი“, „სოკარი“, „კონსტანტა“, „ზესტაფონის ფერო“, VTB, „ჯეოსელი“, GWP, „ნაბეღლავი“.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კომპანია „ასკანელი ძმები“ გაუგებრობის აღმოფხვრის მოლოდინშია

**რამდენიმე დღის წინ რუსულ საინფორმაციო სააგენტოში „ასკანელი ძმების“ კონიაკის ხარისხის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას კომპანიის წარმომადგენლებმა თბილისში საგანგებო პრესკონფერენციით უპასუხეს. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში „ასკანელი ძმების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ჯიმშერ ჩხაიძემ განაცხადა, რუსეთის მთავარ სანიტარიულ ექიმს, გენადი ონიშჩენკოს კომპანიამ განცხადებით უკვე მიმართა და მათი კონიაკის ხარისხის შესახებ მედიაში გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით განმარტებები მოითხოვა.**




**ჯიმშერ ჩხაიძე:** „გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გენადი ონიშჩენკომ „ასკანელი ძმების“ კონიაკის ხარისხი გააკრიტიკა. აშკარაა, რომ ადგილი აქვს გაუგებრობას. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პროდუქციის ხარისხით. საქართველოს გარდა, 15 ქვეყანაში ვყიდით პროდუქციას და ყველგან ძალიან დიდ მოწონებას იმსახურებს. აქვს სახელმწიფო რეგისტრაცია და მომხმარებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით მიღებული გვაქვს ოქროსა და ვერცხლის უამრავი მედალი. ამიტომ დაუყოვნებლივ მივწერეთ ოფიციალური წერილი გენადი ონიშჩენკოს და მოვითხოვეთ განმარტებები. ახლა ველოდებით წერილობით პასუხს. ჩვენი წარმომადგენელი რამდენიმე დღის წინ ჩავიდა მოსკოვში, სადაც გაიმართა მოლაპარაკებები და პროდუქციის ნიმუშები, სავარაუდოდ, უმოკლეს ვადებში გაიგზავნება ხელახალი სერტიფიცირებისთვის“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „როსპოტრებნადზორის“ სპეციალისტები კომპანია „ასკანელი ძმებს“ გაზაფხულზე სტუმრობდნენ, სადაც ადგილზე გაეცნენ წარმოების პროცესს და წაიღეს პროდუქციის ნიმუშები. „როსპოტრებნადზორში“ წარდგენილმა პროდუქციამ, ხარისხის კონტროლის სამი საფეხური გაიარა: უშუალოდ წარმოებაში, ქარხნის ლაბორატორიასა და დამოუკიდებელ ლაბორატორია „ღვინის ლაბორატორიაში“. „ასკანელი ძმების“ გენერალური დირექტორის ირაკლი ბექაურის განცხადებით, პროდუქციამ ღვინის ნაციონალური სააგენტოს დადებითი შეფასებაც მიიღო. პროდუქციის ნიმუშები იმ პარტიებიდან ამოიღეს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნება, მათ შორის ევროკავშირის.

**ირაკლი ბექაური, „ასკანელი ძმების“ გენერალური დირექტორი:** „კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით აქამდე არასდროს მიგვიღია შენიშვნა ოფიციალური სტრუქტურების, ან მომხმარებლის მხრიდან. ამის მიუხედავად, მზად ვართ, ხელმეორედ გავიაროთ შემოწმება. „ასკანელი ძმების“ პროდუქცია რუსეთის ბაზარზე 1998 წლიდან რვა წლის განმავლობაში იყიდებოდა, ანუ, სანამ ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზარი დაიხურებოდა. ამ ხნის განმავლობაში, ერთხელ არ მიგვიღია არც ერთი სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციის მხრიდან რაიმე სახის პრეტენზია. ვფიქრობთ, რომ ეს არის გაუგებრობა, რომელიც რამდენიმე დღეში გაირკვევა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს პრეტენზია ჩვენი პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით, ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ დადებითად შემოტრიალდება და პოზიტიური გავლენა ექნება“.

საგანგებო ბრიფინგს „ევროპის ხარისხის ორგანიზაციის“ წარმომადგენელი საქართველოში, ამავდროულად საქართველოს ხარისხის ასოციაციის პრეზიდენტი გრიგოლ კუნჭულია და BPI(Georgian Business & Political Insight)-ის დამფუძნებელი, ეკონომისტი ირაკლი ლექვინაძეც ესწრებოდნენ.

**გრიგოლ კუნჭულია, „საქართველოს ხარისხის მართვის“ წარმომადგენელი:** „ასკანელი ძმების“ პროდუქცია, ისევე როგორც ჩვენი მოწინავე სხვა წარმოებები, აბსოლუტურად ხარისხზეა ორიენტირებული და არა რაოდენობაზე. რაოდენობით ჩვენ ვერ მოვუგებთ იგივე ჩინეთს და ბევრი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი პრიორიტეტი არის ხარისხი და ხარისხიანად დამკვიდრება ამა თუ იმ ბაზარზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ვადასტურებთ იმას, რომ „ასკანელი ძმები“ მხოლოდ ხარისხიან პროდუქციას აწარმოებს. ამ კომპანიის პროდუქცია ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით, რაც უამრავი საერთაშორისო ჯილდოთია დადასტურებული. კომპანიამ ხარისხის მენეჯმენტისა და მზა პროდუქციის შეფასების საკმაოდ რთული და ყოვლისმომცველი პროცედურა წარმატებით გაიარა. უახლოეს მომავალში „ასკანელი ძმების“ კონიაკსა და სხვა პროდუქციას „ხარისხის ნიშნის“ მარკირების უფლება მიენიჭება“.

როგორც ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა, ნებისმიერი კომპანია, რომელიც რუსეთის ბაზარზე აპირებს გასვლას, მზად უნდა იყოს იმისთვის რომ, შესაძლოა, მის წინააღმდეგაც აგორდეს ანალოგიური თემა, მისი ხარისხის სტანდარტის, ისტორიის, გამოცდილების მიუხედავად.



**ირაკლი ლექვინაძე:** „როცა საუბარი რუსეთის ბაზარს ეხება, ამის რისკი ყოველთვის არსებობს და მსგავსი განცხადებები ხშირად შეგვხვდება მომავალშიც, მით უფრო, რომ ასეთ დიდ ბაზარზე არსებობენ კონკურენტები, რომლებსაც მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოჩენა აშფოთებთ“.

23 მაისს „ასკანელი ძმების“ ქარხანაში მედია-ტური მოეწყობა, სადაც ჟურნალისტებს საშუალება ექნებათ, დეტალურად დაათვალიერონ და გაეცნონ წარმოების მთელ ციკლს.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „ასკანელი ძმები“ 15 წლის წინათ დაარსდა და სადღეისოდ ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ქართული ელიტარული ალკოჰოლის მწარმოებელ კომპანიებს შორის. კომპანია აწარმოებს 8 სახეობის კონიაკს, 32 დასახელების ღვინოსა და 4 დასახელების ჭაჭას. „ასკანელი ძმების“ პოდუქცია აღიარებულია საუკეთესოდ და მიღებული აქვს 100-ზე მეტი ჯილდო სხვადასხვა გამოფენებსა და დეგუსტაციებზე. „ასკანელი ძმების“ მიერ წარმოებული სასმელები გადის ექსპორტზე აშშ-ში, უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ყაზახეთში, ფინეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსში. ეს ყველაფერი კი იმას ადასტურებს, რომ კომპანია იცავს მაღალ სტანდარტებს და აკმაყოფილებს სხვადასხვა ბაზის მოთხოვნებსა და პარამეტრებს.

კომპანია „ასკანელი ძმების“ თანამედროვე ქარხანა ღვინისა და ბრენდის მწარმოებელი უახლოესი დანადგარებითაა აღჭურვილი და ერთ-ერთი იმ მცირედთაგანია საქართველოში, რომელსაც ბრენდისა და ჭაჭის სახდელი აპარატურა აქვს. საკონიაკე სპირტები და სამარკო ღვინოები ინახება მუხის კასრებში. წარმოების პროცესის ყველა ეტაპის მკაცრი კონტროლი (მთელი ციკლი ყურძნის მიღებიდან ჩამოსხმამდე), ასევე სიცივით დამუშავება მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის ღვინის წარმოების საშუალებას იძლევა.

Ⓐ

# ბევრი ფული კომპანია „ნატახტარისგან“

**კომპანია „ნატახტარი“ აგრძელებს ტრადიციას და მომხმარებელს ინოვაციურ გათამაშებას სთავაზობს. წამახალისებელი გათამაშება, რომელიც ტრადიციულ ხასიათს ატარებს, წელს უკვე მეხუთედ იმართება.**




წლევანდელი გათამაშება 15 მაისიდან დაიწყო და 15 ივლისამდე გაგრძელდება. გათამაშებაში მონაწილეობა მარტივია, ადგილზე შეგიძლიათ გახსნათ ლუდი „ნატახტარის“ ნებისმიერი მოცულობის პეტის (პლასტმასის) შეფუთვა და თავსახურში მოთავსებულ კაფსულაში აღმოაჩინოთ 10, 20, 50, 100 ან 200-ლარიანი კუპიურა.

ასევე, ყველა ზომის შეფუთვაში, გარდა ქილისა (0.5 ლიტრი მოცულობის შუშის ბოთლში, 1-ლიტრიან, 2-ლიტრიან და 2.5-ლიტრიან პლასტმასის ბოთლებში), თქვენ შეგიძლიათ, აღმოაჩინოთ ლაზერით დაბეჭდილი მომგებიანი თავსახურები: სუპერპრიზი – 50.000 ლარი. გათამაშებაშია 300.000 ცალი უფასო 0,5-ლიტრიანი შუშის ბოთლი „ნატახტარი“.

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ კომპანია „ნატახტარმა“ წამახალისებელი გათამაშების შესახებ პრესკონფერენცია გამართა. ლუდის ქართული ბაზრის ლიდერი კომპანიის ახალი პროექტის თაობაზე „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა ისაუბრა:



– პრესკონფერენციის მიზანია, საზოგადოებას სიახლის შესახებ მედიის საშუალებით შევატყობინოთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ საპრიზო ფონდი ყოველწლიურად იზრდება და გათამაშება უფრო ინოვაციური ხდება. ყველა ბოთლი, რომელიც გათამაშებაში მონაწილეობს, ახალი შეფუთვით გამოდის, რათა მომხმარებელი შეცდომაში არ შევიდეს. შუშის ბოთლის საყელოზე არის წარწერა, რომ ბოთლი მონაწილეობს გათამაშებაში, პეტის ბოთლებსაც ახალი საყელო აქვს და ჩვენი გათამაშების ლოგოა გამოსახული. ყველაზე ინოვაციური ის არის, რომ მოგება ხდება მყისიერად – ფული დევს თავსახურში არსებულ კაფსულაში. თუ ასეთ კაფსულას იპოვით, ჩათვალეთ, რომ გარკვეული თანხა მოიგეთ. და ეს ხდება ყოველგვარი ბარიერის გარეშე. გარდა ამისა, გათამაშებაშია 300.000 უფასო ლუდი 0,5 ლიტრი მოცულობის. დაბოლოს: დიდი პრიზი – 50.000 ლარი. რადგან ეს თანხა კაფსულაში ფიზიკურად ვერ ჩაეტევა, მისი მოგების შემთხვევაში თავსახურზე იპოვით ლაზერით ამოტვიფრულ წარწერას. რაც მთავარია, 24 საათის განმავლობაში იმუშავებს ცხელი ხაზი. თუკი მომხმარებელს რამე პრობლემა შეექმნება, შეუძლია, დაგვიკავშირდეს და შესაბამის რეაგირებას მყისიერად მოვახდენთ.

**– როგორ ხდება მომგებიანი ბოთლების გადანაწილება და თუ იქნება გათამაშება რეგიონებშიც?**

– თავსახურების გადანაწილება ხდება შემთხვევითი პრინციპით, პროცედურულ სიზუსტეს აკონტროლებს სპეციალური კომისია. რა სიხშირითაც ხდება წარმოება, იმ სიხშირით ნაწილდება თავსახურებიც. ცხადია, გათამაშება რეგიონებშიც იქნება. მაგალითისთვის, შარშან მთავარი პრიზი, 50.000 ლარი რუსთავში გათამაშდა.

**– მოგებულ თანხას მომხმარებელი სრულად იღებს თუ იბეგრება?**

– გათამაშებაში მონაწილე თანხები უკვე დაბეგრილია და მომხმარებელი მას წმინდა ოდენობით იღებს, ანუ, როდესაც ვაცხადებთ, რომ გათამაშებაშია 50.000 ლარი, ეს ნიშნავს, რომ მოგებული ამ თანხას სრულად მიიღებს და ამ თანხაზე დაკისრებულ გადასახადს გადაიხდის კომპანია.

**– თუ შეიძლება მოხდეს, რომ მთავარი პრიზი არ გათამაშდეს? მაგალითად, მყიდველმა გადააგდოს თავსახური...**

– ამის დაცვის მექანიზმი არ არსებობს. მაშინ ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომელი ბოთლია მომგებიანი. თუმცა, აქამდე ჯერ მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. მხოლოდ 2-3 წლის წინათ მოხდა, რომ 2-ჯერ დაიკარგა 1.000-ლარიანი მოგება.

**– თუ არის შესაძლებელი, გამოჩნდეს კაფსულა, რომელიც ბოთლშია მოთავსებული?**

– კომპანიას, რომელსაც ამ გათამაშების საავტორო უფლება გააჩნია, ყველა დაცვითი მექანიზმი აქვს გამოყენებული. პირველ რიგში, ვერ დაინახავთ, რადგან საყელო ფარავს. ასეც რომ არ იყოს, კაფსულა ისეთი ფერისაა, რომელიც შეხამებულია თავსახურთან და გარჩევა შეუძლებელია.

**– მომგებიანი ბოთლები უკვე ქსელშია?**

– გათამაშება 15 მაისს დაიწყო და ბოთლები უკვე ქსელშია გასული. მთავარია, შეიძინოთ ის ბოთლი, რომელიც გათამაშებაში მონაწილეობს.

მოგების ან გათამაშების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ, დარეკოთ სპეციალურად გათამაშებისთვის შექმნილ ცხელ ხაზზე – 2 550 700, ან მიაკითხოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის #87-ა, სს „ლომისის“ თბილისის ოფისი.

Ⓐ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „სააკაშვილის რეჟიმის დროს ლესბოსელები ციხეს აკონტროლებდნენ“



მარიამ ნადირაძე

**სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვის თემა კიდევ დიდხანს იქნება განსჯის საგანი. არაკორექტული იქნება, სტატიის ავტორმა საკუთარი პოზიცია მოახვიოს მკითხველს ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა შეგვიძლია შემოგთავაზოთ იმ ადამიანის ნაამბობი, ვინც რამდენიმე წლის განმავლობაში, სააკაშვილის რეჟიმის წყალობით, ქალთა კოლონიაში იხდიდა სასჯელს, სადაც სექსუალური უმრავლესობა ხშირად დანარჩენი პატიმრების მდგომარეობას განსაზღვრავდა, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.**

**ლესბოსელები რომ მრავლად არიან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ცხადია, ინფორმაცია არსებობს, მაგრამ ჟურნალისტი ნანა სულავა, რომელსაც ქალთა კოლონიაში მათთან მოუხდა თანაცხოვრება, ამის შესახებ დაწვრილებით გვიამბობს:**

– ერთი ამბავი მახსენდება: რეჟიმისგან ციხეში ჩამწყვდეულმა ჟურნალისტმა, მაკა მოსიაშვილმა, ერთ ღამეს 120-კაციან ბარაკში ვერ გაუძლო ანომალიურ განცხრომაში მყოფი ქალების ხმებს. ხმამაღალი შეძახილებით წამოყარა საწოლიდან და უთხრა, მე ნუ მაჩვენებთ ამას და ჯანდაბამდე გზაც გქონიათო. მახსოვს, იქვე განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანმა ასეთი განცხადება გააკეთა, – ასეთი თემები ზონაზე არ ირჩევაო. ამ თემას ციხის ნაციონალურ სინამდვილეში ტაბუ ახსნილი ჰქონდა.

**– ბევრი იყო კოლონიაში განსხვავებული ორიენტაციის მქონე ქალი?**

– 87 წყვილი იყო. ამათთან ერთად მიხდებოდა თანაცხოვრება. ყველაზე დიდი, მძიმე განაჩენი ჩვენთვის მარტო უკანონო განაჩენები კი არ იყო, აი, ამ ხალხთან თანაცხოვრება იყო ყველაზე დიდი საშინელება. ესენი სასათბურე პირობებში ჰყავდათ...

**– დაახლოებით რა ასაკისანი იყვნენ ეს ადამიანები?.**

– 20-დან 40 წლამდე.

**– ამბობთ, რომ ისინი სასათბურე პირობებში ჰყავდათ. რას გულისხმობთ?**

– ლესბოსელები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ჩვენ. ადმინისტრაციისგან წახალისებულნი თავში უკაკუნებდნენ დანარჩენ პატიმრებს. ზონას ისინი აკონტროლებდნენ.

**– იქნებ უფრო კონკრეტულად გვიამბოთ ამ პრივილეგიების შესახებ?**

– ისინი აკონტროლებდნენ ზონას ისე, როგორც კაცებში ე.წ. მაყურებლები აკეთებდნენ ამას. ისინი მიდიოდნენ ადმინისტრაციაში, მთელი გარიგებები ხდებოდა. თანამშრომლობდნენ და თავს კარგად გრძნობდნენ. ანუ, როგორც ციხის გარეთ არიან ეს ადამიანები პრივილეგირებულნი, ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებაში თანამდებობებსაც იკავებენ, ასე იყო ციხეშიც. როგორ აგიხსნათ? როდესაც რაღაცის შემოტანა სჭირდებოდათ, ვთქვათ, აკრძალული ამანათის, ისინი ამას ახერხებდნენ. რაც ჩვენ გვეკრძალებოდა, ე.წ. უმრავლესობას, იმათთვის ეს დაშვებული იყო.

> **„ლესბოსელები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ჩვენ. ადმინისტრაციისგან წახალისებულნი თავში უკაკუნებდნენ დანარჩენ პატიმრებს. ზონას ისინი აკონტროლებდნენ“**

## რამდენი ასეთი წყვილია ქალთა კოლონიაში და ვინ მფარველობს მათ?

– ჩვენთან მათი პრივილეგირებულობა ძალიან მძიმე იყო აღსაქმელად. ძალიან რთული გახლდათ მათი ურთიერთობების ყურება.

**– რა ურთიერთობის?**

– რასაც ფილმებში ხედავთ, ყველაფერს ჩვენს თვალწინ აკეთებდნენ, იყვნენ განცხრომაში დღე და ღამე. ეს იმდენად დამანგრეველი იყო დანარჩენებისთვის, რომ არც კი ვიცოდით, რა სჯობდა – ყოფილიყავი ჩვეულებრივი, შემდგარი ადამიანი, თუ პრიორიტეტული სექსუალური უმცირესობა. ეს იყო ციხის რეალობა. ამ რეალობის გათვალისწინებით გავედი საპროტესტო აქციაზე, იქ, სადაც ავღანეთში დაღუპული ბიჭების პატივსაცემად სახელმწიფო დროშები იყო დაშვებული. იქ ეს გეიაღლუმი რომ ჩატარებულიყო, ამას წარსული ვერ გადარეცხავდა...

**– ციხეში რა პირობებში ცხოვრობდნენ ლესბოსელი ქალები? მათთვის ცალკე იყო ადგილი გამოყოფილი?**

– ისინი ბევრნი იყვნენ. 87 წყვილისთვის ცალკე რომ მიეცათ ადგილი, ამის საშუალება არ იყო. მაგრამ მათთვის ეს პრობლემას სულაც არ წარმოადგენდა. საკუთარ სურვილებს ნებისმიერ ადგილას იკმაყოფილებდნენ. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: ერთ დილას „პრავერკაზე“ იყვნენ შემოსულები პატიმრების დასათვლელად, რათა შეემოწმებინათ, ყველა ადგილზე იყო, თუ არა. მათ შორის იყო კოლონიის უფროსის მოადგილე, პაატა ქუთათელაძე, პოლკოვნიკი კაცი. აღმოჩნდა, რომ ორი პატიმარი გვაკლდა. ქუთათელაძემ თქვა, ახლა ისინი ლოგინში იქნებიან შემძვრალებიო. ანუ ამათ ურცხვად შეეძლოთ საკუთარი ორიენტაციის გამოხატვა. ახლა ჩერგოლეიშვილი და ანთაძე რომ ამბობენ, ამათი უფლებები ირღვევაო, მათ საპასუხოდ მინდა ვთქვა, რომ ისინი ციხეში ჩვენზე კარგად ცხოვრობდნენ. ეს იყო უბედურება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ სურათს უყურებდნენ. ადმინისტრაციის მხრიდან კი რეაგირება არ ხდებოდა.

**– რატომ აძლევდა მათ ამ პრივილეგიებს ადმინისტრაცია?**

– ეს ხელისუფლების მითითება იყო. შეიძლება ადმინისტრაციას სულ არ უნდოდა, ასე მოქცეულიყო, მაგრამ ის დეპარტამენტის მითითებებს ემორჩილებოდა, დეპარტამენტს კი მითითება ჰქონდა ხელისუფლებისგან. ეს იყო მიშა სააკაშვილის რეჟიმი. გასაგებია, რომ ავადმყოფები არიან, მაგრამ ვინმეს კიბო რომ აქვს, ერთხანს, ამასაც კი მალავს ხოლმე ოჯახი. თუმცა ესენი სულაც არ ფიქრობენ, რომ ავადმყოფები არიან. ისინი თავს მშვენივრად გრძნობდნენ. ევროსტანდარტულ ციხეში, რითაც თავს ასე იწონებდა ძველი ხელისუფლება, კატეგორიების მიხედვით უნდა მოეთავსებინათ. კაცებში თუ „ქათმები“ ცალკე იყვნენ და სხვები მათ არ უყურებდნენ, ჩვენ რა დავაშავეთ?

# EXCLUSIVE



**– ე.ი. შეეძლოთ, ციხის წესრიგს არ დაქვემდებარებოდნენ და ამაზე ადმინისტრაცია თვალს ხუჭავდა?**

– დიახ. ძალიან ახლოს იყვნენ ადმინისტრაციასთან.

**– რა ტიპის დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს?**

– ქურდობა, ყაჩაღობა, ნარკოტიკი. არც ერთი არ იყო ეკონომიკურ დანაშაულზე მოხვედრილი იქ. მათგან არც ერთი არ იყო მიშას დაჭერილი. პირველი ნასამართლობა არც ერთს არ ჰქონია. დანაშაულისკენ მიდრეკილები იყვნენ ეს ადამიანები.

**– კაცების სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს თავისი სახელი ჰქვიათ – „ქათმები“ და ისინი „საქათმეში“ ცხოვრობენ. ასეთი ხალხი იქ სულაც არ არის პრივილეგირებული. რატომ იყო ეს პირიქით ქალთა კოლონიაში?**

**– ქალთა კოლონიამ ბევრი რამ გამოიარა: ბუნტი, არაერთგზის შეტევა „სპეცნაზისგან“. ამ დროსაც არ ეხებოდნენ მათ?**

– მაშინ არ იყო გარჩევა. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ ამ ხალხის ერთი ნაწილი ე.წ. ბუნტში მონაწილეობდა კიდეც.

მაშ ასე, ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ დამცხრალა. და ეს თემა, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება განხილვის საგანი. პოზიციების შეჯერება, ალბათ, ძალიან გართულდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჟოლო NEWS

**ინტერნეტსივრცეს ახალი ვებგვერდი შეემატა. „ჟოლო“, კულტურულ-საზოგადოებრივ თემებზეა ორიენტირებული. გაზეთი „პრაიმტაიმი“ ამბების მცირე ნაწილს გთავაზობთ, ვრცლად კი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე www.jolo.ge**

## „საქართველოს ვარსკვლავი“ და მსოფლიო ვარსკვლავები





„საქართველოს ვარსკვლავის“ მონაწილეებს უკვე მსოფლიო ვარსკვლავები აფასებენ... ცნობილმა მომღერალმა ბეტ ჰარტმა ნინა სუბლატის გამოსვლა, როდესაც მან მომღერლის „Am I The One“ შეასრულა, ასე შეაფასა: „ძალიან ამაღელვებელი იყო. გული ამიჩუყდა, როცა ასეთმა მშვენიერმა ადამიანმა ჩემთვის ყველაზე საყვარელი სიმღერის „ქავერი“ შეასრულა“. ბეტ ჰარტმა „საქართველოს ვარსკვლავის“ კონკურსანტის ეს გამოსვლა თავის ოფიციალურ გვერდზე, ტვიტერზეც გაიზიარა... ამას ქართველების მხრიდან სხვადასხვაგვარი რეაქცია მოჰყვა. ზოგიერთმა რატომღაც ეს ამბავი დაუჯერებლად ჩათვალა. თუმცა, ის ხომ ფაქტია, რომ სპეციალურად ამ პროექტისთვის საქართველოს ამერიკელი მომღერალი დეჟა გომესი ესტუმრა და აღფრთოვანება ვერ დამალა - „თითოეული მათგანი ძალიან ნიჭიერია, კარგად გრძნობს მუსიკას და არის არტისტული“ - აღნიშნა მან, როცა კონკურსანტებს ახლოს გაეცნო... სტივ ვანდერის მუსიკალურმა მუზამ მათთვის ჯერ მასტერკლასი ჩაატარა, მერე კი ჟიურის წევრადაც მოგვევლინა... „ის დიდი ნიჭითაა დაჯილდოებული, მას დიდი გული აქვს და ძალიან დიდი ხმა“, - თქვა მან ნუკა გვალიას გამოსვლის შემდეგ. გვანცა ჯაფარიძეს კი უთხრა - „ვამაყობ თქვენით, ასე გააგრძელეთ“...

**Beth Hart**

I thought it was amazing! I was very touched that such a young beautiful talented artist would cover one of my favorite songs.
-Fantastic!!!

## „ჩემი ცოლის დაქალების“ ნინიმ იმშობიარა













სერიალმა რეალობაში გადმოინაცვლა და გადაღებისას დაწყებული მშობიარობა დღის ბოლოს ნამდვილ სამშობიაროში დასრულდა... სწორედ ამგვარი შთაბეჭდილება შეიქმნა, როდესაც მაყურებელმა „ჩემი ცოლის დაქალების“ ნინის როლის შემსრულებლის მაშოს მშობიარობის ამბავი შეიტყო. მაშო მელქაძე 13 მაისს დედა გახდა.

**მაშო მელქაძე:** „პატარას კატო დავარქვით, სახელი მამამ შეურჩია. სახელის რამდენიმე ვარიანტი გვქონდა, მაგრამ ბოლოს კატუშა ვარჩიეთ. 3 და 500 დაიბადა, 52 სმ. უფრო მგონი მამიკოს ჰგავს. დედობა ყველაზე საოცარი შეგრძნებაა, რაც კი მქონია, სიტყვებით ვერ გადმოვცემ ამას“.

## ჩეხოვის „თოლია“ და ახალგაზრდა რეჟისორი





ჩეხოვის განსხვავებული „თოლია“, ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის თავისებური ხედვა და სპექტაკლი ვაშლების თანხლებით... პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა. ხორავას თეატრის სცენაზე მდგომ მსახიობებს მაყურებელი ოვაციით შეხვდა, დარბაზს აშკარად ეტყობოდა, რომ ახალგაზრდების შრომა და მონდომება მათ განწყობაზე დადებითად აისახა. თუმცა, სპექტაკლამდე ახალგაზრდა რეჟისორი ლაშა ლომჯარია ძალიან ღელავდა, ეს ბუნებრივიცაა, რადგან „თოლია“ მისი პირველი, დამოუკიდებელი სპექტაკლია.

**ლაშა ლომჯარია:** „ამ სპექტაკლზე მუშაობა 4 თვის წინ, იანვარში დავიწყეთ. ეს ჩემი სადიპლომო სპექტაკლია. სამი დღის წინ ჩავაბარეთ პედაგოგს გოგი ქავთარაძეს და მიხარია, რომ ძალიან კმაყოფილი დარჩა... მასალა იმდენად ძლიერია და იმდენად საინტერესო, რომ გადავწყვიტე შევჭიდებოდი. ძლიერ მასალაზე მუშაობა მართლაც ძალიან სასიამოვნოა, შენ თვითონაც იზრდები, მეტის საშუალება გაქვს, ფანტაზიაც უფრო გახსნილია... სპექტაკლში სტუდენტები თამაშობენ, ჩავთვალე, რომ მათთვისაც ბევრად უკეთესი იქნებოდა ძლიერ მასალაზე ესწავლათ, ვიდრე სუსტზე. მოკლედ, გავრისკე და ახალი ფორმის ძიება გადავწყვიტე... მერე რაღაც დეტალები შემოვიტანე, მათ შორის ვაშლიც, ცოდვის სიმბოლო, რადგან პიესის პერსონაჟებიცა და საზოგადოებაც მთლიანად ცოდვილები არიან. ამ ვაშლებზე მოქმედება მხატვრულად ავაგეთ. რაც მთავარია, ბევრი ვიშრომეთ და ჩვენ თავთან მართლები ვართ, იმედია, რომ შრომა დაფასდება“.

ახალგაზრდა რეჟისორს ჩანაფიქრში უკვე ახალი სპექტაკლი აქვს. ამჯერად უნდა, რომ ქართულ სცენას კამიუს „მართალი“ მოარგოს.

**ლაშა ლომჯარია:** „ძალიან მიყვარს კამიუ, მისი შემოქმედება, აბსურდის განხრა და ეგზისტენციალიზმი. ახლა სწორედ ამას მინდა, რომ შევეჭიდო, ცოტა ძნელია, მაგრამ მაინტერესებს, მინდა რომ ამოვხსნა. თემაც ისეთია, რომ დღევანდელ საქართველოს ესადაგება. ვნახოთ რა გამოვა, შევძლებ თუ არა ამას მაყურებელი შეაფასებს... მე კი ვიცი, რომ ბოლომდე დავიხარჯები“.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მუსიკოს ლადო ბურდულის განცხადება





**„ქართული თანამედროვე მუსიკის გადასარჩენად და სტუდენტური ცხოვრების გამოსაცოცხლებლად უკვე მერამდენე წელია წინადადება და პროექტი მაქვს, მაგრამ, არ ვიცი ამაზე ვის უნდა ველაპარაკო"?! - აცხადებს მუსიკოსი საკუთარ „ფეისბუქის" გვერდზე და ვისაც ახალგაზრდა თაობაზე ზრუნვა ხელეწიფება, მათ საინტერესო გეგმას სთავაზობს.**

**ლადო ბურდული:** „კარგი იქნება თუ ყოველ პარასკევს, საქართველოს მაშტაბით, უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ჯგუფების კონცერტები ჩატარდება, ამისთვის უნდა შეიქმნას ინფრასტრუქტურა, წარმოიდგინეთ რამხელა საქმე გაკეთდება?! ახალგაზრდებს ყოველ კვირას ექნებათ საშუალება სხვადასხვა ქართველ მუსიკოს შემსრულებლებს გაეცნონ, რეალურად მათ მიეცემათ ინტელექტუალური საკვები სწორი განვითარებისთვის და ცხოვრების გასალამაზებლად, რომლის კატასტროფული ნაკლებობაცაა დღეს მათ ცხოვრებაში, მეორე მხრივ, კი ქართულ ჯგუფებს გაუჩნდებათ სცენა, შინაარსი მიეცემა მათ არსებობას.

დასავლეთში ეს მოძრაობა ასე შეიქმნა, წამყვანი ჯგუფები ყოველთვის უკრავდნენ და დღესაც უკრავენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში...

თუ დაგაინტერესებთ ეს პროექტი, ვინც ქვეყანაში ამ საკითხებს წყვეტს, ჩემი პოვნა ძალიან ადვილია, თქვენ გვერდით მიგულეთ".

ახალ პოლიტიკურ თოქ-შოუს, რომელიც სექტემბრიდან „მეცხრე არხზე" გავა, შალვა რამიშვილი და ნათია მიქიაშვილი წაიყვანენ. „მეცხრე არხის" საინფორმაციო სამსახურის უფროსი ლუბა ელიაშვილი, გადაცემის დეტალებს არ აკონკრეტებს, თუმცა ადასტურებს, რომ ახალი თოქ-შოუ სექტემბრიდან ეთერში ნამდვილად გავა.

**ლუბა ელიაშვილი:** -ეს იქნება თოქ-შოუ, ბევრი ხალხითა და ორი ძალიან მაგარი წამყვანით - შალვა რამიშვილითა და ნათია მიქიაშვილით. წინასწარ ვერ ვიტყვი რა დღეებში და რომელ საათზე გავა. სექტემბრამდე კიდევ ბევრ რამეს გადავწყვეტთ.

**შალვა რამიშვილი:** - გადაცემის ფორმატზე საუბრისგან თავს შევიკავებ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ გადაცემა პოლიტიკური უნდა იყოს, ყოველკვირეული იქნება თუ კვირაში ორჯერ გავა, ეს ზუსტად არ არის ცნობილი. გადაცემას ორი წამყვანი ეყოლება მე და ნათია მიქიაშვილი. რაც შეეხება დეტალებს, თუ როგორი იქნება ეს ფორმატი, მოგვიანებით გახდება ცნობილი.



# შალვა რამიშვილი და ნათია მიქიაშვილი „მეცხრე არხზე" პოლიტიკურ თოქ-შოუს იწყებენ

www.jolo.ge

# ზურა ყიფშიძე, ლევან უჩანეიშვილის სპექტაკლში ბროდვეიზე





თეატრმა ნოსტალგია იცის, წყურვილი... თქვა მსახიობმა და ალბათ, სწორედ ეს არის მთავარი „დამნაშავე" იმაში, რომ ლევან უჩანეიშვილი სპექტაკლს დგამს, ამ სპექტაკლში მთავარ როლს ზურა ყიფშიძე ითამაშებს. ეს სიახლე თბილისში მყოფმა მსახიობმა თეატრალურში შეკრებილ მსმენელს სტუდენტებთან შეხვედრისას გაუმხილა... სიახლის გამხელამდე კი სტუდენტებს „მინი სპექტაკლი" დაადგმევინა, რამაც მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა... იყო ფიქრი და გააზრებული მოქმედება, დიდი სკოლის მქონე არტისტმა, სტუდენტები „აიძულა" რომ ეფიქრათ... თუმანიშვილის მსახიობებმა სკოლის ფასი კარგად იციან... ეს იმ დღეს თეატრალურის სცენას ნამდვილად დაეტყო და სტუდენტებმაც რაღაც გამოცდილება ნამდვილად მიიღეს...

**ლევან უჩანეიშვილი:** -პიესა არის, მონახაზიც გავაკეთეთ და ვეცდებით, რაც შეიძლება სწრაფად მივცეთ ამ პროექტს მსვლელობა. ერთი იქნება ამერიკული ვარიანტი, რომელიც გვინდა ბროდვეიზე დაიდგას (მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს), მეორე – ქართული. იქნება რუსულიც... ქართულ ვარიანტში მთავარ როლს ჩვენი ნიჭიერი მსახიობი, ჩემი მეგობარი ზურა ყიფშიძე ითამაშებს. ის ხშირად მეუბნებოდა - ლევან, ბიჭო, დავდგათ რა რამე... ამას წინათ ველაპარაკე და ძალიან გაეხარდა ეს ყველაფერი, რატომ ზურა? მიმაჩნია, რომ ჩვენ ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, ერთი სკოლა გავიარეთ და ეს არის მთავარი. ასეთი მსახიობები იშვიათია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მიშა მშვილდაძე: „ჩემი ცოლის დაქალ

**my View**
**თამარ გონგაძე**

მიშა მშვილდაძის დანახვისას ყოველთვის დადებითი ემოცია მეუფლება. და, რა მაგარია, როდესაც ადამიანები შენში პოზიტივს ხედავენ! ალბათ, ბევრ ასეთს არ იცნობთ. სადღაც წავიკითხე, სტატისტიკაა - ჩვილები დღეში დაახლოებით 400-ჯერ იცინიან, რაც საგრძნობლად მცირდება დიდებშიო. მიშა ბევრს იცინის და მისი პოზიტიურობის საიდუმლოც აქვეა. დიდი და კეთილია, ასე აფასებენ. ახლო წარსულს თუ გადავხედავთ, დღიდან „ფორმულა კრეატივის" დაარსებისა, მისი ერთ-ერთი პროდიუსერია. „ფორმულა კრეატივს" ეკუთვნის სერიალები „ჩიფსების თაობა", „ჩვენი ოფისი", ფილმები - „ის, რაც ყველაზე ძალიან გიყვარს" და მისი მეორე ნაწილი, „ჭამა და სექსი". დღესდღეობით კი „ჩემი ცოლის დაქალები". ამ სერიალის სცენარისტმა, ქეთი დევდარიანმა მითხრა, სცენარს რომ დავწერ, მერე მიშა ხმამაღლა კითხულობს და „რეზოლუციას" მიდებსო. მშვილდაძეს, წლებია, ტრადიციად ჰქონია სცენარის ასე დატესტვა. რას ერჩი, გამოცდილება ამართლებს. სასიამოვნო სიახლე ამ სერიალის მოყვარულთათვის არის ის, რომ „ჩემი ცოლის დაქალებს" მალე რამდენიმე ქვეყანაში ნახავენ. ამაზე მიშა თავად ყვება. „საქართველოს ვარსკვლავის" ჟიურიში რომ გამოჩნდა, ზოგმა დაიწყო, ამას აქ რა უნდაო. მისი საპროდიუსერო და რადიოში მუშაობის გამოცდილება დაავიწყდათ. ჟიურიში ჯდომაზე ბევრი არ უფიქრია. ზუსტად განმისაზღვრეს, რა კუთხით უნდა შემეფასებინა კონკურსანტიო, ამბობს. საინტერესო შეფასებებს აკეთებს ხოლმე. თვალშისაცემი გახდა მისი სიმპათია ნინა სუბლატის მიმართ. სოციალურ ქსელებში პოსტებს შორის არც ეს თემა გამოპარვიათ - „ნინა რომ გამოდის, მიშას რაღაც ემართებაო..." წინა კვირაში „პრაიმტაიმის" პრესკლუბში თანამოაზრეებთან ერთად მარიხუანას დეკრიმინალიზაციის თემაზე პრესკონფერენცია გამართა. ზოგი კი მუდმივად მომღიმარი მიშას დანახვაზე ასეთ დასკვნას აკეთებს - სულ იმიტომ იცინის, რომ „მოწეულშიაო". მარიხუანასთან მეგობრობაზე თვითონაც ღიად საუბრობს. თუმცა პროდიუსერს არც პირადზე საუბრისას დაუწუწუნია...




**„კარგ ხასიათზე ყოფნა მიყვარს"**

**„რა გითხრათ, ცოლი მყავს, შვილები - არა. რვა წელი ნიშნავს, რომ კრიზისული პერიოდები გადატანილია. განსაკუთრებული არც არაფერი გვქონია"**

### თეონა - ბაბუცა

**მიშა მშვილდაძე:** - პირადზე რა გითხრათ, ცოლი მყავს, შვილები - არა. მე და თეონა ავალიანი რვა წელია ერთად ვართ. ის ფინანსისტია. რვა წლის ოჯახი? ყველაფერს ეფუძნება, ეს მეგობრობაც არის, საერთო ღირებულებებიც და მსოფლმხედველობაც. რვა წელი ნიშნავს, რომ კრიზისული პერიოდები გადატანილია. განსაკუთრებული არც არაფერი გვქონია, თუმცა იყო რაღაც მარტივი. იყო პატარა აღმაფრენები, პატარა ჩავარდნები...

**- რას აკეთებთ იმისთვის, რომ ურთიერთობა საინტერესო იყოს?**

- ურთიერთობა ისედაც სულ საინტერესოა. ხშირად ვსეირნობთ ხოლმე...

**- ბოლოს რა აჩუქეთ?**

- ბოლოს თვითონ მაჩუქა საათი. მე ამარჩევინა. ახლა ჩემი ჯერია. აგვისტოში დაბადების დღე აქვს და ვაჩუქებ. მიყვარს სპონტანურად რაღაცების მოწყობა. თუმცა სიურპრიზები მაინცდამაინც არ გამომდის.

**- როგორი ქმარი ხართ?**

- თბილი, ყურადღებიანი...

**- მასზე რას იტყვით?**

- კარგი გოგოა...

**- რას ეძახით ერთმანეთს?**

- თეონა ხშირად „დათიკოს" მეძახის, მე თეონას ხშირად „ბაბუცას" ვეძახი. ისე, ჩემ ლექსიკონში კრებითი სახელია ნათია. ნათია ჩემთვის გოგონას ნიშნავს. ჩემ დროს ნათია ერქვა ყველას.

**- როგორები არიან თქვენი „ცოლის დაქალები?"**

- ჩვეულებრივები. „ჩემი ცოლის დაქალები" არიან :) სერიალის თინას და ნინას ყველა ჰგავს. ზოგი უფრო კატოა, ზოგი უფრო თინაა.

### მარიხუანა

„არც მახსოვს, რამდენი ხანია ვმეგობრობ მარიხუანასთან. ეს პირველად საჩხერის ერთ-ერთ სოფელში იყო, მგონი. ჩვენ ჩვენი პოზიციით არ მოვუწოდებთ, აუ, მოწევა გვინდა! მართლა „ტეხავს" და დრაკონულია, ტიპს რომ იმიტომ იჭერ და ცხოვრებას უნგრევ, რომ მესამეჯერ მოწია. ის ადამიანი დედამიწაზე არსად კრიმინალად არ თვლის თავს, ვინც ეწევა. გაერომ - ყველაზე კონსერვატორულმა სტრუქტურამ 2011 წელს თავის წევრ ქვეყნებს მსუბუქი ნარკოტიკის გამიჯვნისა და მისი დეკრიმინალიზაციისკენ მოუწოდა. ანტისადოპინგო კომიტეტმა მარიხუანას დასაშვები დოზა გაზარდა. სპორტსმენებს შეჯიბრების დროს ჩვეულებრივ შეუძლიათ მოწიონ. იმედია, აქაც მალე მოხდება დეკრიმინალიზაცია".

### „ამდენი კარგი გოგო ერთად არ მახსოვს"

**- როგორ აფასებ „საქართველოს ვარსკვლავის" ტიპის კონკურსს?**

- ასეთი ტიპის კონკურსში მთავარია ნიჭიერი ადამიანი არ გამოგრჩეს. ნიჭიერი ადამიანები კი სტაბილურად და მუდმივად იბადებიან. ეს თაობა თვითნასწავლია. ინფორმაციაზე წვდომა - თუკი დედამიწაზე ვინმეს სადმე უმღერია, განუსაზღვრელი აქვთ. ამათთვის მშობლიური მუსიკაა ის, რასაც ასრულებენ. ამაზე გაიზარდნენ. „საქართველოს ვარსკვლავში" ტენდენციურად მეტი ბალადისტი გამოჩნდა. გოგონები განსაკუთრებულად რიტმულები არიან. ამდენი კარგი გოგო ერთად არ მახსოვს.

**- რომელთა შორის ნინა სუბლატი განსაკუთრებულად მოგწონთ.**



მიშა ცოლთან - თეონა ავალიანთან ერთად





- სუბლატი ვარსკვლავად დაბადებულია. ძალიან სცენიური და გახსნილია. სცენაზე ისე გრძნობს თავს, როგორც გამოცდილი დიასახლისი სამზარეულოში. პლიუს ამას კარგი მუსიკალური გემოვნება აქვს, ემოციურიც არის და მიმწოლიც. თითქმის ყველაფერი აქვს, რომ ვარსკვლავი გახდეს. ყველა მათგანს ვურჩევ, შემდგომში გამოიმუშავონ მარტივი პროდიუსერული უნარჩვევები. მეტი კონტაქტი ჰქონდეთ საზოგადოებასთან. იმღერონ ყველგან, სადაც მოუსმენენ. არსად სიმღერა არ გაუტყდეთ. ბევრჯერ გამიგია, რომ რესტორანში სიმღერა უტყდებათ. სინამდვილეში შოუბიზნესი იქ ვითარდება. ჩვენი თვალთახედვით რესტორანი კლუბია. გაჭმევენ, გასმევენ, უბრალოდ, იმაზე მეტს ჭამ, ვიდრე კლუბებში და ნაკლებს ცეკვავ. თუმცა რომ დათვრებიან, მერე უფ... მიყვარს კლუბური ცხოვრება. მაგრამ ახლა ნაკლებად ვახერხებ, ბევრი საქმეა. თუმცა რაც მეტი საქმეა, რელაქსი მეტად გჭირდება. თან ისეთი რელაქსი - დაპრესილი, ანუ ყველაფერი ერთად. ზოგჯერ სახლიდან „არ გამოსვლა" გინდა, ძილი ან მთელი დღე ტელევიზორის ყურება. ორ თვეში ერთხელ ვიწყობ ხოლმე სახლში ყოფნას.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ები“ ერთი შეიხის ტელევიზიით გავა“



**„ისეთ ეტაპამდე უნდა განვითარდე, რომ რეალური პატრიოტიზმი განახორციელო. ეს კი ის არის, რაშიც ფულს არა მარტო შენ ქვეყანაში გიხდიან, არამედ საზღვრებს გარეთაც. ჩვენი ამოცანა საერთაშორისო პროდუქტის შექმნაა. „ჩემი ცოლის დაქალებს“ უკვე რუსულად და ინგლისურად ვთარგმნით“**

**„ვიღებთ კომედიას ოქროს საწმისზე. აიეტმა ბერძნებს ყალბი ოქროს საწმისი გაატანა, ნამდვილი კი საქართველოში დარჩა. მაგარი კინო იქნება“**

EXCLUSIVE

**- რას გაძლევთ „საქართველოს ვარსკვლავი“?**

- ახლოს ვარ გარკვეული ასაკის ტიპებთან და მათ გემოვნებასა და მსოფლმხედველობაზე ინფორმაცია მაქვს. ამ რაოდენობის 17 წლის ახალგაზრდა ერთად არ მინახავს. გარდა ამისა, შესაძლებლობაა მონაწილეობა მიიღო მუსიკალური გემოვნების ტენდენციის ჩამოყალიბებაში, ირიბი, მაგრამ საინტერესო და სასიამოვნო. რეიტინგული პროექტია და ამ დროს ეკრანზე გაელვება ჩემს პროფესიაში ცუდი არ არის. მუსიკასთან ნებისმიერი შეხებაც სასიამოვნო და სასარგებლოა.

**- არა მგონია, რომ ასეთი პოპულისტი იყოთ...**

- „პაპსავიკი“ არ ვარ, თუმცა, ალბათ, გულის სიღრმეში ვარ. აბა, ამ სფეროში საიდან აღმოვჩნდი? გამოჩენაზე არ ვმუშაობ, მაგრამ დისკომფორტსაც არ მიქმნის.

### ურუგვაიში

**- დეჟა გომესი მოგეწონათ?**

- თბილი, კეთილი და უშუალოა, როგორც ყველა უცხოელი. ბავშვობიდან მშვიდად ცხოვრობენ. სტრესებისგან თავისუფალ და მშვიდ გარემოში. რაც აინტერესებთ, იმაში ცხოვრობენ ყოველთვის.

**- თვითონ რომელ ქვეყანაში იცხოვრებდით?**

- ურუგვაიში. ძალიან მაგარი ქვეყანაა. საქართველოს ჰგავს, მოსახლეობა იქაც სამი მილიონია. თავკომბალა ქვეყანაა, დედაქალაქში - მონტევიდეოში ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარი. თან საზღვაო ქალაქია. ზამთარში ოდნავ უფრო თბილა, ვიდრე აქ და ზაფხულში ოდნავ უფრო გრილა. მარიხუანა დეკრიმინალიზებულია. უმუშევრობა 4 პროცენტია. არც ულმერთოდ მდიდრები არიან, მაგრამ კარგად არიან. ჰყავთ მსოფლიოს ყველაზე ღარიბი პრეზიდენტი, რომელიც თავის რანჩოზე თვითონ უვლის შინაურ ცხოველებს. ჩვენ მატრაკვეცა ხალხში ეგეთი ტიპი ავტორიტეტს ვერ მოიპოვებდა. იქ „მოსულა“. მოკლედ, ურუგვაი მაინტერესებს, უბრალოდ, ძალიან შორსაა. პრინციპში, საქართველოში ცხოვრებაც საინტერესოა. გაქცევას არ ვაპირებ.

### „ქართველი სნობები მემარცხენეები არიან“

**- სნობობა გაღიზიანებთ?**

- არა, ძალიან მაგარ რამდენიმე სელებრით სნობს ვიცნობ, ძალიან კარგ ტიპებს. ყველაზე სასაცილოა ის, რომ ქართველი სნობები მემარცხენეები არიან. როცა ისეთ ქვეყანაში იბადები, როგორიც საქართველოა და განსაკუთრებულობის ამბიცია გაქვს - ეს იმდენად საინტერესო, ჯანსაღი და იშვიათია, რომ კარგია. ის, რომ თბილისში რომელიმე კონკრეტულ უბანში, კონკრეტულ ქუჩაზე, კონკრეტულ სახლში ცხოვრობ და გგონია, რომ დედამიწაზე ყველაზე მაგარ ადგილას ცხოვრობ, უკვე მაგრად ასწორებს:)

### „უნდა იყო კარგ ხასიათზე“

**- მიშა, დღის განმავლობაში ბევრს იცინით?**

- საკმაოდ. კარგ ხასიათზე ყოფნა მიყვარს.

**- სიცილი კალორიებსაც წვავს თურმე...**

- რამდენსაც ვიცინი, ისეთი გამხდარი საერთოდ არ ვარ.

**- რა გიფუჭებთ ხასიათს?**

- თითქმის არაფერი. ორი-ხუთი წუთი ვარ ცუდ ხასიათზე. პრობლემა ორი ტიპისაა, რომელიც მოგვარდება და რომელიც არ მოგვარდება. პრობლემაზე, რომელიც მოგვარდება, რატომ უნდა ინერვიულო? არ ღირს. პრობლემა, რომელიც არ მოგვარდება, იმაზე ნერვიულობა კიდევ უფრო მეტად არ ღირს, იმიტომ, რომ საერთოდ აზრი არა აქვს. ამიტომ უნდა იყო კარგ ხასიათზე. მთავარი ხომ ცხოვრებაში პროცესია და არა შედეგი.

### „ჩემი ცოლის დაქალები“

„ამ სერიალის წარმატებას ბევრი რამ განაპირობებს. ეს არის სწორი კასტინგი, კარგად გადაღებული კარგი სცენარი. ჩვენც გამოცდილება დაგვიგროვდა. მინიმალურ სტანდარტს ყოველთვის აკეთებ, რომლის მიღმა ხანდახან გამონათებები არის ხოლმე. ვერ ვიტყოდი, რომ ეს მოულოდნელი იყო ჩვენთვის. ბევრი გვქონდა ნაფიქრი, ბევრი რამ გააზრებული, რა იქნებოდა წარმატების საიდუმლო. მივხვდით, რომ ქალები არიან ძირითადი მაყურებლები. ადამიანებს ძალიან უყვართ იუმორის და ნაცნობი სიტუაციის ყურება. გარდა ამისა ეს სერიალი არ უნდა ყოფილიყო მარტო ქალებისთვის საინტერესო. სათაურშივე ჩავსვით კაცის პოზიცია. ამას დაემატა ჰიტური თემები და რეიტინგიც მოვიდა. არის კანონებიც, ერთ როლში რომ უყურებ ადამიანს, ამ შემთხვევაში ერთგული ქმრის ამპლუაში, საინტერესოა, განსხვავებულ სიტუაციაში როგორ მოიქცეოდა. აქაც ეს მოხდა. მთავარია, პროდუქტი, რომელსაც მაყურებელს სთავაზობ, შენც მოგწონდეს. ოქროს შუალედი უნდა იპოვო მაყურებლის გემოვნებასა და შენს გემოვნებას შორის. დისკომფორტს გიქმნის, როდესაც ისეთ რამეს აკეთებ, რასაც აქვს რეიტინგი, მაგრამ თვითონ არ მოგწონს. დიდხანს ვერ გაგრძელდება. ასევე დისკომფორტს გიქმნის ისიც, შენ რომ მოგწონს, მაგრამ პროდუქციას რეიტინგი არა აქვს. გვქონდა ასეთი შემთხვევა. „ჩვენი ოფისი“ ისე მოგვწონდა, ვგიჟდებოდით, მაგარ მუღამში ვაკეთებდით, აზარტში ვიყავით, საერთოდ არ გვაინტერესებდა - ვინ რას ამბობდა, მაგრამ არ ჰქონდა რეიტინგი. ძალიან შემოქმედებითი იყო, კრეატიული იყო, მაგრამ არავის ესმოდა. საკუთარ წვენში ვიხარშებოდით. რომ გავაანალიზეთ, მივხვდით, რომ შესაძლებელია ყოველთვის არ წახვიდე კომპრომისზე, არც საკუთარ თავთან და არც ადამიანებთან. სამყაროს კანონი რა არის? ადამიანი ორი რამის გადაკვეთის ზღვარზე ცხოვრობ - შენი თავისუფლება, რომელიც ყველაზე მაღალი ღირებულებაა და ადამიანების სოლიდარობა. ანგარიშს უწევ სხვასაც, მაგრამ გაქვს შენი. ადამიანს არ შეუძლია მარტო გაძლება, ის თავისნაირებს მუდმივად ეძებს“.

### „ჩვენი სერიალი ერთი შეიხის ტელევიზიით გავა“

**- „ფორმულა კრეატივით“ შვიდი წლის მანძილზე რაც დათესეთ, შესაბამის მოსავალს იმკით?**

- ილუზია იმაზე, რომ საქართველოში შეიძლება ულმერთოდ მდიდარი გახდე, არ უნდა გქონდეს. ამ სფეროში მილიონერი ვერ გახდები. „ათასიონერი“ გახდები. შეგეძლება არ გშიოდეს, არ გწყუროდეს, იხდიდე კომუნალურ გადასახადებს... კლუბურ მუსიკას ვინც ქმნის, არც ისინი ცხოვრობენ მდიდრულად, ამ მუსიკის მუღამიც ეს არის. „სთარები“ არიან, მაგრამ აბსოლუტურად ჩვეულებრივად ცხოვრობენ. არ ითხოვენ შამპანურის აბაზანების დახვედრებას, ვარდის ფურცლებს. ალბათ, ეს ყველაფერი თავმოყვარეობისა და პატივმოყვარეობის ზღვარზეა. მე ჩემი საქმით თავმოყვარეობა უფრო დავიკმაყოფილე. აქ ნორმალურად ცხოვრება შეიძლება. ბაზარი პატარაა და გადაჭარბებული მოლოდინები არ უნდა გქონდეს. ისეთ ეტაპამდე უნდა განვითარდე, რომ რეალური პატრიოტიზმი განახორციელო. ეს კი ის არის, რაშიც ფულს გიხდიან, არა მარტო შენ ქვეყანაში, არამედ საზღვრებს გარეთაც. საბოლოო ჯამში, ჩვენი ამოცანა საერთაშორისო პროდუქტის შექმნაა, ვნახოთ. „ჩემი ცოლის დაქალებს“ უკვე რუსულად და ინგლისურად ვთარგმნით. ტიტრებს ვაკეთებთ. რამდენიმე ქვეყნიდან არის დაინტერესება. ერთ-ერთი პირველი დაგვიკავშირდნენ ყატარიდან. ჩვენი სერიალი ერთი შეიხის ტელევიზიით გავა:) ჩვენი ტიპის ქვეყნებში გაიყიდება.

### მაგარი კინო ოქროს საწმისზე

„ამ ზაფხულს ვიღებთ სათავგადასავლო კომედიას ოქროს საწმისზე, რომლის იდეაც დიდი ხანია გვაქვს. ფილმი ასე იწყება, აიეტმა ბერძნებს სინამდვილეში ყალბი ოქროს საწმისი გაატანა, ნამდვილი კი საქართველოში დარჩა, რომელსაც დღეს პოულობენ. სცენარზე მარტო ვიმუშავე. ახლა ადაპტირებას ვაკეთებ. გადაღებები თბილისში, ქუთაისსა და ჩვენს ზღვისპირეთში იქნება. გვექნება გადაღება საბერძნეთსა და თურქეთშიც. ფილმი ეკრანებზე შემოდგომაზე გამოვა. ვათამაშებთ მსახიობებს, ვისთანაც წლების განმავლობაში გვითანამშრომლია. მაგარი კინო იქნება.

მალე დაიწყება ჩვენი ყოველკვირეული გადაცემა - „იმოგზაურე გიორგი გაბუნიასთან ერთად“. ახლა გიორგი კატმანდუშია გადამღებ ჯგუფთან ერთად. ის იმოგზაურებს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დათო ფორჩხიძე: „სტეფანეს იმხელა პატივს ვცემ,

**my View**
**თამარ გონგაძე**

**„ახალი საბავშვო ხმის“ საფინალო ცოცხალი კონცერტი 28 მაისს გაიმართება. მანამდე სტეფანეს გუნდის რინგი გველოდება. დათო ფორჩხიძემ და ეკა კახიანმა თავინთი გუნდებიდან უკვე აარჩიეს ორ-ორი ბავშვი. დათო ფორჩხიძის გუნდის ფინალისტები რეზო დიდებაშვილი და გიორგი გიგაშვილი არიან. მწვრთნელი მათით ამაყობს. სურს, რომ ამ ბიჭებიდან ერთ-ერთი გამარჯვებული იყოს. თავდაჯერებული ფორჩხიძე, რომ არავის დანებდება, ეს უკვე ვიცით. ამ პროექტის წყალობით დათო მომღერალი ბავშვების მშობლებს სიმღერის პედაგოგად მოსწონთ და მასთან მომზადება სურთ. „ამის ბაიბურში არ ვარ. მე ვურჩევ, რა როგორ იმღეროს. დო, რე, მის ვერ ვასწავლი. შეიძლება ოდესღაც ამის გაკეთება მომიწიოს. ახლა არ შემიძლია. ისე, კი ვნანობ, კარგ შემოსავალზე ვთქვი უარი. როდესაც პოპულარული ხდები, შენ მიმართ ნდობას იწევს“ - ამბობს დათო.**



**„მინდა რომელიმე ჩემმა ბავშვმა გაიმარჯვოს. მიმაჩნია, რომ ძალიან მაგრები არიან. სალომე ქათამაძეს ვთვლიდი ყველაზე მაგრად და გაიმარჯვა კიდეც. ახლაც ასე ვფიქრობ“**

„ახალმა ხმამ“ დათოს 16 კილო დააკლებინა. ნერვიულობს, განიცდის, ბავშვებს თან ჰყვება. „ველოდი, რომ ეს პროექტი ასეთი სანერვიულო იქნებოდა, მაგრამ ამდენი კილოს დაკლებას არ ველოდი. დაკლებას მინუსები არ აქვს. 16 კილოთი ნაკლებს რომ ათრევ, კარგია. სულ სპორტული ვიყავი, მინი ფეხბურთის მოყვარულის დონეზე ვთამაშობ. ახლა როგორ ვირბენ, მაინტერესებს“.

### „კონკურენციას ყოველთვის გავუწევ ყველას“

„კონკურსები წინა პლანზე მაშინ მოდის, როცა ახალი არაფერი იქმნება. ახლა კონკურსების პერიოდი გვიდგას. თანამედროვე მუსიკა განწყობასა და რიტმულობაზეა. მაგრამ ასეთი სიმღერებით კონკურსს ვერ მოიგებ. ამიტომ იძულებული ხარ კონკურსზე ამღერო ჰიუსტონი. ხალხს მაღალი ბგერები და ნოტები უნდა. „ახალი ხმის“ შემდეგ ხალხი მცნობს. ზოგს ვუყვარვარ, ზოგს აღარ ვუყვარვარ. კიდევ რას ვატყობ იცით, თავიდან რომ გამოვჩნდი, ისე მონატრებულები იყვნენ ჩემზე, რომ ჩემდამი სიყვარული თითქმის უალტერნატივო იყო. ახლა ნელ-ნელა შემეჩვივნენ და შეჩვევის მერე ცოტა პრობლემებია. როცა ადამიანი სხვის წარმატებას დაინახავს, შესაძლოა ისე შეშინდეს, მტერთან დადოს ზავი. მე ბარსელონას წარმატებამ იმდენად დამღალა, რომ ბაიერნი რომ უგებდა, მიხაროდა. ასე არიან ჩემზეც - ამას ზედმეტები ხომ არ მოსდისო. მე უნდა მივხვდე, სად აღარ უნდა მოვიგო, რომ ჩემი წარმატებით თვალში გამოჩხერილი არ ვიყო. შეიძლება ახლა ვერ მოვიგო, მაგრამ მესამეში რომ დამსვა, ჩემთან მაინც წამოვლენ კონკურსანტები. ადამიანი სხვის წარმატებაში მინუსს ხედავს. ფიქრობს, იმიტომ კი არ მოიგო, რომ ის მაგარია, მასთან ბავშვები იმიტომ წავიდნენ, რომ მან პირველ პროექტში მოიგოო. მეც ასე ვიფიქრებდი, იმიტომ, რომ მე მაწყობს ჩემს მეტოქეში სისუსტე დავინახო“.

**- თავდაჯერება არასდროს გაკლდათ, მაგრამ „ახალ საბავშვო ხმაში“ საოცრად თავდაჯერებული ჩანხართ. ბრმა კასტინგზე უკომენტაროდ ცდილობდით თქვენ აერჩიეთ ბავშვებს.**

- მე ძალიან ბევრი ლაპარაკი მიყვარს და რატომღაც ჩემი ისეთი კარგი ტექსტები ამოიჭრა... მე რომ გავჩუმდე, ეს ბუნებაში არ არსებობს. თავდაჯერებული ყოველთვის ვარ, პირველ პროექტშიც ასე ვიყავი. პირველი ფინალისტი და პირველი ნახევარფინალისტი - სალომე ქათამაძე და ლაშა თოფურია მე ავიყვანე. სხვებმა აიყვანეს ნიჭიერი ბავშვები, მაგრამ ფინალში არც ერთი არ მოხვდა. უნიჭიერესი ნინი ცნობილაძე და მაგდა ვასაძე ჩემთან იმიტომ აღარ წამოვიდნენ, რომ სალომე ქათამაძე იყო ჩემთან. ასე მითხრეს თვითონ. სუსტი რატომ უნდა ვგონებოდი ამ ბავშვებს - ცუდი მომღერალი ვიყავი, ცუდი მუსიკოსი, თუ წარმატებები არ მქონდა და არაფერი გამიკეთებია? ამიტომ ნუ დახატავთ სურათს, რომ მე პირველ „ახალ ხმაში“ დაჩაგრული ვიყავი. ამ ქვეყანაში ჩემ სფეროში სადმე რომ დამსვათ, არა მგონია, რომ მაჩანჩალა ვიყო. კონკურენციას ყოველთვის გავუწევ ყველას. ჩემს თავს სუსტად ვერ აღვიქვამ, თუმცა სხვის სიძლიერესაც ვაღიარებ. უბრალოდ, ასე ხდება, პირველი მაგარი შემსრულებელი ჩემთან ხვდება. რეზიკო დიდებაშვილი ფინალში სალომესთან მყავდა და ვის დავუმალო, რომ ჩემთან არ ასოცირდებოდა. მისი გამოსვლის შემდეგ იუმორში ვთქვი - ვიშვილებ, რა უნიჭოა და მე გავქაჩავ-მეთქი. რომ მეგონა ამ ხუმრობაზე იტყოდნენ, მოსწონს და ხუმრობსო, დაიწყეს დაპოსტვა: ეტყობა, რეზიკოს ჩაწყობილი აქვს, თვითონ არ ამბობდა, მე ვქაჩავ ამ ბავშვსო? მერე ერთმა მიაწერა, კაცმა თუ ჩააწყო, ამას ასე ხმამაღლა ხომ არ იტყვისო? წინასწარ დაგცინათ, რომ ეს ეჭვი არ გამოგეთქვათო. გავიგე რამდენიმე დაწუნებული ბავში მერე მიუღიათ, პროექტისთვის რომ დაკლებიათ ბავშვები. და მე ორ მათგანზე დამიჭერია ხელი. მერე ჩემთან მოვიდნენ - ამ სუსტ ბავშვებზე ხელი რატომ დააჭირეო? მაგრამ ერთთვიანი მუშაობის შემდეგ ისე მოეწონათ ეს ბავშვები, რომ მერე მათ გამო ჩემი ლიდერები უნდა გაეგდოთ.



**„ვფიქრობ, რომ სანამ ეს პროექტი იქნება, მე არ გამაგდებენ. საჭირო ვარ, ასე მგონია“**

**„სად ვიტყუებოდი, იცით? კონკურენტი მწვრთნელების რჩეულებზე რომ არ ვთქვი - არ მომწონს-მეთქი. აქ იყო ფარსი. ცუდებზე ვთქვი კარგი, იმიტომ, რომ ვგრძნობდი, ხალხი შემჭამდა და ამის შემეშინდა“**



### „მე მეცოდება ლიზა ყენია“

„დიდების „ახალი ხმის“ კონკურსანტების ნამღერს მაყურებლები განიხილავდნენ ტერმინებით - ფორტე, პიანო. პატარებში ყველაზე მაგარი შეფასება, რაც მოვისმინე, იყო - რა გრძნობით მღეროდა, რატომ არ მიანიჭეს უპირატესობაო. „გრძნობით სიმღერა“ - ეს ტერმინი ბოლოს, ალბათ, 1982 წელს გავიგე, როდესაც ჩემმა ბიცოლამ თუ დეიდამ თქვა ალ ბანოზე. მას შემდეგ ეს ტერმინი არ გამიგია. როცა ამ ფრაზას ამბობ, ხაზს უსვამ, რომ მუსიკის გონზე არ ხარ. ამით ვაკეთებ დასკვნას, ვერ აღიქვამენ, ეს ბავშვები რა მაგრები არიან. დიდები მათ თავიანთ ბავშვობას ადარებენ. ამ დროს ჩვენი ბავშვობა იყო - ამერიკა ცუდია, ძირს კაპიტალიზმი, სან რემო გვეგონა ყველაზე მაგარი. ფირფიტები უნდა მოგვესმინა. ამ თაობას You Tube-ი გაგდებული აქვს და 12 წლის ასაკში იმას მღერიან, რაც მე 17 წლის ასაკში მოვისმინე. ამ ბავშვებს აღარ უყვართ „ჟუჟუნა წვიმა“, გასცდნენ ამ სიმღერას. ეს ბავშვები დიდები არიან. მშობლები ვერ ხვდებიან, რომ მათი ბავშვები სხვა თაობაა. ისინი ჰიუსტონის და ჯესი ჯეის მანერაში მღერიან. ნახეს ამერიკელი, ესპანელი, იტალიელი თანატოლი და თქვეს, ესენი თუ ასე მღერიან, ჩვენც შეგვიძლიაო. ჩვენ კიდევ მათ ნიჭიერებას არ ვპატიობთ. თუ ბრაზილიელი ჯოტა გრძნობს სიმღერას „We Are The World“ და ამით „ახალ ხმას“ იგებს, რეზიკო დიდებაშვილი, რომელიც ამ სიმღერას შეიძლება უკეთადაც მღერის, რატომ არ უნდა ვამღერო? არ ვართ ამ მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი? ვთვლი, რომ ჩვენ არ ვართ ჩამორჩენილი. ჩვენ ძალიან ნიჭიერი ახალი თაობა გვყავს. როგორ ვუთხრა, შენთვის ადრეა, არ იმღერო-მეთქი, რისთვისაც ის უკვე მომწიფდა? 12 წლის ბავშვები ამ ლამაზი ბავშვური ტემბრებით არაამქვეყნიურად რთულ რალაცებს ასრულებენ. ხვალ ეგ ხმა მათ არ ექნებათ. მუტაცია ფიზიოლოგიური მოვლენაა და ისინიც დაკარგავენ ხმებს. ლევან ლაზარიშვილი და ალეკო ბერძენიშვილი რომ არ ჩაგვეწერა, ხომ ვკარგავდით მათ ბავშვურ ხმებს? მე, სტეფანე და ეკა ისტორიას ვუნახავთ ამ ბავშვების ხმებს. ამ პროექტს ხომ „ახალი საბავშვო ხმა“ ჰქვია. ჩემი მოვალეობაც ეგ არის, ასეთები უნდა მოგაწოდოთ. ერთი მათგანი პროტესტის პათეტიკით წერს - ფორჩხიძეს გამოცდილების მიხედვით აჰყავს ბავშვებიო. აქ იგულისხმებოდა, რომ ვიღაც რაღაც კონკურსზე იყო გამოსული. 12 წლის ბავშვს ეუბნებიან, შენ იმღერე უკვე და გეყოფა, ახლა 11 წლის ბავშვებმა უნდა იმღერონო. რა ვუყო ასეთ კომენტარებს, ამიხსენით. სალომე ქათამაძეს ხომ ტვინი შეუჭამეს, ნაცნობი სახეაო“.

**- ლიზა ყენიასაც ცნობილი დედის გამო აკრიტიკებენ.**

- ლიზა ყენია კარგად მღერის. მე ლიზა ყენიას მაგალითი დასატესტად გამოვიყენე ჩემს ოჯახში, რომ ჩემი ცოლისთვის, დედამისისთვის და დედაჩემისთვის მეთქვა - თქვენი შვილიშვილი არასოდეს იმღერებს-მეთქი. ვიცი, ტელევიზიით რომ გამოჩნდეს, დათო ფორჩხიძის შვილია და ამიტომ ქაჩავენო, იტყვიან და მოკლავენ. კარგადაც რომ იმღეროს, ჩაქოლავენ, იმიტომ რომ ფორჩხიძის შვილია. ჩემებს ვუთხარი - აი, ნახეთ 15 წლის ბავშვს რას უშვრებიან-მეთქი. მე მეცოდება ლიზა ყენია. არც მინდა ისე ვაქო, მის მიმართ ხალხს თანაგრძნობა გავუჩინო და მერე პროექტში მომიგოს. თუმცა მე მართლა თანავუგრძნობ ამ ბავშვს. ჩემი შვილიც ცნობილი ადამიანის შვილია, ესე იგი, მასაც არ აქვს შანსი. საქართველოში არ ვამღერებ და სხვაგან, არ ვიცი. არადა, ამ საწყლებს სამივეს უყვართ სიმღერა. რომ უკრავს, ვუკრძალავ, არ გინდა შვილო, ცუდი საქმეა, წადი მათემატიკა ისწავლე, ექიმი გამოდი, იურისტი გახდი-მეთქი. ავუკრძალავ იმ-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რომ არ ვაკადრებ და შოუში არაფერს დავუთმობ“

**„ერთხელ სტეფანე მოვიდა და მითხრა - ორგანულად ვერ გიტანო. როცა ამას ადამიანი პირში გეტყვის, ხვდები, რომ იუმორში გეუბნება. ვფიქრობ, სტეფანეს მაგრად ვუყვარვარ, თუმცა მისი ამოცანაა მაჯობოს“**

იტომ, რომ მეც ხომ ვკითხულობ „ფეისბუქზე“ არა, ამ ცნობილი ადამიანების შვილებმა ტვინი წაიღესო. მე კიდე ამცდა ადამიანების რისხვა. სტეფანეს სანდრო ფარცვანიაზე ერთი წამოცდა - ჩემი სტილი არ არისო და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ათი წლის ბავშვის გამო არ შეიძლება ადამიანის მოთხრა, რომელსაც რაღაც გაკეთებული აქვს ცხოვრებაში. ამ პროექტში მწვრთნელზეა დამოკიდებული, ვინ გადაიყვანოს და ვინ - არა. რაც მიაჩნია სწორად, ის უნდა გააკეთოს. მერე უკვე მასზეა, იყოს პოპულისტი და ის თქვას, რაც ხალხს მოსწონს თუ ემსახუროს სიმართლეს. რახან ეს იყო „საბავშვო ახალი ხმა“ მე ვიყავი დელიკატური, მომთმენი და ვერ ვამბობდი სათქმელს. სწორადაც ვაკეთებდი. სად ვიტყუებოდი, იცით? კონკურენტი მწვრთნელების რჩეულებზე რომ არ ვთქვი - არ მომწონს-მეთქი. აქ იყო ფარსი და არა იქ, სადაც, მათი აზრით, მომწონდა კონკურსანტი და სპეციალურად არ ვთქვი, რომ კარგია-მეთქი. ცუდებზე ვთქვი კარგი, იმიტომ, რომ ვგრძნობდი, ხალხი შემჭამდა და ამის შემეშინდა. ის ბავშვია, ჩემს სიმართლეს ვერ გაიგებდა, იტყოდა ეს ბოროტი არსება რას მებრძვის, მე მთელ საქართველოს მოვწონვარ, ეს კიდევ მე მეჩხუბება, იმიტომ რომ ჩემი შურსო. როგორ შეიძლება მე ათი წლის ბავშვის მშურდეს? ვინ გაიგებდა ჩემ სიმართლეს, ყველას მამიდაშვილბიძაშვილი გაგიჟდებოდა და ეს ოფლითა და შრომით მოპოვებული სახელი წყალში ჩამივარდებოდა. ვილაცებმა შემიზიზღეს კიდეც, რჩევის გამო, რომელიც არა ჩემს გუნდში მყოფ ბავშვს, არამედ კონკურენტის კონკურსანტს ვუთხარი. რა გამეკეთებინა ჩემი კოლეგებისთვის სწორად არ მერჩია? საერთოდ ემოციური ტიპი ვარ. არ უნდა ვამბობდე, მაგრამ გეუბნებით. „სახის“ დროს სიმღერაზე ერთი თვე რომ ვიწვალებდი, ვინმე მუსიკოსი თუ დამიწუნებდა, ვშლიდი და თავიდან ვაკეთებდი, როგორ გამიბედა, რომ არ მოეწონა-მეთქი. მერე შალვა რამიშვილი, გოგა ხაჩიძე და დათო ხუჯაძე რომ მიხვდნენ, ვაფრენდი, კაციშვილს არ მაკარებდნენ. ეს სიმღერა რადიოში რომ დატრიალდებოდა და გაჰიტდებოდა, ის ტიპი ველარ მიბედავდა, რომ ცუდი იყო სიღერა.

### „ახალი თაობა არ დამცინის, მოვწონვარ“

**- ფინალში რას ელოდებით?**

- არ ვიცი, მოიგებს ის, ვინც მოიგებს. არ მინდა ვიწუწუნო ან ვინმეს ვემათხოვრო. მინდა, რომელიმე ჩემმა ბავშვმა გაიმარჯვოს. მიმაჩნია, რომ ძალიან მაგრები არიან. სალომე ქათამაძეს ვთვლიდი ყველაზე მაგრად და გაიმარჯვა კიდეც. ახლაც ასე ვფიქრობ. ბოროტმა დათო ფორჩხიძემ იმათ, ვინც მე რინგიდან გავუშვი, მოგების შანსი გაუნახევრა იმით, რომ თავის გუნდში აიყვანა. კოლეგები იტყვიან, ნახე კიდევ კოჭს აგორებსო... კარგი, ვაგორებ, მაგრამ ამაში არ დევს სიმართლის მარცვალი? კარგი მე გაუმაძღარი ვარ და კიდევ მინდა მოვიგო, ის ბავშვი ხომ პირველად იგებს? მწვრთნელი ფინალამდეა, მერე ბავშვი იგებს, მას ხალხი ირჩევს. ვისაც ჩათვლით, რომ აქვს ძალიან ლამაზი ტემბრი და მაგრად და გემრიელად მღერის, დაუმესიჯეთ. ამ შოუში ხალხის რამდენიმე ლიდერი იყო, რომელიც ფინალში აღარ არის.

**- მესამე „ხმაში“ იქნებით, როგორ ფიქრობთ?**

- ვფიქრობ, რომ სანამ ეს პროექტი იქნება, მე არ გამაგდებენ. საჭირო ვარ, ასე მგონია. თუ არ ვიქნები და თავსაც არ მოვიკლავ, მაგრამ ისიც რომ ვთქვა, არ მაინტერესებს-მეთქი,



„მე მეცოდება ლიზა ყენია. არც მინდა ისე ვაქო, მის მიმართ ხალხს თანაგრძნობა გავუჩინო და მერე პროექტში მომიგოს. თუმცა მე მართლა თანავუგრძნობ ამ ბავშვს. ჩემი შვილიც ცნობილი ადამიანის შვილია, ესე იგი, მასაც არ აქვს შანსი“





ტყუილი იქნება, ეს შოუ საინტერესო სამუშაოა. ვიგრძენი, რომ ახალი თაობა არ დამცინის, ამ პატარა ბავშვებს მოვწონვარ. მათთვის მე არ ვარ ბებერი და ჩამორჩენილი. ვინც გავუშვი, გამიბრაზდნენ, თუმცა მანამდე დიდი იმედით აღსავსენი მუშაობდნენ. ებადებათ კითხვა, თუ წინასწარ გაქვს გადაწყვეტილი, ვინ დატოვო პროექტში, სხვას რაღას აწვალებო? კი არ ვაწვალებ, ვცდილობ, სუსტს გმირად დავატოვებინო პროექტი. მინახავს პროექტი სუსტს სპეციალურად სუსტად რომ გამოჩენილიყო... ჩვენ სუსტზე მეტს ვმუშაობთ, თუმცა ვიცით, რომ რინგზე ვერ გაგვიქაჩავს და მერე ვუშვებთ.

### „მისი ამოცანაა მაჯობოს“

**- სტეფანესთან თქვენი პაექრობა შოუს ნაწილია?**

- ანუ ერთმანეთი გვძულს თუ არა სინამდვილეში? ერთხელ, მოვიდა და მითხრა - ორგანულად ვერ გიტანო. როცა ამას ადამიანი პირში გეტყვის, ხვდები, რომ იუმორში გეუბნება. ვფიქრობ, სტეფანეს მაგრად ვუყვარვარ, თუმცა მისი ამოცანაა მაჯობოს, რადგანაც მაფასებს. ის ღირსეულ მეტოქედ მთვლის. ადამიანმა პირველმა გახსნა სეზონი და „სახის“ სიმღერა გადააკეთა. ამ კაცის მადლობელი ვარ. ახლა შოუში გვერდით მიზის და ამბობს, ეს გოიმია, მისი სტილი ჩახვევებია. უნდა თქვას, რა ვქნა? კადრს მიღმა ვჭამთ ერთმანეთს, მაგრამ სიმპათიები მაინც გვაქვს. მე და მაია დარსმელიძეს ისეთი ეტაპი გვაქვს, ვენებს ვიჭრით ერთმანეთზე. ჩვენი შვილები მეგობრობენ. გასაყოფი არაფერი გვაქვს, მაიაც და სტეფანეც ორივე ნიჭიერი ადამიანია. ეკა კახიანთან ქალაქური, ცივილური ურთიერთობა ყოველთვის მქონდა. სამწუხაროდ, როცა მე და სტეფანე ერთმანეთს ვკბენდით, ხალხი უფრო აზარტულად იყო ჩართული შოუში, ხალხს სეირი უნდა. ახლა, ალბათ, შევთანხმდებით და თუ შოუს რეიტინგი სჭირდება, ვიჩხუბებთ. სტეფანეს იმხელა პატივს ვცემ, რომ არ ვაკადრებ და შოუში არაფერს დავუთმობ და წინ ოდნავადაც არ გავუშვებ. სუსტი არ არის. რამდენად ნიჭიერიც არის, ისე ვერ მიიღო ხალხმა. მე ბევრი რამის ნოვატორი ვიყავი საქართველოში. საჯაროდ სიძულვილის გამოხატვის აკრძალვის ნოვატორად რომ გამოვდგე, კოლეგებთან ერთად სამამულიშვილო მისია იქნება. სიძულვილი დაგროვდა ჩვენში. ყველას თავისი პრობლემა ეყოფა. ჩვენგან ნუ ელოდებიან სეირსა და მუშტი-კრივს. ჩვენ თუ ვიტყუებით, ლამაზად მაინც ვიტყუებით. უბრალოდ, კულისებში ერთმანეთს ჩავუსაფრდებით, აბა, იმან რა სიმღერა მისცა ბავშვს და ეგ არის. ვცდილობთ ერთმანეთს ვაჯობოთ. ამ ჯობნაში კი ბავშვებს ვეხმარებით. ეს უკვე კარგი საქმე არ არის? კარგია!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი კალანდაძე ფილმ

**my View**
**დეა თავბერიძე**

**რამდენიმე დღის წინ კინოთეატრ ამირანში „ნაწილების“ პრემიერა შედგა. მაყურებელი ფილმის მთავარ ღირსებად და რეჟისორის სწორ მიგნებად იმ მსახიობებს ასახელებს, რომლებიც ფილმში თამაშობენ. მათ შორისაა ახალგაზრდა მსახიობი გიორგი კალანდაძეც, რომელმაც პრემიერის შემდეგ ბევრისგან მიიღო ქათინაური და მადლობა... ჰოდა, ეს ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი, დღეს „პრაიმტაიმის“ სტუმარია. ზედმეტად სერიოზულია როგორც რესპონდენტი, თუმცა ცხოვრებაში ენაკვიმატობას და იუმორს არ უჩივის, ეღიმება - სიფიცხეც გურულების მაქვსო. გარშემომყოფებიც ასე აფასებენ - ტიპური გურული ხარო. თუმცა ამ ტიპურ გურულს გურიის მთები დღემდე არ უნახავს. „არადა, გურულები სულ მეპატიჟებიან, ჩამოდი, არ ინანებო“, - ამბობს გიორგი კალანდაძე და ბევრ საინტერესო დეტალზე საუბრობს. მათ შორის გადაღებების დროს მსახიობების თავს დატრიალებულ უცნაურ მისტიკურ ამბებზეც...**

**გიორგი კალანდაძე: -** ფილმმა, საბოლოო ჯამში, ჩემი მოლოდინი გაამართლა, რაც ჩავდეთ, რაც დავიხარჯეთ და რა განწყობაც იყო, ზუსტად ისეთივე გამოვიდა. რა თქმა უნდა, არის ლაფსუსები, მაგრამ გამოსწორებადი და არც ისე ტრაგიკული. მთავარი ამოცანა იყო, რომ განსხვავებული და ორიგინალური ფილმი ყოფილიყო, თან თავიდან ბოლომდე „მეიდ ინ ჯორჯია“ და არავითარი პლაგიატი, ეს მისია მგონი მეტ-ნაკლებად შევასრულეთ. თუმცა, შეიძლება ვიღაცას არ მოეწონოს, ეს ნორმალური და ჯანსაღია. მათი აზრიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელი, რომ მომავალში კიდევ და კიდევ უფრო კარგი რაღაცები გავაკეთოთ. ზოგადად კი, მაყურებლის რეაქცია დადებითია. მე ვინც შემხვდა, ყველამ აღნიშნა, რომ ფილმი განსხვავებული, საინტერესო, ჩამთრევია და არ ჰგავს ყველაფერ იმას, რაც აქამდეა გადაღებული... ხალხისგანაც მგონი ადეკვატური რეაქცია წამოვიდა...

**- თუმცა, როგორც ვიცი, გარკვეულწილად იყო შენიშვნებიც, თუ მაყურებელი მსახიობების თამაშმა აღაფრთოვანა, ბევრი რეჟისორს ჩანაფიქრს ვერ მიუხვდა...**

- კი... შენიშვნებიც იყო... ვიღაცას, ალბათ, უფრო მეტი უნდოდა სიუჟეტიდან... უფრო მეტს ელოდნენ. ჩვენ პრომოები არ გაგვიკეთებია და ზედმეტს არავის დავპირებივართ, ხანდახან საქართველოში ეს შეცდომაც მოსდით ხოლმე, ბევრს ჰპირდებიან და შედეგად პროდუქტი არა აქვთ იმ ხარისხის, ჩვენ ზუსტად იმდენს დავპირდით მაყურებელს, რაც რეალურად გვქონდა მათთვის გამზადებული... ძალიან სპეციფიკურ ენაზე ვსაუბრობთ პერსონაჟები და ძალიან სპეციფიკურ რაღაცას ვაკეთებთ. არის მეცნიერული ექსპერიმენტი, მაგრამ თვითონ ეს ტერმინოლოგია და ეს პროცესი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არის სპეციფიკური და, ალბათ, ვიღაცებისთვის რთული აღსაქმელი იყო, თუმცა ასეთი ძნელი და გაუგებარი არ ყოფილა, ბევრი ფიქრი და ანალიზი არ სჭირდება... ვიღაცამდე, ალბათ, გვიან მიაღწია აზრმა და ვიღაცისთვის, ალბათ, უფრო ადვილი იყო...

**- პრემიერამდე მსახიობები ძალიან დაღლილები იყავით და ყველანი ძალიან ჰგავდით თქვენს პერსონაჟებს.**

- კი, ძალიან დაგვღალა ამ ყველაფერმა, რადგან თითოეული ჩვენგანი მაქსიმალურად დავიხარჯეთ, ეს ყველაფერი ძალიან გაიწელა. იდეის ავტორებს უნდოდათ ყველაფერი მაღალ დონეზე ყოფილიყო. სწორედ ამ სურვილმა გამოიწვია დროში გაწელვა. სიმართლეს ვიტყვი, ძალიან დავიღალეთ...

**- პრემიერის შემდეგ სტრესი და დაღლილობა მოგეხსნათ?**

- კი, პრემიერის დღეს მოწვეული სტუმრები და ის სიტუაცია, რაც იქ იყო, ძალიან პოზიტიური და საზეიმო იყო, ძალიან კმაყოფილები დავრჩით 10 მაისით.

**- პრემიერის შემდეგ ნანკა იყო უკმაყოფილო, სცენები, რომელიც თვითონ ძალიან მოსწონდა, რეჟისორს არ ჩაუსვამს.**

- მე არ მინახავს ის სცენები, რომელზეც ნანკას აქვს საუბარი, მაგრამ ირწმუნება, რომ რაღაც იყო ისეთი საკვანძო, რაც მას ძალიან მოსწონდა და რაც საფინალო სცენას მოუხდებოდა... თვითონ, ალბათ, დასწყდა გული, მაგრამ პრინციპში, დიდად ტრაგიკული არაფერი მომხდარა, რადგან რა სცენებიც დატოვეს, ანუ იმ სცენის გარეშეც, რაზეც ნანკა საუბრობს, უკვე ძალიან კარგია... მე კი ნანკა თავიდან აღმოვაჩინე ეს ადამიანი, თავისი შემოქმედებით ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ კიდევ ახალი ნანკა აღმოვაჩინე, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, ძალიან კარგად გაართვა თავი ამოცანას. მისი კინოროლებიდან, რაც ამ ბოლო წლებში აქვს შექმნილი, მგონი ყველაზე კარგი პერსონაჟია და ამ ფილმზეც ყველაზე კარგად იმუშავა...

**- ჰონორარით რამდენად კმაყოფილი ხარ?**

- რაც აქამდე კინოებში, თუნდაც სერიალებში ამიღია, საკმაოდ სოლიდური თანხა იყო, რამაც სასიამოვნოდ გამაკვირვა. აქ ლაპარაკი არ არის ასტრონომიულ ფასებზე, მაგრამ იმ ბაზართან და იმ ტარიფებთან შედარებით, რაც აქამდე მინახავს, მართლა უმაღლესია, არადა მე ისეთი რაღაცები მინახავს, გაგიკვირდებათ... სპექტაკლში ლარი ამიღია... შვიდი მსახიობი ვთამაშობდით და, როდესაც სალარო რეჟისორს გადაეცა და როლებზე განაწილდა ჰონორარი, ლარ-ლარი შეგვხვდა, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე გეუბნებით... 15 ლარი ამიღია რეკლამაში... საერთოდ, საქართველოში მსახიობის შრომა სათანადოდ არ ფასდება...

**- ფილმის სიუჟეტმა, გარემომ თუ იმოქმედა შენზე?**

- ალბათ, რაღაც დოზით ხდება უარყოფითი ენერგეტიკის დაგროვება... ძალიან ბევრ ნეგატიურ რაღაცაზე გიწევს ლაპარაკი, ბევრ ნეგატიურ ადგილებში ყოფნა. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ სპილბერგის პოლტერგეისტის ისტორია თუ გაგიგიათ, იქ საერთოდ ვიღაცები გადა-



## exclusive

**ნათია წიწილაშვილი:** დღეს, 15 მაისს, ზუსტად 3 წელი შესრულდა ჩვენი ქორწილიდან. 3 წლის წინ ამ დღეს ყველაზე აღელვებული, დაბნეული და ყველაზე შეყვარებული ადამიანი ვიყავი, ახალა კი ყველაზე ბედნიერი და კიდევ უფრო მეტად შეყვარებული ვარ. <3 <3 <3
loved you yesterday love you still always have always will











„ნათია „ჩიპსების თაობაში“ ჩემს ცოლს თამაშობდა. ჩემი გმირისთვის შეყვარებულს ეძებდნენ, საბოლოო ჯამში კი ჩემი ცოლი იპოვეს“



„მე არ მინახავს ის სცენები, რომელზეც ნანკას აქვს საუბარი, მაგრამ ირწმუნება, რომ რაღაც იყო ისეთი საკვანძო, რაც მას ძალიან მოსწონდა და რაც საფინალო სცენას მოუხდებოდა“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ის მისტიკურ დეტალებზე

## „ჩემი ვნება კინოა, მაგრამ თეატრიც ძლიერმოქმედი ნარკოტიკია, რომელსაც თუ ერთხელ გასინჯავ, მერე მთელი ცხოვრება გახსოვს“



## „ვინც კი შემხვდა, ყველამ აღნიშნა, რომ ფილმი განსხვავებული, საინტერესო, ჩამთრევია და არ ჰგავს ყველაფერ იმას, რაც აქამდეა გადაღებული“






ყვნენ ამ ფილმის გადაღებას. მთავარი გმირი დაიღუპა. ხშირად გამიგია, რომ მისტიკური ფილმების გარშემო უარყოფითი ენერგია გროვდება, ასე იყო აქაც, მსახიობებმა ეს ჩვენს თავზე განვიცადეთ... როდესაც მთელი დღის განმავლობაში მოქმედ მორგში გიწევს ყოფნა, რომელიც შენს მისვლამდე სავსე იყო გვამებით, არასასიამოვნო განცდა ავტომატურად გიჩნდება. ძალიან რთული იყო. თავისი სპეციფიკური სუნით დაწყებული, რაღაც ჩვრებით... დეკორაციების მხატვრებს, რეკვიზიტის დალაგების მეტი არაფერი დასჭირდათ, რადგან ეს იყო ჩვეულებრივი ნამდვილი მორგი. ასევე ღამეების გათენება 31-ე ქარხანაში, ერთ-ერთი პავილიონი იქ იყო... მიტოვებული და ჩაბნელებული შენობაა. ფილმში ჩემი სახლი მთლიანად არის მიტოვებული, მხოლოდ ის ადგილი იყო მოლამაზებული, სადაც მე ვიჯექი და ვითომ ვცხოვრობდი. საწოლი, მაგიდა და წინ ხალიჩა. დანარჩენი სადაც გადამღები ჯგუფი იდგა, იყო აბსოლუტურად განადგურებული... ეს სახლი ერთ-ერთი ჩვენი თანამშრომლის, მხატვარი გოგონასია, რომელსაც საერთოდ არ იყენებენ... მოკლედ, ამ ფილმში, ვერანაირად ვერ ავცდით, დამთრგუნველ სიტუაციებს. ერთადერთი სუფთა ადგილი იყო ახალ საავადმყოფოში, სადაც ქალბატონი მარინა ჯანაშიასა და ჩემი სცენა გადავიღეთ.

**- მსახიობებმა მითხრეს, უცნაური რამეები ხდებოდა გადაღებებზე, სარკეები იმსხვრეოდა ხმები გვესმოდაო...**

- სარკეების მსხვრევას მე არ შევსწრებივარ. ხმები კი ძალიან ჩვეულებრივი მომენტი იყო. თუნდაც 31-ე ქარხანაში, საიდან რა ხმა მოდიოდა, ვერ გაიგებდი. ფეხის ხმით დაწყებული, კარის მიჯახუნებით დამთავრებული. ამ ყველაფერმა თავიდან ძალიან დაგვაშინა, მაგრამ მერე იმდენად მივეჩვიეთ, რომ რეაქციაც აღარ გვქონდა... რეალობაშიც რაღაც დოზით გადმოიღვარა. იმდენ დროს ატარებ ამ ყველაფერში, იმდენად ყოველდღიური არის, რაღაცები შენშიც იცვლება ალბათ და სხვანაირად უყურებ.

**- მისტიკურ ფილმში კიდევ ითამაშებდი?**

- დიდი სიამოვნებით და კიდევ ბევრჯერ ვითამაშებდი მისტიკურ დრამაში და ამაზე კიდევ უფრო მძაფრსიუჟეტიანში. თუნდაც ტრილერში... რადგან მსახიობისთვის მსგავსი გამოცდილება ძალიან საინტერესო და ძალიან კარგია, ამიტომაც, როდესაც ეს შემოთავაზება მივიღე, ძალიან გამიხარდა და დიდი სიამოვნებით დავთანხმდი...

**- თეატრში თუ ხარ?**

- თეატრიდან დიდი ხნის წინათ წამოვედი. გაუსაძლისი პირობები იყო, სერიალისა და თეატრის შეთავსება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და, მეგობრებთან ერთად, ოთხი წლის წინ, მსხვერპლზე წასვლა მომიხდა. თავისუფალ თეატრში ვიყავი, ამის შემდეგაც იყო თეატრიდან შემოთავაზება, რომელზეც უარი ვთქვი. იმიტომ რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ტელევიზია და სხვა რამ... დრო არაფრისთვის გრჩება, მეგობრების ნახვაც შეუძლებელი იყო...

**- როგორც ვიცი, ცოლიც ტელევიზიაში სერიალის გადაღებისას გაიცანი.**

- კი, კასტინგზე მოვიდა, ნათია „ჩიპსების თაობაში“ ჩემს ცოლს თამაშობდა. ჩემი გმირისთვის შეყვარებულს ეძებდნენ, საბოლოო ჯამში კი ჩემი ცოლი იპოვეს... ასეთი რომანტიკული ამბავი გამოვიდა... დღეები ყოფილა, რომ სერიალის გადაღებაც მქონია და სპექტაკლიც. ბოლო წუთამდე რომ ჩქარ-ჩქარა იღებ ყველაფერს და გარბიხარ, მერე კი ჩაცმა-ჩაცმით და ფართხა-ფურთხით სცენაზე ადიხარ, ეს მომენტიც ბევრჯერ ყოფილა. ნათია სერიალში რომ არ ყოფილიყო თანამშრომელი, ალბათ, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, რადგან მთელი დღეები იქ ვიყავით, ჩვენთვის შაბათ-კვიარა არ არსებობდა. ძალიან გამიმართლა, ჩემი ცოლი რომ ჩემი თანამშრომელი იყო... თან ძალიან კარგი ადამიანია, მხიარული, საერთოდ არ შეცვლილა, როგორიც ოთხი წლის წინათ იყო, დღემდე ასეთია. არაფერი შეცვლილა, ისევ შეყვარებულებივით ვიქცევით, მგონი მეც კარგი ქმარი ვარ. რაც მთავარია, ერთგული...

**- ახლა სად მუშაობ?**

- ახლა აბსოლუტური პაუზა გვაქვს. დილით ავდექი, საღამოს მოვედი, ასე დიდი ხანია არ ვართ. რაღაცები არის ჰორიზონტზე, არ ვიცი როგორ რა იქნება, ვნახოთ. ეს პერიოდი აბსოლუტურად კინოზე ვიყავი გადართული და ჯერ კიდევ აქვს ამ კინოს ნაბახუსევი, ჯერ არ გამოვსულვარ ბოლომდე. რაღაც-რაღაცებს კიდევ ვაკეთებთ... ძალიან მიყვარს კინო და ძალიან მინდა, რომ საქართველოში კინოს ბიზნესი განვითარდეს, გადაიღონ ბევრი ფილმი და ვითამაშო. კინო დღეს სავალალო მდგომარეობაშია. კინოს შექმნა და თუნდაც მისი გაყიდვა, საქართველოში ძალიან ჭირს.

**- თეატრი არ გენატრება?**

- როდესაც მსახიობი ხარ და ერთხელ მაინც მდგარხარ სცენაზე, შეუძლებელია თეატრი არ გენატრებოდეს. ჩემი ვნება კინოა, მაგრამ თეატრიც ძლიერმოქმედი ნარკოტიკია, რომელსაც თუ ერთხელ გასინჯავ, მერე მთელი ცხოვრება გახსოვს. განუმეორებელია, როცა ცოცხალი აუდიტორია შენს უშუალო აქტს, იქვე დაბადებულ შენს შემოქმედებას თვალს ადევნებს. მენატრება, მაგრამ, რომ გითხრა, ეს არის ნოსტალგია, ტყუილი იქნება... ამ წლების განმავლობაში გზადაგზა ბევრ რაღაცაზე ვთქვი უარი, ძალიან ბევრს ვატკინე გული და ალბათ, გავაბრაზე კიდეც უარის თქმით, რადგან პრაქტიკულობა იმარჯვებდა უფრო. ტელევიზიაში იყო კარგი ხელფასი, თეატრი კი ამას ვერ უზრონველყოფდა. სატელევიზიო სივრცეში რაც კეთდება, ეს ფინანსურად გაცილებით მეტად ფასდება, ვიდრე თეატრში. ამ შემთხვევაში პრაქტიკულობამ და რაციონალურმა აზროვნებამ იმარჯვა, სხვა გზა უკვე აღარ მქონდა, უკვე ნათია მყავდა, ჩემი პატარაც და ამიტომ კაპრიზები, რომ თეატრის მტვერი მენატრებოდა, არანაირად არ გამოდიოდა.

**- პატარა ახლა რა ხნის არის?**

- წლინახევრის ნასტასია კალანდაძე გვყავს. ნასტასია კინსკია მსახიობი, სწორედ ამ მსახიობის მამის მოფიქრებულია ეს სახელი და არავის არ ჰქვია მეტს. ჩვენც გვინდოდა ისეთი სახელი დაგვერქმია, რომელიც ბანალური არ იქნებოდა, ნასტასიაც ასეთია, თან უცხოა და თან ადვილად აღსაქმელი. კვარიათში სანაპიროზე ვიწექით, როცა უცებ მოგვაფიქრდა. ნასტასია მაგარი ბავშვია, ძალიან ჭკვიანი, 22 დღის იყო აღუს თქმა რომ დაიწყო, 9 თვის დადიოდა უკვე. ძალიან აზრზე მოსული ბავშვია - ინდიგო...

## „ეს პერიოდი აბსოლუტურად კინოზე ვიყავი გადართული და ჯერ კიდევ აქვს ამ კინოს ნაბახუსევი, ჯერ არ გამოვსულვარ ბოლომდე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 26 მაისი „შინ“-ის გრან

**my View**
**დეა თავზერიძე**

**ჯგუფი „შინ“-ი უნიკალური და ინოვაციური პროექტით. „ბრავო რექორდსის“ მონდომება და სიურპრიზი მაყურებელს. ჯგუფი, რომელიც თავის შემოქმედებით მსმენელს დიდი ხანია აჯადოებს, საქართველოშია. 26 მაისს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში (ფილარმონიაში) გაიმართება კონცერტი, რომელიც, როგორც ორგანიზატორები ამბობენ, თბილისს დიდხანს ემახსოვრება. ამ დღესვე გაიმართება CD ალბომის პრეზენტაცია. ხოლო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით 29 მაისს ჩატარდება განმეორებითი კონცერტი. ახალ ალბომში 11 მუსიკალური ნაწარმოებია შესული. ამ პროექტთან დაკავშირებით უფრო დეტალურად ჯგუფ „შინ“-ის დამფუძნებელი, ზაზა მიმინოშვილი საუბრობს.**




# „ბრავო რექორდსის“ კიდევ ერთი სიურპრიზი მაყურებელს

## ზაზა შენგელია: „იქნება სცენოგრაფია, კოსტიუმები და საკმაოდ დიდი და საინტერესო სანახაობა“

**ზაზა მიმინოშვილი:** - 26 მაისს წარმოვადგენთ ჩვენს ახალ ალბომს, დამყარებულს გია ყანჩელის მუსიკაზე, ჩვენს გვერდით დგას ჯანსუღ კახიძის სიმფონიური ორკესტრი, მაესტრო ვატო კახიძის დირიჟორობით, საბალეტო დასი, ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, ასევე პროექტში ჩართულები არიან საოცარი ოსტატები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან და, რაც მთავარია, დარბაზში ველოდებით ჩვენს მთავარ არბიტრს – ქართველ მაყურებელს!

**- რით იქნება განსხვავებული ეს კონცერტი და როგორ რეაქციას ელით მაყურებლისგან?**

- ჩვენს სპექტაკლში წარმოვადგენთ ჩვენეულ ხედვას იმისა, თუ როგორ შეიძლება თანაარსებობდნენ მსოფლიოს დიდი მუსიკალური სისტემები: ევროპული კლასიკა, ჯაზი, ზოგადად მსოფლიო ეთნოსი და ამ ყველაფრის მასპინძლად - ჩვენი, ქართული ჰანგი! მუსიკის ენაზე შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება დავრჩეთ თავისუფლები და ამავე დროს თითქმის სიყვარულამდე პატივს ვცემდეთ ერთმანეთს. 26 მაისი ჩვენთვის არის თავისუფლების, მშვიდობის და აქედან გამომდინარე სიყვარულის დღე. ამიტომ ეს დღე იდეალურია ამ პრემიერისთვის. მაყურებლისგან ველით... ერთობას!

**- რა ჰქვია ალბომს, რომელსაც ამ კონცერტზე წარადგენთ?**

- ალბომის სახელწოდებაა „არაჩვეულებრივი გამოფენა“. ამ ნაშრომით ჩვენ ვიწყებთ დიდი მუსიკალური პორტრეტების სერიას. სრულიად ბუნებრივად ავირჩიეთ პირველი სახე – გია ყანჩელი! დისკი იბეჭდება სტუდია „ბრავო რექორდს“-ში და ამ სტუდიასთან საინტერესო თანამშრომლობის იმედი გვაქვს.

**- თავად თქვენ რა მოგცათ გია ყანჩელის მუსიკამ? ხომ ვერ გაიხსენებთ პირველად როდის მოისმინეთ და რა რეაქცია გქონდათ?**

- პირადად მე კი მაინტერესებს, რა აზრის იყო მაესტრო, როდესაც თავისი დიდი ოდისეის დაწყების წინ (ეს იყო ოდესღაც XX საუკუნის ბოლოში) მე, იმ დროს სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდა მუსიკოსი, მხოლოდ მისთვის გასაგები მიზეზებით შემამჩნია და შემომთავაზა სრულიად წარმოუდგენელი სამუშაო – ლეგენდარულ რუსთაველის თეატრში, დიდ რობერტ სტურუასთან! რეალურად იმ პერიოდში ყალიბდებოდა ჯგუფი „ადიო“ (ლეგენდარული ქართული ჯაზ-როკ ჯგუფი, რომელმაც ფაქტობრივად პირველმა გაჭრა პოსტ-საბჭოთა სივრცე და ფანჯარა ევროპაში-რედ.) წინ იყო რამდენიმე წლის მუშაობა თანამედროვეობის ამ ორ დიდ მაესტროსთან. შემდეგ კი „ადიო“-ს წილი ოდისეა გარესამყაროსკენ და შემდეგ კი... „შინ“. პირადად ჩემთვის ურთიერთობა ყანჩელის მუსიკასთან, ალბათ, იმავე დროს დაიწყო, როდესაც იძულებული გავხდი, მიმეღო რეალობა მუსიკის აუცილებლობის, ანუ დასაწყისში. ეს იყო ის საოცარი სამყარო კინოს და თეატრისა, რომელზედაც გაიზარდნენ თაობები! იცით, თუ დამიჯერებთ, რაც დრო გადის, ეს სამყარო უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჩემთვის. დიდი იმედი გვაქვს, რომ ბატონი გია კონცერტს დაესწრება...

**- ევროპაში როგორ ხვდებიან გია ყანჩელის და „შინ“-ის ერთობლივ კომპოზიციებს?**

- „არაჩვეულებრივი გამოფენის“ პრემიერა, გასული წლის დეკემბერში, ქალაქ რიგაში შედგა. (საერთოდ ლატვიასთან ჩვენს ჯგუფს ხანგძლივი და ერთგული სიყვარული გვაკავშირებს) კონცერტში მონაწილეობადა ქ. ლიეპაის სიმფონიური ორკესტრი (დირ. ა. ლასტიგალა); ლატვიის მომღერალთა ალ შტარ-კვინტეტი და თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ჰობოისტი, ნორმუნდს შნე. ლატვიური პუბლიკისგან საკმაოდ განებივრებული ვართ, მაგრამ ასეთ რეაქციას არ ველოდით – მთელი კონცერტის განმავლობაში იყო ნამდვილი ზეიმი, სიყვარულის, სიხარულის, იმედის! ბოლოს კი წარმოდგენის მონაწილეები მადლიერმა პუბლიკამ დიდი ოვაციით დაასაჩუქრა და ამ ოვაციის განსაკუთრებული ნაწილი მიეძღვნა სცენაზე თვით მაესტროს გამოჩენას! ჯერჯერობით ეს ჩვენი ახალი პროექტის ერთადერთი შესრულება იყო. შემდეგი წლიდან იგეგმება ალბომის რეალური წარდგენა სხვადასხვა ქვეყნებში.

**- ბოლოს რომელ ქვეყანაში იყავით, რა კონცერტი ჩაატარეთ, შთაბეჭდილებები ამ კონცერტის შესახებ.**

- ამ დღეებში კონცერტები გვქონდა სტამბულსა და ვენაში. საოცარი სამყაროებია ეს მარადიული ქალაქები! ალბათ, თითოეულ ჩვენგანს თავისი, განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს მათთან. ამჯერად ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ინტერესი, რომელიც ჩვენი „არაჩვეულებრივი გამოფენის“ პროექტმა მოიპოვა. შედგა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი საუბარი. თბილისის შემდეგ სტამბულის და ვენის სიმფონიურ ორკესტრებთან პერფორმანსი იდეალური სტარტი იქნებოდა ჩვენი ალბომისთვის! ვნახოთ, რომელ სწორ გზებს მოძებნის ჩვენი მენეჯმენტი...

**- „შინ“-ი, უამრავ ქვეყანაში ყოფილა, ყველაზე მეტად რომელი ქვეყნის მაყურებელი დაგამახსოვრდათ. რით განსხვავდება უცხოელი მაყურებელი ქართველი მაყურებლისგან?**

- რასაკვირველია, ნამდვილად სუბიექტურად ვაფასებ ჩვენს მაყურებელს და ის ყველაზე ჭკვიანი თბილი და კეთილი მგონია, მაგრამ?... ამასთანავე, სრულიად არამართივი.

**- საქართველოში „ბრავო რექორდსი“ ერთ-ერთი ძლიერი ხმის ჩამწერი კომპანიაა, რას იტყვით მასთან თანამშრომლობაზე და როგორ შეაფასებთ იქ მუშაობას?**

- ძალიან კარგი სტარტია ხანგძლივი მუშაობისთვის! დიდი ხანია ვეძებდით საიმედო პარტნიორს ქართულ შოუ-ბიზნესში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან მხოლოდ საქმიან ატმოსფეროში შევძლებთ იმ ბაზისის შექმნას, რომელიც რეალურად დაგვაბრუნებს შინ!

**- ვატო კახიძესთან „შინ“-მა პირველად იმუშავა? რა ნიშნით გამოარჩიეთ ის?**

- ბატონ ვატო კახიძესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ამავე დროს, რასაკვირველია, მისი და დიდი ჯანსუღ კახიძის, მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლების არმიას მივეკუთვნები! ჩვენთვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო შინისეული ყანჩელის მუსიკის შესრულება კახიძის ორკესტრის მიერ და დირიჟორის პულტთან მაესტრო ვატო კახიძის წარმოდგენა! მადლობა ღმერთს, ეს შესაძლებელი გახდა! პროფესიული მხრიდან დავუმატებ ერთადერთს: ბატონი ვატო არის ძალიან სერიოზული სპეციალისტი, ერთდროულად კლასიკაში, ჯაზში და ეთნოსში. ეს უნიკალურობა იყო ჩვენი არჩევანის მთავარი მიზეზი!

**- ბოლო პერიოდში წევრებს იცვლით ხოლმე, კონცერტი თბილისში რა შემადგენლობით გექნებათ? თქვენთან ხშირად თანამშრომლობენ უცხოელი მუსიკოსები, როგორც ვიცი, ამჯერადაც ჩამოვლენ ისინი, რას იტყვით მათზე?**

- როგორც უკვე გითხარით, პროექტზე იმუშავებს თბილისის სიმფონიური ორკესტრი, ვატო კახიძის ხელმძღვანელობით და საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, ასევე, მაყურებლის წინაშე წარვადგენთ თბილისის კონსერვატორიის ვოკალურ კვარტეტს. გარდა ამისა, სპეციალურად პროექტისთვის მოწვეული იქნებიან ცნობილი უცხოელი სესიური მუსიკოსები: თეოდოსი სპასოვი - ბულგარელი კავალის ნამდვილი ოსტატი. ის


თეოდოს სპასოვი


დანიელ მესინა


ილიას მირზაევი


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დიოზული კონცერტით

ცნობილი „რივერდანსის“ ვარსკვლავური შემადგენლობის წევრი იყო; ილიას მირზაევი- თანამედროვე თურქული მუსიკის წამყვანი კომპოზიტორი, რომელსაც ასევე ეკუთვნის ამ პროექტის ყველა მუსიკალური ნაწარმოების არანჟირება; მას ერთობლივი პროექტები აქვს: პენდერეცკისთან, ზავინულთან, მუსტაფაზადესთან, იარვესთან და სხვებთან; დანიელ მესინა - ცნობილი არგენტინელი დრამერი. ლათინური სტილის უბადლო შემსრულებელი... გარდა სესიური მუსიკოსებისა სპეციალურად პროექტისთვის მოწვეულნი არიან: ხმის მთავარი ინჟინერი, გერმანელი აჰიმ ჰუბერი, ქორეოგრაფი - მაკედონიელი ალექსანდრა ევტიმოვა და რეჟისორი - დავით დოიაშვილი.

**- ხომ არ გეგმავთ საქართველოს ტურნეს გამართვას?**

- ჩვენ დიდი სურვილი გვქონდა კიდევ ერთხელ მოვფერებოდით ჩვენი ლამაზი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს და ძალიან გაგვიხარდა, როდესაც ამ პროექტის ერთ-ერთმა სპონსორმა, „ნატახტარმა“, გამოთქვა მზადყოფნა. ასე რომ, მათი დახმარებით და დიდი იმედით, ზაფხულში რამდენიმე ქალაქს ვეწვევით.

**- ამ კონცერტის შემდეგ რა გეგმები გაქვთ, აპირებთ თუ არა დაუბრუნდეთ სამშობლოს და დარჩეთ საქართველოში?**

- „შინ“-ი თავისი არსებობის პირველივე დღიდან ბრუნდება შინ! იმედია, ამას მალე მოვახერხებთ...

სტუდიური ჩაწერები „ბრავო რექორდსის“ სტუდიაში 12 აპრილს დაიწყო და ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდა...

**ზაზა შენგელია: –** „ბრავოს“ არსებობის ისტორიაში ეს არის აბსოლუტურად განსხვავებული და საკმაოდ რთული პროექტი, რომელიც ჩვენთვის დიდ გამოწვევას ჰგავს. ასეთი მასშტაბის პროექტი „ბრავოს“ ჯერ არ განუხორციელებია. „შინ“-მა უმაღლეს დონეზე აიყვანა ქართული ეთნოჯაზი. ის, თავისი არსებობის ისტორიაში პირველად იმუშავებს სცენაზე სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ვატო კახიძის ხელმძღვანელობით. მათთან ერთად რამდენიმე კომპოზიციაში მონაწილეობას მიიღებს ნინო ანანიაშვილის საბალეტო დასი და კონსერვატორიის ვოკალური სექსტეტი, დადგმას დათო დოიაშვილი ახორციელებს. იქნება სცენოგრაფია, კოსტიუმები და საკმაოდ დიდი და საინტერესო სანახაობა. თავისი დრამარტურგიით, განვითარებით, კვანძით... უნიკალური ალბომი გამოვიდა, ძალიან კარგად ჟღერს ჩანაწერი, 26 მაისს ამ ალბომის საპრეზენტაციო კონცერტი საიუბილეო ღონისძიებების ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენაა.

**- რამდენად საინტერესო იყო „ბრავო რექორდსი“-სთვის „შინ“-თან მუშაობა?**

- ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, რადგან ძალიან მაღალი რანგის პროფესიონალები არიან. ასევე ძალიან თავმდაბლები მუშაობაში, პუნქტუალურები, მოწესრიგებულები, მობილიზებულები, კარგად იციან რა უნდათ... როცა სტუდიაში შემოდის ჯგუფი ან სოლისტი და ის მომზადებულია, ეს ხმის ჩამწერი კომპანიისთვის ძალიან დიდი კომფორტია. მათ ყველაფერი კარგად ჰქონდათ დაგეგმილი, საკმაოდ რთული სამუშაო იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში მთელი ეს პროცესი რბილად და სასიამოვნოდ წარიმართა.

**ბადრი გრუზინსკი:** „მახარებს ის ფაქტი, რომ ეს კონცერტი 29 მაისსაც ჩატარდება. ეს კულტურის სამინისტროს იდეა იყო, გვინდოდა ქალაქისთვის გვეჩუქებინა ეს კონცერტი. მერე ბატონ ზაზა შენგელიას ვთხოვე, რომ ჩართულიყვნენ ამ საქმეში და 29-შიც განმეორდება. მოსაწვევები უკვე დაურიგდებათ სტუდენტებს, ასევე მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის აღსაზრდელებს, ძალიან გვინდა, მათაც მოვუწყოთ ერთი დღესასწაული, რომ მაღალი დონის კონცერტი მოისმინონ. „შინ“-ის მუსიკა გენიალურია, მუსიკალური ფორმით დაწყებული, შესრულებით დამთავრებული. ყველაფერი მაღალ დონეზე აქვთ აყვანილი. რაც მთავარია, ყოველ ბგერაში იგრძნობა ქართული ინტონაცია. შესანიშნავად და მაღალ პროფესიულ დონეზე მოახერხეს ქართული ინტონაციის შერწყმა თანამედროვე მუსიკასთან, ჯაზთან, სხვადასხვა მუსიკოსები და ჯგუფებიც ცდილობენ, თუმცა ვერ ვიტყოდი, რომ 50% მიუახლოვდნენ მათ. ფაქტობრივად, ახალი სააფეხურია ქართული ესტრადის განვითარებაში“.

**ნეკა სებისკვერაძე:** „ჩვენ ძალიან ვეცადეთ, რომ როგორც ყოველთვის, 26 მაისის კონცერტი ყოფილიყო მუსიკალურად საინტერესო და ძალიან აკადემიური. ამიტომაც შევაჩერეთ არჩევანი „შინ“-ის ახალ პროექტზე. არის არაჩვეულებრივი მუსიკალური პროდუქტი, რომლის მსგავსიც ჯერ ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებაში არ გაკეთებულა, ძალიან საინტერესო მუსიკოსები მონაწილეობენ, მთლიანობაში დაუვიწყარ მუსიკალურ სიახლესთან გვექნება შეხება“.




**CD ალბომის შეძენა შესაძლებელია 26 მაისიდან „ბრავო რექორდსის“ სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებში. ფასი 20 ლარი.**

**თორნიკე ნიკოლაიშვილი, კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:**

„კომპანია „ნატახტარი“-სთვის“ პატივია წარმოადგინოს ჯგუფ „შინ“-ის“ ახალი ალბომი - „არაჩვეულებრივი გამოფენა“. „ნატახტარი“ მოხარულია, რომ მხარს უჭერს ასეთ საინტერესო პროექტს. ჩვენთვის, როგორც ქართული ლუდისა და ლიმონათის მწარმოებელი და ექსპორტიორი კომპანიისთვის, ორმაგად საამაყოა, მხარი დავუჭიროთ „შინ“-ს, მუსიკალურ ჯგუფს, რომელიც არა მარტო ქართული მუსიკის, არამედ ზოგადად ქართული კულტურის გავრცელებასა და პოპულარიზაციას ახდენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით“.

**თეონა ბალდავაძე, „ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:** „ბილაინი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კულტურულ და სოციალურ პროექტებს, ამიტომაც ჩვენი მხარდაჭერა კულტურული პროექტების მიმართ ყოველ წელს უფრო და უფრო აქტიური ხდება. შინის ტურნე რეგიონებში განსაკუთრებულად საამაყო პროექტია ჩვენთვის, რადგან ხელს უწყობს ტრადიციებზე დამყარებული თანამედროვე გემოვნებიანი მუსიკის კიდევ უფრო ფართო მსმენელთან მიტანას“.

**პროექტის მხარდამჭერები:**
**თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი;**
**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;**
**მუსიკალური ბიზნესკომპანია „ბრავო რექორდსი“;**
**გაზეთი „პრაიმტაიმი“.**
**პროექტის წარმომადგენელია: „ლუდი ნატახტარი“,**
**სპონსორები: „ბილაინი“, „კაპაროლი“.**
**რადიო მხარდამჭერები: რადიო „არ დაიდარდო“, რადიო „ფორტუნა“.**
**ღონისძიების ოფიციალური დამზღვევია სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი.**

არდი ჯგუფი
სადაზღვევო კომპანია


მამუკა ღაღანიძე


ზურა გაგნიძე


ზაზა მიმინოშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N20 (218) ორშაბათი, 20 მაისი, 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



„ნათია „ჩიპსების თაობაში“ ჩემს ცოლს თამაშობდა. ჩემი გმირისთვის შეყვარებულს ეძებდნენ, საბოლოო ჯამში კი ჩემი ცოლი იპოვეს“

გიორგი კალანდაძე „ნაწილების“ მისტიკურ დეტალებზე

EXCLUSIVE



„ვიღებთ კომედიას ოქროს საწმისზე- აიეტმა ბერძნებს ყალბი ოქროს საწმისი გაატანა, ნამდვილი კი საქართველოში დარჩა. მაგარი კინო იქნება“

„ჩემი ცოლის დაქალები“ ერთი შეიხის ტელევიზიით გავა“

EXCLUSIVE



„სტეფანეს იმხელა პატივს ვცემ, რომ არ ვაკადრებ და შოუში არაფერს დავუთმობ“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება